ᲛᲝᲚᲔᲗᲘ

თვიური ჟურნალი

წელიწადი მეთერთმეტე

№ VI

ივნისი, 1904

ტფილისი

[illegible]

1904

მ ო ა მ ბ ე

თვიური ჟურნალი

წელიწადი მეთერთმეტე

№ VI

ივნისი, 1904



ტფილისი

[illegible]

1904

Дозволено цензурою. 18 Іюля, 1903 г. Тифлисъ.

შინაარსი

გვ.

I—ძველნის ღულუნი.—მელანიასი 1

II—გლეხი კაცი.—წიგნი მეორე, თავი V—VIII. რომანი გიდბელმ ფონ ბოდენსტაისა.—თარგმანი ივ. ბოდუმორდვინოვისა. 11

III—სამშობლო.—ოთხ. მოქმედებიანი დრამა მეორე მოქმედება თარგმანი ოსმალურიდან სანჯალ ბეგისშვილის ბაბაშიძისა 60

IV—თამარ მეფე და მისნი ისტორიკოსნი.—(დასასრული) მ. ჯანაშვილისა 1

V—ცხოვრება და ღვაწლი თ-დის გრიგოლ ორბელიანისა.—თავი XIV. ი. მეუნარგიასი . . 25

VI—სახალხო სწავლა-განათლება დანიაში.—ნინო ზურაბიშვილისა. 39

VII—ნარევი.—1. მავრ იოკაი.—2. ემილ დიუკლო.—3. გაბრიელ ტორდ.—4. ახალი ოპერა მასკანისა—5. ჩვენი თეატრის საუგეშოდ.—6. დანტ ეს სიმბოლიზმი.—7. ქალი-პროფესორი. 8. ტოლსტოის აზრი სპენსერის შესახებ.—9. იბსენის ავადმყოფობა.—10. მშრალი რძე.—11. ვეშაპების ამოწყვეტა.—12. სიმპლონის ტუნელი.—13. ხოლერის ასაცრელი ჩირქი. 14. ხ-ლოვნება სუნთქვისა. 15. სიცოცხლის წყარო. 16. მთვარის ჩამომავლობა. 17. ახალი, ძველში ნაპოვნი. . 65

(იხ. შე-2 გვერდი)

VIII—**შინაური მიმოხილვა.** — სხვა-და-სხვა წოდებანი საქართველოში სწავლა-განათლების მხრით.— **ფ. გოგიჩაიშვილისა** 73

IX—**უცხოეთის მიმოხილვა.**—გერმანია: შინაური პოლიტიკა და საერთაშორისო მდგომარეობა.—პრუსიის სამეფო და პოლონელები.—რუსველტი.—ინგლისური ქველმოქმედება. . 97

დამატება:

დიფნის ქალაქის ამბავი. — ძველი საზღაპრო მოთხრობა, ბროფესორის **ხახანაშვილის** წინ.-წიტყვაობით . . . . . I—56

ნასაყდრალ
თვალაუწვდენ
ეჭვი არ არი
ბელ გადაჩი

ქედნის ღულუნი

„წმინდა თეკლორე,
შენ ხარ მოწამე!
ხოხობს უთხარი,
შომცეს ჩემი ფ"თე."
(ლეგენდა—გაგონილი კახეთში).

I

ისეთი უსარგებლო მდინარე, როგორიც ალაზანია, ქვეყნიერობაზედ არ მოიპოვებაო,—ამბობენ კახეთ-ქიზიყში.

მართლაც და ალაზნის წყლით ერთი თვალი წისქვილი არსადა ბრუნავს, არც ირწყვის სადმე ერთი ციდა ნახნავ-ნათესობისა. სარგებლობის ნაცვლად დიდი ვნება და ზარალიც-კი მოუტანია ალაზანს კახელებისათვის.

ოდესმე მრავალი სოფელი ყოფილი გაშენებული ალაზნის ორსავ ნაპირებზედ. ამ ჟამად კი მოსჩანან მარტო მათი ნაშთები. ნაკლებად არ უნდა ყოფილიყო ამ სოფლებში შესანიშნავი ხუროთმოძღვრების ტაძრები. ამას ჰმოწმობენ ხშირი, ზოგან დიდრონ ყორეებად გადაქცეული, ზოგან კი მთლიანად გადარჩენილი კედლები.

ალაზანმა ძრიელ იცის მოდიდება გაზაფხულობით, როცა მთებზედ თოვლი იწყობს დნობას, და წვიმიან ამინდებში. ადიდების დროს წყალი ნაპირებს გადაჭლეკავს ხოლმე. სტოვებს ატეხილ ჭალებში, რაც რომ უსუფთაობა მოაქვს თან; იხრწნება ყველა ეს და სწამლავს ჰაერს. ეს კიდევ არაფერი. ალაზანი მეტის-მეტად მდორედ მოდის. ზოგან, რაც გინდა ახლო იდგე ნაპირთან, არ გესმის ხმა, ისე მდუმარედ მოდის

წყალი. ზოგან კი ისმის ხმაურობა მისი, მხოლოდ ეს ხმაურობა არ გაფხიზლებს, არა გმატებს სიცოცხლის ძალას და გამჭრიახობის უნარს, როგორც ზღვა ანუ ჩქარი და შხუილა მდინარე თვისი მოძრაობითა და მძლავრი ზვირთების ხმაურობით. როგორც მდუმარება, ისე უნდილი ხმაურობა ალაზნისა რაღაცნაირ სიდუნესა ჰფენს კაცის მთელ სხეულში; მოძრაობის ხალისს უკარგავს თვის მაყურებელს და მუდმივი ძილისაკენ იზიდავს. ძილი და სუნთქვა მოშხამილი ჰაერით—რა კეთილს დააყრის კაცს?

შემჩნეულია, რომ ვინც თავისს ცხოვრებას მომეტებულ ნაწილად ალაზნის ახლო ატარებენ, როგორც, მაგალითად, მწყემსები, სნეულდებიან გამუდმებული ციებ-ცხელებით და უდროვოდ ესალმუბიან წუთისოფელს. რაც უნდა საღი ჯანის პატრონი იყოს კაცი, მაინც ვერ შეიგნობს ალაზნის ციებ-ცხელებას.

ეკვი არ არის, ამ ციებ-ცხელებამ გაანადგურა ალაზნის ნაპირებზედ იმოდენა სოფლები.

II

ერთ ნასოფლარში აქამომდე დარჩენილა დაუნგრეველი დიდი ტაძრის კედლები და თაღი საკურთხევლისა. მხოლოდ ორგან-სამგან, საძირკვლიდამ დაწყობილი ფავამდე, შუაზედ გაურღვევიათ კედლები უშველებელ კაკლის ხეებს და გაჭედილან შიგ ისე, თითქოს განგებ მიუშენებიათ აქეთ-იქით კედლებიო. საკურთხევლის თაღზედ ამოსულა ბროწეულისა და ლეღვის ბუჩქები. ნაეკლესიარის შუა გულში კი გადამჯდარა ნანგრევების ყორეზედ მსხვილი და ხავსმოკიდებული ფესვებით უზარმაზარი თელის ხე, რომელსაც მაღლა წვერამდე შეჰხვევია ვეებართელა სისქის უსურვაზი. დანარჩენი ადგილი ნაეკლესიარისა დაფარულია ხოლმე გაზაფხულობით და ზაფხულობით ანწლითა და იმერული საფერავით. ამ ნანგრევებს უწოდებენ წმინდა თევდორეს საყდარს.

ნასაყდრალის ყოფილ ეზოში ტოლად და ხშირად დგანან თვალაუწვდენელი თელის, მუხის, მურყნისა და ბოკვის ხეები. ეჭვი არ არის, წმინდა თევდორეს მადლს დაუცავს დაუნდობელ გადაჩეხისადან ეს ტყე, რომ ჯერ ცული არ შეჰხებია.

ამ დაცულ ტყეში ზაფხულობით მრავალი ქედანი იყრის თავს და ღუღუნებენ, ანუ, ხალხის გადმოცემით, შესთხოვენ წმინდა თევდორეს ხოხობთან შუამავლობას, რათა დაუბრუნოს მან „ფრთე“.

III

ვინა ყოფილა წმინდა თევდორე?—სპარსეთის რომელსაღაც ყაენს ისე შეუმუსრავს ქართველების პოლიტიკური, ზნეობრივი და ეკონომიური ძლიერება, რომ აღარავისა სწამდა თურმე აღარც ღმერთი და აღარც სამშობლო. ბლომად იყვნენ თურმე ღვთის მსახურნიც და მეომარნიც; განსწავლულნი მღვდელმთავრებიც და გამოჩენილი მხედართმთავრებიც. მაგრამ ყველა ესენი სახელით ქრისტიანები და ქართველები ყოფილან, საქმით კი პირადი სარგებლობის მოტრფიალენი და მონანი მაჰმადიანობისა.

გადარჯულებისა და გადაგვარების სენს ერთად ერთი კაცი გადარჩენია. ეს კაცი იყო ვინმე თევდორე. ამან დაუწყო მხილება ყველას უშიშრად და დაუზოგველად. მისი ქცევა და მოქმედება არავის მოეწონა და პირველადვე მახლობლებმა და ნათესავებმა დაუწყეს დევნა.

IV

როგორი მკაცრი და დაუფერებელი ყოფილა თევდორე ყველასთან, შემდეგიდამ ჩანს. ერთხელ მივიდა თურმე მღვდელმთავართან. ამ უკანასკნელმა ჰკითხა: საით გიხეტიელია, იობის

ეშმაკოვო. თევდორემ უპასუხა: შენსა ტანადობასა ვიახელ, შენი უდასტურესი ვერ გიახლებიო.

— ჰაი, შე შეჩვენებულო და წყეულო, შენა!—შეჰყვირა მღვდელმთავარმა,—თვით შენა ხარ სატანაცა და იუდაც! გასწი დამეკარგე ახლავე აქედამ და თვალით აღარ გამეცადო როდისმე, შე მძოვრო და წამწყმენდო ქვეყნისავ, თორემ ამაზედ მეტი აღარ შემიძლიან!

შემდეგ ამ ამბისა სასულიერო მთავრობამ ურწმუნოდ აღიარა თევდორე, სამოქალაქომ კი სამშობლოს მტრად და მოღალატედ; ბოლო ორივემ ერთად დასახეს იგი ფრიად მავნებელ პირად, როგორც სარწმუნოებისა, აგრედვე სამშობლოს კეთილდღეობისათვის. ამისთვის ყველას აეკრძალა თევდორესთან დაახლოება და რაიმე საქმის დაჭერა.

V

თევდორე თავისას არ იშლიდა: ამხელდა ყველგან და ყველას ბიწიერებაში. თვისი ამგვარი მოქმედებით საშინელი მძულვარება გამოიწვია მთელს ხალხში—თვალის დასანახად შესძაგდა იგი ყველას. მაგრამ სიძულვილი და „სულელი თევდორე-“ს ძახილი როდი აკმარეს,—მოქმედებითაც დაუწყეს შეურაცხყოფა. დასცინოდნენ, სცემდნენ, ჭლანძღავდნენ და, ვინ იცის, რას არა სჩადიოდნენ მის დასამცირებლად. იგიც იძულებული გახდა შეეწყვიტნა ყოველი კავშირი ხალხთან, გაშორებოდა „სოფელს“, და შეეფარებინა თავი ტყისათვის და დაახლოვებოდა ნადირთა და ფრინველთ.

ალაზნის ჭალაში ერთი ბარდი ამოირჩია თავისს საცხოვრებელ ადგილად და აქ იწყო მხურვალე ლოცვა, რათა უფალს გამოეფხიზლებინა მისი მოძმენი მომაკვდინებელი ზნეობრივი ძილისაგან. თევდორე არ იყო ხელდასხმული მსახური ღვთისა; მაგრამ მისი ლოცვა-ვედრება ისეთი მადლიანი და ძლიერი იყო თურმე, რომ ნადირნი და ფრინველნი გულსმოდგინებით

ისმენდნენ ამ ლოცვა-ვედრებას და თვით უსულდგმულო ხეებიც კენწეროებს იხირიდნენ, როცა იგი ლოცულობდა.

VI

დიდი ხანი გავიდა მას აქედ, რაც თევდორე განდევნეს „სოფლიდგან“. ფუფუნებასა და მონობაში მყოფთ არაფერი არ აინტერესებდათ სხვა, რაც მათ პირადს სარგებლობას არ შეეხებოდა. მხოლოდ ერთმა საკვირველებამ კი უნებლიედ მიიქცია ყველას ყურადღება. ბნელს, უმთვარო ღამეში ალაზნის პირად ერთი და იმავე ადგილიდამ აიმართებოდა ხოლმე სვეტი ნათლისა და ბრწყინავდა, როგორც მზის სხივი.

ბევრი ფიქრისა და ბჭობის შემდეგ გაიგზავნა რამდენიმე გამოცდილი კაცი ამ მოჩვენების ადგილობრივ გამოსაკვლევად. როცა იმ ადგილს მივიდნენ, გაგზავნილ პირთ გადაეშალათ თვალ წინ ამნაირი სურათი: სენაკად გადაქცეულ ბარდში ასვენია შარავანდედით მოსილი სხეული. ბარდის გარშემო წამოსკუპებულან დათვები, მგლები, ტურები; ჩამოუყრიათ ყურები და ნაღვლიანი თვალები მიუჩერებიათ განსვენებულისაკენ. მათთანვე ახლოს დგანან ირმები და მშველები; დაუცქვეტიათ ყურები და ყელმოღერებულნი გადიყურებიან ბარდში გაკვირვებული თვალებით. ხოლო მაღლა ხეებიდგან სხვა და სხვა ჰანგზედ დაჰგალობენ, დაჰჭიკჭიკებენ და დაჰღუღუნებენ გარდაცვალებულს ფრინველნი.

ამ სანახაობამ ისე არ გააკვირვა მნახველნი, როგორათაც იმ გარემოებამ, რომ შარავანდედით მოსილი სხეული „სულელი“ თევდორესი გამოდგა და „ითქმის ზიზღით წამოიძახეს ერთ ხმივ: „ვინ სულელი თევდორე და ვინ წმინდანობაო!“

VII

თევდორეს გვამის დასაკრძალად მრავალი სამღვდელოება შეიკრიბა და მოაწყდა ყოველის მხრიდგან აუარებელი ხალხი.

თვით მღვდელმთავარმაც ისურვა ეპატიებინა თევდორესათვის მის მიერ მიყენებული შეურაცხყოფა და ამის ნიშნად დაესწრო ანდერძის აგებაზედ.

ასე იყო დაწყობილება: ანდერძი უნდა აეგოთ იმავე ადგილს, სადაც გარდაიცვალა თევდორე; მხოლოდ შემდეგ წაესვენებინათ და დაეკრძალათ მახლობელ ეკკლესის ეზოში. მაგრამ დაწყობილების სავსებით შესრულებას ერთმა საკვირველმა გარემოებამ შეუშალა ხელი.

გათავდა ანდერძის აგება. დაწესებულ დროს მღვდელმთავარი მიუახლოვდა გვამს და მოემზადა ამბორისათვის. აი სწორედ ამ დროს უცბად გაირღვა დედამიწა, შთანთქა გვამი და ყველასთვის შეუხებელი და უხილავი შეიქმნა.

VIII

ნათლის სვეტი არა ჰშორდებოდა იმ ადგილს, სადაც თევდორე ცხოვრობდა, მიიცვალა და შთაინთქა მისი გვამი დედამიწაში.

ანდერძის აგების დროს მომხდარმა სასწაულმა გამოაფხიზლა ყველანი. დაუკვირდნენ თავიანთ თავს; შეიგნეს თვისი სიმდაბლე სულისა და ზნეობრივი სიღატაკე და შეუდგნენ თვისს გადაქმნა-გადაკეთებას: სულის ამაღლებას და კეთილშობილურ გრძნობათა მოპოვებასა და შეძენას. ამას კი შედეგად მოჰყვა განთავისუფლება სპარსეთის მონობისაგან.

მადლიერმა შთამომავლობამ იქ, სადაც განისვენებდა გვამი თევდორესი, ააშენა მშვენიერი ხუთ მოძღვრების ტაძარი; გადიჩეხა გარშემო ტყე და გაშენდა მის ნაცვლად დიდი სოფელი.

IX

ეკკლესიას დღისით მზის შუქი ანათებდა, ღამე კი თევდორეს საფლავზედ მდგომი სვეტი ნათლისა.

წირვა-ლოცვა განუწყვეტლივ სრულდებოდა, მლოცავებითაც ყოველთვის გაჭედილი იყო ხოლმე ეკკლესია, რადგანაც ყოველის მხრიდგან მოეშურებოდა მრავალი სასოებით მავედრებელი.

ქვეყანაც აყვავდა სათნოებით, მყუდროებით და გულუხვობით. მაგრამ საბოლოოო და დაუსრულებელი არაფერი ყოფილა ამ სოფლად და არც იქნება როდისმე. გამოაშკარავდა საქვეყნოდ, რომ რამდენსამე, და რაც უფრო განსკვირველი იყო ყველასათვის, წარჩინებულ პირთაგანს რაღაცა უხილავი ძალა არ უშვებდა ეკკლესიაში. ამისთანა პირთ ხალხმა დასწამა სამშობლოს ღალატი და ორგულობა. ამ გარემოებამ ყველანი დაიფრთხო: ვისაც არაფერი ხინჯი არა ჰქონდა გულში სამშობლოს წინაშე, ისიც-კი ვერა ჰბედავდა ეკკლესიაში შესვლას; ვისაც გული წმინდა არა ჰქონდა, ის ხომ შორს გაურბოდა ტაძარს. შემცირდა ეკკლესიაში მოსიარულეთა რიცხვი, ბოლოს თვით მისი მოსამსახურენიც კი ველარა ჰბედავდნენ ეკკლეხიის კარებზედ ფეხის გადაბიჯებას.

მცხოვრებლებმა იწყეს ნელნელა სოფლიდამ სხვა ადგილას გადასახლება; ბოლოს სრულად დაცარიელდა და აოხრდა იგი. ნათლის სვეტი გაჰქრა ეკკლესიაში. საქართველოს ისევ მონობის (სპარსეთის) ქარიშხალმა დაჰქროლა. ტაძარი დაინგრა და ნასოფლარზედ გაშენდა ახლანდელი ტყე.

X

ერთხელ, იმდროს, როცა წმინდა თევდორე განდეგილად ცხოვრობდა ალაზნის ჭალაში, მის თვალწინ ხოხობსა და ქედანს შორის სწარმოებდა ერთ გვარი შეთანხმება.

თურმე უწინ ხოხობს არც გრძელი ბოლო აშვენებდა და არც ქოჩორი. ისეთივე კუდრაჭა და გალოკილი თავითა ყოფილა, როგორც ახლა ტყის ქათამა და კაკაბია. ამ უკანასკნელთაგან მხოლოდ იმითი ირჩეოდა, რომ ხეზედ ჯდებოდა. ხოხობს ძლიერ უშნოდ მიაჩნდა თავისი თავი სხვა ხეზედ მცხოვრებელ ფრინველებთან შედარებით; დიდად თაკილობდა უშნოობას და ბევრს ფრინველს უყურებდა შურის თვალით.

ნამეტნავად იტაცებდა ხოხობის გონებას და შურს უორკეცებდა ქედნის გრძელი ბოლო და მოხდენილი ქოჩორი; სულითა და გულით ნატრობდა, რომ ერთ წუთს მაინც გამოჰსხმოდა მას ქედნის ბოლო-ქოჩორი.

XI

სილამაზის ტრფიალი და შური არ ასვენებდნენ ხოხობს. ბევრი იფიქრა რა საშუალებით დაჰპატრონებოდა ქედნის მოხდენილობას და ბოლოს შეუდგა საქმეს. იგი დაუახლოვდა ქედანს; ისე შეეთვისა, ისე მოხიბლა თვისი მოჩვენებული გულწრფელობით, რომ ყოვლის უარის უთქმელად ათხოვა ხოხობს თავისი ბოლო და ქოჩორი დროებით.

ერთიცა და მეორეც ხოხობს უნდა დაებრუნებინა პატრონისათვის მკათათვეში. ქედნის გულის დასამშვიდებლად ხოხობმა იქავე ახლოს მდგომი და ზეცისადმი ხელებ გაპყრობილი წმინდა თევდორე დაასახელა პირობის თავმდებად. ფრინველთაგან კი მარტო გუგული დაესწრო ამ პირობის მოწმედ.

თევდორეს არაფერი გაუგია მათი პირობისა; გუგული კი ყურს უგდებდა მოლაპარაკებას, გული უბრაზდებოდა ქედნის უჭკუობასა და ხოხბის გაიძვერობაზედ, მაგრამ ვერ მოახერხა, გაეფრთხილებინა უბედური ქედანი. როცა ამ უკანასკნელმა გადასცა ხოხობს თვისი საუნჯე და თვითონ გატლეკილი დარჩა, მაშინკი ველარ მოითმინა გუგულმა: შამოჰკრა ფრთა ფრთას, გაფრინდა და დაცინვის კილოთი დაიძახა: „მკათათვე, მკათათვე! ხა, ხა, ხა!..“

XII

ბევრი მკათათვე გავიდა მას აქედ; ხოხობს ფიქრადაც არ მოსდიოდა თვისი პირობის შესრულება. მხოლოდ ძრიელ კი ეშინიან ახლაც, არ ჩაიხელონ სადმე ქედნებმა და არ წართვან ძალით ის, რაც გაიძვერობითა და მოტყუებით შეიძინა. ამისთვის ხეზედ აღარა ჯდება ხოხობი. ზამთარში, სიცივის დროს თუ შეჯდება ხეზედ,—რადგანაც დარწმუნებულია მაშინ, რომ ქედანი თბილ ქვეყნებშია წასული—თორემ სხვა დროს ბარდეგიდგან არ გამოჰყოფს ხოლმე თავს. მინდვრადაც იშვიათად გამოდის, მხოლოდ უთუოდ შამბებში იმალება.

თუ როდისმე მეძებარმა ძაღლმა ააფრინა ხოხობი შამბებიდგან და მონადირის თოფს ცოცხალი წაუვიდა, საცა ჩამოეშვება, თავს ან ბუჩქებში, ან ხშირ ბალახებში წაჰყოფს, ბოლოს დამალვას კი არა ცდილობს. ყველა მონადირე ქედნისაგან მისეული ჰგონია ბოლოს და ქოჩრის დასაგლეჯად და ფიქრობს: „ქოჩორი მაინც შევირჩინო, თუ ბოლოს წამართმევენო“.

„მაგრამ ტყუილად ეშინიან ხოხობსაო: ქედანი ძლიერ მშვიდი, გაუბედავი, გულუბრყვილო, უთაური და მინდობილი ფრინველია, არამც თუ იმისი დაბრუნების უნარი და შნო არა აქვს, რაც წინად ხოხობისთვის უთხოვებია. არამედ, პირიქით, ნისკარტიც რომ მოაჭამოს ვინმემ, ხოხობი იქნება. თუ სხვა ფრინველი, შეიძლება ხმაც არ ამოიღოს. არც იმოდენი გამჭრიახობა და მოხერხება აქვს, რომ სხვა მტერი მიუსიოს ხოხობს, როგორც იმასა ჰგონია და შიშობს. ქედანს თვისი იმედი და სასოება მარტო წმინდა თევდორეს თავდებობაზედ დაუმყარებია და ეხვეწება: „ხოხობს უთხარი, მომცეს ჩემი ფრთეო“. გაივლის დრო და ჟამი. ესეც მოსწყინდება ქედანს და აღარც წმინდა თევდორეს შეაწუხებს თავისი თხოვნითაო“.

„გუგული კი ახლაც, როცა დაიღლება „გუგუ“-ს ძახილითა და მოაგონდება, რა ნაირად შეაცდინა ხოხობმა ქედანი, გაფრინდება საითმე და თანაც დაჰძახებს: მკათათვე, მკათათვე! ხა, ხა, ხა!..“ო. დაამთავრებდა ხოლმე ასე განსვენებული კნეინა, ვისგანაც მაქვს გაგონილი ეს ლეგენდა.

მელანია.

გლეხი კაცი

გიდეონ ფონ-ბოდენლისა

V

„მთავარ აგენტს“ გალბენაუში გუსტავმა გაუფუჭა საქმე, მაგრამ იმის ნალაპარაკევი გონებიდან მაინც არ გამოსდიოდა და მიუხედავად იმისა, რომ სამიკიტნოში ციტვიცის ნალაპარაკევს სიცრუე და უსინდისოთ გაბმული ქსელები უწოდა, მაინც იმის დანაპირებს ვერ ივიწყებდა და მთელის გულითა და სულით მისკენ მიილტოდა. ერთიც ვნახოთ ამ საქმეში მართალიც ბევრი ურევია?! როგორ დაიჯეროს, რომ თავიდან ბოლომდის, რაცა სთქვა აგენტმა, სულ სიცრუე იყვეს. აქ გუსტავს ციტვიცის დასტამბული ქაღალდები მოაგონდა; იმათ, სხვათა შორის, მთავრობის ბეჭდებიც ესვა,—ეს გუსტავმა თითონ შენიშნა.

ახალგაზდა ბიუტნერი რაღაც გამოურკვეველ მდგომარეობაში იყო, გული და სული ორად ეყოფოდა. ერთის მხრით ციტვიცის დანაპირები ძალიან მოსწონდა და მეორეს მხრით არ უნდოდა იმ კაცს დამორჩილებოდა, რომელიც ამ ცოტა ხანში ასე უღმერთოთ დასჯაბნა და მასხარათაც აიგდო. ესეც რომ არა ყოფილიყო, იმ მეგობრებისა და სოფლელი ბიჭებისაც რცხვენოდა, რომელნიც სამიკიტნოს ამბავს თავიდანვე დაესწრნენ და ისე გატაცებით მხარი დაუჭირეს.

გუსტავი სცდილობდა ციტვიცს არ მიჰკარებოდა, მაგრამ იმავე დროს ყოველ იმის მოქმედებას და ნაბიჯს გაზეთების წყალობით გაფაციცებით თვალ-ყურს ადევნებდა.

ციტვიცმა კი გული არ გაიტეხა: მახლობელ სოფლებში ის მაინც ჰკრებავდა ხალხსა და თავის სამშობლოსაკენ ისტუმრებდა. საქსონიიდან ჩამოტანილ ხელშეკრულობებს ათი და ასი კაცი არ აწერდა ხელსა.

ეს მოძრაობა გადამდებ სენსავით მოედო ყველას. ხალხი ცხოვრების გამოცვლას ესწრაფებოდა, რადგან ბედი უცხო ქვეყანაში ეგულებოდა. აგენტი იქაურ ცხოვრებას წარმტაც სურათებათ ჰხატავდა და თუ საქმის წინ წასაგდებად ქებაში ცოტას აჭარბებდა, რაც უნდა იყვეს, იქაური ცხოვრება აქაურს მაინც უნდა სჯობნებოდა. მგზავრობის და ქვეყნების ნახვის სურვილიც ცოტას არ იტაცებდა გლეხებს. უცხო მხარე თავის გამოურკვეველ, სიშორის ბურუსით გარემოცულ სურათებითაც იზიდავდა ახალგაზდობას. გარეთ გაზაფხულის სუნნელება ტრიალებდა და ამ დროს ხომ ადამიანს სული და გული იმედებით ევსება. გაზაფხულზედ გულის იდუმალი ზრახვანი და სურვილნი აუღორძინდებიან ხოლმე ადამიანს და საოცარის ძალით იწყებენ ჩქეფას; ამ დროს რაღაც გაუგებარი, გამოურკვეველი გრძნობა შორს, შორს იტაცებს ახალგაზდას და ცხოვრების, მოძრაობის სურვილს უღვიძებს. ხალხში გულის სიღრმეში დაბუდებულმა მოძრაობისა და ცხოვრების გამოცვლის წადილმაც გამოიღვიძა.

გალბენაუს გლეხობა ფრინვლებსავით იყრიდა თავსა. საქსონიიდან მოსული ამბავი ერთისგან მეორესთან გადადიოდა დუქნებში, კვირაობით ეკლესიის გალავანში და მინდორზედ მუშაობის დროსაც კი. ერთი სიტყვით, ყველგან, სადაც კი ხალხი შეიკრიბებოდა და ერთ ორ წუთს იპოვნიდა თავისუფალს, ყველა ამაზედ ლაპარაკობდა და ამაზედ კამათობდა. ვინც შეეკრა კიდეც ციტვიცს პირობით, ისინი სცდილობდნენ ამხანაგები ეპოვნათ, და სხვებიც დაეყოლიებინათ. მთიდან დაგორებულ თოვლის ზვავსავით ეს მოძრაობა თან-დათან იზრდებოდა და რა ზომებს მიაღწევდა, ვერავინ იტყოდა.

გალბენაუში ბევრი ბიჭი და გოგო ნანობდა, რომ უარი უთხრეს და ციტვიცს პირობით არ შეეკრნენ. ბევრი იმათ-

განი ჩუმ-ჩუმათ დაძვრებოდა ციტვიცთან და იმის ლაპარაკს გატაცებით უგდებდა ყურსა.

ერთ საღამოს გუსტავიც მიდიოდა იმ გზით, რომელსაც მეზობელ სოფელ ვერმსბახში მიჰყავდა; ციტვიცი ამ ჟამად იმ სოფელში იმყოფებოდა და როგორც გაზეთებში სწერდნენ, დღეს უნდა ელაპარაკნა. სახლში თავის განძრახვა გუსტავმა არავის არ გააგებინა. გალბენაუში ეს ამბავი ერთ სულსაც არ უნდა სცოდნოდა; იმას უნდოდა შორს სადმე დამდგარიყო და თუ შესაძლებელი იქნებოდა, ციტვიცს არც კი დაჰნახვებოდა.

გუსტავი ვერსმბახის სამიკიტნოში რომ შევიდა, სულ სხვა სურათი წარმოუდგა, გალბენაუში ეს ამბავი არ უნახავს. აგენტი მაღლობ ადგილზედ იჯდა და იმის გვერდით ვიღაც ახალგაზდა კაცი რაღასაც სწერდა. დრო გამოშვებით ციტვიცი რამდენიმე სიტყვით მიუბრუნდებოდა ხოლმე შეკრებილ ხალხსა, ან არა და თუ ვინმე მივიდოდა, და კითხვას მისცემდა პასუხებს დიდის ზრდილობით აძლევდა. როგორც ეტყობოდა, ციტვიცს რამდენიმე კაციც სხვა ეხმარებოდა, რადგან ისინი ერთი ჯგუფიდან მეორესთან გადადიოდნენ და მსურველთ ქაღალდებზედ ხელს აწერინებდნენ. ყველაზე მეტს ერთი ირჯებოდა, სახელად ვენცელგუსტი, რომელიც მთელ სოფელში თავის ზანტობითა და სიზარმაცით იყო ცნობილი. ის საქმიანი კაცის სახით გახარებული დარბოდა და ყველას არწმუნებდა, ამისთანა ჩინებული შემთხვევას ნუ დაჰკარგავთ და უსათუოდ პირობაზედ ხელი მოაწერეთო.

დრო გამოშვებით მაღლობ ადგილს ხან ახალგაზდა კაცი ხან ქალი მიუახლოვდებოდნენ და ციტვიცს გამოელაპარაკებოდნენ ხოლმე. თუ ლაპარაკი თანხმობით გათავდებოდა, მწერალი სახელსა და გვარს ჰკითხავდა, ჩასწერდა დაბეჭდილ ქაღალდში და მერე ხელსაც მოაწერინებდა. ხანდასმით აგენტი ჩაწერილთა გვარებს ხმა მაღლა ამოიკითხავდა ხოლმე, რითიც დანარჩენებს ამხნევებდა.

მაგრამ ყოველ კუთხეში ასე მყუდროდ და წესიერად არ თავდებოდა საქმე. შეგროვილ ხალხში, ამ ვითომდა სიმშვიდისა და სიწყნარის ქერქ ქვეშ, ძლიერი გრძნობები და ვნებათა ღელვანი იფარებოდნენ.

იქვე, გუსტავის გვერდით მოხუცი დედაკაცი და ვიღაც ახალგაზდა ქალი იდგნენ. ლაპარაკზე ეტყობოდა, რომ ეს მოხუცი დედაკაცი ლამაზი და კოპწია გოგოს დიდედა უნდა ყოფილიყო. დედაბერი შვილის შვილს გაცხარებული ელაპარაკებოდა და დრო გამოშვებით, თვალებზედ შეჩერებულ ცრემლებს იწმენდდა. გოგო კი ჯიუტად გაჩუმებულიყო და მაღლობ ადგილს შეჩერებოდა.

— ნუ, გუსტია!—ეუბნებოდა აცახცახებულის ხმით მოხუცი და თან ალერსიანად მხარზედ ხელს არტყამდა.—ნუ თუ აგრე უგულოდ მოგვექცევი? მერე ბავშვებს რაღა ეშველებათ? დამიჯერე, გუსტია, ჩვენთან დარჩი! ვინ იცის, იქ რა მოგელის.

ამ სიტყვებით მოხუცმა მიიხედ-მოიხედა, თითქოს დახმარებასა სთხოვს მეზობლებსაო, და მერე განაგრძო:

— ამისთანა გოგოს წაყვანა ცოდოც არის და სირცხვილიც.

მოხუცს, როგორც ყველა ამ ხნის დედაკაცებს, ლაპარაკისთვის ენა ჰქაოდა და თუ კი ყურის მგდებელს იპოვნიდა, ყველას დიდის სიამოვნებითა და დაწვრილებით უამბობდა თავისს დარდს. იმისი ქალი და ამ გოგოს დედა აგერ შვიდი თვეა ლოგინათ არის ჩავარდნილი. სიძეს კი, რომელიც მთაში მუშაობს—კლდეებსა სჩეხავს იქა—წვრილი შვილები ჰყავს ბევრი და აგერ ის გუსტია, რომელსაც მთელი ოჯახის საქმე ზურგზედ აწვა და ურომლოდაც მთელი ოჯახი დაიღუპებოდა, ეხლა თავს ანებებს იმათ.

— თქვენ მაინც ჩააგონეთ რამე!—ეხვეწებოდა მოხუცი მეზობლებს.—ჩემი აღარა ესმის რა. სულ იმას გაიძახის—იქ ფულს მოვაგროვებო. მე ბევრი ვეჩიჩინე: „გუსტია, ცოდოც არის და სირცხვილიც რომ შენისთანა ახალგაზდა გოგო

უცხო მხარეს გადიხვეწოს მეთქი. შენ რომ წახვალ, ჩვენ რაღა დაგვემართება მეთქი“, მაგრამ ველარა გავაგებინე რა.

ამ წუწუნისა და ჩივილის დროს შვილის-შვილი მოხუცს სადღაც გაეპარა. ცოტა ხნის შემდეგ გოგოს წითელი თავმოსახვევი მაღლობ ადგილთან გამოჩნდა, რის შემდეგ ციტვიცმა წასასვლელად გამზადებულთა შორის იმის გვარიც ამოიკითხა.

გუსტავი უცქეროდა და უკვირდა, ციტვიცს ასე კარგად რად წასვლია აქ საქმეო? მაგრამ ვერმსბახი სულ სხვა ჯურის სოფელი იყო და გალბენაუს ცოტათი თუ ჰგავდა. ვერმსბახზედ მეზობელ სოფლებში კაი ხმა არ დადიოდა: უწინდელ დროში აქ ბევრი შეძლებული და დამოუკიდებელი ოჯახი იყო. იყო ისეთი დრო, როდესაც ვერმსბახმა მეზობელი სოფლები სულ მთლად დასჩრდილა, მაგრამ ახალმა თაობამ, მიიღო თუ არა დიდი სამკვიდრო, მუშაობას და შრომას თავი ანება და დროს გატარებას მიჰყო ხელი. ხალხში ბანქოს თამაში და ლოთობა გავრცელდა, რამაც სულ ერთიანად გარყვნა გლეხობა. სიმდიდრისა და შეძლების ნაცვლად ეხლა ვალი და ვახჩი მოემატათ. გაკოტრებულ გლეხობის მამულები საჯაროთ გაიყიდა და პატარ-პატარა ნაწილებად დაიყო. არც ერთ სოფელში გლეხობის გაღატაკებას და მამულ-დედულით ვაჭრობას იმ ზომამდის არ მიუხწევია რა ზომამდისაც ვერმსბახში მიაღწია. სამუილ გარრასსოვიცს დიდიც და პატარაც ჩინებულად იცნობდა აქა.

ერთ მაგიდას რამდენიმე ვაჟკაცი შემოსხდომოდა, რომელნიც ტანთსაცმელით თუ ქცევით გლეხებისაგან ადვილად განსხვავდებოდნენ: ერთი იმათგანი, ულვაშებ აბზეკილი, ჟანდარმი იყო. იმის გვერდით წითელ წვერა ჩასუქებული ვაჟკაცი, გუსტავმა კარგად იცნო, სალანდის პატრონის მოსამსახურეთაგანი ბრძანდებოდა და მონადირის ტანთსაცმელში გამოწყობილნი გრაფის ტყის მცველები იყვნენ.

იმათი მოსვლის მიზეზი გუსტავმა მეზობელ ახალგაზდა გლეხისაგან გაიგო. „თვალ-ყურს ადევნებენო“—ამბობდა ეს

გლეხი.—„ამას წინად ერთი ვაივაგლახი მოხდა, გრაფის გოგოებმა და ბიჭებმა აგენტთან პირობა შეჰკრეს და საქსონიაში გაიქცნენო“.

ამ ამბის მომთხრობს თვალებზე ცხადად ეტყობოდა, რომ ეს ამბავი ცოტას არ ახარებდა.

— ჟანდარმი ნებავთ ეხლა მაშ,—დახმარება უნდა აღმოუჩინოს! გლეხობა კი მებატონეებსაც და დიდი მამულის პატრონ გლეხებსაც როგორც შავ ჭირს, ისე გაურბის. ჩემის აზრით, ახია იმ ყმაწვილებზე, რომელნიც იმოდენა სასყიდელს არ აძლევენ თავის მუშებს, რომ საწყლებმა კუჭები მაინც გაიძღონ.

გუსტავმა ცნობისმოყვარეობით გადახედა თავის მეზობელ—კუზიან ახალგაზდა გლეხს. ეს უსათუოდ ვიღაც „სოციალისტი“ იქნებოდა, რადგან ამ ბოლო დროს აქეთკენაც გაჩნდნენ ამ მიმართულების გლეხები. გუსტავი დაეკითხა რა ხელობისა ხარ და აქ რად მოსულხარო. კუზიანმა მიუგო, მებატონის მამულში მენახირეთა ვარო.

— განა მე კი არ წავიდოდი! მომბეზრდა ეს საძაგელი, ძალლური ცხოვრება, მაგრამ რა ვქნა, რომ ცოლშვილი მყავს. ციტვიცი კი ამბობს, ცოლშვილის თან წამოყვანა არ შეიძლებაო.

ამასობაში მსურველნიც გამოილივნენ. აგენტი წამოდგა და დაეკითხა, კიდევ ხომ არავის უნდა ჩაწერა, თუ ვინმესა სურს, ბარემ ეხლავე მომმართეთ, თორემ საღამოზედ აღარავის მივიღებო. მერე ჩამოვიდა მაღლობ ადგილიდან და ხალხში შეერია. ერთი ჩინებული ადგილი კიდევა მაქვს საუკეთესო მამულთაგანში. მე გირჩევთ დროს ნუ დაჰკარგავთ და ჩაეწერეთო. ამ ლაპარაკით ხან ერთ მაგიდას მიუახლოვდებოდა, ხან მეორეს.

მაგრამ გუსტავს მოჰკრა თუ არა თვალი, ციტვიცი გაკვირვებული გაჩერდა. გაშტერებულ და დაფიქრებულ სახეზედ ეტყობოდა, მორ გუსტავის სახე ეცნო და ეხლა სცდილობდა მოეგონა სად ენახა და ასე ძლიერ რად დახსომებოდა იგი.

ციტვიცმა პირველად უნდოთ გადახედა ახალგაზდა კაცს; მაგრამ იმისმა სახემ მალე სულ სხვა გამომეტყველება მიიღო, მერე განცვიფრებულ გუსტავს მიუახლოვდა და მეგობრულად ხელი გაუწოდა.

— მე ძალიან მოხარული ვარ, რომ თქვენც აქა გხედავთ!—მიჰმართა გლეხს აგენტმა,—ალბათ, სხვა აზრზედ დამდგარხართ ეხლა. აქეთ გამოიარეთ, მე სწორედ თქვენისთანა კაცს დავეძებდი.

გუსტავმა მიუგო,—თუ უადგილო, ლუკმა პურის მაძიებელი კაცი ბგონივართ, ძალიანა სცდებითო.

— მერმე სამუშაოზედ ვინ გელაპარაკებათ? თქვენისთანა ადამიანს განა ჭარხალს ათოხნინებენ? თქვენთვის სულ სხვაგვარი საქმე მაქვს მე მხედველობაში. თქვენ უნტერ-აფიცრათ იყავით ჯარში ყოფნის დროს, არა?

განცვიფრებულმა გუსტავმა იმის ნიშნად, რომ არა სცდებითო, თავი დაუქნია, მაგრამ საიდან გაიგო აგენტმა იმის უნტერ-აფიცრობა, ეს კი არ იცოდა.

— თქვენ დიდის სიამოვნებით მოგყიდდით ერთ ხელშეკრულობას, გესმით? —დაეკითხა აგენტი, უფრო მიუახლოვდა და ხმაც დაიდაბლა, რითიც თითქოს იმას ატყობინებდა, რომ სხვებმა ჩვენი ლაპარაკი არ უნდა გაიგონონო.—ხელშეკრულობის გასყიდვა აი რას ნიშნავს: ერთი მამულის მონდობილებას მე თქვენ გადმოგცემთ და მერე თქვენ თითონ როგორც გინდათ, ისე წაიყვანთ საქმეს, ჩაუკვირდით ამას კარგათ! თქვენ თითონ შეჰკრიბავთ ხალხსა და თქვენც ზედამხედველად გაჰყვებით.

გუსტავმა თავი გაიქნია. იმას სრულიად არ ესმოდა აგენტის სიტყვები.

— ეს ჩინებული საქმეა, ჩემო ძვირფასო! მარტო საშუაკაცოს ჯილებთ თითო სულზედ სამსა თუ ოთხ მარკას. ამას გარდა უმფროსი მუშის ჯამაგირიც თქვენ გერგებათ და შემოდგომაზედ კი, თუ ვინიცობაა თქვენი ნამუშავარით კმაყოფილნი დარჩნენ, საჩუქარსაც მიიღებთ. ჩემის აზრით, ამის

თანა საქმეს, რაც შეიძლება, მალე უნდა მოჰკიდოთ ხელი და ასეთი ჩინებული შემთხვევა არ უნდა დაჰკარგოთ. აბა, რას მეტყვით? ჰო თუ არა? ჩქარა მიპასუხეთ?

ამ სიტყვებზედ აგენტმა საქმის გაჩარხვის ნიშნად ხელიც კი გაუწოდა გუსტავს. მაგრამ ეს უკანასკნელი განცვიფრებული შესცქეროდა და, რადგან მეხსავით მოულოდნელად დაატყდა თავზედ ეს ამბავი, ჯერ კიდევ პასუხის მიცემა ვერ გაებედნა.

— აბა, ეს ქალალდი წაიკითხეთ! იმ მამულში, სადაც მე გითითებთ, ხუთი ვაჟკაცი და თხუთმეტიოდე ქალია საჭირო. აბა კარგათ წაიკითხეთ და მერე როცა დავბრუნდები, მოვილაპარაკებთ. თქვენ ისეთი გონიერი ყმაწვილი ხართ, რომ მე ვიცი, მე და თქვენ ადვილად შევთანხმდებით. გალბენაუში რომ ვიყავ, ეს მაშინვე შევნიშნე მე.

ამ სიტყვებით ციტვიცმა ისე დაჰკრა მხარზე ხელი და ისე გადახედა, თითქოს ეუბნება: „მე და შენ ხომ კარგათა ვცნობთ ერთმანეთსაო!“ და სხვებისკენ წავიდა.

გუსტავმა აგენტის დატოვებული ქალალდი გადაათვალიერა. იქ ეწერა: მეთაური მოვალეა ჩვენ მამულში ამდენი და ამდენი ჯანსაღი ვაჟკაცი და ქალი მოიყვანოს და ესა და ეს სამუშაო გააკეთოსო. მერე პირობებიც იყო ჩამოთვლილი. გუსტავმა დანარჩენს თავი დაანება და აღარ წაიკითხა. განა უკეთესი არ იქნება შორიდან უყურეს ამ საქმეს და თითონ კი არ ჩაერიოს? როგორ უნდა იკისროს ხალხის შეკრება ვიღაც უცნობი კაცის მონდობილებით, მერე ისიც იმისთანა მამულისთვის, რომელიც თვალითაც კი არ უნახავს და, რაც უფრო ძნელია, იმ პირობებით, რომელნიც თითონაც კი არ ესმის?

რაც უნდა ხელსაყრელი იყვეს იქ წასვლა, მაინც ამ საეჭვო საქმეში სჯობიან სრულიად არ ჩაერიოს კაცი! გუსტავს რაღაც წინადგრძნობა ეუბნებოდა, რომ ეს საქმე საეჭვო და უპატიოსნოა და თუ დასთანხმდები, ეს მხოლოდ შენი ქარაფშუტობის მომასწავებელი იქნებაო.

აგენტი რომ ისევ გუსტავს მოუბრუნდა, იმან ქაღალდი დაუბრუნა, ცივათ უთხრა, „საჩემო მე აქ ვერა ვიპოვე-რაო“ და ის იყო წასვლასაც აპირებდა, მაგრამ ციტვიცმა ხელი სტაცა და გააჩერა.

— როგორც გატყობთ, ვერ გაგიგიათ, რაშია აქ საქმე, ჩემო კარგო! აბა, წავიდეთ და იმ მაგიდას მოვუსხდეთ. ლუდის სმის დროს მე დაწვრილებით აგიხსნით, რაშიც არის საქმე და თუ მაშინაც არ დამთანხმდით, მაშინ დაე ორივენი ეშმაკებმა ერთ ტაფაში შეგვწვან.

ციტვიცმა გუსტავი მიყრუებულ კუთხეში გაიყვანა, ჩამოჯდა სკამზედ და მოსამსახურეს ორი ჭიქა ლუდის მოტანა უბრძანა.

— აბა რა გინდათ? რა არ მოგეწონათ ამ ქაღალდში? — ჩვეულებრივის დაბეჯითებულის კილოთი დაეკითხა ციტვიცი და ისე ამოეკრა თავის მობაასეს, რომ მარტო ამითიც მიიზიდავდა იმის ყურადღებას.—რა და რა მუხლი არ მოგწონთ? თქვენს ხელში რომ იყოს, რას გამოსცვლიდით?

გუსტავი სირცხვილით ვერ გამოტყდა, რომ ხელშეკრულება არც კი წაეკითხა და თავის გასამართლებლად ის გამოაცხადა, რომ ცოლის შერთვას ვაპირებო.

— კარგი და მშვენიერი!— შესძახა აგენტმა.—ახალგაზდა ცოლსაც თან წავიყვანთ.—და მერე, თითქოს მიუხვდა რა დამოკიდულებაც უნდა ჰქონოდა გუსტავს საცოლესთანაო, დაუმატა: —შვილებსაც არ დავტოვებთ აქა, თუ გყავთ რამე. ზედამხედველისა და უფროსისთვის ყველაფერი მოხერხდება. რაღა თქმა უნდა, უბრალო მუშისთვის ყველა ამას ვერ მოვახერხებდი. თქვენ ვერც კი წარმოიდგენთ, რა მშვენივრად მოეწყობით და რა კარგათ იცხოვრებთ. თქვენთვისა და თქვენი მუშებისთვის ცალკე სახლი იქნება დამზადებული. ყველაფერს თქვენ ადევნებთ თვალსა და თქვენ საქმეში კი არავინ ჩაერევა. რასაკვირველია, ყველაფერი რიგზედ კი უნდა გქონდეთ მოწყობილი. ჯარის კაცად ნამყოფი ხართ და წესი და რიგი გეყვარებათ, რასაკვირველია. სხვა გოგოები მინდორში

სამუშაოდ რომ წავლენ, თქვენი ცოლი ბუხართან იფუსფუსებს. ჩინებული ცხოვრება გექნებათ, არა? თქვენისთანა გამჭრიახი და მარჯვე კაცისთვის ამაზედ უკეთესს ადგილს სხვას ველარ იშოვნის ადამიანი.

ამ სიტყვებით მეგობრულად მუხლზედ ხელი დაჰკრა გუსტავს. მაგრამ გუსტავი მაინც არ დასთანხმდა და მიუგო: იქნება მე თითონ არა მესმოდეს-რა იმ საქმისა, რომელსაც თვალი უნდა მადევნებინოთო?

— მკა ხომ იცით?

— ვიცი!

— ხელეუის შეკვრა?

— ეგეც!

— ძნებათ დადგმაც, რასაკვირველია?

— მაგას რაღა ლაპარაკი უნდა!

— კარგი! ჭარხლის გათოხნა და მოვლა ხომ ბავშვის საქმეა. გარდა ამისა, იქ მოურავიც იქნება და თუ რჩევა დაგჭირდათ, ის ყოველთვის დაგეხმარებათ. თქვენ მოვალეობას მხოლოდ ის შეადგენს, რომ სხვა მუშებს თვალი ადევნოთ და თავისუფლება ბევრი არ მისცეთ, გესმით? თქვენ იმათი უფროსი იქნებით.

აგენტის სიტყვებმა, როგორც ეტყობოდა, გუსტავზედ გავლენა იქონიეს.

ის, რასაც აგენტი ეუბნებოდა, გუსტავის დიდი ხნის სურვილს შეადგენდა. ეხლა კი აღარა ჰქონდარა გუსტავს სათქმელი და ციტვიცს უარს ველარ ეტყოდა.

— თქვენთვის ეს საქმე ჯერ სრულიად ახალია, ჩემო კარგო!—განაგრძო აგენტმა.—მე საიდუმლოდ გეტყვით: ამნაირად მუშების დაქირავება და საზოგადოდ ამგვარი მეურნეობა სულ ახალ ამბავს შეადგენს ჩვენში. ეს წესი და რიგი ამერიკიდან არის გადმოტანილი და მომავალში კი იქნება ყველგან ამგვარმა მეურნეობამ მოიკიდოს ფეხი. ეს წესი რაციონალურია, ჩემო კარგო.—როგორც ეტყობოდა, აგენტს ამ სიტყვით თავი მოჰქონდა, რადგან ერთხელ და ორჯერ არ

გაიმეორა.—დიაღ ეს ხერხი ერთათ ერთია და ამაზედ უკეთესი ჩვენ ჯერ არა ვიცით-რა. ამ საქმეში ორთავე მხარე სარფას ჰხედავს. სამუშაოს მიმცემი აგენტს ატყობინებს რამდენი მუშა ხელია იმისთვის საჭირო და ისიც სწორედ იმდენს მიჰგვრის. თითონ მუშა? არც ის აგებს ჭკუასა. ნამუშავარში იმას ნაღდ ფულს ჩაუჩხრიალებენ ჯიბეში და იმასაც ხომ ამაზედ შეტი არა უნდა-რა. ორთავე მხარემ კარგათ იცის რაც მოეთხოვებათ ერთმანეთისაგან—ამ კითხვის გადასაწყვეტად ხელშეკრულობა არსებობს. ერთი მხარე ფულს აძლევს და მეორე თავის შრომასა და ენერგიას უთმობს. აქ ყველაფერი, აი, ამ ხუთ თითისავით აშკარაა და ნათელი. აქ ყველაფერი ფულით თავდება, ისევე როგორც ამერიკაში. განა ეს უფრო რაციონალური და კარგი ხერხი არ არის? უწინდელ დროს მუშა კაცი განა ფულს დაინახავდა თვალითა? იმათ ბინასა და საზრდოს აძლევდნენ მარტო და ათასში ერთხელ ხორბალსაც თუ მიურწყავდნენ. ეს წესი ზამაპაპური იყო და, ჩვენში კი დარჩეს, ბატონყმობისაგან არაფრით განსხვავდებოდა! ეხლა კი გავნთავისუფლდით ამისაგან. ეხლა ყველაფერი ამერიკანულად კეთდება. აი ამ წესსა ჰქვიან საუკეთესო და ახალი ხერხი მეურნეობისა—ყველა ეს მე მეგობრულად გაუწყეთ თქვენა.

ახალგაზდა კაცს თავბრუ დაეხვა აგენტის ნალაპარაკევისაგან. ამ კაცის სიახლოვემ და მჭერმეტყველებამ გამოუცდელ ყმაწვილს შიში დაუბადეს გულში.

როცა გული მოიოხა ციტვიცმა და რაც კი ჰქონდა სათქმელი ყველაფერი უთხრა გუსტავს, წამოდგა და გამოუცხადა, რომ სხვაგანაც მოსალაპარაკებელი მაქვსო და ძალიან მალე დავბრუნდებიო.

გუსტავმა ცოტა კიდევ მოუცადა, მაგრამ დაინახა თუ არა, რომ აგენტი დარბაზის მეორე კუთხეში ვილაც ორ ახალგაზდას გაცხარებული რაღაცას ელაპარაკებოდა, შეუმჩნევ-

ლად კარში გავიდა და შინისკენ გასწია. აგენტის ხელშეკრულობა კი მაინც ჯიბეში ჩაიდო.

* * *

ამასობაში გეშკემ იმის მაგიერ რომ ორი სამი დღე ყოფილიყო გუსტავიანთსა, კაი ორი კვირაც დაჰყო. მაწანწალა ხელოსანმა მასპინძლებს მალე შეაყვარა თავი. ასე გასინჯეთ მოხუცი ბიუტნერის გულიც კი მოიგო, რადგან ძალიან მალე შეიქმნა საჭირო კაცად ოჯახში.

— ტყუილად კი არა ვარ მხურვალე სარწმუნოებისა,— იტყოდა ხოლმე გეშკე, რითაც იმის თქმა უნდოდა, რომ მჭედელი ვარო და მუქთად პურის ჭამა არ შემფერისო.

რაც კი სამეურნეო იარაღი მოეძებნებოდა ბიუტნერს, გეშკემ ყველას თავი მოუყარა, გულისყურით დაათვალიერა და ყველა რიგზე მოიყვანა. ასე რომ გაზაფხულისთვის სამეურნეო იარაღი დაამზადა.

ქალების გული გეშკემ მხიარული ხასიათით და ენამახვილობით მოიგო. მხიარულებამ კაი ხანი იყო რაც ბიუტნერის ოჯახს თავი დაანება, მაგრამ ეხლა, გეშკეს ჩამოსვლის შემდეგ კი, ბიუტნერიანთ ჭერ ქვეშ ხან და ხან სიმღერებიც კი ისმოდა ხოლმე, რასაკვირველია, მხოლოდ მაშინ, როცა მოხუცი შინ არ იყო. როგორც გამოაშკარავდა, გეშკე კარგი მომღერალი ყოფილიყო და ერნესტინასაც კარგი, წკრიალა და სასიამოვნო ხმა ჰქონდა. გეშკე და ერნესტინა ხშირად დასხდებოდნენ ერთად და ახალ-ახალ, გეშკეს ჩამოტანილ სიმღერებს მღეროდნენ. მაგრამ ამ სიმღერებს გეშკეს თავგადასავალი და იმისი ენამახვილი ლაპარაკის მოსმენა ერჩივნათ ხოლმე ქალებსა. იქნება თავის თავგადასავალს ბევრ ცრუ ამბებსაც უმატებდა და უცბად შექნილ-შეთხზული ამბებით ალამაზებდა, მაგრამ, სანაცვლოთ, მშვენივრად ლაპარაკობდა და სხვა და სხვა შემთხვევებს თუ ამბებს კოხტად გადასცემდა ხოლმე. ის ისე ხელოვნურად ალამაზებდა თავის გამოგონილ ამბებს და ისე გატაცებით ლაპარაკობდა, რომ ქალებს

ყოველი მისი სიტყვა და აზრი სრულ ჭეშმარიტებად მიაჩნდათ. ერნესტინა თვალებ გაბრწყინებული და პირ დაღებული უსმენდა ხოლმე სხვა და სხვა საკვირველ ამბებს და უცხო ქვეყნების აღწერას. რაღა თქმა უნდა, რომ გეშკეს „ვენეციელი მავრი“ წაკითხული არ ექნებოდა, მაგრამ ბუნებრივი ეშმაკობისა და გამჭრიახობის წყალობით გეშკემ კარგად იცოდა, რომ რასაც მეტს ილაპარაკებდა თავის წარსულ, გაჭირვებულ და უბედურ ცხოვრებაზედ, მით უფრო მალე მოიგებდა ქალების გულსა.

გარდა ამისა გეშკემ როგორღაც უცბათ გამოიცვალა თავისი დაგლეჯილ-დაფლეთილი ტანსაცმელი და როგორღაც უცბად კოტად ჩაცმულ ახალგაზდა კაცად გადიქცა. ამ გარდაქმნას იმანაც ბევრი უშველა, რომ გაბურძგნული წვერი სულ მთლად მოიპარსა. ქალებს ნემსი, ძაფი და მაკრატელი სთხოვა, მაგრამ იმათ მაუდის ნაჭრებიც თურმე მოეპოვებოდათ. კარლ ბიუტნერს თავისი პერანგი უნდა დაეთმო სტუმრისთვის; მეჩექმემ თითქმის სულ მთლად გაუახლა დაგლეჯილი ფეხსაცმელი. შარვალი, ჟილეტი და სერთუკი თითონ თავის ხელით დააკერა და დააკონკა. ყველა ამის შემდეგი ის იყო, რომ ტანზედ თუმცა ცოტა აჭრელებული ტანსაცმელი ეცვა, მაინც, როგორც თითონ ამბობდა, შესაფერისად და პატიოსნად გამოწყობილ ყმაწვილ კაცად გამოიყურებოდა.

მოხუცი ბიუტნერი პირველად რომ გავიდა მინდორზედ ფაცხით, გეშკეც თან გაჰყვა. ზოგ ადგილას მიწა ჯერ არ გამლხვალიყო და ეს, ცოტა არ იყოს, მუშაობას უძნელებდა. შემთხვევით მოხეტებულმა ხელოსანმა აქაც დიდი დახმარება აღმოუჩინა ბიუტნერს.

— მამილო, მოდი მუშათ ამიყვანეთ თქვენს მამულში!— მეგობრულის კილოთი უთხრა გეშკემ.

გლეხმა უარი არ უთხრა.

ამ დროს განმავლობაში გუსტავს ერთხელაც არ გაუჭაჭანია მშობლების სახლში. ის თვალს არიდებდა მამას და სცდი-

ლობდა თვალითაც არ დანახვებოდა. ამ უკანასკნელ დროს ისე ხმას არ ამოიღებდნენ მამა და შვილი, რომ ჩხუბი და კინკლაობა არ მოსვლოდათ. გუსტავი ჰხედავდა, რომ ყველა ამ უსიამოვნების თავიდან აცდენა ძნელი არ იყო. მისთვის — საკმარისი იყო მხოლოდ თავი მოერიდებინა ოჯახისთვის. რა გზასაც დაადგა ოჯახი იმ გზას ხომ სულ ერთია ველარაფრით გადაახვევინებდა და რად უნდა შეეწუხნა თავი, თუ შველითაც ველარას უშველიდა?

იმას თავისი საქმეც თავსაყრელი ჰქონდა. მომავალ კვირა დღეს გუსტავი და პაულინა ჯვრის გადაწერასაც აპირებდნენ. ნეფე დედოფალს ეკლესიის წესის გარდა სხვა არაფრის გადახდა არ უნდოდათ. პაულინას დედა კი ატეხილიყო, მაყრებს მაინც უნდათ გამასპინძლებაო. მებატონესთან ყოფნის დროს კაჩნერის ქვრივს სხვა და სხვა საჭმელების და სანუკვრების კეთება ესწავლა და ამისთანა შემთხვევის დაკარგვა არ უნდოდა, — იმას სურდა თავისი ხერხი და უნარი სავსებით გამოეჩინა და მეზობლები ერთხელ მაინც გაეკვირვებინა. ამიტომ ქორწინების წესის გადახდის შემდეგ სახლში დღესასწაული და დროს გატარება უნდა გამართულიყო.

ვერსმბახიდან დაბრუნების მეორე დღეს გუსტავს ერნესტინა ეწვია და გადაჭრით გამოუცხადა, საქსონიაში სამუშაოებზედ მივდივარო.

გუსტავმა და მასხარად აიგდო და სიგიჟე დასწამა. განა არა, მამაშენიც სულ მაგას არა ფიქრობს! გიჟია იმ დროს გაგიშვას როცა ყოველი მუშა ხელი ოქროს მადნათ უნდა მიაჩნდეს მოხუცსაო?!

პასუხად ახალგაზდა გოგომ გადაჭრით და გაბედულად გამოუცხადა: თუ მე წასვლა მსურს, მშობლებს რა ხელი აქვთ გზა შემიკრანო? აქ ცხოვრება აღარ შემიძლიან! მინდა ერთი ორი გროში მაინც მოვაგროვო ჩემთვის, რომ ჩემ ნებაზედ დახარჯვა შემეძლოსო. კმარა, სულ სხვისთვის იმუშაო, ჯანი იგდებინო და ჯიბეში ერთხელ ერთი გროში არ გაგაჩნდეს. მე პატირა აღარა ვარ და არ მინდა. როგორც გოგოს

ისე მიცქეროდნენო. აქაოდა ყველაზედ უნცროსიაო სახლში ადამიანად აღარავინ მაგდებსო.—სჩიოდა გოგო. ღვთის წინაშე გუსტავიც როგორც ბავშვს ისე უცქეროდა ერნესტინას, მაგრამ დღეს კი ცხადათ დაინახა, რომ მისი და ბავშვი აღარ ყოფილა და თავისი სურვილები და თავისუფალი ცხოვრება ამასაც შეიძლება რომ ჰქონდესო.

მაგრამ მიუხედავად ამისა ძმამ მაინც თავის მოვალეობად ჩასთვალა დისთვის უცხო ქვეყანაში წასვლა დაეშალა. რა იცი, იქ როგორი ცხოვრებაა და ან რა მოგვლისო—ეუბნებოდა გუსტავი, მაგრამ ერნესტინამ ძმაცა და ძმის ქადაგებაც მასხარად აიგდო. შენ მაინც ნუ ლაპარაკობ მაგასაო—როგორღაც ეშმაკურად მიუგო ერნესტინამ და მრავალმნიშვნელოვანად გაუღიმა. შენ არა თუ წასვლას, სხვა მუშების დაქირავებასაც თურმე აპირებ და მე კი მიშლი იქ წასვლასა? ძმამ მკლავში ხელი სტაცა დასა და გააჩერა. იმას უნდოდა გაეგო ამ ჭორის გამვრცელებელი ვინ იყო. თურმე ერნესტინას მეგობარი ქალებიც ყოფილიყვნენ ვერმსბახში და იმათ მოეტანათ ეს ამბავი. გუსტავი ციტვიცს ლანძღავდა და სულ იმას გაიძახოდა. ეგ ჭორია და მე ერთი წუთიც კი არ მიფიქრია იქ წასვლაზეო. ბოლოს ისე გაჯავრდა, რომ დას შეუტია კიდეც და უბრძანა თვალიდან დაჰკარგოდა, თორემ არ ვიცი. თუ რას ვიზამო! საზოგადოდ ამ საქმეზე ლაპარაკიც კი არა ღირსო—დასძინა გაჯავრებულმა ძმამ.

ერნესტინა, როგორც ეტყობოდა, ძმის დაყვირებამ და გაცხარებამ სრულიადაც ვერ შეაშინა. ის ეხლა ვაჟკაცების გაშმაგებას დიდი ხანია შეჩვეული იყო სახლში და ამიტომ ძმის გაცხარებასაც ეგრე რიგად ყურადღება არ მიაქცია, მხოლოდ ეს კი იყო, რომ თავი მიანება და შემთხვევა მისცა რაც ბრაზი ჰქონდა გულზედ მოწოლილი, ბარემ ამოენთხია. როცა გული მოიოხა გუსტავმა და თითქმის დამშვიდდა, დამ გამოუცხადა—მე ცოტა გოგო არ ვიცი გალბენაუში, რომელნიც დიდის სიამოვნებით წამოვიდოდნენ საქსონიაში, მით უმეტეს, თუ შენ იქნები იმათი ხელმძღვანელიო. ძმამ მიუგო—

მე აზრათაც არ მომსვლია, რომ გალბენაუდან სულელები გადავასხა საქსონიაშიო; გუსტავი საიმათოთ ვერ მოიცლის და თუ ამისთანა კაცი საჭიროა არის, დაე სხვაგან მოსძებნონო.

მაგრამ ერნესტინას მოშორება აგრე ადვილი არ იყო. საქსონიაში წასვლის სურვილი მაგრათ ჩასჯდომოდა გოგოს თავში და რაც უნდა მოჰხდენოდა, ამ სურვილს უსათუოდ სისრულეში მოიყვანდა.—ის ქალალდი მე მომეცი და მე ვიცი, რასაც ვიზამ. შენ არც კი დაგჭირდება შრომა, მუშებს მე თითონ გიშოვნი.

წარსულ ღამეს გუსტავმა ცოტა არ იფიქრა ამ საქმეზე. პაულინას მთელი ღამე არა სძინებია, რადგან გუსტავის ბორგვა და ოხვრა მოსვენებას არ აძლევდა. ციტვიცის ნალაპარაკევი ცეცხლსავით უწვავდა და უდაგავდა გულსა. ვინ იცის, იქნება მართლა იქ მომელის ბედნიერებაო?—ჰფიქრობდა გუსტავი. მაგრამ ვაი თუ დიდ მოვალეობას ჰკისრულობს? გაუძღვება კი ამ საქმეს? ყველა ეს კითხვა ისეთი იყო, რომ ყოველ იმათგანზედ პასუხი თითონვე უნდა მიეგო: პაულინას ვერ აუხსნიდა და ვერც ვერას გააგებინებდა.

და აი ეხლა, დაც რომ მოვიდა და ასე გადაჭრით გამოუცხადა საქსონიაში წასვლის სურვილი, გუსტავი მიხვდა, რომ ამაზედ მეტი თურმე აღარა ეჭირებოდა-რა, რომ თავის გაუბედავობისთვის თავი დანებებინა. იქნება ასე სჯობდა კიდეცა და! ამ ფიქრით გუსტავმა ციტვიცის ქალალდი დას გადასცა. დაე, საქმე თითონ გაიჩარხოს!

ერნესტინა მეორე დღესაც ეწვია თავის ძმას. იმას თერთმეტი ქალი დაეყოლებინა კიდეც და თუ რამდენიმე დღესაც დამაცლი, ერთ ექვს ქალს კიდევ დავიყოლიებო—ეუბნებოდა და.

გუსტავმა არც კი იცოდა, გახარებოდა ეს ამბავი, თუ არა. მაგრამ ის კი აშკარა და ცხადი იყო, რომ ეხლა უკან დახევა აღარ შეიძლებოდა და, რაც უნდა მომხდარიყო, დაწყებული საქმე უნდა განეგრძო. ასე უცბათ გაჩნდა გუსტავი უფს-

კრულს იქით და თითონაც ვერ შეამჩნია, უფსკრულს როდის გადააბიჯა და მის მეორე მხარეს როგორ გაჩნდა.

ასე ამ გვარად ქალების იმედი უნდა ჰქონოდა. ეხლა ვაჟების შეკრება-ღა იყო საჭირო. ხელშეკრულობის ძალით უფროსი მუშაც რომ ჩათვლილიყო, სულ ოთხი ან ხუთი ვაჟკაცი იყო საჭირო. გუსტავს ყველაფერი მოფიქრებული ჰქონდა. იმან ყველა გალბენაუელი ბიჭები ჩამოსთვალა გულში, მაგრამ ვერც ერთზე ვერ გაჩერდა — ზოგი თითონ არ გაჰყვებოდა და ზოგის იმედი გუსტავს არა ჰქონდა.

მაგრამ ყველაზედ საკვირველი ის იყო, რომ გავიდა თუ არა გუსტავი კარში, ყველანი შემოეხვივნენ და სულ საქსონიაში წასვლის შესახებ ელაპარაკებოდნენ. ეს ამბავი გადამდებ სენსავით მოსდებოდა სოფელს და არა თუ ერთი მეორეს გადასცემდნენ, ბევრნი ძალიანაც აზვიადებდნენ — ზოგი ამბობდა გუსტავს ოცდა ათი ქალის დაქირავება აქვს მინდობილიო და ზოგი ორმოცდა ათსაც იძახდა.

გუსტავმა ბევრს დაცინვის კილოც შეამჩნია. ჯერ არავის დავიწყებოდა ის დღე, როცა გუსტავმა არა თუ თითონ გაილაშქრა ციტვიცის წინააღმდეგ, მთელი სოფელიც კი აამხედრა. ეხლა კი უცბათ იმის თანაშემწედ გადაიქცა! ესეც უნდა მოეთმინა გუსტავს, მეტი რა ჩარა ჰქონდა. მაგრამ გუსტავს ის უფრო აწუხებდა, ვაი თუ უხასიათო და პირფერ კაცად დამსახონო.

ორმა ახალგაზდამ თითონ გამოაცხადა საქსონიაში წასვლის სურვილი. ერთი იმათგანი ეხლა უადგილოდ დარჩენილი მებატონეს მეჯინიბე იყო და მეორე კი მჭედლის ნაშეგირდალი. მეჯინიბეზედ ცოტას დაჰფიქრდა გუსტავი, ეჭვი ჰქონდა, ვაი თუ არ გამოდგესო, ის ჯერ ჩვიდმეტი წლის ბიჭიც არ იყო და სუსტ აგებულობაზე ეტყობოდა, რომ კარგ მუშად ვერ გამოდგებოდა. მაგრამ საცოდავი ისე ეხვეწებოდა და ისე ჰპირდებოდა თავის გამოჩენას, რომ გუსტავმა უარი ველარ უთხრა. მჭედლის შეგირდი კი ჯანსაღ და ღონიერ ყმაწვილსა ჰგავდა.

გუსტავი განცვიფრებული დარჩა, როცა გეშკემაც გამოუცხადა წასვლის სურვილი. იმ დღის შემდეგ, რაც მამასთან მიიყვანა თავისი ძველი მეგობარი, გუსტავს ერთხელაც აღარ ენახა გეშკე. ამისთანა ქარაფშუტა კაცმა ორი კვირა როგორ გასძლო ერთ სოფელშიო?—უკვირდა გუსტავსა, მაშინ კი, როცა მშობლებმა შრომის მოყვარეობა და მუყაითობაც უქეს, გუსტავი სულ მთლად განცვიფრდა: რა მოსვლია ამ კაცსა, სულ ერთიანად გარდაქმნილაო.

გეშკემ პირველად რომ გუსტავს საქსონიაში წაყვანა სთხოვა, გუსტავმა მხოლოდ გადიხარხარა და დაეკითხა: მასხარათ მიგდებ თუ როგორ არის შენი საქმეო? მაგრამ გეშკე თავისას არ იშლიდა. გუსტავმა ისიც მოაგონა, რომ მინდვრის სამუშაო და საზოგადოთ მეურნეობა შენი ხელობა არ არისო, მაგრამ გეშკემ გამოუცხადა: მე ჩემი სარწმუნოების გამოცვლა მინდაო და შენ დიდის სიამოვნებით გამოგყვები ჭარხლებთან საბრძოლველადაო.

გუსტავს, ღვთის წინაშე, არც უნდოდა უარის თქმა. გეშკე, გარდა იმისა რომ ძველი ამხანაგი იყო, გულახდილი და ხელ მარჯვე ბიჭიც იყო. გამოცდილი და ცხრა ჩალა გამოვლილი ბიჭი გაჭირვების დროს ცოტას არ გამოადგებოდა.

როცა საქსონიაში წამსვლელებთან მოლაპარაკება გააოთავა და ყველას ხელშეკრულებაზედ ხელი მოაწერინა, გუსტავი ციტვიცისკენ წავიდა; ამ დროსთვის ციტვიცმა ახლო-მახლო სოფლები მოიარა, თავისი საქმე გასჩარხა და ეხლა სამაზრო ქალაქში გადასახლებულიყო საცხოვრებელად.

შევიდა თუ არა გუსტავი აგენტის კანტორაში, ციტვიცი წამოხტა და შესძახა.

— აკი გითხარით, მე და თქვენ მოვრიგდებით მეთქი. აბა, მაჩვენეთ ეგ ქალალდი!

ამ სიტყვებით ხელშეკრულება თითქმის ხელიდან გამოჰგლიჯა გუსტავს.

მაგრამ ქვეითა ნაწილს რომ გადაავლო თვალი, სადაც ახლად დაქირავებულ მუშებს ხელი ჰქონდათ მოწერილი, სი-

ამოვნებით თავი დაიქნია და ლაპარაკის კილო უცებ გამოიცვალა. მართალია ერნესტინას წყალობით გოგოები მეტი დაექირავებინა გუსტავს და ხელშეკრულობის ძალით მაგდენი არ იყო საჭირო, მაგრამ ამ გარემოებამ ციტვიცი სრულიადაც არ დააღონა. ციტვიცმა როგორც გამოცდილმა კაცმა მშვენივრათ იცოდა, რომ ზოგი გამგზავრების დღეს ჩამორჩებოდა და ზოგი საქსონიაშიც დაანებებდა სამუშაოს თავსა. ამ მიზეზით ციტვიცს გაეხარდა კიდეც, რომ გუსტავს მეტი მუშა ქალი დაექირავებინა.

— მაშ ეხლა მგზავრობის შესახებ მოვილაპარაკოთ! — სთქვა ციტვიცმა და ხელში მატარებლების მაჩვენებელი წიგნი აიღო. — ორშაბათ დილა ადრიან უნდა წახვიდეთ. მოურავი იწერება, მოუთმენლად ველი მუშებსაო. თუ პირველი მატარებლით წახვალთ, საღამოზედ ველცლებენში ჩახვალთ კიდეც. მე შევატყობინებ თქვენი გამგზავრების ამბავს და მოურავი სადგურზედ ცხენებსა და ურმებს დაგახვედრებთ. ეცადნეთ, გოგოებმა ბევრი ბარგი-ბარხანა არ წამოიღონ. იმათ თუ ნება მიეცით, ისინი, რაც კი აბადიათ, ყველაფერს დიდი სიამოვნებით წამოიღებენ. სკივრი და ლოგინი, მე გირჩევთ ამაზე მეტი არა წაიღოთ რა. საზოგადოთ, გირჩევთ, ქალებს კარგათ ადევნოთ თვალი. ერთხელ მეც ვიყავ უფროსი მუშა და მეც ბევრჯელ წამისხავს დაქირავებული მუშები. სასტიკობა ამ შემთხვევაში უსათუოთ საჭიროა: უჯრეოთ იმათთან ვერას გააწყობთ, მათ შორის სანდო კაცი ერთიც კი არ მოიძებნება; ან რა საკვირველია? თავის სახლ-კარს ხეირიანი ხალხი თავს რად დაანებებს?

ეხლა ციტვიცი სულ სხვა ჰანგებზედ ლაპარაკობდა და სხვა სიტყვებს ხმაროობდა, ისე რომ გუსტავი დღეს ველარც-კი სცნობდა თავის „მეგობარს“. საზოგადოთ, უწინდელი ზრდილობიანი სიტყვა-პასუხი და ქცევა სულ ერთიანათ დაჰკარგა იმის შემდეგ, რაც ხელმოწერილი ქაღალდი ჩაიგდო ხელში. მაგრამ გუსტავს ეხლა იმისთვის აღარა სცხელოდა, რომ ამ ცვლილებაზედ ეფიქრნა, რადგან წასვლის დღე დაუნიშნა

თუ არა, გუსტავს თავბრუ დაეხვა. იმას როგორ წარმოიდგენდა, რომ ასე ცოტა დროს მისცემდნენ მოსამზადებლათ? კვირას ჯვარს იწერდა, ორშაბათ გზას როგორ უნდა შეუდგეს? ეს მეტის მეტია! მაგრამ იქნება ასე სჯობდეს კიდეცა და... ჩქარა გამგზავრებასაც თავისი კარგი მხარე აქვს; თუ ყველაფერს თავი უნდა დაანებოს კაცმა და განშორდეს სამშობლოს, მაშ რაღას უნდა ებღაუჭებოდეს აქაურობას?!

ციტვიცმა რუქაზედ აჩვენა რა გზითაც უნდა წასულიყო. გუსტავი დაეკითხა: რამდენ ადგილას დაგვჭირდება მატარებლის გამოცვლა და სახელდობრ სადაო, რადგან ამ სადგურების სახელები უნდოდა ჩაწერილი ჰქონოდა.

— ეხლა გზის ხარჯიც ვიანგარიშოთ! იქ წასვლაც და დაბრუნებაც მემამულის მოვალეობას შეადგენს, —მაშასადამე, მეოთხე კლასით წახვალთ. როგორცა ხედავთ, ეს თქვენი სარფაა.

გუსტავმა გულში კი გაიფიქრა, რასაკვირველია, ეგრე უნდა იყვესო და ციტვიცს კი არა უთხრა რა. ამასობაში ციტვიცმა რკინის გზის ხარჯი გამოუანგარიშა საჭირო ფული გაძლესა და დასამტკიცებელი ბარათი ჩამოართვა.

— ეხლა კი, მგონი, ყველაფერი გავათავეთ! —სთქვა ციტვიცმა.—მაგრამ, დაიცადეთ პატარა! მართლა, მუშებს საშუალაცო არ გამოართვით?

გუსტავს გაუკვირდა და გამოუცხადა, არაფერი არ გამომირთმევიაო: დაქირავებულ მუშებს თავისთვის რა ჰქონდათ, რომ ჩემთვის რა მოეცათო?

ციტვიცმა ამპარტავნულის ღიმილით გადახედა გუსტავს და გამოაცხადა, ამისთანა შემთხვევებში საშუალაცო უსათუოდ უნდა გამოერთვათ მუშებსაო. ქვეყანაზედ მუქთად არაფერი კეთდება და ყველას უნდა თავის შრომის სასყიდელი მიიღოსო. ჩემ ფულს კი ერთ თვეს დაგაცდით და, იმედია, პირველი ჯამაგირიდან გადამხდით. მაშ ხელშეკრულობას მუქთათ ხომ არ დაგითმობდითო?

გუსტავმა ციტვიცს განცვიფრებით გადახედა, რადგან თავის ყურებს არ უჯერებდა. აგენტი კი, პასუხის ნაცვლათ,

გულცივად უყურებდა. გუსტავმა უთხრა: მე არ მესმის რას ამბობთ, რის ფული უნდა მოგცეთ? მე რამდენიც მახსოვს, მაგ საგანზედ ლაპარაკი ჩვენ არა გვქონია.

— ამას რაღა ლაპარაკი უნდოდა, ჩემო ძვირფასო! — შესძახა ციტვიცმა და მოუთმენლობით მხრები შეიშმუშნა. — მაშ მუქთათ რად გავიჭირებ საქმეს, სოფლიდან სოფელს რად ვიხეტიალებ და სულელურ ლაპარაკს რად მოვისმენ მუქთათ?

და ამ სიტყვებით ისე მტრულად გადახედა გუსტავს, რომ ყველასთვის ცხადი უნდა ყოფილიყო, რომ გალბენაუს სამიკიტნოში მომხდარი ამბავი ციტვიცს არამც თუ არ დავიწყებია, არც უპატიებიაო.

— არა, ჩემო კარგო! მე ჩემ გასამჯელოს ვითხოვ. ეს ჩვეულება დიდი ხანია მიღებულია ჩვენში და ამ გასამჯელოს საშუალაცო ჰქვიან. ამ ფულის გადახდა ყველამ უნდა იკისროს, ვინც კი ჩვენთან საქმის დაჭერას მოინდომებს. წინ-და-წინვე უნდა გამოგეკითხათ. ჩვენ სადა გვცალიან, რომ ყველას მზამზარეულად დაღეჭილი ჩაგიდოთ პირში? ან იქნება თქვენ გეგონათ, რომ მუქთათ დაგითმობდით ხელშეკრულობას, ან მეგობრობის სახელით გაჩუქებდით? თუ ასე ჰფიქრობდით, ძალიან შემცდარხართ, ჩემო მეგობარო! უსასყიდლოდ დღეს აღარა კეთდება რა ჩვენში, აკი წეღანაც გითხარით. თითოსულზედ, ქალი იქნება თუ კაცი, სულ ერთია, ხუთი მარკა მერგება თქვენგან. ეს ფასი გადაჭრილია. ამის ნახევარ ივანობა დღისთვის გადიხდით, დანარჩენს კი, სამუშაო რომ გაგითავდებათ, მაშინ მომცემთ. თქვენ კი როგორც გინდათ, ისე გადაახდევინეთ თქვენს მუშებს ფული.

გუსტავი მხოლოდ ეხლა მიხვდა, რომ მოტყუებული ისა რჩებოდა. პირველ წუთს ისე გაბრაზდა გუსტავი, რომ კინაღამ სახეში სტყორცნა ციტვიცს ქაღალდი.

ციტვიცი კი მობრუნდა, თავი დაღუნა და რიღაცის წერა დაიწყო. გუსტავი მხოლოდ იმის განიერ მხარ ბეჭს-ღა ჰხედავდა, თუ პირდაპირ, აშკარათ გამოილაშქრებდა გუსტავის წინააღმდეგ, ის აჩვენებდა სეირსა, მაგრამ ამ გულცივ ზიზღისა და დაცინვის წინააღმდეგ გუსტავი რას გააწყობდა?

ახალგაზდა კაცს ბრაზი აწვებოდა ყელში და ენას უბამდა, მაგრამ ბოლოს მაინც მიუბრუნდა და სთხოვა იმისთვისაც ეთქმევინებინა რამე.

— ღმერთო ჩემო! თქვენ ისევ აქა ხართ?—მობრუნდა უცებ ციტვიცი და გაკვირვებული დაეკითხა.—რა გინდათ? სთქვით, მხოლოდ, თუ ღმერთი გწამთ, მოკლეთ კი, რადგან, როგორცა ჰხედავთ, მე თქვენთვის არა მცალიან.

გუსტავმა ხრინწიანის ხმით, ნიწყვეტ-ნაწყვეტი სიტყვებით დაიწყო ლაპარაკი. იმან არა იცოდარა თუ ეს ხელშეკრულება ფულით უნდა შეეძინა; მას მით უმეტეს არ ესმის ციტვიცის სურვილი, რომ ეს ოხერი ხელშეკრულობა ძალ დატანებით მიაჩეჩეს. თუ აგრეა საქმე, მე აღარა მსურს საქსონიაში წასვლაო—დაბოლოს გამოუცხადა გუსტავმა...

მაგრამ შუაკაცმა სიტყვა აღარ დაათავებინა.

— ჰოო, მაგ შემთხვევაში ცუდათ წაგივათ საქმე, ჩემო კარგო!—გულცივათ უთხრა ციტვიცმა,—ამ ქაღალდს ხომ თქვენც მოაწერეთ ხელი. მე ამას მოვებღაუჭები. ვინც ხელს აწერს ქაღალდს და არ იცის რას სჩადის, ის სულელ და რეგვენ კაცად უნდა ჩაითვალოს, გესმით თუ არა? ამის გარდა თქვენ არათუ თქვენ თითონ მოაწერეთ ხელი, სხვებსაც მოაწერინეთ და ამიტომ იმათაც თქვენთანა აქვთ საქმე ჩვენ კანონმდებლობაში მაგას „ხელშეკრულობის დარღვევას“ უძახიან და, თუ თქვენც მოგეხსენებათ, ამისთვის სასტიკათ სჯიან ჩვენში.

ციტვიცი კვლავ თავის საქმეს შეუდგა და გუსუტავი კი მწარე ფიქრებს მიანდო. ნუ თუ იქამდის მივიყვან საქმეს, რომ ხელშეკრულობის დარღვევისთვის სამართალში მივაცემინებ თავსა?—ჰფიქრობდა გუსტავი, მაგრამ გუსტავს იმდენი სამართლისა არ ეშინოდა, რამდენიც თავის სოფლელებისა რცხვენოდა. რითი გაიმართლებს იმათთან თავსა? რა სირცხვილი უნდა შესჭამოს, რომ ამ საქმეს უცბათ თავი გაანებოს?! გარდა ამისა ულუკმაპუროდ და უადგილოდაც დარჩება. ამაზედ სამწუხარო რაღა იქნება? მაგრამ არჩევნის დრო აღარ

იყო და ნება-უნებურად ციტვიცის პირობებს უნდა დასთანხმებოდა.

— აბა, რას იტყვით, ბიუტნერო?—დაეკითხა ციტვიცი და ერთი წუთით წერას თავი დაანება. —ჯერ არაფერი გადაგიწყვეტიათ? რამდენიც უნდა იფიქროთ, საქმეს აღარა ეშველება-რა.

გუსტავი გაშტერებული იდგა და ხელში ქუდს ატრიალებდა.

— თითო სულზე ხუთი მარკა! ნახევარი ივანობის დღისთვის და მეორე ნახევარი საქმის გათავებისას. ამაზედ იაფად ვერ დაგითმობთ. აბა რას იტყვით? თუ გინდათ, ამ ხელშეკრულობას ასე მზა-მზარეულს სხვას მივყიდი? ესეც შემიძლიან, თუ მოვინდომებ? თუ დავანებო ამაებს თავი და თქვენ თითონ მოხვალთ ჭკუაზედ.

გუსტავს თვალები იატაკისთვის ჩაეცეცებინა და ხმა-ამოუღებლივ ტუჩებს იკვნეტდა, მაგრამ ცოტა ხნის სიჩუმის შემდეგ გადაჭრით ხელი ჩაიქნია და თავ-აუღებლივ უთხრა:

— კარგი, აგრე იყვეს! მხოლოდ ის კი არ დაგავიწყდეთ, რომ უსამართლობას სჩადით!

VI

კვირა დღეც მოვიდა, ის კვირა დღე, როდესაც გუსტავისა და პაულინას ქორწილი იყო დანიშნული.

რამდენიმე დაპატიჟებულმა სტუმარმა გალბენაუს ეკლესიაში მოიყარა თავი, იმათ შორის ნეფის ნათესაობა არა სჩანდა. ბიუტნერიანთ ოჯახს მწარე დღე გაუთენდა. ტონის მუცელი ასტკივდა და დედა ამისთანა დროს ქალს თავს როგორ დაანებებდა? მოხუცი ბიუტნერი დილიდანვე ხმა-ამოუღებლივ ტყეში წავიდა და საქორწილოდ შეკერილი ტანთსაცმელი ხელუხლებელი დასტოვა ოთახში. კარლი, ერნესტინა და ტერეზა კი იყვნენ ეკლესიაში.

ნეფის მხრივ ყველას ყურადღება გეშკემ მიიპყრო. იმას მთლათ შავი ტანთსაცმელი და თეთრი დახამებული პერანგი ეცვა და, ასე გასინჯეთ, ხელში შავი ქუდიც კი ეჭირა, თუმცა ეს ქუდი ცოტა გახუნებულსა ჰგავდა. სად იშოვნა ამ მაწანწალამ ამისთანა ჩინებული ტანთსაცმელი, ეს იმის საიდუმლოს შეადგენდა და იმის მეტმა არავინ იცოდა.

დედოფალი თეთრ კაბაში იყო გამოწყობილი. ეს კაბა პაულინამ ერთი მეგობრის თანა დახმარებით შეიკერა, რომელსაც ქალაქში ყოფნის დროს ჭრა-კერვა მკერვალი ქალისგან თურმე ესწავლა. ქალაქის გააზიზებული მცხოვრები იქნება უსიამოვნოდ დალმეჭილიყო კიდეც ამ კაბის მაცქერალი, მაგრამ აქ, სოფელში, ბევრს მოსწონდა, მიუხედავად იმისა, რომ თეთრ კაბაში ძრიელ მოსჩანდა პაულინას სისრულე. მაინც რა სასიამოვნო იყო ამისთანა ნეფე-დედოფლის ცქერა: ორთავენი როგორც ნამდვილი გლეხის შვილები, ჯანით და ღონით სავსენი იყვნენ.

პაულინას თავზედ გვირგვინი არ ედგა. მოხუცი მოძღვარი სასტიკი იყო და უღირს ქალს არასგზით არ მისცემდა ნებას, რომ გვირგვინით საკურთხეველს მიახლოვებულიყო. უგვირგვინო დედოფლებს ხშირად შეხვდებოდა კაცი გალბენაუში, რადგან იქაური ახალგაზდობა მეტად თავისუფლად იქცეოდა. იმისთანა ქალებს, რომელნიც ქორწინებამდის იყვნენ ცოლქმრობის სიტკბოებას დაწაფებულნი, მოძღვარი მეტად სასტიკად უსაყვედურებდა ხოლმე ქორწინების დროს ეკლესიაში, მაგრამ დღეს კი, რაღაც მიზეზით, ნეფე-დედოფალს არა უთხრა-რა. ეს გარემოება დამსწრეთ სრულიად არ მოსწონდათ, რადგან ნეფე-დედოფლის სახალხოთ შერცხვენა გალბენაუელ ჭორიკანა დედაკაცებს ძალიან მოსწონდათ. მოძღვარი პაულინას კარგად იცნობდა და ძალიანაც უყვარდა, რადგან ყველა გოგოებში საუკეთესოთ ის მიაჩნდა. იმან კარგად იცოდა, რომ პაულინა სხვებსავით ქარაფშუტა არ იყო და დიდი თავმოყვარეობა ჰქონდა, აი, სწორედ ეს იყო მიზეზი, რომ მოძღვარმა პაულინას შერცხვენა არ მოინდომა.

კაჩნერის ქვრივი, რამდენადაც კი შეეძლო, მორთულიყო. დღეს თუ ასე ამაყად და ამპარტავნულად უყურებდა ყველას, ამისი მიზეზიცა ჰქონდა პაულინას დედას, რადგან დამსწრეთა შორის მებატონის სახლის გამგე ქ. ბუმილეც იყო მოწვეული.

ფარჩის კაბაში, წამოწითლებული სახით და ყიყვით, ბუმილე გაბერილ ინდოურს უფრო ჰგავდა, ვიდრე ადამიანს. მისი ზედატანი ყოველ მოძრაობაზედ საშინლად ჭრაჭუნებდა, თითქოს ყოველ წუთს გასკდომას ან დარღვევას აპირებსო. მთასავით გადმოვარდნილ მკერდზედ ოქროს ბალთა ჰქონდა მიმაგრებული. ხელთათმანისა და ვიწრო მაჯების შუა თავისუფლათ დარჩომილი ხორცი გორგოლაჭისავით ამობურცულიყო. ასე მორთულ-მოკაზმული ბუმილე გლეხის დედაკაცებ შორის დედოფალსავით ამაყათ იჯდა და მიხვრა-მოხვრით თუ ამპარტავნული გადახედვით თითქოს სცდილობდა ყველასათვის შეეტყობინებინა, რომ ის მებატონის სახლის გამგეა და თავის აქ ყოფნით მასპინძლებს თუ სტუმრებს დიდათ აბედნიერებს და ამ ქორწინებასაც დღესასწაულებრივ ხასიათსა თუ მნიშვნელობას ის აძლევს.

დედაკაცები როგორც წესი და ადათია, თითქმის ყველანი ტიროდნენ. მაგრამ, ღვთის წინაშე, მოძღვარიც კი სულ სხვანაირათ ლოცულობდა დღესა. პაულინას ცხვირსახოცს, რომელიც დედოფალმა ლოცვანს გადააფარა, ერთი და ორი ცრემლი არ დაეცა. გული გუსტავსაც აუჩუყდა, მაგრამ რაკი გულჩვილობა ახალგაზდა ბიუტნერს ჭირისავითა სძაგდა, ქორწინების ბოლოში უფრო ბრაზით იყო სავსე, ვიდრე ლმობიერებით.

ეკკლესიიდან კაჩნერიანთ პატარა ქოხისკენ ყველანი ქვეითად გაემართნენ. სოფლური ჩვეულებისა და ადათის ძილით ქუჩაში ერთგან და ორგან არ გაჩერდნენ და გაცხარებული სჯა-ბაასი ერთგან და ორგან არ გააბეს. ზოგიერთა ახალგარზდა ბიჭებმა სამიკიტნოში შერბენაც კი მოასწრეს.

ქეიფმა და დროს გატარებამ საღამომდის გასტანა; გულკეთილი მასპინძლები არა თუ მარტო დაპატიჟებულ სტუმ-

რებს, იმათაც კი, ვინც ცნობის მოყვარეობით შემოიხედავდა, იმათაც უხვათ და წრფელის გულით უმასპინძლდებოდნენ.

რადგან პატარა სახლი ყველას ვერ დაიტევდა, ზოგნი ბაღში გამოვიდნენ. პატივსადები სტუმრები კი ოთახში დარჩნენ და რგვალ მაგიდას შემოუსხდნენ.

აქ, ამ მაგიდასთან ქ. ბუმილე შესანიშნავ ახალ-ამბავს უამბობდა დამსწრეთ: გრაფის ასული ვანდა ბერლინში ერთ თავადიშვილს დაენიშნა, ქორწილს ზაფხულზედ გავაჩაღებთო, გამოაცხადა ბუმილემ. სეირს მაშინა ნახავთ, აი! დის ქორწილის ხარჯს თითონ გრაფი კისრულობს. საქმრო ახალგაზდა და ძალიან შეძლებული აფიცერიაო.

უყურებთ ჩვენ ვანდასა!—მგონი, მეათედ გაიძახოდა ბუმილე—ჯერ სულ პაწაწკინტელა იყო, რომ მე გავიძახოდი: აი ნახავთ, თუ ჩვენი ვანდა ვინმე თავადიშვილმა არ ითხოვოს მეთქი. ბავშობაშივე ეტყობოდა, როცა შემოირბენდა ხოლმე სამზარეულოში და შემომძახებდა: „ბუბილე“ ასე მიძახდა მაშინ,—ბუბილე, ხაჭაპური მაჭამე, მაგრამ იცოდე დიდი ნაჭერი კი უნდა მომცეო.“ მე მაშინვე გავიძახოდი,—„აი ნახავთ თუ ვინმე თავადიშვილმა არ ითხოვოს მეთქი“.

კაჩნერის ქვრივი თავის ქანთურით ემოწმებოდა მებატონეს სახლის გამგეს და გულბენაუს დედაკაცები კი ბატონების ცხოვრებიდან ნაამბობ ამბებს პირდაღებული უგდებდნენ ყურსა.

ბინდისას ქ. ბუმილე-შინ წავიდა. იმის წასვლის უმალს დროს გატარებამ თავისი დღესასწაულებრივი ხასიათი დაჰკარგა და სიმხიარულემ უფრო იჩინა თავი.

ეხლა კი მხიარული დღე გეშკეს დაუდგა. ახალგაზდა და მხიარული გეშკე საცა კი გაჩნდებოდა, ყველგან სიცილი, მასხრობა და მხიარულება იჩენდა ხოლმე თავსა. ახალგაზდა გოგო-ბიჭების ჯგუფი შეედგინა და მთელი დღე შინ თუ გარეთ დაძრწოდა. ეხლა ვაშლის ხის ძირში მოეკეცნა, სამხედრო ქუდი ყარაჩოღულათ კეფაზედ მოეგდო, სახეზედ ვეებერთელა წითლათ შეღებილი ქაღალდის ცხვირი მიეკრა და სიმ-

ღერებსა და შაირებს გაიძახოდა. ალბათ, ზოგიერთი შაირები და ამბები ორაზროვანნი უნდა ყოფილიყვნენ, რომ ვაჟების ხარხარი და გოგოების ჩუმი ხითხითი აღარ სწყდებოდა.

მობინდდა თუ არა, პაულინამ სტუმრებს თავი დანება, ფიცხლავ ტანსაცმელი ვამოიცვალა, ბავშს მიხედა და ბიუტნერიანთ სახლისაკენ გასწია. რაკი დედამთილ-მამამთილი თითონ არ ეწვივნენ, პაულინამ გადასწყვიტა, თითონ მისულიყო და რძლის პატივისცემა გამოეცხადებინა.

მალე ბიუტნარიანთ დიდ დარბაზში შევიდა და რადგან სიბნელეში ვერავინ გაარჩია, ეგონა, ალბათ, შინ არავინ არისო და უკან დაბრუნება გადასწყვიტა, მაგრამ ფანჯარასთან ვიღაცის მხრებსა და თავს მოჰკრა თვალი. ცოტა დაშტერების შემდეგ პაულინა მიხვდა, რომ ფანჯარასთან მჯდომი მოხუცი ბიუტნერი უნდა ყოფილიყო.

პაულინა დღეს როგორღაც გულ აჩუყებული, აღელვებული იყო და რასაც კვლავ ვერას გზით ვერ ჩაიდენდა, დღეს თავისუფლათ გაჰბედა. ის გაბედულათ მიუახლოვდა მოხუცს, ჯვრის წერის ამბავი აუწყა და მხურვალედ აკოცა. მაგრამ სწორედ იმ დროს, როცა თავის მამამთილს ეხვეოდა, პაულინა შიშის ზარმა აიტანა.

კოცნის დროს მოხუცის ლოყას პაულინამ სისველე შეამჩნია. როგორცა სჩანდა მოხუცი ჩუმის, გულჩათხრობილის ცრემლით სტიროდა.

პაულინას ეს ამბავი ელდასავით ეცა. მოხუცი მწარე დარდსა და ვარამში—ყველას დავიწყებოდა და მარტოთ მარტო დაეტოვებინათ. ალბად ცოტა ხანი არ მჯდარიყო მოხუცი ასე განმარტოვებული. პაულინა დიდის სიამოვნებით ეტყოდა რამე ტკბილ სიტყვას, რადგან უწინაც ძალიან უყვარდა მოხუცი, მაგრამ არ იცოდა რა ეთქვა და რითი ენუგეშებინა მამამთილი. კაი ხნის სიჩუმის შემდეგ ძლივს ამოიდგა ენა და დაეკითხა სხვები სადღა არიანო. გლეხმა უხეშათ მიუგო,—დედაკაცები ზეითა ოთახში ავიდნენო.

პაულინამ მოხუცს სანათი აუნთო, რომ ბნელაში მაინც არა მჯდარიყო, და ზეით კიბეზე აირბინა—უნდოდა დედამთილსა და მულსაც მისალმებოდა.

მაგრამ მიუახლოვდა თუ არა კარებს, ისეთ კივილს მოკჭრა ყური, რომ სისხლი თავში აუვარდა და მუხლებმა ცახცახი დაუწყეს. სულ განაბულმა პაულინამ ყური წაუგდო: უცბათ ბავშვის კნავილი გაისმა.

ტონის ბავშვი ჰყოლოდა.

* * *

აპრილის თბილი და ნესტიანი დილა იყო, როცა გალბენაუში დაქირავებული მუშები საქსონიისკენ გამგზავრებას აპირებდნენ. ზეცა ღრუბლებით იყო მოცული, მაგრამ დროგამოშვებით ლეგა ღრუბლებში მზის შუქი ზარმაცათ გამოიხედავდა და დედამიწას გაანათებდა ხოლმე.

დიდ, ვეებერთელა ურემზედ ჭერეხებსავით ეყარნენ ქალი თუ კაცი. ქალები სკივრებზედ და ლეიბებზედ ისხდნენ და ვაჟებს ლაჯებში რაღაც გამოკრული ბოხჩები ეჭირათ. წინ, საუკეთესო ადგილზედ პაულინა იჯდა თავის ბავშვით. იმის გვერდით ერნესტინა დაბინავებულიყო.

გუსტავს ხელში საათი ეჭირა და მოუსვენრათ ურემს გარშემო უვლიდა და გაფაციცებით ათვალიერებდა, ხომ ყველაფერი რიგზეა და არა გვრჩება რაო? ყველა წამსვლელს განთიადისასვე მოეყარათ თავი სამი გოგოს გარდა, რომელნიც ვერც სახლში და ვერც სხაგან ველარ იპოვნეს. ალბათ უცხო ქვეყანაში წასვლისა თუ ეშინოდათ და სადმე მიიმალნენ. ერთზედ ამბობდნენ, მეორე ჯგუფს გაჰყვა, რადან ის უფრო ადრე გამგზავრდა საქსონიისაკენაო. როგორცა სჩანდა, ციტვიცმა მართალი სთქა: რამდენიმე ქალი უსათუოთ დაგაკლდებაო. კიდევ კარგი, რომ ოთხი კაცის კარდა გუსტავმა ერთი პოლონელი ბიჭიც დაიქირავა. როგალლა, ასე ეძახდნენ ამ ბიჭსა, თბილ ქურქში გამოხვეულიყო და სახე მოღუშული ხმა ამოუღებლივ იჯდა; თავისი გრძელი თმითადა

ულვაშით პოლონელი გალბენაუს ქერა გოგოებში რაღაც უცხო ქვეყნის ფრინველსა ჰგავდა.

მიუხედავათ იმისა, რომ ჯერ ადრე იყო, მაინც ცოტა სოფლელი არ გამოვიდა მგზავრების გასაცილებლათ. უკანასკნელ წუთამდის სანოვაგეს, თუ ლოგინსა და ტანთ საცმელს ეზიდებოდნენ. მაცქერალთა შორის რამდენიმე ახალგაზდაც იყო, ალბათ, თავიანთ სულიკოების გასაცილებლათ თუ იყვნენ გამოსულნი.

ზოგიერთებს ძალიან ეძნელებოდათ მათთან განშორება, თუმცა სცდილობდნენ თავიანთ სისუსტე როგორმე დაემალათ და არ გამოემჟღავნებინათ. ვინ იცის, რა მოელით იქა? არც თუ დამრჩენნი იყვნენ კარგ გუნებაზედ, ერთსა და ორს არ უძგერდა გული და ერთი და ორი არ იყო შიშში—ვაი თუ უცხო მხარეს ჩემმა საყვარელმა დამივიწყოს და სხვაზედ გამცვალოსო.

უსიტყვოთაც, მარტო ერთის ხელის ჩამორთმევით და ნაზი გადახედვით ცოტა მუდარა და გაფრთხილება არ ჩაგონეს მგზავრებს დანარჩენმა გლეხის ბიჭებმა.

მთელ ამოდენა ჯგუფში კარლ გეშკესთანა მხიარულად ერთი სული არ იყო. იმას დღეს ისევ დაკერებულ-დაკონკილი და ათას ფერათ აჭრელებული ტანთსაცმელი ჩაეცვა. გვერდზედ მოგდებული ქუდით და კისერზედ საყელოს ნაცვლათ წითელ ხელსახოც შემოხვეული გეშკე თავზედ ხელ აღებულ და აბეზარ ყარაჩოღულ ბიჭსა ჰგავდა. ეხლა, ისევ გზას რომ გაუდგა, გეშკე თავს ბედნიერათა სთვლიდა. ესეც რომ არა ყოფილიყო, ასეთი სასიამოვნო ამხანაგები ჰყავდა, რომ სიხარულის მეტი არა რჩებოდარა: იმასთან ერთათ, როგორც თითონ უძახდა ქალებს, თხუთმეტი „გოგუცკა“ მიემგზავრებოდა საქსონიაში,—მაშასადამე ჯერ კიდევ ღირდა სიცოცხლე და სიმხიარულე. ის ხან ღიღინებდა, ხან მასხაროობდა და სხვებსაც აცინებდა. პაულინას ბავშვი რომ აუტირდა, გეშკემ ისე დაილმანჭა სახე, რომ გაასპიტებული ბავშვი ძალიან მალე დაამშვიდა.

მიუხედავათ თავის ხნისა და ფეხების ტკივილისა, გასაცილებლათ დედაბერი ბიუტნერიც გამოსულიყო. ან რა საკვირველი იყო: ამ დილის სისხამზედ იმისი ორი ღვიძლი-შვილი უცხო და უცნობ ქვეყანას მიდიოდნენ—მისი საყვარელი შვილი გუსტავი და უნცროსი ქალი ერნესტინა.

დედაბერს უკანასკნელ დღემდის როგორღაც არა სჯეროდა, რომ ასეთ გაბედულ და თავხედურ გეგმას როდისმე სისრულეში მოიყვანდნენ იმისი შვილები. უამისოდაც ცოტა დარდი და ვარამი არა ჰქონდა და ეხლა ხომ მთლათ გაბედნიერდა; ოჯახის დაყოფა და დაქუთმათება-ღა აკლდა სწორედ! ეს კი მეტის მეტი იყო! მოჰკრა თუ არა მოხუცმა ბარგითა და ხალხით დატვირთულ ურემს თვალი, მუხლთ მოეკეცა და ენა ჩაუვარდა. გამოთხოვებისას უაზრო ბუტბუტის მეტი ვერა მოახერხა-რა, თუმცა სათქმელი კი ცოტა არა ჰქონდა.

— ოჰ, ღმერთო ჩემო!.. გუსტავ, პაულინასა და ერნესტინას გაუფრთხილდი! ღმერთო მოწყალეო! მე ამას ველარ ავიტან!

ტკბილათ და ალერსით გამოთხოვება გუსტავმა ქალებს მიანდო. ის თითონ ისე გართული იყო ახალი მოვალეობის აღსრულებით, რომ ველარაფრისთვის ველარ იცლიდა.

ახალგაზდა ბიუტნერმა გამოაცხადა, მეტს ველარ მოვიცდი, რადგან შეიძლება სადგურზედ დავიგვიანოთო, და მეურმეს წასვლა უბრძანა. მეურმემ შოლტი მოიმარჯვა და ცხენები ადგილიდან დაიძრნენ. მგზავრებმა და გასაცილებლათ გამოსულებმა ერთხელ კიდევ ჩამოართვეს ერთმანეთს ხელი, ქალებმა წაიწრიპინეს და ვაჟებმა ქუდები იშვლიპეს. სოფელი ცხენებმა ჩორთით გაირბინეს. სახლის კარებებთან გლეხები და მათი დედაკაცები იდგნენ და მგზავრებს გზას ულოცავდნენ. ბოლოს სოფლის ბოლოში ბიუტნერიანთ სახლიც გამოჩნდა. გუსტავმა ერთხელ კიდევ გადიხედა თავიანთ მამაპეულ სახლისაკენ. ის ისე მიდიოდა სამშობლოდან, რომ მამის სანა-

ხავათ არც კი შეუვლია სახლში. ტონის ლოგინობა ჩინებული მიზეზი იყო ამისათვის.

სოფლის ბოლოში გუსტავმა მეურმე ააჩქარა. ეხლა სამშობლოდან გაცლა და აქაურობის განშორება ეჩქარებოდა.

ბოლოს ნაცნობ მინდვრებს, ხეებს და წყაროებს ჩაუარეს. მერე ერთი ხელობა გრაფის ტყით იარეს და ცოტა ხნის შემდეგ გალბენაუს მინდორ-ველები აღარსად სჩანდნენ. ერთ საათს შემდეგ ყველანი, სხვა მუშებთან ერთათ, მატარებელში ისხდნენ და საქსონიისკენ მიჰქროდნენ—ეს სხვანიც იქ მიდიოდნენ სამუშაოთ, მხოლოდ უფრო შორეული ქვეყნებიდან იყვნენ წამოსულნი. ეს უცხო ხალხი დაგლეჯილ-დაფლეთილი, მზისგან დამწვარი იყო და რაღაც გაუგებარ ენაზედ ლაპარაკობდა. პაულინა პირველად თავს იჭერდა და სამშობლოს მოშორებას ვითომ არა ნაღვლობდა, მაგრამ ერთი ამ თანამგზავრთაგანი, დაგლეჯილ-დაფლეთილი დედაკაცი რომ მოუჯდა გვერდზე, ბავშვი მაგრად ჩაიკრა გულში და გუსტავს ხელი მოუჭირა.

ქორწინების მეორე დღე მწარე და ნაღვლიანი დღე იყო გუსტავისათვის.

VII

ბიუტნერიანთ მამულის საჯაროთ გასყიდვის დღეც მოვიდა. ამ ბოლოს დროს მამულის საჯაროთ გასყიდვა იშვიათი არ იყო ამ მხარეს. „ჩვენ დროს გლეხები ბუზებსავით სცვივიან ჭერიდანაო“,—იმ ცოტა ხანში სთქვა ერთმა გამოცდილმა და დახედულმა კაცმა. გლეხების გაკოტრებას ყველანი შეეჩვივნენ და ამისთანა მოვლენას ყურადღებასაც აღარავინ აქცევდა.

მაგრამ გავარდა თუ არა ბიუტნერიანთ მამულის გაყიდვის ამბავი, დიდი და პატარა ამაზედ ალაპარაკდა, რადგან, ჯერ ერთი, ბიუტნერიანთ მამული დიდი და კარგად დამუშავებული იყო და მეორე, ეს მამული ჯერ ისევ მთელი და დაუტაცებელი იცო. ამ აყაყანებასა და ლაპარაკს სხვა მიზეზებიც

ბევრი ჰქონდა. ყველამ იცოდა, რომ სალანდის პატრონი ერთი ხელობა თითონ აპირებდა ამ მამულის შეძენას, მაგრამ საქმე-საქმეზედ რომ მიდგა, გრაფმა რაღაც მიზეზით უცბათ უკან დაიხია და ამ აზრს, როგორც ეტყობოდა სამუდამოდ დაანება თავი. ამის შესახებ ათას რასმეს ლაპარაკობდნენ. დღევანდლამდის გაუფუჭდები და თუ არა რომელიმე გლეხს საქმე, გრაფი იმ საათშივე იმის მამულს; ეცემოდა ხოლმე. სწორედ ეს იყო მიზეზი, რომ მამულებისა და საზოგადოთ ადგილის ფასმა ძალიან აიწია აქეთ მხარეს. საკვირველი იყო, ამისთანა ჩინებულ მამულს თვალი რად ვარიდა, მით უმეტეს, რომ იგი პირდაპირ გრაფის მამულს საზღვრავდა. ეს შემთხვევა კიდევ იმითი იყო შესანიშნავი, რომ ბიუტნერს საკუთარმა სიძემ უჩივლა და იმის მიზეზით იყიდებოდა ეს მამაპაპეული მამული. ყველას ეს უკვირდა: ნეტა რა ხეირი უნდა ნახოს კაშელმა ცოლის ძმის გაკოტრებითაო? იქნება თითონა ჰქონდა იმის შეძენის იმედი? მაგრამ სამიკიტნოს პატრონს რაღაში ეკნაჭება ამოდენა მამული?

სასამართლოს დარბაზში დილის ცხრა საათიდან მოყოლებული ხალხი თავს იყრიდა. უმეტესი ნაწილი ცნობის-მოყვარეობით იყო ჩამოსული, რადგან ამგვარ საჯარო ვაჭრობაზედ ყოფნა-დასწრობა ხელობათ ჰქონდათ გადაქცეული.

ვინც კი საქმისთვის იყო მოსული, ისინი სასამართლოს პირდაპირ სასტუმროში ისხდნენ. ამ სასტუმროს სასამართლოში ჩამოსული ხალხი უდგამდა სულსა. აქ, საზოგადოთ, მტერნიც და მეგობრებიც შეხვდებოდნენ ხოლმე ერთმანერთს. უკანასკნელი ბრძოლის წინ ორთავე მხარე აქ შენაყრდებოდა და ღონეს აქ იკრეფდა ხოლმე. აქ, ერთსა და იმავე დარბაზში, ერთისა და იმავე ჭურჭლიდან სვამდენ: მოსამართლე, ბრალმდებელი, ვექილი, მოწმენი და ნაფიცი მსაჯულნი.

სხვებთან ერთად სამუილ გარრასსოვიციც სვამდა ლუდსა. ის ჩვეულებრივ, ფანჯარასთან დამჯდარიყო და სასამართლოს წინ დარჩომილს მოედანს თვალს ადევნებდა.

გვერდით ენდმუნდ შმეისი უჯდა. შმეისს ახალთ ახალი, უკანასკნელად ბერლინში ყოფნის დროს შეკერილი, ტანსაცმელი ეცვა. „Fine champagne, garson!“ როგორღაც ცხვირში წამოიძახა შმეისმა.

ამ დროს ორი კაციც სხვა შემოვიდა დარბაზში—ერთი იმათგანი ისიდორე შენბერგერი იყო და მეორე ახალგაზდა ვექილი ბრუნო როზენტალი. როზენტალს, მიუხედავათ იმისა, რომ ქალაქში ახალი ჩამოსული იყო, თავის გამჭრიახობისა და მოხერხებულობის წყალობით საქმე მუდამ გამოულეველი ჰქონდა. როგორც ეტყობოდათ, ყველა ესენი კარგი ნაცნობები უნდა ყოფილიყვნენ ერთი მეორისა, რადგან სალამის მაგიერ ეშმაკურათ თვალი ჩაუკრეს ერთმანერთს. შენბერგერი როგორღაც ცუდ გუნებაზედ იყო. როზენტალმა ქალალდები გადაშალა და რიღაცის ძებნა დაიწყო. ახლათ შემოსულნი დაბალის ხმით, თითქმის ჩურჩულით ლაპარაკობდნენ, რადგან ამ ოთახში სხვებიც ბევრნი იყვნენ, და უცნობთ თავის საიდუმლოს როგორ ანდობდნენ!?

— დღეს პაკროხია (საჯარო გასყიდვა)!—უთხრა შენბერგერმა.

გარრასსოვიცმა თანხმობის ნიშნათ თავი დაუქნია.

— მასსემატენს (საქმე) ხომ გაარიგებთ?

— კაირუშ! (რასაკვირველია).

— ჯერ-ჯერობით შემცილებელი არავინა გვყავს!—ჩაერია ედმუნდ შმეისი.

— შემცილებელი?—ზიზღით დაეკითხა სამუილი.—შემცილებელი არავინ გვეყოლება!

— განა, გრაფი არ ჩაერევა საქმეში?—დაეკითხა ვექილი

— გრაფს რაც საჭირო იყო ჩავაგონეთ! წამოიჩურჩულა შმეისმა. ამის თავდები მე ვიქნები. დანარჩენები ხომ ლაპარაკის ღირსნიც არ არიან.

სწორედ ამ დროს ქუჩაზედ ცხენის ფეხის ხმა და ეტლის გრიალი გაისმა. სასტუმროს წინ ორ ცხენ შებმული ეტლი გაჩერდა. დარბაზში მსხდომმა მეგობრებმა კისრები

წაიგრძელეს, რომ ახლათ მოსული დაენახათ. ახლად ჩამოსულთა დანახვაზედ სამუილს წყევლა-კრულვა ამოსკდა პირიდგან, რადგან მაღალი წვერიანი ვაჟკაცი გრაფის მოურავი შროფფი იყო და მეორე, პატარა ტანის, ჭაღარა კაციც გრაფის მამულში მსახურებდა.

მაშასადამე „შემცილებელიც“ მობრძანდა!

სამუილმა ლუდს თავი გაანება და მოუთმენლათ ფეხზე წამოდგა. ეხლა კი დიდი სიფრთხილე ჰმართებს. როგორცა სჩანს, ისე ადვილათ ველარ შეიძენს მამულს, როგორც ეგონა! სწუხდა სამუილი, მაგრამ იმედს კი მაინც არ ჰკარგავდა. სამუილს განა როდისმე დაუკარგავს თავი და ტანი, რომ ეხლა დაბნეულიყო?

ამ რამდენიმე წუთის წინ გარრასსოვიცმა გაშელერნსტსაც მოჰკრა თვალი და ეხლა იმას დაეძებდა.

სასამართლოს დერეფანში გარრასსოვიცი და გაშელერნსტი დიდი ხანი ლაპარაკობდნენ და ბოლოს იმითი გაათავეს ეს ლაპარაკი, რომ სამუილმა ხელი გაუწოდა და კაშელმა ხელი დაჰკრა.

— მაშ ხელი დავკრათ, ჰა?—ცოტა ხმა მაღლა წამოიძახა კაშელმა.

საათმა ათი დაჰკრა და ყველანი, ვინც კი იყვნენ სასტუმროში, სასამართლოსკენ გაემართნენ, თუმცა ვინც პირველად არ იყო აქა და სასამართლოს ჩვეულებები კარგად იცოდა, ის ძალიან არ ეჩქარებოდა.

გალბენადამ ბიუტნერიანთ თანამგძნობი და მეგობრებიც ჩამოსულიყვნენ. თითონ მოხუცი არ დაძრულიყო სოფლიდამ, მაგრამ კაროლი კი აქ იყო. ის, ჩვეულებრივ, უაზროთ და გამოთაყვანებულად იყურებოდა ირგვლივ. მოუხეშავი გონების წყალობით კაროლს იქნება არც კი ესმოდა დღევანდელ დღეს რა მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა ან იმათ ოჯახისთვის ან კერძოთ იმისთვის.

მაგრამ აგერ მსაჯული თავის ადგილზედ ავიდა და უკან მდივანიც აჰყვა. ისინი მწვანე მაუდ გადაფარებულ მაგიდას მოუსხდნენ და სხდომა გაიხსნა.

უპირველესად ყოვლისა დაეკითხნენ—ვისა სურს ვაჭრობაში მონაწილეობის მიღებაო და ვინც სურვილი გამოაცხადა, ყველანი ჩასწერეს. გარრასსოვიცმა, რომელიც ამისთანა საქმეებში ლორივით გამოსული და გამოცდილი იყო, გამოაცხადა: ვინც ვაჭრობაში მონაწილეობის სურვილი გამოაცხადა, ყველას ბე მოსთხოვეთ, მაშინ გავიგებთ ვინ არის ნამდვილი ვაჭარი და ვინ არაო. სამუილს იმის მუცლის გლეჯა ჰქონდა, რომ უნდოდა გაეგო, გრაფის მოურავს ფული აქვს თანა თუ არაო. სანამ ამ ხერხს მიჰმართავდა შმეისიც მიგზავნა, რომელიც ვითომ თავისით უნდა მისულიყო და როგორმე გაეგო იმათი ჩამოსვლის მიზეზი, მაგრამ შმეისმაც კი, მიუხედავათ თავის დახელოვნებისა, ვერაფერი გაარიგა, რადგან შროოფფიცა და ის მოხუციც მუნჯებსავით სულ გატრუნულნი იდგნენ და ჩამოსვლის ნამდვილ მიზეზს არავის აგებინებდნენ. როცა ვაჭრობის მსურველთ ბე მოსთხოვეს, სამუილი შროფფს გაფაციცებით ადევნებდა თვალსა. სახელმწიფო ქაღალდები! ოჰო, ალბათ ისიც კარგათ შეიარაღებული ჩამოსულა, და რასაკვირველია, მარტო ცნობისმოყვარეობას არ მოუყვანია სასამართლოში!

როცა ფორმალურ მხარეს მორჩნენ და ყველა მსურველის სახელი, მამის სახელი, გვარი და წოდება ჩასწერეს, მამულის სულ მცირე ფასიც გამოაცხადეს, მოსამართლემ ვაჭრობის მსურველთ სთხოვა ყველას თავისი ფასი გამოეცხადებინა, რისთვისაც ორი საათის ვადა დანიშნა.

სასამართლოს დარბაზი ხელახლათ დაცარიელდა და დარბაზში მხოლოდ ისინი დარჩნენ, ვისაც არც აქ ყოფნით ურიგდებოდათ რამე საქმე და არც თუ სხვაგან წასვლით გაარიგებდნენ რამეს. მოსამართლე თავის ქაღალდებს მიუბრუნდა, მდივანმა ოქმის წერა დაიწყო და კუნჭულში ბურანში წასული მოსამსახურე თავსა ჰქინდრავდა.

მოსამართლე გამოცდილი მოხელე იყო და თავის ხანგრძლივ სამსახურის დროს ერთი და ორი მამული არ გაეყიდნა საჯაროთ! იმის თავმჯდომარეობით ამგვარ საქმეებს

ველარაფერი შეაფერხებდა ხოლმე და ერთხელ დაწყობილი საქმე ზეთ წასმულ გაწმენდილ მანქანასავით სრიალით დაიწყებდა ხოლმე ტრიალსა. მსაჯულის ყოველი სიტყვა და კითხვა მეტად გარკვეული, მარტივი და ადვილათ გასაგები იყო ყველასთვის.

რა იმის საქმე იყო, ყველას ვინა სწვდებოდა პირში და ბოლოს ვინ დარჩებოდა გამარჯვებული? იურისტს უპირველესად ყოვლისა არავის შებრალება არ უნდა ჰქონდეს: ამგვარი გრძნობა მხოლოდ ხელს თუ შეუშლიდა საქმეს, თორემ ხეირს არაფერს შეჰყრიდა. ვიღაც ტრაუგოტტ ბიუტნერის მიწის ნაგლეჯი მხოლოდ იმიტომ იყო მისთვის მნიშვნელოვანი, რომ სხვა და სხვა გარემოების წყალობით კანონის მრსამსახურეთა ხელში იყო გადასული და ეხლა იმათ დახმარებით უნდა გაყიდულიყო საჯაროთ ამ საქმეში იურისტი თითქოს რაღაც კედლებში იყო მოქცეული და მათ შორის მხოლოდ კანონიერი მოძრაობა-ღა თუ შეეძლო. მაგრამ თუ ამ ფარგალს გადასცდებოდა და უფრო ღრმათ ჩააკვირდებოდა საქმეს, მაშინ კი ცხადათ მიხვდებოდა, რომ ეს მამული უფრო დიდი რამ იყო, ვიდრე საჯაროთ გასასყიდათ დანიშნული მიწის ნაგლეჯი. თუ თავს შეიწუხებდა მოსამართლე და „კანონიერ ფარდას“ ცოტას მაინც ასწევდა, აშკარათ დაინახავდა, რომ მეტი ფასის მიმცემს მარტო მამულს კი არ მიჰყიდდა, ის მიჰყიდდა მთელი ოჯახის კეთილდღეობას, ადამიანთა ოფლსა და სისხლს; ის ნათლათ დაინახავდა მაშინ, რომ „კანონიერი საფუძველი“ დღეს სულ სხვა ელფერისა იყო და სხვა მნიშვნელობა მოეპოვნა.

ვადათ დანიშნული ორი საათი რომ მიიწურა, დარბაზი ისევ გაივსო და ვაჭრობაც მალე დაიწყო. პირველად თითქმის გროშობით უმატებდნენ ფასებს, რადგან არავის უნდოდა სხვისთვის შეეტყობინებინა, რომ მამულს დიდ მნიშვნელობას აძლევდა. შენბერგერმა თავის გირაოს ქაღალდის ფასი შეაძლია. მაგრამ გარრასსოვიცმა ცოტა კიდევ წაუმატა.

აქ კი გრაფის მოურავთან ერთათ ჩამოსული მოხუციც ჩაერია ვაჭრობაში და მალე მარტო სამუილი და ის შეებრძოლნენ ერთმანეთს; პირველათ საქმე როგორღაც ზლაზვნით მიდიოდა, მაგრამ მალე გაიჩარხა და გაცხარდა. ვაჭარი გულგრილათ და მშვიდათ უმატებდა ფასს, ხელები ჯიბეებში ჩაეწყო, ფეხის ქუსლებზედ ჰქანაობდა და დამცინავი ღიმილით სცდილობდა მოწინააღმდეგე როგორმე გადაერია და გაეცხარებინა. გრაფის მამულში მოსამსახურე, სუფთათ წვერ მოპარსული, მოხუცი კი ძალიან ჰღელავდა და ფასებს როგორღაც აჩქარებით და თან გაუბედავათ უმატებდა. იმან ერთხელ და ორჯერ არ მიიხედა შროფფისკენ, რომელიც მაყურებლებში ჩარეულიყო და, როგორც ეტყობოდა, ყველაფერს გატაცებით ადევნებდა თვალს.

ამგვარათ მალე იმ ფასამდინაც მივიდნენ, რა ფასშიც კაშელსა ჰქონდა მამული დაგირავებული. მიკიტანი თუმცა აქ იყო, ვაჭრობაში მონაწილეობას არ იღებდა. გარრასსოვიცმა კიდევ წაუმატა ფასი, მაგრამ მოხუცმა მსაჯულს ვაჭრობის ცოტა ხნით შეჩერება სთხოვა, მოურავთან მიირბინა და რაღაცაზედ ლაპარაკი დაუწყო.

— რაც ვალი ადევს მამულს იმდენი, შემიძლიან შევაძლიო, არა? დაეკითხა მოხუცი.

კაპიტანი სახე მოღუშული და ღრმათ ჩაფიქრებული იდგა.

— ასი მარკა კიდევ და მეტი კი აღარ შემიძლიან!— მიუგო კაპიტანმა.

მოხუცი ისევ მიუახლოვდა მსაჯულს და კიდევ წაუმატა ფასი. სამუილმა ღიმილით ცოტა კიდევ წაუმატა.

მაყურებლები გატაცებით ადევნებდნენ ამ ამბავს თვალს და, როგორც ეტყობოდა, უმეტესობა გრაფის მოსამსახურეს თანაუგრძნობდა. მოხუცმა აკანკალებულის ხმით კიდევ ცოტა წაუმატა. ეს ფასი სწორედ ასი მარკით იყო წელანდელზედ მეტი.

— კიდევ ორმოცდა ათი! — შეჰყვირა გარრასსოვიცმა და როგორღაც უცბათ გადახედა თავის მოწინააღმდეგეს.

უცბათ სიჩუმე ჩამოვარდა. მსაჯულმა საათს დახედა.

გარრსსოვიცის ფასს აღარავინ წაუმატა.

— მაშასადამე, ყველაზედ მეტი ფასი გარრასსოვიცმა შეაძლია. გეკითხებით, იმის წინააღმდეგი ხომ არავინა ხართ, რომ სასამართლოს გადაწყვეტილებით ტრაუგოტტ ბიუტნერის მამული ბ. გარრასსოვიცს დარჩეს? ამ ვაჭრობის დამტკიცებას ხვალ დილის თერთმეტ საათზედ გამოვაცხადებთ!

VIII

სწორედ იმ დროს, როცა ბიუტნერს ქალაქში საჯაროთ ესყიდებოდა მამული, თითონ გატაცებული მინდორსა ხნავდა. ირაჟრაჟა თუ არა, ბიუტნერმა ბოსლიდან ხარები გამოიყვანა, გუთანში შეაბა და ტყის ნაპირისკენ გასწია.

დედაბერი ბიუტნერი აგერ კვირა სრულდებოდა, რაც ლოგინიდან არ ამდგირიყო. ტონი თავის ძუძუ მწოვარა ბავშვს უვლიდა. იმ დღის შემდეგ, რაც გალბენაუელი ახალგაზდობა საქსონიისკენ გაემართა, მთელი ოჯახი ტერეზას დააწვა ზურგზედ.

ბიუტნერს დღეს ტყის პირის მიდამოები უნდა მოეხნა. მამულის ეს მივიწყებული და მივარდნილი ნაწილი, რომელიც გერს უფრო წაგავდა, ვიდრე ნამდვილ ღვიძლ შვილსა, ბიუტნერს მაინც თავის შრომის ღირსად მიაჩნდა. ის აზრი, ის ფიქრი, რომ მამულის ერთი ნაწილი უვარგისად და უსარგებლოთ მეკარგებაო, ისრევე აწუხებდა და აღონებდა მოხუცს, როგორც პირშეუკვრელი წყლული აწუხებს ხოლმე ავათმყოფს. მამულის ეს ნაწილი ამ ზაფხულსვე უეჭველად უნდა მოხნას, რომ იქაც რამე დაიბადოს და ამ პატარა ნაგლეჯმაც სარგელობა მოიტანოს. აქ, ამ ნაწილზედ მოხუცი

შვრიის დათესვას აპირებდა, რადგან შვრია აზიზი არ არის და ყველგან თავს გაიტანს ხოლმე. მაგრამ სანამ დათესამდის მიდგებოდა საქმე, ჯერ კარგათ უნდა გადაეხნა მიწა და რამდენჯერმე მოეფარცხნა.

დილის რიჟრაჟს ყველაფერზედ ეტყობოდა, რომ დღეს გაზაფხულის ჩინებული დღე უნდა გათენებულიყო. წინა ღამეს დანამულ მიწას სასიამოვნო ოხშივარი ასდიოდა. თბილი ნესტით გაჟღენთილი მიწა კარგ მოსავალს ჰპირდებოდა მეურნეს. ყველგან, ყოველ ნაბიჯზედ ახალი ცხოვრება და ახალი ძალა იბადებოდა და ათქორებული ბუნება ადამიანის თვალს ახარებდა. მინდვრებს გადაჰკვროდათ კიდეც პირველი, ზურმუხტოვანი და ნაზად მობიბინე ბალახი. ულუნგო დიდ იმედებს იძლეოდა და კარგ მოსავალს ჰპირდებოდა ქვეყანას.

რადგან დიდიხნით მივარდნილი და მივიწყებული თიხიანი მინდვრის გადახვნა ადვილი არ იყო, საქმე ნელ-ნელა მიდიოდა წინა. მაყვალსა და სხვა უვარგის ბალახ-ბულახს, რომელთაც მხოლოდ მივიწყებული და დაუმუშავებელი ადგილები უყვართ, მაგრად გაედგათ ფესვები და გუთანს თავისუფლებას უზღუდავდნენ. სახნისი ხან სიპ ქვას და ხან ბელტს წააწყდებოდა, ახლა ორი ზანტი ხარიც გულს უკლავდა მოხუცსა! წავიდა და განქრა ის ნეტარი დღე, როცა ბიუტნერს მინდორზე სამუშაოდ ჩასუქებული ცხენები გამოჰყავდა ხოლმე.

მაგრამ, მიუხედავად ხარების ზანტის ზლაზვნისა, ბიუტნერი მაინც არ ილანძღებოდა და ხმაჩაკმენდილი, ჯიუტად მუშაობდა. კრიჭა მოჭერილი მოხუცი სივრცეში გაიცქირებოდა და, ვინ იცის, შავი და მძიმე ფიქრები რას უჩურჩულებდნენ ყურში. მარჯვენა ხელში გუთნის საყურე ეჭირა და მარცხენაში შოლტი. თუ ხანდისხან პირს დააღებდა, ისიც მხოლოდ იმისთვის, რომ „ხი, ხი“ ან „ჰაგეჩო“ დაეყვირა. მიჯნას მიუახლოვდებოდა თუ არა, ხარებს გააჩერებდა, გუთანს მოაბრუნებდა და ახალ კვალს დაადგებოდა ხოლმე. ბიუტნერი ახალგაზდა კაცსავით ხნავდა, რადგან მაჯა ძლიერი და თვალის იერი ჩინებული ჰქონდა.

მზე შუაგულ ზეცისკენ იწევდა და მინდვრებზედ ჩამოწოლილი ნისლი სულ ერთიანათ გაიფანტა. ეხლა, ამ მაღლობი ადგილიდან მთელი გალბენაუ, როგორც ხელის გული, ისე მოსჩანდა. ყოველი სახლი და შენობა, ეკლესიით გათავებული აშკარად მოსჩანდა. აქა-იქ ხეხილები გაფურჩქვნილიყვნენ. გლეხების სახნავ-სათესი მიწები და ბოსტნები ტყემდის მიდიოდნენ. მიჯნებითა და არხებით დაყოფილი, სახნავ-სათესი მიწები სხვა და სხვა ფერათ შეღებილ ოთხკუთხედებს წარმოადგენდნენ: ზოგი მიხაკის ფერათ იყო შეღებილი, ზოგი მწვანე და ზოგი ლეგა ფერათ, იმისდა მიხედვით, თუ რა იყო იმაზე დათესილი. მთელი მინდორი ფერად საკერებლებით აჭრელებულ ნაქსოვს წააგავდა. მინდვრებს მწვანე ბუჩქნარი საზღვრავდა, სადაც ადგილ-ადგილ არყისა და თხმელას თეთრი ღეროები მოსჩანდნენ; იმის იქით ფიჭვის უზარმაზარი ტყე მოსჩანდა, რომელიც ეკლის ტანთსაცმელში შემოსილიყო და შავათ გამოიყურებოდა. ყველა ამას კი ზევიდან გაზაფხულის კაშკაშა ზეცა გადაჰფარებოდა, სადაც ადგილ-ადგილ რძესავით თეთრი ღრუბლები მისცურავდნენ.

მოხუცი ბიუტნერი ბუნების სიმშვენიერეს და სიდიადეს არავითარ ყურადღებას არ აქცევდა. ის აგერ მესამოცეთ ჰხედავდა გაზაფხულის საკვირველმოქმედებას. სამოცჯერ შემოსილიყო მისთვის მთელი ბუნება ამგვარ დიად ტანთსაცმელში. მოხუცი ოცნების მიმდევარი და ბუნების სიმშვენიერის თაყვანისმცემელი არ იყო: მის გლეხურ-გამომხმარ გულში ამგვარ გრძნობისთვის ადგილი არ იყო დატოვებული.

გაზაფხული მისთვის ის თბილი და მზიანი ხანა იყო, როცა უსაქმურათ და კუნჭულში უქმად ჯდომის ნაცვლად საყვარელ და ძვირფას მინდვრებს უნდა მიჰხედოს გლეხმა; ზაფხული [illegible]ოვის ის დრო იყო, როცა ადამიანის სხეულის ყოველი ასო საერთო სამუშაოში მონაწილეობას იღებს და ადამიანი თავის ნამუშავრის ნაყოფს ჰხედავს.

მზე წელსაც უწინდებურად ანათებდა, ათბობდა ქვეყანას და ყოველ არსებას სიცოცხლეს აძლევდა. მან მოხუცის

გათოშილი ძვლებიც გაათბო და ძარღვებში სისხლი აუმოძრავა. ბუნების გამოღვიძებამ და აღფრთოვანებამ მის ძველ სხეულშიც გამოაღვიძა რაღაც ძალები და სიცოცხლის, მოძრაობის სურვილი დაჰბადა.

მაგრამ ეხლა კი რაღაც ცვლილებას ამჩნევდა თავისთავს. მის სულსა და გულში რაღაც მომკვდარიყო, ზედ ზამთრის თოვლი და ყინული დასწოლოდა და დღეს, გაზაფხულის გამოღვიძებასთან ერთათ, აღარ ამწვანებულიყო უწინდებურად: ეს რაღაც მისი იმედი იყო.

მოხუცი თუ თავს აღარ იღებდა და ჯიუტად მიწას ჩასჩერებოდა, ამის მიზეზიცა ჰქონდა. თავის მინდვრებისთვის და სახლისთვის რომ გადაეხედნა, მაშინ ხომ თვალები ცრემლებით აევსებოდა! ის ჯიუტობა, ბრაზი და ზიზღი ხალხისადმი, რომელნიც ამ მწარე დღის მოთმინებას აძლევდნენ, წმინდა სანთელივით დასდნებოდა იმ ვარამისა და სევდისაგან, რომელსაც თავის საკუთრების დანახვა აუშლიდა გულში.

მისი საკუთრება!

სწორედ ამ წუთას სწყდებოდა ქალაქში ვის უნდა დარჩენოდა ეს მინდვრები, ტყე და ეს შენობები. იქ, ქალაქში ის გულგრილი იურისტები, რომელთაც ერთხელაც არ უნახავთ მისი, ალერსით და სიყვრულით დამუშავებული მამული, ის იურისტები დღეს კენჭსა ჰყრიან და ბიუტნერის ბედს სამუდამოთ გადასწყვიტავენ. დღეს კიდევ ბატონია აქა, მაგრამ ხვალ კი შეიძლება სხვა კაცი მოვიდეს და რაღაც ქალალდის ძალით მთელი ოჯახი კარში გარეკოს.

აგერ სადამდის მიიყვანა ცხოვრებამ! ეხლა, როდესაც სიბერემდის მიაღწია, როცა რაც გასაკეთებელი ჰქონდა, გააკეთა და დასვენების მეტი აღარა უნდოდა რა, როცა დიდი სიამოვნებით გადასცემდა თავის უფლებებს პირმშო შვილს; როდესაც მუყაითისა და ერთგულის მუშაობის საჩუქრათ არაფერს მოითხოვდა გარდა მყუდრო ცხოვრებისა და პატარა კუთხისა, საიდანაც შეეძლებოდა თავიანთ მამაპაპეულ მამულის გაფართოებისა და დამუშავებისთვის ეფიქრებინა თვალი, ეხლა ყვე-

ლა ამის ნაცვლათ დაუსაბამი დარდი და ვარამი დასწოლია გულზედ და ის, რაც მამაპაპათაგან მიიღო, რასაც ემსახურა და რასაც მთელი თავისი ჯანი და ღონე შეალია, რაც თავის სისხლითა და ოფლითმო რწყა და ცოტა რამ რამ შეჰმატა, ის ხელიდან უნდა გამოეცალოს და სხვის საკუთრებათ გადაიქცეს. ოო, ნეტა სცოდნოდა მაინც იმის მამას რაც მოელოდა ამ მამულს! სცოდნოდა იმას, ვინც ეს ნაგლეჯი თავისუფალ და დამოუკიდებელ მამულად აქცია! რომ სცოდნოდა ლებერეხტ ბიუტნერს, იმის ხელით შექმნილს და დაფუძნებულ მამულს ოცდა ათი წლის შემდეგ რა მოელოდა! იმას, ვინც ცუდ დროს მოჰკიდა მამულს ხელი, ვინც, ომისა და ბატონყმობის გადავარდნის ცუდი შედეგები სავსებით გამოსცადა თავის თავზედ, რომელმაც მთელი თავისი სიცოცხლე ძლიერ მეზობელთან ბრძოლაში გაატარა, რომელიც თავისი შრომისა და მუყაითობის წყალობით თითონაც წამოდგა ფეხზედ და მამულიც წამოაყენა, რომ სცოდნოდა, რა უბედურებას შესძღვნითა იმის ჩამომავლობას ეს მამული!

მაგრამ ბიუტნერს ჯანა რამე დანაშაული მიუძღვის ამაში?

ტრაუგოტტმა, რაღა თქმა უნდა, ბევრჯერ წააგო ჭკუა, თავის ჯიუტობისა და გაუნვითარებლობის წყალობით ცოტა რამ არ გააფუჭა. ბევრ უბედურებას აიცდენდა თავიდამ, გონება რომ ცოტა განვითარებული და ცოცხალი ჰქონოდა, თითონ განათლებული ყოფილიყო, ახალი ცხოვრების ალღო აელო, და მისი ახალი პირობები დროზედ შეეგნო. მაგრამ, მართალი რომ ითქვას, ბიუტნერს ისეთი შეცდომა არა მოსვლია-რა, რაც მთლათ გლეხების წოდებას არ ახასიათებდეს! ტრაუგოტტი მთელი თავისი სიცოცხლე ფხიზელი და პატიოსანი მუშაკი იყო და, თუმცა, როგორც ყველა გლეხს, ხასიათი სასტიკი და უხეში ჰქონდა, ზნეობრივ მაინც სუფთა და უმანკო დარჩა ბოლომდის. რა უნდა ესაყვედურებინა თავის თავისთვის? ლოთი ხომ არ იყო? ან სხვა გლეხებსავით ბანქოში ხომ არ წააგო სახლ-კარი და მამული? განა ცუდი თვალყურის გდებით გაანიავა და გაანადგურა მამა-პაპათაგან და-

ტოვებული სარჩო-საბადებელი? ან მეზობლებთან ქიშპობით და სასამართლოებში ხეტიალით ხომ არ გამოაცალა მამულს ნიათი? სახელმწიფოს, სოფელს და ეკლესიას აძლევდა ყველას, რაც კი საჭირო იყო. ის ორჯერ მზად იყო სამშობლოს გულისთვის თავი დაედო და სისხლი დაენთხია. კვირაობით ყოველთვის ეკლესიაში დაიარებოდა, წირვა-ქადაგებას გულისყურით ისმენდა და წელიწადში ოთხჯერ ეზიარებოდა ხოლმე. მოუსავლიან წლებში ღმერთს არა ჰგმობდა და მოსავლიან წლებში მადლობას სწირავდა. ცოლთან ტკბილად ცხოვრობდა და ლანძღვის იქით არასოდეს არ წასულა, გლეხობაში ეს თვისება ხომ იშვიათია. შვილებს ღვთის შიშსა და სიყვარულში ზრდიდა.

საზოგადოთ ბიუტნერმა, კარგად თუ ავად, ის გააკეთა, რის გაკეთებაც შეძლო და იმ წრისა და წოდების აზრებით იხელმძღვანელა, სადაც დაიბადა და ვის შორისაც აღიზარდა. და ეხლა კი, თითქოს რაღაც ბოროტების სასჯელად, ამოდენი უბედურება დაატყდა თავზედ იმასაც და იმის ოჯახსაც; მერე საიდან მომდინარეობდა ეს უბედურება და რაღა ამათ დაატყდათ თავზე, ამას თითონაც ვერ იტყოდა ბიუტნერი. რისთვის დასაჯეს და რა ბოროტება უნდა შეესყიდა ამოდენა უბედურებით? სად უდევს ამ უბედურებას სათავე? როდის გადასდგა ბიუტნერმა ის შავბედითი ნაბიჯი, რომელსაც ეს უბედურება უეჭველად უნდა მოჰყოლოდა სასყიდლად? მაგრამ იქნება ამ უბედურების მიზეზი უფრო უთვალავი, წვრილი რგოლებისაგან შემდგარი ჯაჭვია, ან წვრილად ნაქსოვი ბადე, რომელსაც თავისვე შეუმჩნევლად თითონვე აკეთებდა მთელი თავისი სიცოცხლის განმავლობაში და რომელშიც ისე გაება, რომ სხნა აღარსაითა აქვს?

ან იქნება მიზეზი უფრო ღრმადა სძევს? იქნება მიზეზი იმ დროისაა, როცა ეს სამოცი წლის მოხუცი ჯერ არც კი იყო ქვეყანაზე გაჩენილი, იქნება მამისა და პაპის დროისაა იგი?

განა თავ-და-პირველადვე ბიუტნერმა იმ პირობებით არ ჩაიგდო ეს მამული ხელში, რომელნიც საქმის კეთილათ განგრძობას შეუძლებელად ხდიდნენ? თავ-და-პირველადვე ხომ არ იყო ეს საქმე გაბზარული და იმან ხომ არ დაანგრია და გაანადგურა ბოლოს ეს ამოდენა შენობა? ან იქნება ამ საქმეს საფუძვლათვე ცუდი ანგარიში ედო, და იმან საბოლოოდ სულ გააფუჭა ანგარიში? თითონ ლებერეხტ ბიუტნერმა იმ დროს, როცა მამულს გატაცებით აფართოვებდა და ავრცელებდა, თითონვე ხომ არ ჩანერგა გაღატაკებისა და გაკოტრების თესლი? ამ გაფართოვებამვე ხომ არ დაჰღუპა მამული? გაფართოვების ნაცვლად იმის სარგებლიანობისთვის რომ მიექცია ყურადღება, უფრო უკეთესი ხომ არ იქნებოდა?

ვინ იცის, შეცდომა იქნება ოჯახის წარსულში სრულიადაც არ უნდა მოძებნილიყო? ნერგის ანუ ხალხის ამ პატარა შტოზე, იქნება ნერგის განვითარებისა და აღორძინების პირობებმაც იმოქმედეს, ან მისი ცხოვრება მთლათ ქვეყნიერობის ჩარხის ბრუნვის ქვეშ ხომ არ იყო მოყოლილი? იქნება ხალხოსნობის ეს პაწაწკინტელა ნაწილიც აღორძინებისა და სიკვდილის იმ კანონებს ექვემდებარებოდა, რომელთაც სხვა და სხვა ერების თუ ხალხის ცხოვრება ექვემდებარება ხოლმე? იქნება საუკუნის დასაწყისს მომხდარმა გლეხების განთავისუფლების ამბავმა ძრიელ დაიგვიანა? განა ეს ძრიელი მოძრაობა და წინმსვლელობის გზაზედ გადადგმული უდიდესი ნაბიჯი ვერ შემუსრავდა გლეხობაში საუკუნოებით გამჯდარ და გამაგრებულ ყმობისა და დამოკიდებულობის სიყვარულს? მაგრამ ეს ნეტარი განთავისუფლება ძალიან ადრე ხომ არ მოხდა და ხალხი მოუმზადებელი არ დახვდა? ამ მოძრაობამ მარტო გარეგნობით ხომ არ გაანთავისუფლა გლეხობა და ის, რაც ყველა თავისუფალი კაცისთვის არის საჭირო—განათლება და გონების განვითარება—ის კი არ მიანიჭა? ან იქნება ურწმუნო ხასიათი, გონების სიჩლუნგე და მხეცური სიბრიყვე და თავხედობა ისე გასჯდომოდა გლეხობას ძვალსა

და რბილში, რომ ადრე თუ გვიან, გლეხი ამ ხასიათით უეჭველად უნდა დაღუპულიყო?

მაგრამ იქმნება უსამართლობისა, შეცდომისა და უბედურების ძაფები ისე მჭიდროდ იყვნენ ერთმანეთში გადაკვანძულნი, რომ ადამიანი დასაბამს ძნელად უპოვნიდა? მაგრამ როგორც მრთელი ერის კეთილდღეობა და გაღონიერება მოქმედებს კერძო პირებსა და ოჯახებზედ, აგრეთვე მისი დაქვეითება და გაღატაკებაც მოქმედებს. ის უხილავი ფესვები, რომელნიც ისტორიის წარსულ ხანასთან გვაერთებდა, იქნება დასაწყისს ძველის-ძველ დროში იღებდნენ? დიდმა ომმა ხომ არ გააღატაკა გერმანელი გლეხის ოჯახი და იმან ხომ არ გააუდაბნოა მისი მამულ-დედული? მაგრამ იქნება ამ ომის წინათვე ექცეოდნენ გერმანელ გლეხს უსამართლოთ? ჯერ ლიუტერის დროსვე მუდმივმა ძალმომრეობამ და შევიწროებამ იქამდის მიიყვანა გლეხობა, რომ ამ ქვეყნის ძლიერ ხალხს ჯაჭვებითა და კეტებით აღუდგა წინა და შეებრძოლა, შეებრძოლა სწორედ ამ ქვეყნის ძლიერ ხალხს და არა სხვას, რადგან გლეხობა მათში ჰხედავდა თავის შემავიწროებელ ფეოდალიზმის განხორციელებას.

ან იქნება იმ უსამართლობისა და ძალმომრეობის მიზეზი, რომელსაც გლეხობა თავად-აზნაურობისაგან, სამღვდელოებისაგან, ვაჭრობისაგან, მოხელეებისაგან თუ ნასწავლი ხალხისაგან, ყველასაგან ერთნაირად ითმენდა, ეს მიზეზი უფრო ღრმად, ერის განვითარების ისტორიაში იყო დამარხული? იქნება ჩვენი ერის ცხოვრებაში ისეთმა მტერმა იჩინა თავი, რომელსაც ვერც ჯაჭვებით და ვერც კეტებით შემუსრავდა კაცი და რომელსაც ჩვენი მამულიდან გლეხის ღონიერი მუშტიც კი ვერ განდევნიდა, რადგან ეს მტერი უხილავი იყო — ეს დაუძინებელი მტერი გერმანიის ხალხისა შავ ჭირსავით უცხო ქვეყნიდან შემოტანილი სწავლა, პრინციპები, ესე იგი რომაელთა უფლება იყო?

განა გერმანელი გლეხი, ოდესღაც იალაღზედ ამოსულ ნერგსავით და ნოყიერ ნიადაგზედ აღმოცენებულ ბალახსა-

ვით თავისუფალი არ იყო, რომელიც მხოლოდ თავის თანასწორს აძლევდა პასუხსა და თავის ქვეყნის კანონებს ემორჩილებოდა? იმის უფროსი მხოლოდ სოფლის საზოგადოება იყო, რომელიც დაუმუშავებელ ადგილს მისცემდა ხოლმე, რომ თავის შრომით და მუყაითობით ესაზრდოვნა და ეცხოვრა?

იმ ძველის-ძველ დროს, როცა ხალხს არამც თუ არ ესმოდა, ჯერ არც კი ჰქონდა გაგონილი სწავლული იურისტების ფორმულები და აზრები, მფლობელობა საკუთრებისაგან არ განსხვავდებოდა; მაშინ რაც არსებობდა, კანონიერიც ის იყო. ვინც პირველი გამოჰგლიჯავდა ხელ-უხლებელ და უვალ ტყეს რამეს და თავის გონივრებისა და გამჭრიახობის წყალობით დაამუშავებდა, ამ ადგილის მესაკუთრეც ის შეიქმნებოდა. ვინც მოხნავდა მინდორს და ვინც დასთესავდა რაფეს, მოსავალიც იმისი იყო. შრომა ერთად-ერთი კანონიერი ძალა იყო. შემდეგ თაობას ხელახლად უნდა შეეძინა საკუთარის შრომითა და ოფლით ჯერ მიწა-ნიადაგი და მერე მოსავალიც.

ამისთანა დროს ალპის მთის იქიდან სულ უცხო ხასიათის კულტურამ დაჰბერა ჩვენს ქვეყანას და ეს, ძველებური, თითონ მიწიდან აღმოცენებული დამოკიდულებანი სულ-ერთიანად გადაჰრია და გადაჰკვანძა. მკვდარი კულტურიდან გადმოღებული განყენებული აზრები და ცნებანი გამოცდილ და საკუთარ—ბუნებრივ კანონმდებლობას დაამჯობინეს.

ამ რომაელთა უფლებამ ვნების მეტი არა მოუტანა-რა გერმანელ ხალხსა. ეს უფლება გადამდებ სენსავით ყველას და ყველგან ერთნაირათ მოედო. და სახელმწიფო, ეკლესია, სკოლა თუ სასამართლო ერთნაირათ დაიპყრა და დაიმონავა. მის უვარგის შვილებათ უნდა ჩათვლილიყვნენ ფორმილიზმი და სხოლასტიური სწავლა.

მაგრამ ამ უცხო ქვეყნის ნაწარმოებმა ოფრო მეტად ის დასჩაგრა, ვისაც ყველაზედ ნაკლებათ ესმოდა და ვინც ყვე-

ლაზედ ძნელათ ითვისებდა მას—მან ყველაზედ მეტად გლეხი დასჩაგრა.

სხვა წოდებებმა თითქმის ყველამ ისარგებლეს ამ უცხო ქვეყნის უფლებით. აზნაურმა და ვაჭარმა მალე დაინახეს, რომ ამ უფლებებით სარგებლობა ადვილი იყო, მით უმეტეს, რომ რომაელთა უფლების უმთავრესი პრინციპი—პრაკტიკული ეგოიზმი მალე შეიგნეს.

გერმანელ თავისუფალ გლეხობას კი ამ უცხო ქვეყნის უფლებამ ძირი გამოუთხარა და გამოუფულოვა, რადგან რომაელთა საკუთრება სავსებით განსხვავდებოდა იმისგან, რასაც უმთავრესი მნიშვნელობა ჰქონდა გერმანელ გლეხისათვის. ასე, ამ გვარად, კანონმდებლობა, უფლება იმისგან, რაც ნამდვილად იყო და არსებობდა ხალხში, უსულო ფორმალური მხრით იყო განსაზღვრული. ამ დღიდან მიწა შესაძლებელი იყო არამც თუ იმის საკუთრებათ გამხდარიყო, ვისაც ერთი გროშის შრომაც კი არა ჰქონდა მაზედ დახარჯული, იმასაც კი, ვისაც არც თვალით ენახა ეს ადგილი და არც ფეხი დაედგა მაზედ. დღეს მრავალზე უმრავლესი საფუძველი გამოჩნდა, რომელთა ძალით კაცი როგორც ადვილად შეიძენდა მამულს, აგრეთვე ადვილად დაჰკარგავდა. უპირატესობა ეხლა ცოცხალ ძალას—შრომას კი არ ეძლეოდა, ეს უპირატესობა ეშმაკურად შეთხზულ და უსულო მუხლებათ ჩაწერილ კანონს ეკუთვნოდა. მიწა მარტო წიგნში ჩაწერით თუ გახდებოდა ვისიმე საკუთრებათ და მოსავალი შეეძლო იმას წაეღო, ვისაც არც ეხნა და არც ეთესა. საკუთრების შეზღუდვით და მასზედ მესამე პირების უფლებების გავრცელებით დღევანდელი მესაკუთრე იმ კაცს დაემსგავსა, ვისაც მამულ-დედული სხვის გზაზედა გაქვს გაშენებული. მიწის დაგირავება და მის ვალებში ჩაფლა კანონიერ და ბუნებრივ მოვლენად შეიქმნა, რის წყალობით მიწა, ეს ადამიანთა ყველა დამოკიდებულების საფუძველი, სხვა, სავაჭრო საქონელს დაემსგავსა. ეხლა ვინც მიწას დაიგირავებდა, მე-

საკუთრეს თანამოზიარე ხდებოდა, რადგან მესაკუთრე ვალდებული იყო თავის შრომით შექმნილ-მოყვანილი იმისთვისაც გაეყო; ეს თანამოზიარე სხვის მიწით თუ სხვის შრომით სარგებლობდა.

ამ გვარად გერმანელებისთვის უცხომ და უცნობმა უფლებამ თვისი ეგოსტიური გულცივობით და გონებრივ, უკულო ფორმალიზმით სულ ერთიანად შთანთქვა ნაციონალური დაწესებულებანი და ყველაფერს, რასაც კი თავისებურობა ეტყობოდა და ადგილობრივ ცხოვრების ხასიათი ჰქონდა, ხის სქელ ქერქსავით გადაეკრა და სამუდამოთ გააქრო მწვანე, ათქორებული ნერგი გერმანელი გლეხის თავისუფლებისა.

ბიუტნერს ისტორიისა და თავიანთ წოდების განვითარებისა არა ესმოდა რა. გლეხმა, საზოგადოთ, თითქმის სრულიად არ იცის თავისი წარსული და არც თუ უნდა მისი გაგება; ამასთანავე იმას მისებრ გაჭივრებულის მეგობრობა, მისი გატანა, თანხმობა და ერთად მოქმედებაც არა სწამს და რა საკვირველია, რომ ამ გვარმა გრძნობამ არასოდეს არ გაუღვიძოს გულში. მისთვის მარტო წუთიერი გაჭირვება არსებობს და მხოლოდ ის თუ აგრძნობინებს ხოლმე თავის ძალას. საზოგადოთ ქვეყნიერობაზედ და ქვეყნის მოძრაობაზედ ძალიან ცოტა რამ იცის გლეხმა, თუ არ ჩავსთვლით იმას, რაც სკოლაში გაუგონია, რაც თითონ უნახავს, გამოუცდია და წარსულიდან მხოლოდ ის, რაც მშობლებისაგან გაუგონია.

ტრაუგოტტ ბიუტნერს ბუნდათ ესმოდა, რომ მას რაღაც უსამართლობა აღრჩობდა და სულს უგუბებდა, მაგრამ ვინ ეტყოდა: ვინ იყო ამ უსამართლობის ჩამდენი და როგორ სჩადიოდა მას? ვის უჩივლოს? ეს უბედურება სწორედ იმით აშინებდა გლეხსა, რომ ვერაფრით სხნიდა. უბედურება ბნელ ღამით სწვეოდა და იმიტომ არ იცოდა რა მხრიდან მოვიდა. მაზედ და მის საკუთრებაზედ ვილაც უცნობმა კაცებმა მოიპოვეს უფლება. ორი წლის წინად ტრაუგოტტმა არც კი იცოდა მათი სახელი, ან საიდან ეცო-

დინებოდა, რომ არც კი გაეგონა. მას არაფერი სიბოროტე არ ექმნა მათთვის, არავითარი დანაშაული არ მიუძღვოდა მათდამი, მხოლოდ ეს იყო, რომ შემწეობა მიიღო მათგან. აი აქედან რაღაც, მისთვის გაუგებარ გარემოების წყალობით, ვიღაც უცხო პირებმა ისეთი უფლებები შეიძინეს, რომელთა წყალობით სრულიად უსახსრო და უპატრონო გლეხი ხელში ჩაიგდეს. რაც უნდა ბევრი ემტვრია თავი და ბევრი ეფიქრნა, იმას, რაც მოხდა, ბიუტნერი ვერას გზით ვერ გაიგებდა.

ყოველ მის აზრსა და გრძნობას ერთი სარჩული ჰქონდა და ეთრი საფუძველი ედო—ეს იყო ყრუ დაუძინებელი გესლი, სიბოროტე და მტრობა. იმას ისე უსამართლოდ მოექცნენ, რომ სიტყვითაც კი ვერ გამოსთქვამდა ამას ადამიანი. გლეხს ენა დამუნჯებული ჰქონდა, მაგრამ თუ გახსნიდა პირსა და ხმას ამოიღებდა, ისეთ საჩივარს გაიგონებდა ქვეყანა, რომელსაც ამ ქვეყნად არც ერთი მსაჯული არ მიიღებდა.

იგ. ბოლუმორდვინოვი

(შემდეგი იქნება).

ს ა მ შ ო ბ ლ ო *)

ოთხ მოქმედებიანი დრამა

ოსმალურიდან ნათარგმნი ს. ნჯაღ ბეგისშვილის აბაშიძისა.

მოქმედება მეორე

ს ცენა

(ფარდა აიხდება, გამოჩნდება სილისტრიის ციხე. დარბაზში აქეთ-იქით სხედან თავისუფალნი მეომარნი და მათ შორის ვაჟურად ჩაცმული ზექიე)

სურათი პირველი

თავისუფალნი მეომარნი, ჯარის-კაცნი, აბდულა-ჩაუში, ზექიე.

1 თავისუფ. მეომარი. სსუთ!.. გაჩუმდით!...
2 თავისუფ. მეომარი. რა ამბავია?
1 თავისუფ. მეომარი. მუზიკის ხმა არ გეყურებათ?
2 თავისუფ. მეომარი. მერე რას შფოთავ? აგერ ჯარიც მოდის.
1 თავისუფ. მეომარი. კილო ბრძოლისაა...
ზექიე. ბრძოლისაა და ჩვენც ბრძოლის ჰანგზედ ვიტყვით სიმღერასა.
2 თავისუფ. მეომარი. უყურე ერთი ამის ბავშვობასა-და!

---

*) იხ. „მოამბე“ № IV.

აბდულა-ჩაუში. (ზოლკოვნიკის ახმედ-სიდკი-ბეგის იუნკერი და მო) სამსახურეა) სიბავშვე რაში ეტყობა? ბრძოლად გამწვევის სიმღერის თქმით, განა დასასრული დღე დადგება, ქვეყანა დაიღუპება?

1 ოფიცუფ. მეომარი. ბატონებო, გაჩუმდით!...

რამდენიმე ერთად. ვიმღეროთ! მოდით!

ყველა ერთხმად. მარად ჟამს ჩვენი ზრუნვა-ნაღველი
არის სამშობლოს ბრწყინვალე ბედი
და მისთვის ბურჯად, სასაზღვრო ციხეთ
მკერდია ჩვენი, ვით მცველი ქედი!

ბრძოლისა ველზედ სიკვდილ-წამებით
მოვიხვეჭთ, ძმანო, უკვდავს სახელსა;
სამკაულია, თუ სისხლში მოსვრილს
წამოგვბურავენ შესამოსელსა!

ჩვენსა დროშებზედ კრთის სისხლის ფერი
და მახვილია გამოსახული;
გვითხარით, ნეტა, როგორ იქმნება
სიკვდილის შიშმა შეიპყრას გული?!

ჩვენთა წინაპართ დიდი სახელი
მტრისათვის იყო მეხი და ზარი;
ჩვენც ოგივ ძუძუ მოგვიწოვნია
და ძარღვშიც ოგივ სისხლია მდგარი!

შეჰქმნას გრიალი ზარბაზნის ხმამა,
მოჰფინოს ცეცხლი არე-მარესა
და თან გაეღოს სამოთხის კარი
თავდადებულთა სულს მწუხარესა!

რა ვნახეთ, აბა, ამ წუთი სოფლად,
რომ შევუშინდეთ სიკვდილსა მსრველსა?
კიდევ ბევრია ლომებრ ვაჟკაცი
ჩვენის სამშობლოს მხარეს ყოველსა!

სურათი მეორე

იგინივე, ჯარის-კაცნი და ახმედ-სიდკი-ბეგი რაზმის უფროსი*)

სიდკი-ბეგი. ვისაცა ჰნებავს ციხეში დარჩეს, ცალ მხარეს დადგნენ.

1 თავისუფ. მეომარი. ყველას ერთად ყოფნა და ერთად დარჩენა გვსურს. ამისფვისა ვართ ერთად შეყრილნი. რისთვის უნდა მოვშორდეთ ერთმანერთსა?

სიდკი-ბეგი (არავის არ ჰიაქტევს ყურადღებასა). ბატონებო! მტერმა მდინარე გადაიარა. ქალაქის მცხოვრებნი მეორე მხარეს ერთმანერთს ეჭრებიან. ჩემის აზრით, ამ ორი დღის განმავლობაში სულ მთლად წრეს შემოავლებენ ქალაქს. ღმერთმა ნუ მოგვიშალოს, ხვანთქარი თავის ციხე-დარბაზს თავისს სახასო ჯარითაც დაიცავს. თქვენ შორის ვისაც არ ნებავს ციხეში დარჩეს, ფაშისაგან ბრძანებაა, ახლავე გამოვიდეს.

1 თავისუფ. მეომარი. მტერი მრავალ რიცხვოვანია, ჩვენ-კი რიცხვ ნაკლები და გსურს კიდევ შეგვამცირო?

აბდულა-ჩაუში. ჯარის რიცხვ ნაკლებობით ქვეყანა ხომ არ დაიღუპება? რიცხვ-მრავლობისაგან მრავალი იქნება, მცირე რიცხვისაგან-კი მცირე.

სიდკი-ბეგი. „ქვეყანა ხომ არ დაიღუპება? ქვეყანა ხომ არ დაიღუპება?“ ერთი ამათაც ათქმევინე და!

აბდულა-ჩაუში. მერე მე რომ ვილაპარაკო, ქვეყანა დაიღუპება, განა?

სიდკი-ბეგი (სიტყვას კაუწყვეტინებს). დიდება შენთვის ღმერთო ჩემო!!! ბატონებო! გარდა ამისა, რომ წრეს შემო-

---

*) ახმედ-სიდკი-ბეგი პოლკოვნიკია. უწინ ახმედი ერქვა მას სახელად, მერმე სიდკი-ბეგათ იწოდა თავი.

ავლებენ და ტყვია ყუმბარებს დაუშენენ ქალაქს, შიმშილ-წყურვილიც გველის... ვისაცა ჰნებავს, თავი გადაირჩინოს...

1 თავისუფალ. მეომარი (სიდკი-ბეგს წინ დაუდგება). ბატონო პოლკოვნიკო! ჩვენ ყველა ჩვენის ნებაყოფლობით მოვედით. ამ დღისთვის იყო, რომ ვეჩქარებოდით. თქვენ ცალი ხელით მტერზე გვითითებთ, მეორე ხელით-კი გასაქცევ კარებზე. სუდარის წამობურვა და წამება ადრევე გადაწყვეტილი მაქვს. ამ განზრახვითა ვარ მხოლოდ ბაღდადიდგან *) მოსული.

ალდულა-ჩაუში. ასე, ყველამაც ამ გვარად უნდა გიპასუხოს! ამ აზრს ადგია ყველა... რო სჯავრობ, აბა,რას სჯავრობ! საქმის ვითარება რომ მართლა ჩემის ნათქვამისავით გამოდგეს, ქვეყანა დაიღუპება განა?

სიდკი-ბეგი. (ალვის მიაქცევს უურადღებასა და მცირე დუმილის შემდეგ ისევე თავისუფალს მეომარს მიჰმართავს). ჩემო ძმავ, თქვენ როდი შეგეხებათ ეს ჩემი სიტყვები.

2 თავისუფ. მეომარი. მაშ ვის შეეხება?

3 თავისუფ. მეომარი რომელი ჩვენთაგანი გგონიათ ბრძოლის ველზედ მტრისგან შეშინებულ გლახაკსავით ლაჩარი და მდაბალი?

სიდკი-ბეგი. კარგი და პატიოსანი! სჩანს, თქვენც ჩემსავით სამშობლოსათვის თავის განწირვა და სიკვდილი გწყურიათ. სიცოცხლე თუ მოგესპობაფ, იცოდეთ, სახელი მაინც დაგრჩებათ. სიკვდილის შემდეგ სახელის დატოვება კარგი კაცისათვის უკვდავობაა. გული და გონება გაიმაგრეთ. სიკვდილისა ნუ შეგეშინდებათ. დრო მოვა, მაინც გეწვევათ. აუცილებელ, ხელთუპყარ საგნისაგან გაქცევა კაცს არ ეკადრება. (ზექიეს) ბავშვო! შენ ვინა ხარ!

ზექიე. ბატონო!

---

*) სიდკი-ბეგი ზექიეს მამაა, მაგრამ ეროვანეთს არ იცნობენ.

სიდკი-ბეგი (სხვა შეხედულებით *) შენ ვინ ხარ?

ზექიე. (თამამად) კაცი.

სიდკი-ბეგი. სახელად რა გქვიან?

ზექიე (თავს შეიმაგრებს). კაცი, ბატონო.

სიდკი-ბეგი (თავისთვის). რა შეუდარებელი ოცნებაა! (ზექიეს). ნება გაქვთ ციხიდგან გახვიდეთ.

ზექიე. როგორ, არ მეძლევა ნება, ციხეში დავრჩე.

სიდკი-ბეგი. მერე, შვილო! რაში ხარ გამოსადეგი, რომ დაგტოვო?

ზექიე. სამშობლოსთვის თავგანწირვაში! სხვა რაღა სამსახური გნებავთ?

სიდკი-ბეგი. შენ ხომ ჯერ იარაღის ხმარებას ვერ შეიძლებ!

ზექიე. მე თქვენ ჩემს სულზედ მოგახსენებთ, თქვენ-კი მცირე წლოვანობაზე მელაპარაკებით. მკვლელათ ხომ არა ხართ მობრძანებული? მომკალით მაშ მეც და დარწმუნდებით, რომ თქვენზე უფრო ადვილადა და უფრო ნეტარებით მოვკვდები.

ბბდულა-ჩაუში (სიდკი-ბეგს მიუახლოვდება). ჩვენთან ერთად რომ ეს საბრალო ბავშვიც დარჩეს, ქვეყანა დაიღუპება, განა?

სიდკი-ბეგი. შენ, მგონია, ციხეც რომ გამოგვეცალოს ხელიდგან, მაშინაც ისევ „ქვეყანა ხომ არ დაიღუპება“? „ქვეყანა ხომ არ დაიღუპება“-ს გაიძახოდე.

ბბდულა-ჩაუში. არა, ბატონო! სანამ ცოცხალი ვიქნები, არ გამოგვეცლება და სიკვდილს შემდეგ-კი ნაშთს, აბა, რაღა მეთქმის? როგორ ვიტყვი, „ქვეყანა ხომ არ დაიღუპება“ მეთქი?

ზექიე. რა გნებავთ ჩემგან? სამშობლო ხომ ღვთის სავანეა? მსხვერპლს ნაკლი არ ესაყვედრება. კეთილ ინებეთ და თქვენს შვილებსაც მიეცით ნება სამშობლოსა-

---

*) ბაღდადი არის სპარსეთის საზღვარზე მდებარე ოსმალეთის დიდი ქალაქი, რომელშიც მილიონამდე სული სცხოვრობს.

თვის თავი გასწირონ. მრავალი ახალგაზრდა ჭლექისა და სხვა ავადმყოფობისაგანა კვდება; რა იქმნება, რომ ორიოდე ტყვია-ყუმბარამ იმსხვერპლოს?

ალდულა-ჩაუში. ვითომ-და რა იქმნება? ქვეყანა ხომ არ დაიღუპება?

სიდკი-ბეგი (გულსწფელად და მხურვალედ ზექიეს). ბავშო!.. (თავისთვის) ჯერ წვერით არ შემოსილა და სიკვდილი სწყურია. წვეროსანსაც ისევ სიკვდილი, რაღა ვსთქვა? ღმერთმა ყველანი სამშობლოს დაულოცოს.

სურათი მესამე

იგინივე და ისლამ-ბეგი

ისლამ-ბეგი (მკერდში რამდენიმე ჭრილობა აქვს, შემოვარდება). ბატონო! ბატონო!

ზექიე. ვაი-მე.

ისლამ-ბეგი. მდინარეს გადავიდნენ.

ზექიე. სისხლი უმშვენებს მკერდსა.

ისლამ-ბეგი. ათი-თასამდე იყვნენ. სამასის კაცით წინ დავუდექით. უკანასკნელ სისხლის წვეთამდე სამ საათს ვიბრძოლეთ. სამ საათში. . ეჰ, სამ საათში... ამხანაგები მთლად დამეხოცა. მაგრამ უკანასკნელმა უძლურმაც-კი თან ორი მტერი გაიყოლია. გვამები ჩვენებისა ძირსა ჰფენია. მტერი ჯერ კიდევ მძინარე ლომის დამნახავ არწივივით შორს უტრიალებს. მაგრამ ახლო ვერ მიჰკარებია. ბატონებო! სამასამდე ვიყავით. ათი-ათას შუბიანს წინ გადვუდექით. ბოლოს შუბით ერთმანეთს ვეკვეთეთ. ვაცნობეთ, რას ნიშნავს ოსმალობა. ყველამ თავი გავწირეთ... შვიდნი-ღა დავრჩით... სიცოცხლით, ნეტავ, ჩვენც ალარ გადავრჩენილიყავით. ღმერთმა იცის, თან გავედევნე. მუდამ ვიბრძოდი... თოფის წამალი შემო-

მელია... ხმალი გამიტყდა. ამ დროს მკლავებში ჩამავლეს და ძალად ციხეში შემომათრიეს. რა ვუყო? მე სიკვდილს გამოვეკიდე, მაგრამ ხელიდგან გამისხლტა. ჩემმავე ძმებმა ტყვეთ შემიპყრეს! ეჰ! სამშობლოვ! შენი სიცოცხლე დღეს განსაცდელშია და მე-კი ჯერ ცოცხალი ვარ (ზექეიუ ამ დაბრაკში ისლამ-ბეგს უახლოვდება. ისლამ-ბეგი დაიბნიდება და ზექეის ხელზე დაეშვება. სხვებიც გარს შემოეხვევიან).

სადიკი-ბეგი. აბდულა, აქმო! ახლავე პირდაპირ ჩემს ოთახში აიყვანე, არ დაგავიწყდეს! ჯარის მკურნალს მოაყვანინებ და ჩემს მოსვლამდე ერთ წამს არ მოსცილდები! გესმის?

აბდულა-ჩაუში. კარგი და პატიოსანი, მაგრამ მტერმა რომ ისევ ბრძოლა დაიწყოს, მე აღარ უნდა დავესწრო?

სადიკი-ბეგი. ვითომ-და რა, ველარ დაესწრა, ქვეყანა ხომ არ დაიღუპება?

აბდულა-ჩაუში. დიაღ, აგრე მაშ... „ქვეყანა ხომ არ დაიღუპება“? ქვეყანა არ დაიღუპება, მაგრამ რაც უნდა იყოს... (თავს შეიმაგრებს) ეჰ, მეც ერთი! ციხის განთავისუფლებისათვის თავის განწირვასა და ზრუნვასა, ამისთანა ვაჟკაცისა და მამამაცის შველას რომ შევუდგე, ქვეყანა დაიღუპება, განა? (ისლამ-ბეგს ხელებს მოჭიხვევს და წაუვანას მოინდომებს).

ზექეი. გამეცალე!.. ვერა ჰხედავ გულზე მისვენია?.. ჰხედავ, სულს ებრძვის!.. გინდა წამართვა?! არ იცი მერე? არ გესმის? მიყვარს, მიყვარს!

სადიკი-ბეგი. რა გემართება, შვილო?

ზექეი. (უცბად გამოიცვლება, თავს შეიმაგრებს და ისლამ-ბეგს აბდულა-ჩაუშს დაუთმობს, მერე ნელ-ნელა გაიმართება). ვინ?... მეე?.. არ იცით განა... (თავს შეიმაგრებს და გამოცვლილის კილოთი). თქვენ ვერ გაიგეთ. მონასტერიდგან გახლავართ. დღევანდლამდე ამ კაცის წყალობით ვიკვებებოდი და ვცხოვრობდი... აი ხომ

ჰხედავთ, კვდება... უყურეთ, კვდება... სული რომ ამომართვათ და მაგას ჩააბაროთ, შეგიძლიანთ? მაგრამ რომ ვერ შეიძლებთ?! დამანებეთ მაშ,—ხომ მისს სახლში ვარ დაბადებული, რომ ჩემს უბეში დალიოს სული. საშშობლო რა არის, იცით? გული-გონება რა არის? არ გაგიგიათ?

სიდკი-ბეგი. წადი წადი... წადი, შვილო! შენც თან გაჰყე. (ტრემდებს მოიწმენდს). რამდენი ხანია მას შემდეგ, ცრემლი დავიწყებული მქონდა. (ისშაიდ-ბეგს კაიუკანებენ, ზექიეც თან გაჰყვება. სხვებიც ნელ-ნელა დაიშლებიან).

სურათი მეოთხე

სიდკი-ბეგი და ბოდბოლკოვნიკი როსტომ-ბეგი.

სიდკი-ბეგი. დალუპულა! კაცი როგორ დაიკარგება? მეტადრე ქალი-შვილი... სად არის ის, კარგად ვიცი; დედასთან... ძმასთან... მინდა წარმოვიდგინო მათი საფლავი, მაგრამ ვერ მომიხერხებია; რომ არ მინახავს, რას წარმოვიდგენ?—მაგრამ მიხვედრილი-კი ვარ თითქოს... (წერილს გადათვალიერებს და მწარედ იცინის) „საწყალი კაცი, დაიკარგა“-ო! და უნდა, დამივიწყოს... ზექიეც გამოესალმა წუთი-სოფელსა, არა? როგორც მარტო დავიბადე, ისე მარტო-ლა დავრჩი. მაგრამ ომში ვარ. სიკვდილი თავზე გვადგია, თავს დაგვტრიალებს. დღეს თუ არა, ხვალ მაინც გვეწვევა, ყველასა ვნახავ.

ბოდბოლ. როსტომ-ბეგი (სიდკი-ბეგს მიუახლოვდება). ბატონო პოლკოვნიკო, თუ გვიბოძებთ ნებას, ერთი რამ უნდა გკითხოთ! ერთი სკოლის ამხანაგი მყავდა, სახელად ახმედი. სულ მთლად თქვენა გგავდათ. მიილო თუ არა აფიცრობა, მაშინვე მონასტერს ვაგ-

ზავნეს და დაიკარგა. თექვსმეტ-ჩვიდმეტი წელიწადი იქმნება, იმისი არა გამიგია-რა. ამას წინეთ რომ არ გეთქვათ: მე სამხედრო სასწავლებელიდგან არა ვარო... უეჭველად ახმედ-ბეგი მეგონებოდით, სიდკი-ბეგათ სახელ-გამოცვლილი. ასე უნდა გადამეწყვიტა. ძმა ხომ არა გყავთ? ან შეიძლება გაგვაგებინოთ რამე მისი?

სიდკი-ბეგი. არა, ბატონო! აგრეთი მე ძმა არა მყავს, მაგრამ ვისაც მკითხავ, იმას კარგად ვიცნობ... როგორც ჩემს თავს ისე ვიცნობ. მონასტერში მესამე ხარისხიც მიიღო აფიცრობისა. ერთი ამხანაგი ჰყავდა, ალი-ბეგს ეძახდნენ. ახმედ-ბეგი რომ გიყვარდათ, იმასაც ისე უყვარდა ალი ბეგი. იქნება ალი-ბეგსაც იცნობდეთ?

მოდპ. როსტომ-ბეგი. როგორ არა? საცოდავი ყმაწვილი კაცი, ისიც ძმა და მეგობარი იყო ჩემი; ერთი დედმამის შვილებს არ ექნება ისე ერთი აზრი და მიმართულება, ჩვენ რომ გვქონდა. საბრალო დაუხვრეტიათ!!

სიდკი-ბეგი. იცი, მერე, რისთვის დახვრიტეს?

ბოდპ. როსტომ-ბეგი. არა! მე მაშინ ბაღდადში ვიმყოფებოდი. ერთი სახლიდგან მეორემდის რომ სწორე ამბავი არ მივა, ნახევარზე მეტი ტყვილი გაერევა, მონასტრიდგან ბაღდადამდე მოსულ ამბისას, აბა, რას გავიგებდით?

სიდკი-ბეგი. აბა, ვიტყვი, მაშ, და ყური დამიგდე. ალი-ბეგი მონასტერში იყო დასახლებული. ერთს ღამეს ის უსინდისო ჯარის პოდპოლკოვნიკი ესტუმრა ალი-ბეგსა. მერე ისაც როგორ? ამოსაგდებელმა წყეულმა სამშობლოს დასაცველად გადაკიდული ხმალი იშიშვლა და ძალ-დატანებათ ყმაწვილი კაცის მეუღლის ნამუსის ახდა მოინდომა.

მითხარი, მხედარი, კაცური კაცი ამგვარ ცოფიანს ძაღლს როგორ მოექცეოდა? მოუკიდა მუცელში

დამბაჩის ცეცხლი და საიქიოდ გაამგზავრა ჯოჯოხეთისაკენ. მხედრობით მომჭირნეობისა და ადამიანის ნამუსის შემგნებელმა ყველამ ყმაწვილს თანაუგრძნო.

ბოდბ. რასტომ-ბეგი. ვინ იქმნებოდა, რომ არ თანაუგრძნობდა?

სადკი-ბეგი. ვინ-და, სამხედრო სასამართლო!.. ეს სრულიადაც არ მოიქცა თქვენის აზრისამებრ. მოგეხსენებათ მაშინდელი სამხედრო სასამართლოს წევრები, თუ ვინმე ხარისხით მეტი ადგილის მჭერი იყო აფიცრებში, დილიდგან საღამომდე უმცროსებს ჯორივით იმსახურებდნენ და ყალიანს აკეთებინებდნენ! აი, ამ გვარი ხალხი იყო ყველა!.. ყმაწვილს კაცს პირველსავე სამართალში მხედრობიდგან გამოქცეულ და სამშობლოს მოღალატესავით დახვრეტა გადაუწყვიტეს.

ბოდბ. რასტომ-ბეგი. დიდება შენთვის, ღმერთო!!!

სადკი-ბეგი. წარმოვიდგინოთ, რომ თქვენ ახმედ-ბეგი ბრძანდებით და ალიბეგის დასახვრეტად ბრძანება მოგვივიდათ, როგორ მოიქცეოდით?

ბოდბ. რასტომ-ბეგი. ღმერთმა ნუ ჰქნას! თვითონ დავიხვრიტებოდი და მაგ უსამართლობასა და საძაგლობასკი არ ვიკადრებდი.

სადკი-ბეგი. ისაც პირდაპირ თქვენსავით მოიქცა. სჩანს, ერთი ქვეყნისანი და ერთი სკოლის მომზადებულნი ყოფილხართ... მიიღო თუ არა ბრძანება ახმედ-ბეგმა, პირდაპირ სამხედრო სასამართლოში წავიდა. მეც თან ვეახელი, დაწვრილებით ვიცი მისი ამბავი... და აი რა უთხრა: „სამხედრო სამსახურში მე მხოლოდ იმისთვისა ვარ, რომ პატიოსნებასა და სიმართლეს თავი შევსწიროთ. თუ თქვენი ნებაც იქმნება, მეც ალი-ბეგთან ერთად დამხვრიტეთ. მზადა ვარ. მაგრამ ჯალათობა-კი არ შემიძლიან. თქვენი ნაბრ-

ძანები საქმე და საქციელი-კი არამც თუ ჯალათობაა, მკვლელობაა და გთხოვთ ამ ამ ბრძანების აღსრულება სხვა თქვენს ერთგულს მონებს მიანდოთო“!..

ბოდპ. რისტომ-ბეგი. ო, ჩემო ლომგულო ძმავ! მართლა რომ ადამიანიც ახმედისთანა უნდა!

სიდკი-ბეგი. აქაც თქვენის აზრის თანახმად არ მოიქცა სამხედრო სასამართლო. ალი-ბეგი მკვლელი იყო, ახმედ-ბეგი წინააღმდგომი. ალი-ბეგი დახვრიტეს, ახმედ-ბეგიც „გუდა-ნაბადის“ ამარად აქციეს. ხოლო როგორ იმოქმედებს „გუდა-ნაბადი“ სამხედრო კაცზედ, ეს ხომ თქვენც მოგეხსენებათ? ღმერთმა ნუ მოაკლოს ამ გვარს მსაჯულებს ნურასფერი უბედურება. სჩანს, ადამიანისათვის პატიოსნებისა და ნამუსის დაცვა აღარა ყოფილა საჭირო! სჩანს, სამხედრო სამსახურში მყოფნი ჯალათებათ გადაქცეულან!

საბრალო ახმედი! ისიც მონასტერში იყო დასახლებული. სამის წლისა ვაჟი-შვილი და თოთხმეტის თვისა ქალი-შვილი ჰყავდა. შეურაცხყოფა რომ მიაყენეს, სახლში ველარ გაჰბედა მისვლა, ჩვილი ბავშვების სახეზედ შეხედვისა შეჰრცხვა. ტყვია-ყუმბრისა რომ არ შეეშინდებოდა, ეს კაცი მთლად გაფითრებულიყო სირცხვილისაგან, გეგონებოდათ სანთელივით უნდა დადნეს და გაჰქრესო? ნადირივით უდაბნოებში და ტყე-ღრეში იმალებოდა. დღეში ათასჯერ თავის მოკვლას განიზრახავდა, მაგრამ ჰფიქრობდა, ამ ქვეყნად ჩემის ნებით არა ვარ მოსული და საიქიოს როგორღა წავიდე ჩემ ნებათაო, და ამის გამო განზრახვას ველარ ასრულებდა. რაც რამ საღვთო, კაცობრივი ან ქვეყნიური ჰქონდა განაგონი ან წანაკითხი, ყოველივე ეს მუდამ თვალწინ ედგა, ხელს უშლიდა.

ასე სწამდა ღმერთი და სჯეროდა, რომ განგება მისი სამართლიანი იყო. უყვარდა ღმერთი, მაგრამ

ისე ჰქონდა გული გატეხილი, რომ ვედრებას ვერა-ჰბედავდა.

რა არის ადამიანი?.. ისე მდაბლათ მიაჩნდა თავი, რომ, როცა-კი თავისს ადამიანობაზედ დაფიქრდებოდა, თავის მოტყუებასა სცდილობდა მუდამ და მუცლის გასაძღობად პირუტყვივით მთის მწვერვალებზედ დარბოდა და ბალახსა სძოვდა. ეჰ! ცხრა თვეს მუცლით მატარებელს დედას რომ ენახა მაშინ, უთუოდ მუცელს ათასად აიკუწავდა ალარა ჰშობდა-კი.

ქვეყანა, ქვეყანა რალაა?.. წარმოვიდგინოთ, აბა. განგება თითქოს ბავშვია... დედამიწა მისს ხელში მყოფი ბურთი.. რომელიც ათამაშებს ამ ბურთსა. ბურთი დაგორდება... ბავშვი თამაშობს, ბურთს სთხოვენ... წითლად ნაჩენი საგანი თვალის დახამხამებაზედ ყვითლად იქცევა. ახლა სწორედ ნაჩენი თვალის დახამხამებაზედ მრუდეთ იქცევა. (გონებას დაჰკარგავს) ოჰ! რამდენჯერ გამიფიქრია: კუდიან ვარსკვლავივით რამ დიდი მეხი ამ ბავშვის სათამაშოს მდაბალს მიწას, ძალმომრეობის ქვეყანას, ადამიანთა სასაფლაოს, ამ მტანჯველს წუთი-სოფელს უცბად დაეცეს-მეთქი და მტვრათ აქციოს. ამ გვარის ფიქრებით ბევრჯელ კინალამ გადავირიე...

ბ.-ბ. რასტომ-ბეგი (სიტყვას გაწყვეტინებს). ჩვენ ახმედ-ბეგზედა გვქონდა ლაპარაკი და თქვენ-კი თქვენსას მიამბობთ.

სიდკი-ბეგი (თავს შეამაგრებს). არა! საცოდავის ტანჯვა-წვალება წარმოვიდგინე და ლაპარაკმა გამართო...

ბოდბ. რასტომ-ბეგი. კარგით, არა უშავს რა. მერე, მერე რალა მოხდა? (თავისთვის) ეჭვი არაა, ახმედ-ბეგია, მაგრამ სახელი გამოუცლია, თავს იმალავს...

სიდკი-ბეგი. რა-და, საიქიოს რომ ველარ გაესალმა, მექის*) მხარესაკენ გასწია. იმ ხანებში გული-გონება ქვად

*) მექი ერუსალიმივით მუსლიმანების წმინდა სამლოცველო ადგილია.

ჰქონდა გადაქცეული, მაგრამ თვითონ არასა ნაღვლობდა.

ბოდბ. რუსტომ-ბეგი. მექის მხარესკენაც თან ეახელით?

სიდკი-ბეგი. აკი მოგახსენეთ, ყოველივე მისი ამბავი როგორც ჩემი თავისა, ისე ვიცი-მეთქი.

ბოდბ. რუსტომ-ბეგი (თავისთვის). აღარავითარი ეჭვი აღარა მაქვს.

სიდკი-ბეგი. მაგრამ საკვირველი რამ მოხდა! მექში ყოფნის დროს ქვეყნიერებაზედ ფიქრი სრულიად აღარა ჰსურდა. ცოლ-შვილი დავიწყებული ჰყვანდა. მაგრამ სამშობლო-კი ვერა, ვერ დაივიწყა, რომ სამშობლოს ხარჯით მიიღო სამხედრო განათლება და მოვალეობამა სძლია ბოლოს მისს შინაგან ხმასა და ისევ სამხედრო სამსახურში შევიდა, მაგრამ, როგორ! უბრალო ჯარის-კაცად.

ბოდბ. რუსტომ-ბეგი. უბრალო ჯარის-კაცად?

სიდკი-ბეგი. უბრალო ჯარის-კაცად... ამ სამსახურმაც ხუთს წელიწიდს გასტანა სანამ თავისუფლობის მოწმობა არ წარუდგინა ხელმეორედ სამხედრო სამსახურში და როტის უფროსობა არ მიიღო!...

ბოდბ. რუსტომ-ბეგი. ნუ თუ როტის უფროსობა ვერ მიიღე? შენა?

სიდკი-ბეგი (მკაცრად). არა! მე კი არა... ახმედ-ბეგმა... (თავს შეიმაგრებს). ძველი ხარისხის მიღებამდე არავისთვის არ უცნობებია თავი, რადგან ეშინოდა ხელმეორეთ არ აეკრათ გუდა-ნაბადი. როდესაც ძველი ხარისხი მიიღო და შეეძლო დაეწერა წერილი მეგობართან მონასტერში*),—ერთად-ერთი მეგობარი ჰყავდა,—მაშინ-ღა იკითხა ცოლ-შვილის ამბავი, მაგრამ უმჯობესი იყო სიცოცხლით ამ ამბისა სულ არა გაეგო-რა!

*) მონასტერი ოსმალეთში დიდი საგუშაერნიო ქალაქია, რომელშიაც მილიონამდე მცხოვრებია. ორი ნაწილი ისლამია და დანარჩენი ბერძენი, ბოლგარი და ალბანელი ქრისტეს სარწმუნოებისა.

პირველსავე მიღებულს ბარათში მეუღლის სიკვდილსა სწერდა მეგობარი, მეუღლისა, რომელიც ქმრის გამოსაბით ხუთს წელიწადს ჭლექით თურმე იწვა ლოგინადა.

არ გასულა ორი წელიწადი, რომ მეგობრისაგან მეორე ბარათი მოუვიდა. სწერდნენ მეორე ბარათში რომ შვილიც მოჰკვდომოდა. ორი სიტყვა-ღა ეთქვა უბედურს უკანასკნელად: პირველად მამაო და მერმედკი სამშობლო... მამაო, რომ უთქვამს, მაშინვე თვალები ცად აღეპყრა, თითქოს იქ ეძებს მამასაო, და სამშობლო რომ ეხსენებინა აქეთ-იქით მიმოეხედნა თითქოს ყველას გადაავლო თვალი. „ჩემი საფლავი მტერს არ გაათელინოთო“ ამასა ჰნიშნავდა, მაგრამ არ გეგონოთ, უბედურება ამითი დასრულებულიყოს. არა! მეგობრისაგან ეხლა სხვა ბარათი მოუვიდა. სწერდა: ქალიშვილიც დაგეკარგაო, იმას-კი ველარ სწერდა, მოგიკვდაო. სჩანს, ის საბრალოც დაბერებულა, გული გასტეხია და აუტანელის ტანჯვისაგან იმ ზომამდე მობეზრებულა, რომ ნამდვილის გამჭლავნება ველარ გაუბედნია.

აი, ხომ გაგაგებინეთ ახმედ-ბეგის ამბავი... ახლა იქნება იმასაც შენი ან შენზე მეტი ხარისხი ჰქონდეს. ღვთის გულისათვის, თუ სადმე შეგხვდეს, ნუ იცნობ! გნებავს სალამსაც ნუ მისცემ. სახელი რომ გაუგონ, ისევე გუდა-ნაბადს აუკრამენ. მეუღლისა, შვილისა და ქალიშვილის საფლავი ვერა ნახა. იქნება თვითონ მასაც სამშობლოში არცკი ელირსოს დამარხვა. საწყალს სამშობლოში ცხოვრება აღუკრძალეს, მაგრამ იქნება სამშობლოში სიკვდილის ნებაც არ მისცენ?!.

პოდპ. რასტომ-ბეგი. ბატონო! ახმედ-ბეგი ძმა იყო ჩემი. მოკვდა... მოკვდა იმდენად, რომ ჩემს გულსა და გონებაში იოტისტოლა ხსოვნასაც-კი ველარ იპოვით

იმისას. მაგრამ მე ისევე ძმა მეჭირვება... ამიერიდ-
გან თქვენ მის ადგილს დაიჭერთ? თანახმა ხართ,
იმისი ადგილი დაიჭიროთ? ახმედ-ბეგი მოკვდა, ვი-
ცი. მე მხოლოდ შენს, სიდკი-ბეგის სიყვარულსა
ვთხოულობ. ვინც ჩემი პირიდამ ახმედ ბეგის სახელს
გაიგონებს, სიდკი-ბეგი ნახოს... სახეზედ მომახალოს
ცხვირ-პირი დამამტვრიოს.

სურათი მეხუთე.

იგინივე, ერთი თავისუფალ მეომართაგანი და ბადულა-ჩაუში.

თავისუფ. მეომარი (გაცხარებული მივარდება). ბატონო! ბატო-
ნო! იერიში მოიტანეს... მტერი მოდის...

ბადულა-ჩაუში. თითქოს ჩვენ-კი არა გვცოდნოდეს! მოდისო,
რა, ქვეყანა ხომ არ დაიღუპება?

სიდკი-ბეგი (თავისთვის). ის ბავშვიც რომ არასფრის გზით არ
მავიწყდება... უცნაური ოცნებაა!.. შვილი, აგერ
სამი წელიწადია მომიკვდა... (**მუსიკა ბრძოლად გასა-
წვევ ჰანგზედ დაუკრავს. დოლს უკრავენ, ველა თოფ-
იარადისაკენ მიეშურება. ფარდა ჩამოეშვება**).

თამარ მეფე

და

მისნი ისტორიკოსნი

(დასასრული)

ზ. თამარმა გადასცა ლაშას 80,000 მეომარი. ამდენი ე ბ ხედარი ჰყავს თინათინს (ტ. 1593,1553).

Თ. ქრისტიანი ავთანდილი (ვეფხის-ტყ., ტ. 816)

> იტყვის: „ჰე, მზეო, ვინ ხატად
> გთქვის მზიანისა ღამისად,
> **ერთარსებისა ერთისა,**
> მის უჟამოსა ჟამისად.

ძველადგანვე მზე მიაჩნდათ ხატად **ერთარსებისა:** მამისგან ძე იშობება და გამოვალს სული წმიდა; მზისაგან გამოდის სინათლე და იბადება სითბო.

Თ. „არაბეთს“ იყო როსტევან... არავითარი ისტორიული უმართლობა არ არის, რომ რუსთაველი საქართველოს უწოდებს „არაბეთს“. საქართველოც, ვითარცა მრავალი სხვა სახელმწიფოები, შეადგენდნენ არაბთა ყოფილ მძლავრ იმპერიის ნაწილს, და ამ არაბებს სწორედ 400-ის წლის განმავლობაში (722—1122) ეჭირათ თვით საქართველოს დედა ქალაქი, ტფილისი. „არაბეთადვე“ იხსენიებს საქართველოს მოსე ხონელიც. გმირები ამირან, ნოსარ და სხ. დიდოეთში შედიან „არაბეთით“ და „არაბეთსვე“ ბრუნდებიან. „არაბეთის“ მომიჯნავედ მოსე

ხონელითვე არიან ხაზარეთი, ოსეთი, ზღვათა სამეფო, ჭენთა სამეფო (საჭენბაკურო, საორბელიანო) და სხ. ყველა ეს სამთავროები არაბეთის მომიჯნავედ არ იყვნენ, იგინი იყვნენ საქართველოს განაპირა სამფლობელოები. არაბთა რიხი ჯერ თამარის დროსაც სრულად არ იყო გადავარდნილი. თამარი თავის ფულის მეორე გვერდზე ისევ არაბულად აწერდა ამ სიტყვებს: „დედოფალი მალალხარისხოვანი, დიდება სოფლისა და სარწმუნოებისა, თამარ, ასული გიორგისა, შემდეგი მესიისა. ღმერთმან ადიდოს ძლევანი მისნი“.

10. როსტევან. ამ სახელს რუსთაველი თან-და-თან სცვლის, სწერს **როსტენ, როსტან.** გიორგი მეფე რომ გარდაიცვალა, მის ასულის თამარის **მეორე მშობლად,** როგორც იუწყება ქ. ცხოვრება, შეიქმნა რუსუდანი, თამარის გამზრდელი. თამარისთვის ქმრის შერთვა და ამ ხელმწიფის ყოველი შესაუარი ეკითხებოდა მხოლოდ რუსუდანს. რადგან თამარის მიერ დავით სოსლანის შერთვისას გიორგი მეფე ცოცხალი აღარ იყო და მისი მაგიერი თამარისთვის იყო რუსუდან მეფე, ამიტომ მგოსანმა ალბად, ერთფეროვნებისათვის საჭიროდ დაინახა მეფის სახელი **როსტევანად** შეეცვალა, ხოლო როსტევან=როსტენ=როსტან იმავე როსდანს=რუსუდანს უნდა უდრიდეს.

11. თამარ—დავითი=თინათინ—ავთანდილი.

ქ. ცხოვრება	„აბდულმესიანი“	„თამარიანი“	„ვეფხისტყაოსანი“
დაიპყრეს კიდენი ქვეყნისანი, მეფობდეს ზღვითა ზღვამდე და მდინარითგან კიდემდე სოფლისა (გვ. 277).			გავლექსე თამარისა და დავითის სარებლად, რომელნი არიან აღმოსავლეთით დასავლეთს ზართა მარებლად...

ერთგულნი დაამდიდრ - ნეს, ორგულ-ნი პირქვე დაამხეს და თავზარ-დას-ცეს (229 და სხ.).	ორგულთა მოსწყლავ, ერთგულთ ექ-მნები ფარად და ზურგად (ტ. 61). ერ-თა შემცვე-ლი, მტერთა შემწველი, შრომით რე-ბულთა სიმ-ტკიცის კვე-რთხად მისაყ-რდნობელი.	ურჩთა კლვად მკოდი, სულ-ტანთა მგოდი (73). ერთგუ-ლთა უკლი, ურჩთა კლვად ზინდანს შე-მაყენალი(76)	ორგულთა მათთა დამ-წველად, ერ-თგულთა და-მამაგრებლად (1573).
დამარცხე-ბულ ხალიფასაგან მრავ-ლად მოერთ-მის ხარკი (318).	ხალიფასაგან ახალი ფასი მრავლად მო-ერთმის თავ-თა მონებად (16).	მედგარ ხა-ლიფას გამკი-ცხოვნებად (27). ხალიფას სვისა ჯვა-რითა მშლე-ლი (73).	(მაშინ ხალი-ფა ჯერ არ დაემარცხები-ნა).
მამა ობოლ-თა, მზრდელი ქვრივ-ღატაკ-თა; სნეულთა ყოველთა ზე-და დაასხნა წყალობა უხ-ვებით (279 და სხ.).	თვალი ხარ ბრმათა, თვით მზრდელი ყრ-მათა, მშიერ-თა პური, უსა-ხლთ სართუ-ლი, მამა ობ-ოლთა (63) ექმენ ედი-ლად*) ყრმა-თა, ედილად*)	ტკბილი, მო-წყალე ყოვე-ლთა კაცთა განურისხე - ვად (100).	ყოველთა სწ-ორად წყა-ლობასა, ვი-თა თოვლსა, მოათოვდეს. ობოლ-ქვრი-ვნი დაამდიდ-რნეს და გლა-ხაკნი არ ით-ხოვდეს (1571).

*) მცველ-მფარველად.

*) ედილში (ვოლგაში).

	განმბანელ შვილთა ემბა-ზისათა (56).		
ვითარცა მზე, სწორ პატივობით ყოველთა ზედა განუტევებდა ნათელსა თვისთა შარავანდედთასა.			მან განანათლნეს ყოველნი, ვით მზემან მანათობელმან (43).
იხოკდის ღაწვთა კელითა მულღაზარო-ვანთა და წყარო სისხლისა უსწრობდა ნაკადულსა ცრემლთასა (276 ძლით დაარწმუნეს(თამარი) აღსლვად და ამაღლებად საყდართა (ტახტზე) და საჯდომთა მამაპაპურთა (277).	თამარს ვაქებდეთ მეფედ ცხებულსა (ტ. 2). ვარდზედ გაშლილო ყორნის ბოლოო, ქმნილო სუნნელთა მოსაფრქვეველად (100).	თამარის ღაწვი მწყაზარი, ამულღაზარი... აწ თამარ ჩნდების გამთავრებულად (3, 6). ღაწვ მულღაზარობს (45—47).	ქალი მზეებრ უჭვრეტს ყოველთა. ქალი სტირს და ცრემლსა აფრქვევს, ჰხრის ყორნისა ბოლო ფრთათა. ამად სტირს: მამისა ტახტსა საჯდომად თავი არ ელირსებოდა (45—47).
შეიქმნა მშვიდობა, ერთობა და სიხარული, რომელი არაოდეს ვის უხილავს და სი-	ვხედავ მარტოსა გაშლით მა რტოსა, გვართა მთავრობით ზესთ საჩინოსა: კაცთა		ავთა მქნელნი დააშინეს: კრავნი ცხვართა ვერა სწოვდეს, შიგან მათთა საბრძანისთათხა

ტყვისაებრ წინასწარმეტყველისა: ერთბამად მოვიდოდეს ლომი და ხარი, და იხარებდეს ვეფხი თიკანთათანა და მგელი ცხოვართა თანა. და განდიდნა სახელი თამარისი ყოველსა ზედა პირსა ქვეყანისასა (297).	მკოდვისა, შეიწრებისა არ მომთმინოსა (59), ბჭეთა ბჭედი, მტკიცე ბეჭედი, მეწდე სიტყვათა სიმართლისათა (47).		და მგელი ერთგან სძოვდეს (1571).
ბჭედ ჯდა შორის თავისა თვისისა და მეზობელთა მეფეთა; არა მიშვებად ბრძოლისა, არცა გარდადებად ულლისა მძლავრებისასა ურთიერთას. ამისთვის მეორე სოლომონ იქმნა მეფეთა - შორის (283).	ბჭეთა ბჭედი, მტკიცე ბეჭედი, მეწდე სიტყვათა სიმართლისათა (47).		ტარიელმა უთხრა თინათინს: „შენ დაჯე, სწადიან ბჭეთა-ბჭეთასა, დღეს ტახტი შენი შენ გმართებს, ლომი ლომთა დაგისვა-გვერდსა მზეთა მზეთასა“ (1518)
დავით მოყმე, მსგავსი პირველთა გოლიათთა და	დავით ძლიერი, მხნედ საშინელი (6). აწ ესე ლომი	დავით ძლიერი, მხნე, უძლეველი (80), ლომე-	ქართველთა ლვთისა დაგათის, ვის მზე მსახურებს

დიდებულთა ბუმბერაზთა ამის სამეფოსათა (302).	მისთვის (თამარისთვის) აღეგო კეთილ სახმარად (21).	ბრ შემძახებარე (32). თამარ, გტრფიალობს ლომი „აბესალომი“ რომელიც ნებროთს სჯობს ძალათ (90). დაასკვნეს ომი, წაუძღვა ლომი დავით (14). ლომთა თავადი (44). გაიჭრეს ველად, სადგურად ჰქონდეს ლომთა შამბნარი (59). ეფრემს თვისობს (34) ოს-დიდი დავით (32) ეფრემის ძირთა აღმორჩებული (8), ეფრემის ძირთა ისართა მთლელი (75).	სარებლად... ვის შვენის ლომსა ხმარება შუბისა, ფარ - შიმშერისა მეფისა ძეზის თამარისა (3). ლომი ავთანდილ. მოდი ლომო (130). კლავ მაგარი, ვითა გმირი. გოლიათი ლომი ლომთა (1518 ლომი მინდორს ლომთა თანა რული (674) ავთანდილ, ვითა ვეფხი და ლომია (57).
მსგავსი ეფრემიანისი (302). დავით ძეებრ ეფრემის მოისარმან (310). დავით მოყმე ეფრემის ძეთაგან (291).			
რჩეული ღვთისა დავით.. მკვიდრი საყდრისა ამის (292).	დავით გიწოდა თვისად მკვიდრობა79	ცითა ნაწოდებს დავითს უწოდა მეფეთა ძებად (100).	ქართველთა ღვთისა დავითის (1573).
	ალვისხე ტანი (9) დავით.		ტანად ალვისა ხიანი (821) ავთანდილ.

გონება უხმს ვრცელი და ენა ბრძნად მეტყველი, რომელმანცა შეუძლეს ღირსად აღწერა თამარის საქმეთა (291).	ბრძენთა ბრძენნი ვერცკი მისწვდებიან თამარის ქებას აგრეთვე სოლომონ ბრძენიც. ამათვერა დამატონ ქება ძალისა (105) და მე კი თქვენ ქებას ვერ ვუძლე, ვიქმენ ენა ბრგვნილობით (107).	სოკრატ, უმიროს, პლატონ სიტყვა დამატონ, ვერა მიხვდენ საწადიერსა (ტ. 1). მწადდა გრძნობა ვრცელად განბრძნობა, გარნა ვერ ვეგები პლატონისებრ შენასხამისად (84)	ბრძენი ჰხამს მისად მაქებარად და ენა ბევრად ასული (33) მე ვინ ვაქებ? ათენს ბრძენთა ჰხამს აქებდეს ენა ბევრი (676).
მზე ქართლისა (335), მზე იგი მზეთა და ნათელი ნათელთა ელვარება, მზეებრ მაშუქებელი სხივ კამკამებათა (277).	ეგრეთ ინახის, ვით მზე სამყაროს მანათობელი, მთვარის მშვენობით, ცისკრის მთენობით სხივმკრთოლვარებით მკამკამებელი (45).	მზედ გხმობენ არსნი (23). მნათი, არემთენი, სხვათა მნათობთა ბინდ მკდოვნებად (26).	მეფისა მზის თამარისა (3). ქართველთა ღვთისა დავითს, ვის მზე მსახურებს საარებლად.
მზე მზეთა და ნათელი ნათელთა (295)			მას ავთანდილ თაყვანისცა, ლომთა ლომმან მზეთა მზეთასა (667).
თამარ, პირი იგი ეთერო-კანი და უკიმი რო ჰაერი და	ეთერ ბრწყინვალე, მზეებრ სადარი (3). ნათალდ	ელვა ეთერი (21). შენი თავი სჩანს შუბლ-ნაელვე-	რომელსა ვერ მზე ჰგავს, ვერ ეთერია (283) პირი მისი

უმრუმო ნათელი (276).	ბნელისა, გარდმოფენილისა, ეთერთა ელვად დასახებულსა (76).	ბად (47).	უნათლეა ზესთა მზესა (667).
მზეებრ შუქთა მფენი (291).	მზე დაუვალი (72), მზე ციერი (97), მზედ სახოვანი (11), სწორად არს მზისა (13).	მზე დაუვალი შუქ-მფინარი (21). ჰფენს შუქთა მზეებრ გათენებულად (54).	თინათინ მზესა სწუნობდა, მაგრამ მზე თინათინებდა.
თამარ პირითა მით ბრწყინვალითა ბ ნათელმფენითა (303), ნათელი უმეტეს ხილულისა ნათლისა (337).	აკრთობს ალვათა არეთა მთენი, ცისკრის ქებული (68).	მზედ ეგებოდა ეგ თქვენი პირი გაცისკრებულად (52). იცისკარებით ი ცისკარებით (47).	პირი მისი უნათლეა ზესთა ზესა (667).
ნათელ ბრწყინვალე, თვალი ულამო და დღე უუკუნო (287).	მარტივად ბრწყინავს თვალი სოფლისა (71), სამყაროს ნათლად, არა თუ ღამედ (74).	ღამე - დღე ჰყო: ჰფენს შუქსა მზეებრ გათენებულად (54).	ანათებს დღესა მზიანსა (190). სოფლისა მნათი მნათობი, მზისაცა დასთა დასული (33)
შარავანდნი თამარის ნათელთა ბრწყინვალებისა	მზეს „ბრწყინვალება შენგან მიეცა (58). ვით „მზე	ეგე ნათელი რა ნახეს, მზესა აქვს ბნელოვნებად	ელვისა მსგავსად შვენოდა, მთვარესა მისთა შუქ-

ეფინებოდა იატაკსა ამის მიწისასა, ვინაცა შარავანდნიცა მზისანი მისცემენ ნათელსა ხედვად და განცდად მზისა (289).	დაჰფარავს სხვათა ვარსკვლავთა (33).	(27, 53).	თაგან უკუნი გარდაჰფენოდა (122).
სიმაღლე შეუსწორებელი (336).	ციერთ უმაღლე (45).	სიმაღლით ცებრი (22).	
შვიდ მნათობიერი, ვითარცა მზე, კრონოს, აფროდიტე, ერმი, არეა და სხ. შვიდთა მნათობთა შეასახა სფერო მიწიერი (278	სუფევს მზიანად შვიდთა მნათობთა გარმოზღუდვითა (17).	ზეციერად ჰგავ შვიდთა მნათობთა დამშვენებელად (4), შვიდთა მნათობთა მანათობელი (71).	მზეო, ღმერთმან მზედ დაგბადა, მით გმორჩილობს ზეციერი მნათობიჲ რაც სადა (134).
მეძიებელმან სასუფეველისამან და ზენასა სუფევისა მოსურნემან აღიფრინა ზე (278) თამარს ზე აქვნდა გონება, აღემსჭვალა საცნობელნი ზენასა მის ხვედრისა მიმართ (290)	მართებს რომ ცამცა ჰქონდეს მასცამცა სახლად სამყოფად განჩინებული (68)	რადგან ცად ახვალ (110), ზევსმან.. ზეცას გზა გიქმნა (55).	სახლ-სამყოფი არა ჰმართებთ, ცამცა გაიდარბაზესა (667).

ზესთა აღემა-
ღლა გონება
და, ფრთოვან
ქმნილი სუ-
ლითა, იშვებ-
და (290).

სატურფო
საჭვრეტი ვი-
დრე დაბნე-
დამდის (282)

მჭვრეტელთ
შემწველ ჰყ-
ოფ (54). ეტ-
ყოდეს გულ სა
მისთვის და-
გულსა: რად-
გან დაებით,
ბარემ სულ
ებით (67).

გიჭვრეტდეს
გარეტებულ-
ად (53). მჭ-
ვრეტნი ვინ
იყოს სხვა და-
უწველად (47
ანატრებ გნა-
ხოს, ვინ განაძ
ლევად (47).

მან მისთა მჭ-
ვრეტთა წაუ-
ღის გული,
გონება და
სული (33).
ავთანდილ რა
მიიახლის დაბ-
ნედად (813).

გამცდელ
მხედთა შეი-
პყრობდის წყ-
ალ - ჯავარი-
თა უმაგალი-
თოით (282).

წამწამ ისრ-
ოდის; ვერ გა-
ნქაროდის მზ-
ენი ლახვართა
მისთა სრო-
ლობით (67).

მე რომ ვხე-
დვიდი წარბ,
წამწამთაგან
თქვენგან მო-
ნაბუქარსა!
(114).

შავნი წამწა-
მნი — გულის
გასაგმირონი.
(123).

გამიჯნურე-
ბულმა... რა-
მინისებრივი
აჩვენა თამარს
ცრემლთა ნა-
კადი (289).
ბრძენმან თა-
მარ (288).
საუნჯეა სიბ-
რძნისა, სა-
ხიერი და ბრ-
ძენი; თამარ
სახიერი იყო
და ბრძენი; სიბ-
რძნესა და
მეცნიერებასა

გვრიტთა მა-
რთვისა თვარ
აქვს ვისა თქ-
ვენებრ სურ-
ვილი მეუღ-
ლობისა (62).
ბრძენთა სეხ-
ნისა (20).
სიბრძნისა სი-
რად (26) მო-
გვფენს სიბრ-
ძნესა (63)
რიტორი ბრ-
ძენი (4), სი-
ბრძნისა ვაზი
(99); სიბრ-

რამინს უშე-
ნოდ სტკივის:
უშენოდ შვ-
რებოდა ვისის
ნამიჯნურე-
ვად (42).
სიბრძნითა სა-
ვსი (46).

ნუ ეჰვ მი-
ჯნურად მა-
თებრსა ნუმ-
ცა რამინს
და ვისსა
(1519).
ქალი ბრძნად
მოუსძინებდა
(20).

მისსა . . . (281). ნარ-ნარად, მშვიდ და წყნარად მეტყველებანი და სიბრძნით შეპასუხობანი(284).	ძნისა ზღვასა თამარ პირ-მშოსა (53).	თამარ წყნარი, შესაწყნარი,ხმა ნარ-ნარი (24), მშვიდი, წყნარი (21).	
იწყო განგებად, ვითარ მოჰბერვიდა სული (279).	წმიდად აქვს სული, დასთა დასული, სამყაროს ნათლად, არა-თუ ღამედ (72). სიწმინდისაა ცხოვრების თვალი (55).	სამებად ქსული საუფლო სული მისთვის მოგბერა, არს თქვენი მცველი (80).	სოფლისა მნათი მნათობი, მზისაცა დასთა დასული (33).
(თამარისა ლაწვ ბალახს, თმა გიშერისა, ქება წარბთა და წამწამთა,თმათა და ბაგეკბილისა, ბროლ ბალახშისა თლილისა) (მელნად ვიხმარე გიშრის ტბა).		გასახე თქვენ ედემის სახე მართ სამოთხისა მიახლებულად (52) მელნისა ტბებად გთქვეს დასახებად, გიშრისა სარნო (53) ლაწვთა არესა შუქნი მთვარესა მელნისა ტბანი დგანან მორევად (49).	წყლად ეფრატსა უხვად ერწყო ედემს. რგული ალვა მჭერვი, ბროლ ბალახშსა აშვენებდა თმა გიშერი, წარბი ტევრი (676). ედემს ნაზარდო (707).

იხილვებოდა მსგავსი სოლომონისი ‡ უმეტეს სოლომონისი სიბრძნით, შვენიერებით, მოესთლო სულნელება და შვება სამოთხის, ნარგიზოვნობა ივლისის ველის ნამორჩები (302).		იტყვიან მნახნი, ხმა მალლა მძახნი: „ივლისოს ველსა ჰგავს ნა ჯუფთევად“ (49).	
	თამარ მეფესა ტანად სარო-სა (11). ალვისა შტოო (100).	ლელწამ ტანისა, სარო სახისა (7).	ტანო ლერწამო, ედემს ნაზარდო (707) ტანი ალვა, პირი მანგი (=მთვარე) (120).
	მეფევ ‡ მალალო, ვარდზედ გაშლილო ... სუნნელთა მოსაფრქვეველად... შუქმფინებო (100).	თამარ წყნარი... ვარდ-შამბნარი, შამბ-მალნარი ლაწვ-მწყაზარი, შუქ-მფინარი (24).	იყავ წყნარი და ცნობილი (48). უხარის შეყრა ვარდისა (121). თინათინ სტირს, ბალი ვარდისა ცრემლითა აივსებოდა (47). დავყარენ ვარდნი (821).
სატურფო საჭურეტი ვიდრე დაბნედამდის, გაჭ-	ეტყოდეს გულსა მისთვის დაგულსა: „რადგან	ჩემი მოყმე, ლომთა მოძმე გაიჭრეს ველად, სადგუ-	ავთანდილი წავიდა, შამბი შიგა გაირბინა (170).

რა, გახელებამდის (282) საჭირო იყო მიჯნურნი, მხეცებრ გაჭრილნი ამის მზისა (284). ამისთვის ხელდებიან ყოველნი (289)

დაებით, ბარემ სულ ებით.“ თავს აბრალებენ, — ვერ აბრალებენ. წამწამს ისრო დის, ვერ განქაროდის მზენი ლახვართა მისთა სროლობით (67). ხილვა მეფისა მჭვრეტელთ ეფისა თვალნი მალნიტზედ ფოლადობითა (18).

რად ჰქონდეს ლომთა შამბნარი (59).

ლომი მინდორს ლომთა თანა რული (674).

აღებაძვა ზენასა ზნათსა ქვენა ესე მნათი შვენებითა სიბრძნითა მზეებრ უხვებით მიფენად სწორებით მართალთა და ცოდვილთა (278). ყოველთა ზედა დაასხა წყალობა უხვებით: რათა ჟამსა საქმეთასა ერთგულნი ერთგულობითა მადლიერობდ-

ვარდთა და ნეხვთა ვინათგან მზე სწორედ მოეფინების, დიდთა და წვრილთა წყალობა შენმცანუ მოგეწყინების: უხვი ახსნილსა დაბამს — იგი თვით ების, ვინ ების,— უხვსა მორჩილობს ყოველი, იგიცა, ვინ ორგულია. უხვად გასცემდი: ზღვათაცა

ენ, ხოლო დრკუნი და განდრეკილნი გულითა უსიტყველ იყვნენ მიგებისათვის უშურველად წყალობათასა.

შესდის და გაედინების (49).

ბ) გარმიანეთი.

სულ სხვა სურათს წარმოადგენს გარმია-ნეთი, უცხოეთი, ე. ი. ინდოეთი, რომლის მეზობლად არის ხატაეთი, ზღვათა სამეფო, ქაჯთა სამეფო.

ა) **ქაჯთა სამეფო.** ამ სამეფოს შესახებ ჩვენ ზემოთ უკვე ვილაპარაკეთ. ქაჯნი ჩვენ მივიჩნიეთ მულიდებად (ხაშიშებად). ამირანდარეჯანიანში ეს ქაჯნი გრძნეულებად იწოდებიან, ხოლო ამირანი გრძნეულ ქაჯებსაც ხოცავს. ეს ქაჯები და თვით ამირანი თანამედროვენია დავით სოსლანისა და თამარისა:

ცხრათა ფრინველთა **მხარგრძელთა**
ალგეთის ჭალა გაექნა,
უძმოსა, უმამისძმოსა
ამირანს თავი მოეკლა.

მხარგრძელნი, ჩამომავლობით ქურთნი, მკვიდრობდნენ ალგეთის მიდამოს, სომხითში, გიორგი და თამარ მეფეების **დროათგან.**

ბ) **ზღვათა სამეფო.**

ესეა ზღვათა სამეფო
თვისა ათისა სავლითა,
თვით **გულინშაროს** ქალაქი
სავსე ტურფითა მრავლითა:
აქ მოდის ტუფრა ყველაი
ზღვა-ზღვა ნავითა მავლითა;
მელიქ-სურხავი ხელმწიფობს
სრული სვითა და დავლითა (1043).

გულანშარო თურქული სიტყვაა: გულან-შაჰარ ვარდის-ქალაქი. შეადარე გულისტანი (Гюлистанъ)=ვარდისტანი, სა-ვარდეთი. ამ ზღვათა მეფის სახელი მელიქ-სურხავი ეწოდე-ბოდა აგრეთვე მელიქ-სურხავს, რომელიც უფლებდა შემახიას, შაქს და საზოგადოდ ბაქო-შირვნის მხარეს მეფე ერეკლეს ჟამს. ყოველ შემთხვევაში ეს სახელი ქართული არ არის. ამას გარდა, აქაურს დიდს ვაჭარს და მის ცოლს აგრეთვე ერქვათ მაჰმადიანური სიხელები—ჰუსენი და ფატმან-ხათუნ, დიდ-ვაჭ-რის ცოლებსაც ხათუნები (ქალბატონები).

რომ ეს გულანშარო მაჰმადიანთ ქალაქი იყო, ამას უფრო ცხადად აჩენს რუსთაველის შემდეგი სიტყვები (ტ. 1099):

ამა ქალაქსა წესია:
დღესა მას **ნაგრაზობასა**
არცავინ ვაჭრობს ვაჭარი,
არცავინ წავა გზობასა;
ყოველნი სწორად დავიწყებთ
კაზმასა, ლამაზობასა...
დღე მოვიდა **ნაგრაზობა**,
დედოფალსა ძღვენი ვძღვენით...
გავატანე ხათუნები...

8. ნურადინ-ფრიდონის სამეფო მულლაზანზარი თურქთა-მომხრეა (949). მისი სამეფო დიდი არ იყო. ნურადინ-ფრი-დონ ეუბნებოდა ტარიელს (583).

ცოტა მაქვს, მაგრამ ყოველგან
სიკეთე მიუწდომელი.
მამის ძმა და მამაჩემი
პაპა ჩემმან გაჰყვნა ოდეს,—
ზღვისა შიგან კუნძულია,
ჩემად წილად მას იტყოდეს.

ამ სომეფოს შესახებ მრავალი ცნობა მოჰყავს მოსე ხო-ნელსაც თავისს ამირან-დარეჯანიანში. **თავი მეოთხე**: „ბადრი

იამანისძეო, ზღვათა მეფისა ასულისა გამოსაყვანებლად წადი". „მივედით იმიერ ზღვისა **კუნძულსა**, ზღვითა მეფისა ქვეყანასა და ვნახეთ ზღვისა კიდესა ოკიანთასი სოფელი და ქვეყანა შვენიერი". „გმირს ნოსარ ნისრელს წიგნი მოეწერა ზღვათა მეფესთან, ვითა: „მე, ნოსარ, მოვალ და შენსა ასულსა შევირთაო."

ამ ნოსარს და ინდოეთის მეფე პიროსს, ალექსანდრე მაკედონელთან მებრძოლს, „თამარიანის" ავტორი ადარებს თამარ-დავითს (ტ. 36).

ახალო პირო (პიროს),
მძლეო **ნოსარგვით**,
ბრძენმან მასახა:
„ასურ (=ოსური=ოსი) მაისო" (მოისო);
მხნეო და გმირო,
ბობქოს ოხრითა
ითხრის, მგოდებმან
ფლასულ მაისო (ფლასი მოისხა).
ბობქარ მგოდები
დავითის ხლმითა
შემარცხვენალი (77)

აქედგან ავთანდილი რომ წავიდა, შემოხვდნენ მობაღდადენი ვაჭარნი დიდის ლარითა და სიმდიდრით ზღვათა სამეფოს მოსულნი ეგვიპტით (1010). მათთვის მეკობრეებს გზა შეეკრათ. ავთანდილმა მეკობრენი დახოცა, ავთანდილი ვაჭრულად შეიმოსა, ზღვა გადასცურეს, გულანშაროს მივიდნენ, და იქ შეიტყო, რომ ნესტანი ქაჯებს შეუპყრიათ. ამას იგულისხმებს, ჩვენის მოსაზრებით, „თამარიანი" (ტ. 61) როდესაც სატრფო ქალს ათქმევინებს მის მიერ გაგზავნილ გაჭრილ. გამგზავრებულ გმირის (დავით სოსლანის) შესახებ:

ოქროსა სწონდის, ტურფები ჰქონდის
ფერად-ფერადი, მრავალი გვარი,
ჰყვანდის მოყმები, მონა, მხევლები,
თვალ-მარგალიტი, სუნნელ ამბარი.

და კიდევ (ტ. 57).

მობაღდადენი ბარდაგს მოვიდეს...
აქლემთა ტურფად, მძიმედ ტვირთვითა
მონა, მხევლები წინა უძღოდის

შეადარე (ვეფხ.-ტყ. 1010)

უსამ იყო ქარავნისა
უხუცესი, კაცი ბრძენი...
(ავთანდილ) გარდახდა. ჰკადრეს: „ჩვენ ვართო
მობაღდადენი ვაჭარნი,
მაჭმადის სჯულის მჭირავნი,
აროდეს გვისვამს **მაჯარნი**,
ზღვათა მეფისა ქალაქსა
სავაჭროდ გარდმონაჭარნი.

ბარდაგის ხსენებით „თამარიანი“ გვიახლოვებს **ზღვათა სამეფოს**, რომელიც, ამ შემთხვევაში, შეიძლება იყოს აღსართანის, თამარის პაპიდაშვილის, შარვან დარუბანდის სამეფო: „აღსართანი იყო მეფე მოვაკნისა და შარვანისა და **ზღვის პირისა** დარუბანდით ხილხალამდის“ (ვართაშნამდის) (ქ. ცხ., გვ. 272). დარუბანდის ყელს ხომ ერქვა **ზღვის კარი**.

დ. ინდოეთი. ინდოეთის სამეფო, ვითარცა სამეფო ლაზნელებისა და სელჩუკიანებისაც, შვიდ სამთავროსაგან შესდგება. ამ სამეფოებ შორის მტკიცე კავშირი არ არსებობდა, ამიტომაც აქაური მეფე ფარსადან კეისარს ვერ ედრებოდა.

სხვად პატრონია, მართ ოდენ
არა აქვს კეისარობა (306).

ფარსადანის ერთად ერთი მოგვარე და მემკვიდრე (ტ. 308) არის ტარიელი, ძე სარიდანისა ისე, როგორც ტოლრილ სულტანია უკანასკნელი წარმომადგენელი სელჩუკიანთ გვარში.

ინდოეთის მოსამზღვრეა ხატაეთი, რომელსაც განაგებს **ხანი** რამაზ (ტ. 406). ეს ხატაეთი ინდოეთის მოხარკეა.

ხატავეთს მყოფნი ყველანი
ჩვენნი სახარაჯონია (364).

ინდოეთს არა ჰყავს ერისთავები, ხევისბერები, არამედ, როგორც ძველად საქართველოში, იქ ისევ მრზაპანებია (388). ამ სამეფოს მოსამზღვრეევა ხოვარეზმი, კასპიის ზღვისა და არალის ზღვის შორისი ქვეყანა, საცა მეფობენ ხვარაზმშანი მე-XII საუკუნის მეორე ნახევრიდამ.

ნესტანდარეჯანსა და ტარიელს გარს-ახვევია **მაჰმადიანთ ზეიმი.**

ა) ტარიელი ამბობს, ავად რომ გავხდი და დავბნდიო, მაშინ (ტ. 339):

სრულნი **მუერნი** და **მულამნი**
მე გარეშემო მცვიდიან:
მათ ხელთა ჰქონდათ **მუსაფი:**
ყოველნი იკითხვიდიან.

მუერა მაჰმადიანთ მოლაა, **მულიმი** არაბთ სწავლულია, **მუსაფი** კი ყურანია. ამ ყურანს ყველა ესენი მიკითხავდნენო. დღესაც თათრობა-მაჰმადიანობაში ყურანს უკითხავენ ხოლმე ძნელ ავადმყოფებს.

ბ). თვით ტარიელს სპარსთა ძველ გმირებივით ვეფხის ტყავი (კაბა) აცვია.

გ) ქალი ინდოეთში კარჩაკეტილია, მოფარდაგულში ზის და არავის ენახვება, მამაკაცისა სცხვენიან. რიდით იმალავს თავის პირი-სეხას.

დ) ნესტანს „ზურგით უდგას ჯარი **ხადუმთა** დასდასად“. „მას ვერვინ ვხედავდითო“, ამბობს ტარიელი. „ჰხამსო, ამბობდა ნესტანი, ჩემგან სირცხვილი და რიდი ამირბარისა“.

ყველა ეს უცხოა საქართველოსთვის და შეუფერებელი: ქალი საქართველოში არ იმალებოდა, ჩადრში არ ეხვევოდა; მათ დასაცავად **ხადუმებს** არავინ არ აყენებდა, „ამირბარისა“ არა სცხვენოდა. თამარ მეფე ხომ აშკარად ამხილებდა თავისს ქმარს (რუსს) და საჯაროდ ეუბნებოდა, შენთან არ მიძლავს ცხოვრებაო. ქალს საქართველოში დიდი ფასი ედო მედიას დროითგან. ეს მედია, შემდეგ ღადამი (დედა სახელოვანის

რადამისტისა), აბეშურა, შუშანიკ, მარიამ (დედა ბაგრატისა), და თამარ მეფე სახელოვნად ხელმწიფობდნენ ივერიაში. აქაური ქალებივე ჯერ თამარ მეფემდე ხელმწიფობდნენ ბიზანტიას, ერაყს, შირვანს, ოსეთს და რუსეთს (1154 წელს). ქალმავე შემოიღო ჩვენში ახალისჯული. ქალი აქ მამაკაცს სჭარბობდა, მამაკაცზე უფრო პატივცემულ იყო ძველის ძველთაგანვე, ვითარცა სჩანს ლექსებიდამ: **დედ**-მამა, **და**-ძმა, **დედულ**-მამული, დიასახლისი და სხ. მდედრობითი სქესი წინუძღვის მამრობითს.

ნესტანის საქმროდ ინდოეთის მეფე დედოფალი თავმდაბლად და დიდის ხვეწნით შვილს თხოვდნენ ხვარაზმშას ხვარაზმისას. საქართველოში კი ასრე არ იყო, პირიქით, **ხვარაზმშას-ათაბაგ-სულტნას** შვილი ამირ-მირან თვითონ დიდის მუდარით ითხოვდა ქართველ მეფის ასულს მთელის სპარსეთის დედოფლად, მაგრამ თხოვნა მისი თამარმა არ შეიწყნარა, თვისი ასული რუსუდან არ გაიმეტა (ქ. ცხ.. 301).

XV. **დასკვნა.** დავასრულეთ ჯერ კიდევ არა სრული განხილვა. ვით თინათინ—ავთანდილმა გამოაგეს საქმე ტარიელისა, ისე თამარ-დავითმა გამოაგეს თვისი საქმეც. ავთანდილი დაეხმარა ტარიელს და დაიხმარა ტარიელი, სოსლანმაც მოიძებნა მოკავშირენი და გულის წადილი შეისრულა. იგი დაეხმარა ათაბაგ-სულტნის შვილს ამირმირანს და მას დაუმკვიდრა ადარბადაგანი. ეს ამირმირანი დედით ბერი შვილი იყო ტოღრილ სულტნისა, სელჩუკიანთ უკანასკნელ წარმომადგენელისა. იგი რომ შემწეობის სათხოვნელად მოვიდა საქართველოში, ტოღრილი უკვე სულტანი იყო. რომ ეს გაასულტანეს თამარმა და დავითმა, სჩანს „თამარიანიდამაც“ (ტ. 101):

ჯაჭვ-ჭურთა მფქველი გამოჩნდა ქველი
და აქილევთა დაუწყო ძლებად:
მიწყივ ომითა დაუშრომითა
თურქნი განასხნა დაუყოვნებად.
მან ათაბაგსა ხვარაზმშას მდევსა
კეთილ განრჩევით სჯულთუდვა მცნებად:

კაცი ძლიერი, მხნე, მეცნიერი
შემძლე მალიქსა თვალთა ფერებად.
თვით ბრძენი სწუართა, **ძალთ მოიმართა**
მისდა დიდებად **გასულტანებად.**

ამ **გასულტანებას** ნათელს ფენს მე **63** ტაეპიც იმავე „თამარიანისა“:

მოვლნის სპარსეთი; სხვა ქმნის ასეთი:
სულტანი ნახის ცათა მცთუნარი,
იგავნი უთხრნის, მეფენი უქნის,
მათდავე სწორად მათი **ლაშქარა!**

და ამ სულტნის ნახვამდის კი (ტ. 62)

მოვლნის ქალაქნი, **ზღვისა ალაგნი,**
მოძებნის მთვარე
შიშ-ჰაერ პირი მნათობი დარი,
მოჰყვანდის ქალი საჩემო სძალი...

ლაშქრის და მეფეების ქება რად დასჭირდა, თუ არა იმად, რომ ეს 80,000 ქართველთა მხედრობა ბოლოს გამოადგებოდა ინდოთ მეფე ტარიელს ინდოთა ტახტზე დასაჯდომად და მასზე დასამაგრებლად? თუ ინდოეთში მშვიდობიანობა იყო და ინდოეთის ტახტი დაცლილი იყო, თუ ტარიელის იქ მისვლის მეტი საჭირო აღარა იყორა, ამდენი ლაშქრით გაცილება რაღად მოუნდათ? საქმეც ის არის, რომ ინდოეთიდგან გაქცეულს ტარიელს დაედო სისხლი ძლიერის ხვარაზმშას შვილისა, რომელიც მან მოჰკლა. უეჭველია, ეს მძლავრი მეფე ჯავრს ამოიყრიდა და მოხუცს ფარსადანს მიესეოდა და მის სამეფოს შეიერთებდა. ისტორიულ ცნობებითაც ასრეა: ხვარაზმშაებმა სელჩუკიანთ სამეფოები მთლათ დაიპყრეს. ტარიელი ინდოეთს ველარ ნახავდა, თუ ამ სამეფოს კანონიერ მემკვიდრეს ნესტანს, ქაჯთაგან გატაცებულს, არ იპოვნიდა, მძლავრს შემწეს არ გაიჩენდა და დიდის რიხით და ძლიერებით არ წავიდოდა ინდოეთისკენ. ეს მოახერხა მან. შეიტყო-რა, რომ ნესტანი ქაჯეთის ციხეშია დამწყვდეული, შეირჩია ისეთი დრო, რო-

დესაც ქაჯთა მეფე და მისი ლაშქარი შინ არ იყო, მცირე რაზმით დაეცა ქაჯეთის უძლეველს ციხეს, ნესტანი გამოიტაცა და წამოვიდა ჯერ ფრიდონისას და მერე ფრიდონითურთ ავთანდილისას, თვითონ შეირთო ნესტანი, ავთანდილს შერთო თინათინი და 80000 მხედრით წავიდა ინდოეთს, საცა უწინა

სცარსთა ძველი დროის რომელიმე რომანის ანუ მოთხრობის გმირი, მასაც ჩვენი მემატიანე აღნიშნავდა ამ გამოჩენილ გმირ-მიჯნურთა სიაში.

2) ქართველთა ღვთისა დავითის,
ვის მზე (თამარ) მსახურებს სარებლად,
ესე ამბავი გავლექსე
თამარს ვაქებდეთ მეფესა
მას ვაქებ, ვინცა მიქია,—
ესე მიჩნს დიდად სახელად...
მისი სახელი შეფრქვევით
ქვემორე მითქვამს, მიქია (ტ. 26).

„ქვემორე“ კი აქებს თინათინს, მაშასადამე ეს თინათინი არის თამარი, რადგან ზემოთ უკვე მიგვიწვია „თამარს ვაქებდეთ მეფესო“ და „თამარიანშიაც“ გვითხრა, „ჩახრუხაძეს ექო თამარ მეფეო“, ხოლო მისი სიმეტე თინათინი აწ მე უნდა ვაქოო, აი ეს თინათინი და არა ის თინათინი, რომ არაბეთს იყო სულადიანიო.

ვის შვენის ხმარება
შუბისა, ფარ-შიმშერისა
მეფისა **მზის** თამარისა?
მას, არა?—ვიცი, შეკადრო
შესხმა ხოტბისა ხშირისა!

ცხადია, ავქსონი აქ იგულისხმებს დავით სოსლანს, ვითარცა იმ ტაეპშიაც, საცა ამბობს: ქართველთა ღვთისა დავითის, ვის **მზე** მსახურებს და სხ.

კიდევ ვინ არიან შექებულნი? ისინი, რომელთა შესახებ მგოსანი ამბობს:

მათ სამთა გმირთა მნათობთა,
(რომელთა) სჭირთ ერთმანეთის მონება,
ტურფადცა უნდა ხსენება.

სადაურია

„აქამდის ამბად ნათქვამი,
აწ მარგალიტი წყობილი“?

ქართული იქ, საცა თინათინ-ავთანდილზეა ლაპარაკი, თურქულ-სპარსული იქ, საცა ტარიელსა და დარეჯანზეა მოთხრობა.

—

„თამარ მეფე და მისნი ისტორიკოსნი“ მიმადლებული თემაა დასაწერად დიდის გამოკვლევისა, მით უმეტეს, რომ სულ ცხრა წელიწადი-ღა წინ გვიდევს შვიდას წლის შესრულებამდე თამარ მეფის სიკვდილის დღიდამ († 18 იანვ. 1213 წ.). ჩვენ მარტო ოდენ დავსახეთ მოკლე გეგმა. დიდის თხზულების დასაწერად საჭიროა მიუდგომელი შესწავლა თანამედროვე მაჰმადიანთა, ქართველთა, ბერძენთა და სომეხთ წყაროებისა, ყველა ამ წყაროების დალაგებით გამოძიება, გამორკვევა და გამოცემა.—აუცილებლად საჭიროა, ცალკე გამოიცეს მასალები (მაჰმადიანთ ისტორიკოსების ნაწერები) შესახებ ღაზნელთ, სელჩუკიანთ სულთნებისა და ხვარაზმშაებისა და ცალკედვე ქართულ წყაროებისა შესახებ თამარ-მეფისა და მისის მშობლისა. ამ უკანასკნელს გამოცემაში უნდა შევიდეს ა) მემატიანეს მიერ მოთხრობილი ისტორია გიორგი III-ისა და თამარ მეფისა, ბ) აბდულმესიანი, გ) თამარიანი, დ) ვეფხის-ტყაოსანი, ე) თანამედროვეთა მიერ გამოცემული სიგელ-გუჯარნი და წარწერები სხვა-და-სხვა წიგნებისა, შენობებისა, ფულებისა და ვ) ლეგენდები. კლასიკური თხზულებანი (აბდულმესიანი, თამარიანი და ვეფხის ტყაოსანი) უნდა გამოიცეს სრულის ვარიანტებიდამ და ისე, რომ წვრილის ასოთი თავთავის ადგილას დაიბეჭდოს მეუნარგია-მაჩაბლის საპატიო კომისიის მიერ ყალბად მიჩნეული ტაეპები, რათა მკვლევარს შეძლება ჰქონდეს გაჩხრიკოს, ამ „ყალბ“ ტაეპებში ხომ არ არის დაცული ესა თუ ის ისტორიული ცნობა და ამბავი. ამავე გამოცემებს უნდა დაერთოს სრული ლექსიკონი არა თუ მარტო ძველ და ძნელ სიტყვებისა, არამედ ყველა სიტყვებისა და აგრეთვე ადამიანების, ქალაქების, სამეფოების, მთებისა და ზღვების სახელებიც. რაღა თქმა უნდა, რიცხვი ყველა ტაეპთაც უნდა აღნიშნული იყოს ცალკ-ცალკე. წინა თუ უკანა

სიტყვაობა ამგვარ გამოცემათათვის სრულიად საჭირო არ არის: ერთსაც და მეორესაც შეუდგენენ თავიანთ გამოცემებსა და თხზულებებს მომავალნი მკვლევარნი. სწორედ დროა, ჩვენც შევუდგეთ საქმეს, ჩვენც მოვკიდოთ ხელი ჩვენთა მამაპაპათა მიერ შეძენილ მდიდარ კულტურის შესწავლას. მრავალი ჩინებული შენაძენი დაგვეკარგა, მრავალი დაიპარეს, მრავალი შემუსრეს, მრავალს ამტვრევენ, ანგრევენ და ამ ნანგრევებში იმარხება მდიდარი წარსული. ყოველმა დიდებულმა თითო მარჩილი და ყოველმა მცირებულმა თითო უზალთუნი რომ მოაწოდოს წ. კ. საზოგადოებას, ის მაინც შეიკრიბება და შეისწავლება, რაც გადაგვრჩენია. მაშ საქმეს შევუდგეთ!

მ. ჯანაშვილი.

1902 წ. 17 სეკდ.

ცხოვრება და ღვაწლი

თ-დის გრიგოლ ორბელიანისა

XIV*)

იუბილეის დღესასწაულობით დაიწყო უკანასკნელი ათი წელი, უკანასკნელი პერიოდი ორბელიანის სიცოცხლისა. ეს უკანასკნელი მერვედი თავის ცხოვრებისა პოეტმა განატარა წარსულთა დროთ მოგონებაში. განა თუ ახალის დროებისთვის და ახალთა პირთათვის იმას დაეხშო ამ ჟამად გული და გონება, გარნა მისნი ფიქრნი უფრო იმ წასულ წელიწადებისაკენ ჰრბოდნენ, როცა, მისის სიტყვისა არ იყოს, სიცოცხლე უხაროდა და კაცი მუხთალ სოფლისაგან მოელოდა „ვინ იცის რეებსა“! წლითი წლად ეს სიცოცხლე ჰშორდებოდა მას; წლითი წლად ჰკვდებოდნენ ან მიდიოდნენ კავკასიიდამ ის პირნიც, რომელთაც აღუვსიათ თავიანთის მოქმედებითა ეს წარსული დრო. ძველთაგან დარჩნენ მარტო ის და რამდენიმე მოჰიკანნი, რომელნიც ერთად ჰგლოვდნენ წარსულსა დროს და წარმავალთა მეგობართ. ერთს თვისს სიყმაწვილის მეგობარს პოლკოვნიკს სარანდოს, რომლისაგან მოულოდნელად მოუვიდა წიგნი სიბერის დროს, პოეტი სწერს აღტაცებით:

„Мой другъ Иванъ Павловичъ! Ты живъ и еще съсемействомъ! Богу слава! И какъ я благодаренъ тебѣ за то истинное чувство радости, которое испытывалъ я при чтеніи тво-

*) იხ. „მოამბე“ № V, 1904 წ.

его письма, точно изъ того міра! И зашевелились давно похороненные въ глубинѣ моей души рои воспоминаній о быстро пролетѣвшей нашей молодости, красивой молодости съ ея надеждами на счастіе, съ ея безпечною веселостью. Тогда міръ принадлежалъ намъ; все было наше; свобода, дружба, любовь озаряли насъ своими живительными лучами и въ слѣпотѣ вѣрили, что все останется такъ неизмѣннымъ! Но эта слѣпота молодости не есть ли, быть можетъ, то истинное счастье, котораго человѣкъ ищетъ повсюду? Къ чему же ведетъ опытъ жизни, какъ не къ разочарованію, которое, охлаждая теплоту сердечную, безпощадно уничтожаетъ радужный міръ фантазій, внося въ душу сомнѣніе, невѣріе ко всему окружающему? Время разрушило алтарь вѣры и что-же теперь? Счастіе ли то, что такъ холодно въ душѣ? Радость-ли, что такъ безчувственно отношусь ко всему? Да, прошла наша молодость, о которой нельзя не сожалѣть, и съ ней все прекрасное, что освящаетъ, возвышаетъ душу, располагая ея мгновенно, безъ разсужденій, ко всему доброму, честному, ко всѣмъ великимъ подвигамъ и жертвамъ! Что же теперь, болѣе-ли жизнь стала красивою, когда изъ горькаго опыта узнали мы превратность ея, измѣняемость всего существующаго? Нѣть, но...въ смиреніи покоримся не отразимому веленію свыше и поблагодаримъ судьбу за все хорошее, за все не хорошее, доставшееся намъ въ удѣлъ...“

„მეგობარო ჩემო, ივანე პავლეს ძევ! ცოცხალი ხარ და ისიც ოჯახობითა! მადლობა ღმერთს! რა მადლობელი ვარ იმ ნამდვილის სიხარულისათვის, რომელიც შენის წერილის წაკითხვამ მაგრძნობინა. თითქოს იმ ქვეყნიდანა ყოფილიყოსო მიღებული! გაიღვიძეს ჩემის სულის სიღრმეში დამარხულთ დიდის ხნის მოგონებათ სწრაფად გამქრალ ჩვენის ლამაზ ახალგაზრდობის შესახებ, რომელსაც ბედნიერების იმედები და უზრუნველი სიხარული მუდამ თან ახლდნენ. ქვეყანა მაშინ ჩვენ გვეკუთნოდა; ყოველივე ჩვენ ხელთ იყო; თავისუფლება, მეგობრობა, სიყვარული ცხოველმყოფელს შუქსა გვფენდნენ და ჩვენც, დაბრმავებულნ, გვჯეროდა, რომ ყოველივე უცვლელად დარჩებოდა! მაგრამ, იქნება ეს ახალგაზრდობის სიბრმავეც არის ის ჭეშმარიტი ბედნიერება, რომელსაც ადამიანი დაეძებს ყველგან? რას იძლევა ცხოვრების გამოცდილება გულის გატეხვის

მეტს, რომელიც გვიციებს გულს, ჰმუსრავს და ჰსპობს იმედებით სავსე ოცნებათა ქვეყნიერებისა და სულს ეჭვსა და უნდობლობას უნერგავს ყოველსავე იმისადმი, რაც გარს გვახვევია? დროთა სვლამ სარწმუნოების საკურთხეველი დაამხო და რაღაა ახლა? ბედნიერებაა, განა, ის, რომ სული ასე გამციებია? სიხარულია ის, განა, რომ არღარასა ვგრძნობ? დიახ წარვიდა ჩვენი ახალგაზრდობა, რომლის არ დანანებაც შეუძლებელია; მას თან გაჰყვა ყოველივე მშვენივრება, რომელიც სულს გვინათლებს და გვიმაღლებს და თვალის დახუჭამებაზედ უმსჯელობოდ აყვარებს ყოველსავე კეთილსა, პატიოსანსა, ყოველსავე დიდებულს საქმესა და მეხვერპლსა! რაღაა ახლა, ცხოვრება გალამაზდა, რომ მწარე გამოცდილება, მისი უკეთილმართობა და მთლად ყველა არსის ცვლილება გაგვაცნო? არა, მაგრამ... სიმდაბლით დავემორჩილნეთ ზესთა გარდუვალს ბრძანებასა და ვმადლობდეთ ბედს ყოველისავე ავისა და კარგისათვის, რაც-კი წილად გვხვდა...“*)

ამ სიყმაწვილეს — სხვა სიხარულთან — თან-გაჰყვა ის გმირული დროც, როცა ჰქუხდა ჩვენში კავკასიის ომი. ერთ ვილაც გოდლევსკისთან მიწერილს წიგნში პოეტი იგონებს ამ დროებს:

„... Оно (ваше письмо) живо вызвало въ моей памяти все наше прошедшее, и вашу уютную квартиру, въ которой ежедневно козыряя, мыслили свободно, разсуждали громко съ тою братскою искренностью, которая не знаетъ заднихъ мыслей; напомнило и Шурочку, Шуринку, гдѣ службѣ честно приносили мы въ жертву лучшіе года нашей жизни! И гдѣ теперь тѣ товарищи, съ которыми дружба скреплена была трудною походною жизнью? Изъ нихъ многіе лежатъ непробуднымъ сномъ въ горахъ Дагестана, въ лѣсахъ Чечни, иные же разсѣялись по лицу земли. Мало осталась насъ! Эхъ, какъ мнѣ хочется обнять васъ, Кирилло Осиповичъ, который честностью и чистотою сердца такъ сильно привязывалъ меня къ себѣ!... Дѣйствительно-ли на Кавказѣ была такая ожесточенная война и были-ли мы сами участниками въ этой кровавой борьбѣ? Не пустой-ли разсказъ праздныхъ людей? Эти вопросы рождаются, невольно смотря на то глубокое, невѣроятное спокойствіе, которое

*) წიგნი 24 აპრ. 1873 წ.

царствуетъ въ Дагестанѣ и вообще на Кавказѣ. Этотъ великанъ смиренно растянулся отъ одного моря до другаго, и не знаетъ умеръ-ли онъ, спитъ-ли онъ? Безпечно бродятъ караваны пробиваются дороги въ скалахъ; желѣзные мосты переброшены надъ безднами, экипажи скачутъ въ Гунибъ; нигдѣ тѣни враждебной, нигдѣ ненависти! Не чудо-ли это?"*)

„...ცოცხლად აღმიდგინა თქვენმა წერილმა მეხსიერებაში მთლად ჩვენი წარსული დრო და თქვენი მყუდრო ბინა, სადაც ყოველ დღე ქალაქსა ვთამაშობდით ხოლმე, ვფიქრობდით თავისუფლადა და ვმსჯელობდით ხმა მაღლა იმ ძმურის გულწრფელობითა, რომელმაც დაფარული აზრი არ უწყის; მომაგონა შუროჩკაც, ზურინკაც, სადაც სამსახურს პატიოსნურადა ვწირავდით მსხვერპლად ჩვენის სიცოცხლის საუკეთესო წლებსა! მერე, სად არიან ახლა ის ავზანაგნი, რომლებთანაც მეგობრობა ძნელმა და მძიმე ლაშქრობამ გაგვიმტკიცა? ზოგნი მათგანნი სამეფოდამო ძილს მისცემიან დაღესტნის მთებსა ან ჩაჩანთა ტყეებში, სხვანი კიდევ დედამიწას მოჰფენიან ზურგზედ. ცოტანი-ღა დავრჩით! ოჰ, როგორა მსურს მოგეხვიოთ, კირილო ოსიპოვიჩ, რომლის პატიოსნება და წმინდა გულიც მუდამ ისე ძლიერად ბიბიდავდა თავისკენ!.. ნუ-თუ მართლა კავკასიაში იყო ასეთი გამწვავებული ომი და ამ სისხლის ღვრაში ჩვენ ვიღებდით თითონ მონაწილეობასა? იქნება უსაქმურ ხალხის უბრალო რამ მონათხრობიც იყოს? უნებურად მებადება ასეთი კითხვები, დღეს რომ დაღესტანსა და მთლად კავკასიაში დაუჯერებელსა და ღრმა მშვიდობიანობასა ვხედავ გამეფებულსა. მორჩილებით გადაწოლილა ეს ბუმბერაზი ერთი ზღვიდგან მეორემდისა და არარა იცი, მკვდარია თუ ხძინავს მას? ქარავნები უდარდელად მიმოდიან; უფსკრულებზე რკინის ხიდები გაუდვიათ, გუნიბს ეტლები მიჰქრიან; არსად ხსენება მტრობისა, არც სიძულვილი! ნუ თუ ეს სასწაული არ არის?"

ლანგ-თემურისაგან უძლეველი კავკასია დამორჩილდა რუსის ძლაერებას. დაღესტანი დამშვიდდა. დამშვიდდა იმ ზომამდის, რომ პლატონ იოსელიანი და გიორგი მუხრანსკი — „Это даже стыдно для Дагестана" — თავისუფლად და უშიშრად მიდიოდნენ გუნიბში*); — რომ მარჯვენა ფლანგი სტავრო-

*) წერილი 12 დეკემბ. 1871 წ.

**) წერილი ი ბარიათინსკისთან 28 იულისს 1861 წ.

პოლის გუბერნიის გაგრძელება შეიქმნა; რომ ლეკებსავით არა ერთი ხალხი არ იხდიდა ხარკს მთელს იმპერიაში.*)

წასრულ დროებზე სევდას ზედ-დაერთო ეხლა აწ-მყოზე მწუხარება. სულ ყველაფერი იცვალა პოეტის გარშემო: თავად-აზნაურობა დაემხო; ქართული წირვა-ლოცვა და გალობა შემცირდა; ძველებური კარგი ზნე და ხასიათი ქარველის კაცისა და ქალისა დაიკარგა; რუსთველის ენას ჩირქი წაეცხო; მისნი ახლო-ნათესავნი და მოგვარენი დალარიბდნენ და შემცირდნენ; მეგობრები, გულის ნაცნობნი განშორდნენ, დაიხოცნენ... სულ ყველა ამაებზე ორბელიანი ჰგოდებდა განუწყეტლად; ეს იყო მისი წერილების მუდმივი შინაარსი ათის წლის განმავლობაში, ამაებზე შესჩიოდა იგი თვისთა ნაცნობ-მეგობართა, თუ მინისტრებთა, თუ დიდ-მთავართა და ამ მწუხარებით გულში ჩავიდა იგი თვით სამარეშიაც.

მეტადრე თავად-აზნაურობაზე შეჰქმნა პოეტმა იერემიას გოდება! ეს ის თავად-აზნაურობა არ იყო, რომლის თავ-განწირულებამ დაიცვა ქრისტეანობა საქართველოში? ეს ის წოდება არ იყო, რომლის მოწოდებით რუსეთი მოვიდა კავკასიაში და რომლის შემწეობით შეიძინა იმან სხვა და სხვა დროს განჯა-ყარაბახი, შექე-შირვანი, ბაქო-ტალიში, დერბენდი და ყუბა, ერევან-ნახიჩევანი და უკანასკნელად ბათუმი და ყარსი და კასპიის იქითა მხარე? და ეხლა რა მდგომარეობაში იყო ეს წოდება? მთელი ქართლ-კახეთის თავად-აზნაურობისთვის პრიკაზის ვალში უნდა გაეყიდნათ მიწა-წყალი და დაერჩინათ უსახლ-კარო, ულუკმა პურო. საქართველო არა ერთ გზის ყოფილა აკლებული, აოხრებული მონღოლთაგან, სპარსთა და თურქთაგან, ლანგ-თემურ-შაჰ-აბაზისაგან, მაგრამ მტერი წასულა, ქართველი გამოსულა კლდის ნაპრალიდგან და თავის მიწა-წყალში ისევ გაშენებულა, ისევ მაგრად დამკვიდრებულა. ეხლა კი, მას შემდეგ, რაც საქართველო მიენდო რუსეთსა და ორმოცი წელი თავად-აზნაურობამ მის მსახურე-

*) წერილი თ. დონდუკოვ-კარსაკოვთან 1869 წ.

ბაში განვლო, სახელმწიფო ბანკს უნდა წაერთმია მისთვის ერთად ერთი სახსარი ცხოვრებისა მიწა-მამული!

„...ნეტაი შენ, დიმიტრი—სწერდა პოეტი თ. დიმიტრი ორბელიანს, ბარიათინსკის სიმამრს,—რომ ხარ მოშორებული და არ გესმის ყოვლის მხრით ამათი (თავად-აზნაურთა) კვნესა სილარიბისა გამო! მოვიდა ჩვენზე წარღვნა და არსადა სჩანს ახალი ნოეს კიდობანი, სადაცა შევაფაროთ თავი ჩვენი, არსადა სჩანს გამომხსნელი! ვითხოვეთ მილლიონი სესხად ხაზინისაგან სამის პროცენტით, როგორცა ისესხა პრიკაზმა; ეს იყო უკანასკნელი ჩვენი იმედი და ღონისძიება და მინისტრმა გვითხრა უარი. და ან მინისტრი რას დასდევს ჩვენს განწირულს მდგომარეობას და საუკუნოდ დაეცემა ჩვენი თავად-აზნაურობა, ოდესმე ბრწყინვალე თავის ისტორიულის ცხოვრებითა, რომლისა სახელი პატივის-ცემით იხსენებოდა თვით ინდოეთშიაც და რომელიცა აწცა არის ღირსი ყოვლად მოწყალისა ყურადღებისა თავის თავ-დადებით ერთგულებითა; განჰქრება ჩვენი სახსენებელი მიწისა პირით, მაგრამ მართებლობამ უნდა კი იცოდეს, რომ ჩვენს ადგილზე ღირსებით ვერ დადგებიან ვერცა სომხობა, ვერცა თათრობა და ვერცა თვით რუსობა. აქ მხოლოდ ჩვენა ვართ და უნდა ვიყვნეთ ჩვენვე, თვით მართებლობისვე სასარგებლოდ; თორემ, ვინ იცის, იქნება მოვიდეს ის დღე, რომ სანთლებით დაგვიწყონ ძებნა და ველარ გვიპოვონ გაწყალებულნი! ეს არის სამწუხარო, რომ ჩვენთან ერთად იღუპება მთლად გლეხობაცა: კახეთის ვენახები ერთიანად დაგირავებულია სომხების ხელში, ისე რომ თავის დღეში ვერ გამოვლენ ვალიდამ და ხალხი მუშაობს მხოლოდ სომხებისთვის მუქთად... მუქთად!!! განა უწინ ბატონები ასე იყვნენ საზარელნი?“*).

ამ გვარსავე სასოწარკვეთილებით სავსე წიგნს სწერდა პოეტი გრაფს ლორის-მელიქოვს, თ. მირსკის, გრაფს ვარანცოვ-დაშკოვს და სხვათა. ვარანცოვ-დაშკოვს ჰქონდა მინდობილი კელმწიფე-იმპერატორისგან ჩვენი თავად-აზნაურობის

*) წერილი 26 იანვ. 1875 წ.

ვალის გარემოების მოხსენება და ორბელიანი ისტორიულად განუმარტებდა იმას იმ მიზეზებს, რომელთაც მოიყვანეს ეს თავად-აზნაურობა ეხლანდელს მდგომარეობამდის. სხვათა შორის, ამ განმარტებაში იყო ზოგიერთი საბუთები, რომელიც გვინდოდა ჩვენ აქვე დაგვებეჭდა, მაგრამ, რადგანაც ეგევე საბუთები თითქმის სიტყვა-სიტყვით არის მოყვანილი თავ. ივანე გივის ძე ამილახვრისადმი მიწერილ წიგნში და ეს წიგნი ქართულად არის დაწერილი, ჩვენ ვარჩევთ ამ უკანასკნელ რედაქციას.

„...რა ნახეს საქართველოში, როცა პირველად მოვიდნენ რუსნი?—სწერდა პოეტი გენერალ-ლეიტენანტს თ. ამილახვარს.—იყო მეფე მომაკვდავი; იყო თავადობა; იყო პატრიარხ-ეპისკოპოზობა. ამ სამთა სოსლოვიეთა—რუსულად ვამბობ—ეჭირათ საქართველო; ესენი იყვნენ სარდლები; ესენი შეადგენდნენ მეფის კრებასა; ესენი იყვნენ მდივანბეგები, ანუ მსაჯულნი, ჰსჯულის დამაწესებელნი; უამათოდ ვერა რა განკარგულება მოხდებოდა მეფისაგან სამეფოში; ესენივე შეადგენდნენ ჯარსა.—გარდაიცვალა მეფე; გაჩნდა მანიფესტი იმპერატორისა, რომლითა საქართველო შეერთდა რუსეთსა და გამოეცხადა სხვათა-და-სხვათა მოწყალებათა შორის ესეცა, რომ ყოველივე საკუთრება შეუხებელია.

„მერე გავიდა ათი თხუთმეტი წელიწადი და გამოვიდა უქაზი, რომ მღვდელნი, ვითარცა ღვთის მსახურნი, უნდა იყვნენ თავისუფალნი თავადებისაგან. განთავისუფლდნენ მღვდელნი,—თუმცა კი მაშინაც ისევ ისე იყვნენ, როგორც ეხლა—მაგრამ მღვდლებთანა წაიღეს და დაჰსდეს საეკკლესიოდ თავადებისა ის ყმები და მამულები, რომელთა შემოსავლიდამ თავადები ინახავდნენ მღვდელთა, მგალობლებთა, დიაკვნებსა, ჯვარსა, ხატებსა და სხვათა-და-სხვათა. ათასი საჩივარი წავიდა ამაზე სენატში, მაგრამ პასუხიც არ აღირსეს.

„გავიდა კიდევ ათი თხუთმეტი წელიწადი და გამოვიდა უქაზი: „როგორ იქნება, რომ თავადთა ჰყვანდეს აზნაურნი!“ მეფე თავადსა უწყალობებდა, მის დიდ ნამსახურებისათვის,

აზნაურსა მამულითა. განთავისუფლდენ აზნაურნი და თან წაიღეს არათუ მამული, მეფისაგან აზნაურთან ნაწყალობევი, არამედ ისიცა, რაცა თავადსა მიეცა თავის მხრით აზნაურისათვის.—ამაზედაც იყო დიდი ჩივილი, მაგრამ ესეცა დარჩა უპასუხოდ.

„გავიდა კიდევ ათი, თხუტმეტი წელიწადი და გამოვიდა უქაზი: ყოველი გლეხი არის თავისუფალი და უნდა თავადებისაგან მიეცესთ მათ მიწა, და აღსრულდა ესეცა.

„და აბა ეხლა წარმოიდგინეთ რაღა უნდა დარჩენოდათ თავადებსა? და რაცა დარჩათ სულ აქა-იქ ნაწყვეტ-ნაწყვეტი მიწა, ასე რომ დიახ იშვიათსა აქვს ასი დესეტინა ერთს ალაგსა. აი, პირველი მიზეზი ჩვენისა საზოგადოდ დაცემისა. ამასთანა იყო სამოცი წელიწადი ბრძოლა და ამ ბრძოლაში ყოველთვის მსახურებდენ თავად-აზნაურნი თავ-განწირულებით. რომელი ოჯახი არის, რომ არა ჰყვანდეს რამდენნიმე დაჭრილ-დახოცილნი ომში? და რა საკვირველია, ყოველთვის პახოდობაში ყოფნა მოითხოვდა დიდს ხარჯსა. ახლა ამასთანა შეიცვალა ცხოვრებაცა და ჩვენ ახლისა ცხოვრებისათვის არ ვიყავით შემზადებულნი, ესე იგი არა გვქონდა ფული; ვიღებდით ვალსა 40 კაპეიკად; კახეთში ოლონდა ფული ესესხათ, თავადიშვილი ასს თუმანში ფეშქაშად აძლევდა ერთს ურემს ღვინოს, სარგებლის გარდა.

„აი, ჩემო ბატონო, საიდამ დაიწყო ჩვენმა გაღარიბებამ, ჩვენმა აწინდელმა მდგომარეობამ, რომელშიაცა მწუხარების მეტი აღარა სუფევს რა! ახლა, თუ მოვთვალოთ სუდები, ადვოკატები, მეჟევანიე, აპპელაციები—ძალიან შორს წავა.“*)

პოეტის მწუხარე გულს მოეცა იმედი თავად-აზნაურობის გამოხსნისა, როდესაც კავკასიის მთავარ-მმართველმა თ. დონდუკოვ-კარსკოვმა დანიშნა თითონ ის იმ კომისიის თავ-მჯდომარედ, რომელსაც უნდა გამოეკვლია, ვის რა ჰპატივებოდა პრიკაზის ვალიდამ. მაგრამ რა. ვერც ის მოეს-

*) წერილი 16 აპრ. 1881 წ.

წრო ამ სიქმის დაბოლოვებას და ვერც საქმე დაბოლოვდა ისე, როგორც იმას უნდოდა. მისი ჰაზრი იყო: ღარიბებს ჰპატიებოდათ ვალი მთლად; შუათანა შეძლების კაცებს—სანახევროდ; მდიდრებს—სულ არა. ამის მაგიერ მთავრობამ სულ ყველა მოვალებს აპატივა, რაც ემართათ, იმის ნახევარი და არავინ კი არ გაანთავისუფლა პრიკაზის ვალდებულობიდამ.

ეს მოწყალება მხოლოდ პოეტის სიკვდილის შემდეგ გამოცხადდა. და თუნდ იმის სიცოცხლეშიც გამოცხადებულიყო, გაახარებდა კი იმას ეს ამბავი? შეიძლებდა კი თავადაზნაურობა ნახევარი ვალის გადახდას? არ გაეყიდებოდა კი იმას ამ ნახევარ ვალში მისი მამულ-დედული?..

საზოგადო ბედი თავად-აზნაურობის ეწია კერძოდ ორბელიანის გვარსაც იმ ზედ-დამატებით, რომ ამ გვარში ქონებრივ სილარიბეს ზედ დაერთო სისხლის სილარიბეც,—არავინ იბადებოდა ამათ ოჯახში. ეს გარემოება დიდად და დიდად აწუხებდა პოეტს, თავის გვარის მოყვარეს, თავის დიდებულთა წინაპართა თაყვანის-მცემელს. და ყოველს ახალს უშვილოდ დასაფლავებულს მოგვარეზე, ყოველს ახალს მამა-პაპეულ ავლა-დიდების გაყიდვაზე ის იტანჯვიდა სულით-გულით. დიმიტრი ვახთანგის შვილის უძეოდ სიკვდილის შემდეგ პოეტი სწერდა ვანო ორბელიანს:

„დავმარხეთ საბრალო დიმიტრი ვახთანგის შვილი, ორბელიანი, ქაშუეთის ეკკლესიაში და ამოწყდა ამის სახლიცა. ოჰ, ღმერთო, რა საშინლად ჰქრება ჩვენი ვეება ოჯახი, რომელზედაცა ჰსჩანს ცხადად ზეგარდმო რისხვა! სარდლიანთ ოჯახიდამ არის მხოლოდ უშვილო ივანე; ასლანის ოჯახი გაჰქრა, როგორცა ამოვარდა გიორგის ოჯახი; იოსების სახლიდამ დარჩით გიგო, შენ და სანდრო, სამნივე ჭანები, უშვილონი; სოსიკოს სახლში ჰსდგას პოლოზოვი, სამარაღდონის სახლში საგინოვი; ალექსანდრეს ადგილს—აბონიანცი, ძაღლი და მამაძაღლი; ჩვენ სამთა ძმეთაგან დაგვრჩა მხოლოდ ერთი გიორგი!! არის ქაჩალი კოტე, ვალში დაღუპული და მასთან ერთად დაღუპილივე პაიკი საშა! ჩვენ ყაფლანიანნი

ვილუპებით, მაგრამ არცა სხვანი ბედნიერობენ; მოგვდევენ დიდად გაჩქარებული სოლოლაანნი, ბარათაანნი, ერისთავნი, აბაშიძიანნი, თარხნიანნი, ჭავჭავაძიანნი, ვაჩნაძიანნი და სხვანიცა და დიდად სცდილობენ, რომელი მათგანი უფრო მალე-დაილუპება!"*)

ესრეთსავე „შავად მღელვარე" ფიქრს უნაწილებდა პოეტი თავის ძალუა სოფიოს ყაფლან ორბელიანის სიკვდილის შემდეგ.

„დიდი ხანია ველარ მოგწერე და ან რა მომეწერა გულით ღრმად შეწუხებულსა, ვხედავ რა ჩვენის ოჯახის ესრეთ გაწყალებასა, ესრეთ გაოხრებასა! ვიყურები აქეთ-იქით და აღარა მყავს ვინმე, რომ გავსცე ხმა; ჩემს ქუჩაში უცნობი შევიქენ სხვათათვის! იმოდენა ოჯახიდამ მყვანდა ერთი-ღა ბიძაშვილი სიყრმიდგანვე თანშეზდილი, საყვარელი ყაფლან და ისიცა დავმარხე! ვაი ჩვენს ოჯახსა, ასე უწყალოდ დაცემულსა! რა შეცოდება ჰქონია წინაშე ღვთისა, რომ ასე საშინლად ისჯება ჩვენი გვარი, გულით მართალი, შემბრალებელი, გონებიანი, ვაჟ-კაცობიანი, მოყვარე ნათესავებისა და ერთგული მეგობრებისა, მამულისათვის ყოველს დროს თავ-დადებული! ვინ არ იზრდებოდენ ჩვენს ოჯახში, ჩვენს ქუჩაში? ანდრონიკაანნი, ჩოლოყაანნი, მაჩაბლიანნი, თარხნიანნი, მუხრანიანნი! ესენი ყოველივე მე თვით მინახავს; მახსოვს, რაოდენნი შენატროდენ ჩვენს ქუჩასა და ახლა, ღმერთო ჩემო, მე ისევ ვარ და სახსენებელი ჩვენის ოჯახისა განჰქრა, ვითარცა სიზმარი! ჩვენს ქუჩაში, ჩემის ბიძაშვილების მაგიერ, ჩამოეთესლნენ პოლოზოვები, აბოვიანცები! ფიტარეთი, ჩვენის მამა-პაპების სასაფლავო, უფალს თაიროვს გაუხდია ცხვრების ფარეხად!! ჩემის სიბერის უკანასკნელთა დღეთა მიმწარებს ესე განუშორებელი ფიქრი ჩვენის ოჯახისათვის."**)

დაკვირვებამ და ფიქრმა სასო-წარკვეთილებაში მიიყვანეს პოეტი,—იმას სულ მთლად მოესპო იმედი ორბელიანების გვა-

---

*) წერილი 29 იანვ. 1882 წ.

**) წერილი 24 აგვ. 1878 წ.

რის წარმატებისა. გარდაცვალების წინა-წელს ის სწერდა რევაზ ერისთავს:

„არა, ჩემო რევაზ, სულ ტყუილია ჩვენი მეცადინეობაცა, ჩვენი სურვილიცა. ცხადად სჩანს რისხვა ღვთისა ჩვენზედა მოვლენილი და ვილუპებით! აღარავინ გვებადება, აღარავინ გვეზდება; ხმა საიდუმლო მესმის: „აქამდის იცოცხლეთ, კმარა, გეყოფათ, აიყარენით?..“*)

თავად-აზნაურობასთან ერთსა და იმავე ტაფაში იწვოდა საზოგადოდ მთელი საქართველო. ყოველგან სიღარიბე, ყოველგან მწუხარება, ყოველგან უიმედობა, უკაცობა. „ცხენი არა, ხმალი არა, ვაჟკაცობა არა.“ ენა შეგინებული; მწერლობა, გარყვნილი; ეკკლესია დაცარიელებული. ჯერ ისევ ბნელოდა დიდად, დიდად ბნელოდა საქართველოში და იმედის შარავანდედი კი არსაიდამ სჩანდა.—აი რა ჰაზრისა იყო ჰასაკისა და გარემოებისაგან პესიმისტად გამხდარი მოხუცი პოეტი...

ხშირი საჩივარი ისმის პოეტის წიგნებში განსაკუთრებით თბილისის სასულიერო სემინარიის საქმეებზე. ეს სემინარია არის დაწესებული საქართველოს დედა-ქალაქში 1817-წ. იმ განზრახვით, რომ იქ ასწავლონ ყმაწვილ-კაცებს ყველა ის საგნები, რომელთ ცოდნა საჭირო არის საქართველოს ეკკლესიებში მოსამსახურე მღვდელთათვის. დაარსებიდანვე—სასწავლებლის მთავრობა და საქართველოს ექსარხოსები, თანახმად ამ დანიშნულებისა, ასწავლიდენ აქ ქართულს სამღვთო და საეკკლესიო წიგნებს, სამღვთო ისტორიას, სასულიერო მწერლობას, წირვის წესს, გალობას და სხ.—მაგრამ დრონი იცვალნენ და სასულიერო მთავრობამაც შესცვალა თვისი აზრი ამ სასწავლებლის დანიშნულებაზე. ერთმა უბრალო შემთხვევამ—ვიღაც შეგირდის დღიურში ნაპოვნმა ლიბერალურმა მსჯელობამ სწავლა-განათლებაზე დაარწმუნა ამ სემინარიის იმ დროინდელი ინსპეკტორი, ნეტარ-ხსენებული კუვშინსკი (თბილისის სემინარიის ისტორიიდამ ამ კაცის სახელი არ უნდა

*) წერილი 8 იანვ. 1882 წ.

ამოიშალოს) და შემდეგ სხვანიცა ამ სასწავლებლის მეუფროსენი, რომ სემინარიის შეგირდნი ღვთის მსახურების მაგიერ სწავლობდენ იქ პოლიტიკურს ორგულობას... და რადგანაც პოლიტიკური მოსაზრება ყველა მოსახრებაზე უფრო უდიდესია, იმათაც „ივიწყეს მცირე ჟამს“ თვისი პირდაპირი მოვალეობა, დახდნენ პოლიტიკის დაუპატიჟებელნი აგენტნი და დაუწყეს დევნა ქართულ წიგნებსაც, ქართულ წერა-კითხვასაც, ქართულ გალობასაც, დარიცხეს მრავალი შეგირდები სასწავლებლიდამ, დაითხოვეს ქართველი მასწავლებლები და უგუნურად, უაზროდ გამოიცხადეს, დაბადეს ერთბაშად თვით სემინარიაში ორი პარტია—რუსისა და ქართველების. ამ სტრიქონების მწერალი იყო იმ დროს სემინარიის მოსწავლედ და კარგად ახსოვს, რა საშინელი გავლენა იქონია შეგირდებზე უსაფუძვლო ცილის წამებამ და დევნამ, რა გვარად შეაწუხა ისინი პროკურორის, ჟანდარმის და პოლიციის დანახვამ სემინარიის ბალკონებზე...

ეს იყო 1873-ს. ქართული ენის დევნამ მიაღწია ამ წელს უმაღლესს ხარისხამდე... თუმცა იმის სწავლება შემცირდა სემინარიაში უფრო ადრე, ერთის წლის წინად. ამ დროს სემინარიაში შემოიღეს ლათინურისა და ბერძნული ენის სწავლება და ამათთვის საჭირო სასწავლო საათები ჩამოაკლეს ქართული ენის გაკვეთილებს. ჩვენს ენას არავინ გამოუჩნდა მოსარჩლედ, როდესაც ამ საგანზე მსჯელობა იყო სასულიერო მთავრობაში და მხოლოდ მაშინ, როდესაც ახალი წეს-წყობა დამტკიცდა უწმიდესს სინოდში და განზრახვა ასრულებაში მოიყვანეს, თბილისის სამღვდელოება შეჰკრბა და საქმის გარემოება მოახსენა გრ. ორბელიანს, რომ ის გამოსარჩლებოდა სამშობლო ენას. პოეტმა როგორც ენის სიყვარულით, ისე რელიგიურის გრძნობით მხურვალე მონაწილეობა მიიღო ამ საქმეში, მოახსენა ამბავი მთავარ-მართებელს და საქმეს უეჰველ ეშველებოდა რამე, რომ შემდეგს წელში არ წამოწეოდა ის გარემოება, რომელზედაც ზემოთ ვამბობთ. ყური დაუგდეთ თითონ პოეტის სიტყვებს:

„ჩემო საყვარელო რძალო სოფიო! იყო კაცი და სახელი მისი—არ ვიცი *)—მოვლინებული ამ ზაფხულს სინოდით რევიზორად თბილისის სემინარიისა. რა ნახა და ანუ რა არა ნახა, რა მოგახსენო, მხოლოდ ეს კი ვიცი, რომ, როდესაც ლრმასა მაღალ-გონიერების ქვაბში დაადნეს სემინარიის საქმენი, გამოვიდა ბოლოს ესე, რომ მმართებლობისა მოუწყეტელმა მზრუნველობამ აღიყვანა განათლება და კეთილ-დღეობა საქართველოსი ისეთს მაღალს ხარისხზე, რომ ამას იქით ქართველის მღვდელისათვის საქართველოში აღარ არის საჭირო ცოდნა ქართულის ენისა, ესე იგი, აღარ უნდა ილოცონ ქართველებმა ქართულს ენაზე, რომლისა სწავლა ამას იქით იქნება მხოლოდ უსარგებლოდ დაკარგვა დროჟისა; მაშასადამე სემინარიაში უნდა მოისპოს სწავლა ქართულის ენისა, რომელსა ამასთანავე არცა ჰქონია მდიდარი ლიტერატურა. ასე არჩიეს ამ ზაფხულსა არქიერმა, რევიზორმა და მეტადრე ერთმა ქართველმა მღვდელმა, რომელმანცა თავ-გამოდებით, გულს-მოდგინებით და დიდის მჭერ-მეტყველობით რჩევაში დაამტკიცა, თუ ვითარს წარმატებაში და ბედნიერებაში შევა საქართველო, როდესაც ქვეყანაზე განჰქრება სახსენებელი ქართულის ენისა!—ჯერაც ცოცხალია ქვეყანაზე გამცემელი იუდა. ამა გულის-სალახვრო ამბავმა დაგვაწყებინა ყაყანი; ველიკის კნიაზსაც დიდად ეწყინა ესრეთი სინოდისა და არქიერისაგან განკარგულება, რომელიცა შეეხება აქაურსა მხარესა; თვითცა აპირებს მოშავალს თვეს პეტერბურღში წასვლასა და იმედი გვაქვს, რომ დაბრმაებულის სამღვდელოს პლანსა ჩააშლევინებს ველიკი კნიაზი. საქართველოში ურიები, თათრები, სომხები, ლოტრანები ილოცვენ თავიანთს ენაზე და არავინ არის დამშლელი მათი; თვით ფრანგებიც კი ქართულს ენაზე ჰგალობენ და მხოლოდ ქართველებს უნდა მოესპოთ ქართულს ენაზე ლოცვა? რათა? აქ ხომ ჰაზრი არ არის, თუ არ დაჩლუნგება, დაჟანგება გონებისა? და ან საქართველოსა ერთგულების მეტი რა დაუშავებია, რომ ესოდენ-

*) კერსკი.

თა სხვა-და-სხვა ხალხთა შორის მარტო ქართველები ამოურ-ჩევიათ დასაჩაგრავად? აი საქართველოს ბედი: მოვა ვინმე, თუ გინდა რევიზორი, თუ გინდა კარპეკო, გადაავლებს თვალსა აქაურობას და მაშინვე პლანი მზად არის ჩვენის ბედნიერებისა და განათლებისათვის! ამაზე მეტი რაღა გვინდა“ *).

მეორეს წერილში თ. ლევან მელიქოვთან პოეტი ყვედრებით ამბობს ამავე საგანზე:

„... ანუ რა სიკეთე წარმოსდგება აქედამ? თუ გარუსებას სცდილობენ, ბრმანი ხომ არ არიან, რომ რუსებზე ჩვენ უფრო რუსები ვართ; თუ მართლ-მადიდებლობისათვის იღვწიან, აი ურიები, თათრები, სომხები და სხვანი; მაგრამ უსამართლოება და ძალადობა მარადის ჰბადვენ უსიამოვნებასა, ყვედრებასა, წყევასა და თვით ორგულებასაცა. მიკვირს, რას უჩუხ-ჩუხებენ ამ საბრალოს, მორჩილს, კეთილსა და ერთგულს ერ-სა? სამწუხაროა, კნიაზო ლევან; რომელს საუკუნეში ვჰსცხოვრებთ?“**).

ი. მეუნარგია.

---

*) წერილი 1872 წ.

**) წერილი 25 ოკდ. 1872 წ.

ხალხი სწავლა-განათლება

დანიაში

სწორედ ეხლა, როდესაც ჟურნალ-გაზეთებს ყოველ დღე მოაქვთ ახალ-ახალი მაგალითები იაპონელების კულტურისა, იმათი შეუდარებელი კეთილშობილებისა, იმათი ღრმა განათლებისა—სწორედ ეხლა შესაფერად მიგვაჩნია, კიდევ ერთი მაგალითი მოვიყვანოთ იმისი, თუ რამდენი შეუძლია ხალხის სწავლა-განათლებას ხალხის ცხოვრების გაუმჯობესებისათვის, და რამდენათ საჭიროა იგი ხალხის ბედნიერებისათვის.

არავითარი პოლიტიკური ცვლილება, არავითარი ხელსაყრელი გარემოება ვერ იმოქმედებს ისე ხალხის ცხოვრებაზედ, როგორც ხალხის კულტურის ამაღლება; თუმცა ისიც მართალია, რომ ამისთანა კულტურულ ზრდას შესაფერი პოლიტიკურ-სოციალური ატმოსფერაც სჭირია: ხალხს უნდა ჰქონდეს მიზანი ამ განათლებისა და ფართო გზა თავისი ცოდნის და ნიჭის გამოჩენისათვის, რაც შეუძლებელია იმისთანა ხალხისათვის, რომელსაც არაფერი ეკითხება თავისი ქვეყნის ცხოვრება-გარემოებისა...

იაპონიამ მხოლოდ განათლების წყალობით მიაღწია საზადოებრივ ზნეობის იმ მაღალ წერტილამდე, როდესაც ადამიანი საერთო საჭიროებისათვის, საერთო სარგებლობისათვის თავის პირადობას ივიწყებს და თავის ქონებას და სიცოცხლესაც კი სწირავს, სრულ თავის ნებით და შეგნებითა.

იაბონიის მაგალითი იმას ამტკიცებს, რომ თავის მლიერებას ერი კულტურულ განვითარებაში უნდა ეშოველებდეს. იმ ერს, რომელსაც სურს იცოცხლოს და თავისი კვალი მსოფლიო ისტორიაში დაამჩნიოს, პირველ და უკანასკნელ მცნებად უნდა მიაჩნდეს სწავლის საჭიროება არა მარტო „ინტელიგენტთა“ და შეძლებულ კლასებისათვის, არამედ მთელ ხალხისთვის, წოდებისდა შეძლების განურჩევლად.

ასეთი ცალმხრივი (ესე იგი მხოლოდ შეძლებულ კლასთა) სწავლა კიდევ უფრო ღრმა უფსკრულს სთხრის ერის სხვა და სხვა ნაწილთა შორის: „ინტელიგენტთ“ არ ესმით „ხალხისა“, და „ხალხი“ ერიდება და სიძულვილით უყურებს განათლებულს ნაწილს ერისას.

ამისთანა ცალმხრივობამ დაბადა ის სამწუხრო გარემოება, რომელმაც ჩვენშიც იჩინა თავი, და ხელი მოუმართა ზოგიერთ პირებს განხეთქილება ჩამოეგდოთ „ხალხის“ და იმ რამოდენიმე ათეულ განათლებულ პირებს შორის, რომელიც ჩვენში მოიპოვება.

ეს პირნი განზრახ ცდილობენ ჩააგონონ ხალხს, რომ ჩვენის ერის ის განათლებული ნაწილი, რომელიც ამ „ხალხის ვითომდა მეგობრების აზრს ვერ ემხრობა და ხალხის ბედნიერების და კეთილდღეობის მოსაპოვებლად სხვა წყაროს და საშუალებათა ხედავს—ვითომ ეს ნაწილი „ხალხის“ მტერი უნდა იყვეს; ხშირად მიწასთან ასწორებენ ისეთ პირებსაც კი, რომელთ დიდი ღვაწლი და შრომა მიუძღვით ჩვენი ერის წინაშე და რომელთ თვისი სიცოცხლის საუკეთესო დღენი ამ ერის კეთილდღეობის ფიქრში და ზრუნვაში დაულევიათ.

„ვინც ჩვენთან არ არის, ის ჩვენი წინააღმდეგიაო“, გაიძახიან ისინი, და არაფერს საშუალებას არ ერიდებიან, რომ დაამხონ და ლაფი დაასხან „ხალხის“ თვალში ყველა მას, ვისაც მხოლოდ ის ცოდვა მიუძღვის, რომ თავისებური შეხედულობა და იდეალი აქვს ცხოვრებისა, თუნდ ეს იდეალი თავისი ერის წარმატება და ბედნიერებაც იყოს.

რასაკვირველია, მრავალ რიცხვოვან ხალხებს, როგორიც არიან რუსები, ფრანგები, გერმანელები, არც კი შეეტყობათ, რომ რამოდენიმე ასი ადამიანი გამოაკლდეს მათ, ან და რუსად, ფრანგად ან გერმანელად არ მიიმჩნიოს თავი.

იმისთანა პატარა ერს კი, როგორიც ჩვენა ვართ, ისიც ეყოფა, რომ ყოველწლივ რამოდენიმე ათეული ეროვნულ გადაგვარების გზას ადგება და ოჯახს ელფერს უცვლის; ისიც ეყოფა, რომ ყოველი მხრიდან მის თვითცნობიერებას, მის ეროვნულ პირადობას ძირი ეთხრება.—რა საჭიროა კიდევ ერთმანერთს შორის შურის და მტრობის ჩამოგდება, რა საჭიროა საერთო ძალის და საზოგადოებრივი ინსტინქტის შესუსტება, როდესაც ეს ძალა და ინსტინქტი ისედაც სუსტია, რა საჭიროა თავს ლაფის გადასხმა იმ პირებზედ, რომელთ არავითარი დანაშაული არ მიუძღვით საზოგადოების წინაშე იმის გარდა, რომ თავისი ნიჭის და ცოდნის დაგვარად ისინი მიისწრაფებოდნენ და ზრუნავდნენ თვისი ერის სარგებლობისა და კეთილდღეობისათვის.

ჩვენში ყოველ კაცს ორჯერ უფრო მეტი ფასი აქვს და საჭიროა თავის სამშობლოსათვის, როგორც ადამიანი და როგორც ქართველი და ამისათვის ყოველმა ჩვენგანმა ეს ორივე გრძნობა—ადამიანობისა და ეროვნებისა—უნდა უმაღლესს წერტილამდე განავითაროს. მხოლოდ ამ საშუალებით შეებრძოლება მტერს ეხლანდელი ქართველი და მხოლოდ ამითი გაიტანს ბურთს ეხლანდელ ცხოვრების მოედანზედ.

აი, რამოდენიმე წელიწადია, რაც ჩვენ თვალს ვადევნებთ ზემოხსენებულ გულის გასაგმირავს, უაზროს და ყოვლად მავნებელ ბრძოლას, ვხედავთ ყოველივე პრინციპების უკუგდებას, გარდა ერთისა—„მტრის წინააღმდეგ ყოველივე საშუალება კარგია“.

ამიტომაც ვასარგებლობთ შემთხვევით, რომ ვაჩვენოთ ჩვენს ხალხს, როგორი უნდა იყვნენ და როგორი არიან ხალხის ნამდვილი და არა პირმოთნე მეგობრები, ვაჩვენოთ მაგალითი მთელი ერის **საერთო** მოქმედებისა თვისი ბედნიერების

მოსაპოვებლად, და ბრწყინვალე შედეგი ამისთანა საერთო შრომის და ცდისა. ჩვენ საგნად გვაქვს ვუჩვნოთ ის საშუალებანი, რომელნიც უახლოვებენ ერთმანერთს „ხალხს“ და ეგრედ წოდებულ „ინტელიგენციას“.

სხვა-და-სხვა ჟურნალში ჩვენ ვიპოვნეთ საინტერესო ცნობებში პატარა, მაგრამ დიდად განათლებული დანიის ხალხის კულტურის ახალ ისტორიიდან, და გვინდა გავაცნოთ იგი მკითხველს. დანია ხალხის განათლების მხრით ყველა ევროპიელ ხალხებზედ მაღლა დგას, და სამაგალითო არის არა მარტო ჩვენისთანა პატარა და ჩამორჩენილ ერისათვის, უფრო განათლებულისათვისაც კი.

დანიაში გლეხობა ბატონყმობისაგან განთავისუფლებულ იქმნა 1788 წ. 1814 წ. გამოვიდა კანონი, რომელმაც დაუდო საძირკველი პირველ დაწყებით სკოლებსა.

მაგრამ მხოლოდ 1849 წ., როდესაც დანიაში დამყარდა კონსტიტუცია და მთელმა ერმა მიიღო მონაწილეობა თავის ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში,—მხოლოდ მაშინ იწყება ნამდვილი და შეგნებული მისწრაფება ყველა წოდებათა შორის განათლებისადმი.

1849 წ. აქეთ დეპუტატთა პალატა სულ მთლიანად და სენატის ორი-მეხუთედი ირჩევა საყოველთაო არჩევნებით, ხალხი იღებს მონაწილეობას თავის ქვეყნის სვე-ბედის ჭედვაში, და მასში იღვიძებს სურვილი ამისთვის საჭირო ცოდნა და განათლება შეიძინოს.

ხალხის ასეთ გონების განვითარებას და გაღვიძებას შეუწყო ხელი კიდევ ერთმა გარემოებამ, რომელმაც უნდა შეიტყვას ჩვენი განსაკუთრებითი ყურადღება—ეს გარემოება არის პატრიოტული გრძნობა.

1864 წლამდე შლეზვიგი შეადგენდა დანიის ნაწილსა, და ამ პროვინციის მცხოვრებნი ზოგნი დანიურ ენას ლაპარაკობდნენ, ზოგნი კი გერმანულს. დაბალ სკოლებში სწავლა სწარმოებდა დანიურ ენაზედ, საშუალო და უმაღლესს სასწავლებელში კი გერმანულზედ.

როდესაც კონსტიტუციონალურმა წეს-წყობილებამ მოითხოვა მთელი ხალხის მონაწილეობა დანიის საქმეების გამგეობაში, მაშინ ცხადად გამოჩნდა ის დიდი განსხვავება, რომელიც სუფევდა შლეზვიგის განათლებულ გერმანულ და გაუნათლებელ დანიელ მცხოვრებთა შორის. დანიელი ინტელიგენცია მიხვდა, რომ მხოლოდ სკოლებს შეუძლია აღამაღლოს დანიის ხალხი იმ ზომამდე, რომ მას შეეძლოს გერმანულ კულტურას გვერდში ამოუდგეს და ამასთან თავისი ნაციონალური პირადობა არ დაჰკარგოს.

დანიის ჟურნალ-გაზეთობა და საზოგადო მოღვაწენი—პატრიოტები ხალხის განათლება-განვითარებაში საკუთარ ენაზედ ხედავდნენ საშუალებას დანიელთა გერმანიზაციის წინააღმდეგ. დანიელ მოღვაწეთა შორის პირველი ადგილი უჭირავს მეტად ნიჭიერს პოეტს გრუნთვიგს, რომელმაც გამოიკვლია გზა ამ მიზნის მისაღწევად.

გრუნთვიგს მხოლოდ პატრიოტული—გერმანიზაციის წინააღმდეგ მიმართული—მიზანი არ ჰქონდა; მას სურდა განათლების წყარო ეპოვნა მთელი დანიის ერისათვის, ეჩვენებინა მისთვის კეთილშობილური ცხოვრების და ნამდვილი ბედნიერების წყარო. ჩვენ მერე ვიტყვით, თუ როგორ გამოიყენეს გრუნთვიგის აზრები გერმანიზაციის მოწინააღმდეგეებმა თავის მიზნის მისაღწევად; ეხლა კი ცოტა ხანს გავჩერდებით ამ შესანიშნავ პირზედ, რომელმაც განათლების ერა დაამყარა დანიაში და მტკიცე საძირკველი დაუდო დანიის ხალხის სწავლა-განათლების საქმეს, რომლითაც ისე საფუძვლიანად თავი მიაქვთ დანიელთ ყველა ევროპიელ ხალხების წინაშე.

გრუნთვიგის ძირითადი აზრი ის იყო, რომ პირველ დაწყებითი სკოლები არ კმარა ხალხისათვის: პირველ დაწყებით სკოლებში სწავლობენ ბავშვები, და ბავშვების გონება ვერ შეითვისებს იმ ღრმა აზრებს და განვითარებას, რომელიც საჭიროა დიდი ადამიანისათვის. ასეთს ღრმა აზრებს ბავშვების ნორჩი გონება გონება ვერ მოერევა.

გრუნთვიგის ფიქრით, საჭიროა ისეთ სკოლების დაფუძნება, საცა დიდების გონება განვითარდება; ისეთი სკოლების, რომელიც გლეხობას გაუღვიძებს ადამიანურს გრძნობებს, მუშაობის სიყვარულს, ღრმა და ნამდვილს სარწმუნოებრივ მიმართულებას, იდეალურს მისწრაფებას, და მის ცხოვრებას, მის შრომას და სიყვარულის გრძნობას, მიზანს და ელფერს მისცემს.

ამ აზრებით გამსჭვალულმა გრუნთვიგმა დასწერა წიგნი ამ სათაურით: „მოზრდილ გლეხთათვის სკოლის დაფუძნების ცდა“.

ამ წიგნაკში გრუნდთვიგი ამტკიცებდა, რომ უნივერსიტეტები უფრო აშორებენ განათლებულ ნაწილს გაუნათლებელ გლეხობისაგან, და მთელი ერის განათლების მიზანს ვერ ემსახურებიან. მთელი ერის გონებრივად გაღვიძებისათვის არის საჭირო სკოლა, დამყარებული საერო, ნაციონალურ ნიადაგზედ. გრუნდთვიგი თავის აზრს ამყარებდა იმაზედ, რომ მისი შეხედულობით ყოველ ხალხს აქვს თავისებური ხასიათი და შეხედულობა ცხოვრებაზედ და ქვეყნიერებაზედ, და ეს ხასიათი, ეს შეხედულობა ღრმად განირჩევა სხვა ხალხის ხასიათის, ზნის, ჩვეულებების და შეხედულობისგან. ამიტომაც გრუნდთვიგმა თავის სკოლის პროგრამმაში დაუთმო პირველი ალაგი სამშობლო ენას, რომელიც არის ერის სული. ენის ცოდნას და შესწავლას ის ეძახის არა მარტო გრამატიკის ფორმების ცოდნას, არამედ სიტყვიერად და წერაში სამშობლო ენის ლიტერატურულად ხმარებას, სამშობლო ლიტერატურის საუკეთესო წარმომადგენელთა ღრმა შესწავლას, აგრეთვე სახალხო გადმოცემათა, ლექსთა და ზღაპრების გაცნობას და შესწავლას. სამშობლო ძველებურ მითოლოგიასაც და ისტორიასაც გრუნდთვიგი დიდ ადგილს უთმობს სასკოლო პროგრამმაში, რადგან, მისი აზრით, ვინც თავისი ხალხის წარსული იცის, მხოლოდ ის ის შეიძლებს მის აწმყოს გაგებას და მის მომავალ ბედის შეგნებას.

წარსულის შესწავლას გრუნდთვიგი გვერდში უყენებს აწმყოს შესწავლას, ესე იგი სამშობლო ქვეყნის ეკონომიურ განვითარების გაცნობას, და ამისათვის საჭიროდ სცნობს, რომ განათლებულმა პირებმა კარგად შეისწავლონ თავისი ქვეყნის ვითარება, დაიარონ მისი ყოველი კუთხე, პირადად გაიცნონ მრეწველობის სხვა და სხვა დარგის განვითარების საქმე სამშობლო ქვეყანაში, და მერე გააცნონ იგი ლექციების სიშუალეებით ხალხსა.

თავის სახელმწიფო კანონების შესწავლის საჭიროებაც იყო გრუნდთვიგის სკოლის პროგრამაში.

ამასთან ყოველივე ეს სწავლა უნდა ყოფილიყო სიტყვის საშუალებით, რადგან წიგნებით სწავლაზედ გრუნდთვიგი დიდს უპირატესობას აძლევდა ცოცხალის სიტყვით გადმოცემას.

თვითონ გრუნდთვიგს არ დაუარსებია არც ერთი სკოლა ამ ტიპისა, მაგრამ მისმა კეთილმა აზრებმა საჭირო ნიადაგი ჰპოვეს დანიაში და შესანიშნავი მოსავალიც მოუტანეს მის სამშობლო ქვეყანას. მისი იდეალების ამსრულებელი სხვები იყვნენ, მაგრამ მთელ თვის სიცოცხლეში გრუნდვიგი სიტყვით თუ საქმით ეხმარებოდა მათ ასეთ სკოლების დაფუძნებაში; და — პირველი სკოლა, რომელიც დაარსდა დანიაში გრუნდთვიგის აზრის განსახორციელებლად, იყო სკოლა კუნძულ ფიონიაზედ ქრისტიან კოლდის თაოსნობით. კოლდი ჩამომავლობით გლეხი იყო, პედაგოგიურ სემინარიაში კურს დამთავრებული. შესანიშნავი ენერგიის და აგრეთვე პედაგოგიურ ნიჭის პატრონმა კოლდმა გრუნდთვიგის თეორიული შეხედულობანი სისრულეში მოიყვანა, და ამასთან დაწვრილებით გამოარკვია პროგრამმა და ხასიათი სახალხო უმაღლესს სკოლისა.

უმთავრესს პუნკტებში დანიის ეხლანდელ უმაღლესი სახალხო სკოლები ისევ კოლდის ტიპს ეთანხმებიან.

მან დააარსა სკოლა, სადაც სწავლას იღებდნენ ზამთარში ვაჟები. და ზაფხულობით კი—ქალები. ამ სკოლაში მოწაფეები სცხოვრობდნენ ორი წლის განმავლობაში (გარდა ზაფხულისა, როდესაც ყველა გლეხები სამეურნეო საქმეს უნდებიან);

ცხოვრობდნენ სრულ ერთობაში თავის აღმზრდელ-მასწავლებელთან, რომელიც, როგორც უფროსი და მცოდნე ამხანაგი, ისე ეხმარებოდა ცოდნის შეძენაში და უხსნიდა მათთვის გაუგებარს. მასწავლებლის ცხოვრება არაფრით ირჩეოდა მოწაფეების ცხოვრებიდან, და მუდმივს ერთობას ასეთ განათლებულ, ღრმად პატიოსანის და მაღალ აზრების პატრონთან, როგორიც იყო კოლდი, რასაკვირველია, დიდი გავლენა და მნიშვნელობა ჰქონდა მოწაფეებისათვის.

კოლდი თავის მაგალითით, თავის კეთილშობილურ მოქმედებით სავსე ცხოვრებით, თავის მჭევრმეტყველ ნიჭით უნერგავდა მოწაფეებს მაღალ გრძნობებს და იმ აზრს, რომ ყოველთვის სიმართლეა ბოროტების მძლეველი. ამ აზრს ის სდებდა სარჩულად მაშინაც, როცა ქვეყნიერების ისტორიის მოვლენებს უხსნიდა თავის მსმენელთ, ან ცხოვრების ამა თუ იმ ფაქტის შესახებ ებაასებოდა მათ.

ამის გარდა კოლოდმა დააარსა სკოლასთან მასწავლებელთა კრებები, საცა უმაღლესის სკოლის იდები და მოქმედება ირჩეოდა.

სწავლის ფასი კოლდის სკოლაში იმდენად მცირე იყო —30 მანეთი 5—6 თვის სწავლაში,—და ამასთან ამ ფასის გადახდაც ისეთ შეღავათიან პირობებით იყო (5—10—20 წლის განმავლობაში შეიძლებოდა ცოტ-ცოტად ამ ფულის შეტანა,) რომ ამის გამო სკოლა ღარიბთათვისაც ხელმისაწვდომი იყო.

კოლდის სკოლის პროგრამმას ჩვენ არ შევეხებით, რადგან ის იყო თითქმის ისეთი, როგორც გრუნდთვიგის ზე-მოხსენებულ წიგნაკში იყო გამორკვეული, ცოტაოდენ განსხვავებით. ამავე პროგრამმას, რასაკვირველია, გაფართოებულს და დასრულებულს ჩვენ შევხვდებით ქვეით, როცა თანამედროვე დანიის უმაღლესის სკოლების პროგრამმას განვიხილავთ.

ეხლა კი მეტად საინტერესო სკოლას შევეხებით, რომელიც დაარსდა 1843 წ., რედდინგში, შლეზვიგის პროვინციაში, სადაც მეტად გამწვავებული იყო მაშინ ბრძოლა გერმანულ და დანიელ გავლენათა შორის.

ამ სკოლის დაარსებაში ახლობელი მონაწილეობა მიიღო თვით გრუნდთვიგმა. სკოლას, ხალხის განათლებასთან ერთად სხვა მიზანიც ჰქონდა: ის უნდა ყოფილიყო შლეზვიგში დანიელების იარაღი გერმანულ კულტურის და გავლენის წინააღმდეგ.

კილის (შლეზვიგის უმთავრესი ქალაქის) უნივერსიტეტის პროფესორი ფესსოორი გახდა ამ სკოლის გამგედ. პირველ ხანებში სკოლას ცოტა მოსწავლეები ჰყავდა—ოცდა-ოთამდე მეტი არა.

სკოლის გახსნის დღეს გამგემ წარმოსთქვა შემდეგი სიტყვა, რომელშიც იხატებოდა მთავარი აზრი სკოლის დაფუძნებისა: „უმაღლესი სკოლის მიზანი—მამულისადმი სიყვარულის აღძვრაა, სამშობლო ენის და სამშობლო ისტორიის საშუალებით, და ჩვენი ერის კარგის თუ ავის თვისებების გაცნობა. ყოველ ერის არსებობა ისპობა, რა წამს ის ჰკარგავს თავისს სამშობლო ენას, და დანიელთათვის, რომელნიც ცხოვრობენ შლეზვიგში, მეტად საჭიროა თვისი ენის შესწავლა და შენახვა, თავისი ეროვნული ნაციონალური პირადობის დასაცველად.

ამ სკოლაში სამშობლო ენის და ისტორიის გარდა სასწავლო საგნები იყო: ქიმია, ფიზიკა, გეოგრაფია, გეოლოგია, სტატისტიკა, სვედური ენა და სამეურნეო საგნები. საღამოობით მოწაფეები იკრიბებოდნენ სასადილო ოთახში და ჟურნალ-გაზეთების კითხვაში, ბაასში, ჭანდრაკის თამაშობაში ატარებდნენ დროს.

კვირაობით პროფესორი ფესსოორი უკითხავდა მოწაფეებს დანიის საუკეთესო მწერლების ნაწარმოებს, და ყოველ ზამთარს სკოლაში არდგენდნენ დანიელ საყვარელ დრამატურგის ერთ-ერთს პიესას.

ამ გამგემ სკოლაში ერთი სამაგალითო ჩვეულება შემოიღო, რომელიც ეხლა დანიის ყველა უმაღლეს სკოლაში არსებობს: ფესსოორი ჰპატიჟობდა რედდინგელ გლეხებს სკოლაში, აცნობდა სკოლის მიმართულებას, და ხშირად სხვა და სხვა საგნებზედ ებაასებოდა სტუმრებს. მან და მისმა განათლებულმა თანამშობლებმა შემოიღეს სტუმრებისათვის ლექციების კი-

თხვა და ამით, რასაკვირველია, გონებას ღხსნიდნენ რედდინგის მცხოვრებთ.

1843 წ. რევოლიუციის გამო ერთი წლით შეჩერებულ იქმნა ამ სკოლაში სწავლა. როცა სკოლა ხელახლავ შეუდგა თავისს განმანათლებელ მოვალეობის ასრულებას, მისი გამგეობა იკისრა უფ. ჰენგსბოროომ, რომელიც 12 წლის განმავლობაში ყოველ ძალ-ღონეს ხმაროობდა, რომ სწავლა სკოლაში სამაგალითოდ დაეყენებინა და უფრო გაემაგრებინა ის კავშირი, რომელიც არსებობდა სკოლას და რედდინგის გლეხებ შორის.

ჰენგსბოროომ განსაკუთრებითი ყურადღება ისტორიას და კულტურის ისტორიას მიაქცია, და ამის გარდა შემოიღო ყოველ წლიური ეკსკურსიები დანიის სატახტო ქალაქ კოპენჰაგენში, სადაც სკოლის მოწაფეებს შეეძლოთ ენახათ ხელოვნებისა და სამეცნიერო მუზეუმები და კრებები.

რედდინგის სკოლა მატერიალურ მხრითაც ძალიან დაწინაურდა: მოსწავლეებს შეჰქონდათ ას-ასი მანეთი წელიწადში, დანიის მთავრობამ დაუნიშნა წლიურად 3000 მანეთის შემწეობა და მეფემ თავის მხრით—1000 მანეთი.

მთავრობას, რომელიც მატერიალურად ეხმარებოდა სკოლას, ერთხანს უნდოდა რედდინგის სკოლის სამეურნეო სკოლად გადაკეთება, მაგრამ ჰეგსბოროომ და მასთან ერთად რამოდენიმე სხვა მასწავლებლებმა წარუდგინეს მთავრობას სასწავლო გეგმა, სადაც ისევ გრუნდთვიგის იდეები იყო დაცული.

„უმაღლესი სკოლის მიზანი—სწერს ამ გეგმაში ჰენგსბოროო,—არის არა პრაკტიკული ცოდნის შეძენა, არამედ ადამიანის ადამიანურად ცხოვრების მიჩვევა და სამშობლოსადმი სიყვარულის აღძვრა, სამშობლო ენის, ლიტერატურის, ბუნების და ისტორიის შესწავლის შემწეობით. სკოლას უნდა ჰქონდეს აღმზრდელი მნიშვნელობა: მოწაფის გრძნობის და ნების გაწვრთნას ისეთივე ყურადღება უნდა მიექცეს, როგორც გონების გაწვრთნას, თუ არა მეტი. ჩვენი მიზანი ის არის, რომ მოწაფეებმა გამოიტანონ სკოლიდან მკაფიოდ გამორკვეული

მისწრაფება ცხოვრების მიმართ, და კეთილად და პატიოსნად ხმარობდნენ იმ საშუალებათ, რომელთ ცხოვრება მათ ხელში მისცემს.

„უმაღლესი სკოლა არ აძლევს თავის მოწაფეებს არც დიპლომებს, არც უფლებებს,—ის სცდილობს მხოლოდ მოწაფეების გონების განვითარებას, სცდილობს შესძინოს უსაჭიროესი ცხოვრებისთვის ცოდნა, შეაყვაროს სამშობლო ენა, ხალხი და ქვეყანა, ჩაუნერგოს გულში კელითი აზრები და მისწრაფებანი, და გააცნოს გლეხს ის დიადი სიამოვნება და ნეტარება, რომელსაც ადამიანს ბუნების და ხელოვნების შეგნება ულვიძებს.“

თითქმის ოცი წელიწადი არსებობდა ამ გვარად რუდინგის სკოლა და ავრცელებდა ხალხში სწავლის სიყვარულს და სურვილს, მაგრამ 1864 წ. იმას, მთელ დანიასთან ერთად, უბედურება ეწია: 1863—1864 წ. დანიას ომი ჰქონდა პრუსსიასთან, დამარცხებული დარჩა, და თავის სახელმწიფოს თითქმის ერთი მესამედი დაჰკარგა: შლეზვიგი და მისი მცხოვრებნი, 200,000 დანიელი, პრუსსიის ქვეშევრდომნი შეიქნენ.

რედდინგიც პრუსსიას მიაკუთვნეს, ისე რომ რედდინგის სკოლა დროებით დაიხურა; მაგრამ მერე სხვა ადგილს, საზღვარს იქით ასკოვში ისევ განაგრძო თავისი მოქმედება.

დანიის ხალხი თავდაპირველად ძალიან დააღონა და სულით დასცა ამისთანა უბედურებამ, მაგრამ მალევე წამოიწია და უფრო უმატა მუშაობას. მაშინ, ამ მეტად მძიმე დროს გამოჩნდა სახალხო სკოლების დიადი მნიშვნელობა. მაშინ გაიგეს, რომ ისეთ პატარა ქვეყნისათვის, როგორიც არის დანია, საჭიროა, რომ ყველამ მისმა შვილმა თავისი ნიჭი უმაღლესს ხარისხამდე განავითაროს, რადგანაც აქ თვითეულს ადამიანს, თვითეულს ძალას დიდი მნიშვნელობა აქვს საერთო ბედნიერების მოჭედვის საქმეში.

„პატარა ხალხის ბედი არ არის მეტად სანატრელი, მაგრამ ერთი უპირატესობა აქვს, რომ მის ყოველს კუთხეს ამ

სიპატარავის გამო უფრო ადვილად მოეფინება სწავლის სინათლე, და ამ უპირატესობით უნდა ისარგებლოს ხალხმა: პატარა ხალხებმა უნდა ყოველი ღონე იღონონ, რომ თავისი არსებობის უფლება დაამტკიცონ“, სწერს ერთი დანიელი, რომლის წერილიდან ვიღებთ ჩვენ ამ მასალას.

დანიამ კიდევაც შეიგნო ეს აზრი, გაიგო, რომ მხოლოდ განათლებაში იყო მისი ხსნა. განათლებულ დანიელთ, გრუნდთვიგის აზრით გამსჭვალულთ, დაიარეს მთელი სახელმწიფო სოფლიდან სოფელში და ხალხს აგონებდნენ, რომ ერთად ერთი საშუალება ხალხის ბედნიერებისათვის—განათლებაა. მათ ქადაგებას ხშირად ნაყოფი მოჰქონდა: გლეხთა ზოგიერთნი წრეები ფულით ეხმარებოდნენ სკოლების გამართვაში და ზოგჯერ კი ამ აზრის გამავრცელებელნი თავიანთ შეძლებას სწირავდნენ ამ კეთილი საქმისათვის.

ეხლა დანიაში არსებობს ოთხმოცამდე უმაღლესი სკოლა, და პირველი სკოლის დაარსებიდან აქამომდე ამ სკოლებში უსწავლია 140,000 მეტს მოსწავლეს. თუ მხედველობაში მივიღებთ იმას, რომ დანიის ხალხის 2 მილლიონიდან უმეტესი წილი ცხოვრობს ქალაქებში, ასეთი დიდი რიცხვი უმაღლესი სკოლის მოწაფეების, რომელნიც სოფლის მცხოვრებლებს ეკუთვნიან, ამტკიცებს, რამდენად დანიაში გავრცელებულია განათლება.

ეხლა დანიის უმაღლეს სკოლის ტიპიურს პროგრამმას მოვიყვანთ და მის წეს-წყობილებას ავსწერთ. რასაკვირველია, თვითეულ სკოლას საკუთარი ელფერი ადევს, რადგან დანიაში მიღებულია, რომ ყოველი სკოლა სრულებით დამოუკიდებელი იყოს მთავრობისაგან, და სკოლის გამგეს სრული უფლება აქვს თავისი ნების და შეგნების დაგვარად დააყენოს სწავლის და აღზრდის საქმე. მაგრამ მაინც და მაინც, რადგანაც ყველა სკოლები დამყარებულია ზემოხსენებულ გრუნდთვიგის და კოლდის პრინციპებზედ, ამიტომაც მათი პროგრამები ძალიან ჰგვანან ერთმანერთს, და ტიპიური პროგრამმა, რომელსაც ჩვენ ქვევით მოვიყვანთ, უმეტესს წილ სკოლებში მოწონებულია და სისრულეში მოყვანილია.

ზოგიერთ სკოლებში მრავალი მოწაფეა, ზოგში კი ნაკლები: ზოგიერთში 200 მოსწავლეა და ზოგში კი 20—30-მდე. ზოგს სკოლებს აქვთ დიდი და მშვენიერი შენობა: დიდი დარბაზები და სასადილო ოთახები, რომელში დაეტევა 300—400 მოწაფე; ეს ოთახები მშვენიერად მოართულნი არიან კარგი სურათებით და ქანდაკებებით. ზოგი კი პატარაა. მაგრამ ყველა სკოლებში, დიდს თუ პატარაში, უეჭველად უნდა იყოს გიმნასტიური ზალა, სადაც იმართება კრებები და მეჯლისები, რომელზედაც იყრიან თავს როგორც თვით მოწაფეები, აგრეთვე სკოლის ძველი მოწაფეები და სოფლის მცხოვრებნი. აქ გამგე ან რომელიმე მასწავლებელი ებაასება მოწაფეებს და სტუმრებს, უკითხავს რასმეს, ან და უხსნის რომელიმე საჭირ-ბოროტო საკითხს, რომელიმე საზოგადოებრივ მოვლენას.

ხშირად ამისთანა კრებებზედ დანიის დიდი ქალაქებიდან ჩამოდიან ცნობილი ორატორები და ამა თუ იმ საკითხს უხსნიან ხალხს.

უმაღლესს სკოლებში სწავლა ორ კურსად არის გაყოფილი: ერთი 1 ნოემბრიდან—1 აპრილამდე ყმაწვილი კაცებისათვის; მეორე კი 1 მაისიდან—1 აგვისტომდე ახალგაზრდა ქალებისათვის, რადგან კაცები ზამთარში უფრო თავისუფალნი არიან, და ზაფხულში კი სასოფლო სამეურნეო საქმეს უნდებიან, ქალები კი სწავლისათვის უფრო ზაფხულში მოიცლიან ხოლმე.

მოწაფეები სწავლის დროს თვით სკოლაში ცხოვრობენ: სკოლის შენობები ისეა მოთავსებული, რომ საწოლი ოთახები სამყოფი. აქვს მთელი დღე ისე არის განაწილებული სხვა და სხვა მეცადინეობათა შორის, რომ ყოველმა მოწაფემ იცის, რა დროს რას უნდა მუშაობდეს.

ტიპიური პროგრამმა სახალხო უმაღლესის სკოლის არის:

1. ისტორია (სამშობლო და მსოფლიო),
2. სამშობლო ენა და ლიტერატურა,
3. გეოგრაფია,

4. ფიზიკა. (ზოგიერთ სკოლაში ქიმია, ბოტანიკა, ზოოლოგია, გეოლოგია, ანატომია და ჰიგიენა).

5. სიმღერა.

6. გიმნასტიკა.

7. ხელსაქმე (ქალებისათვის).

საღმრთო რჯული არ არის პროგრამმაში. ყოველ დილას მოწაფეები ლოცვას კითხულობენ; კვირაობით გამგე საღმრთო ტემაზედ ებაასება მოწაფეთ, და აგრეთვე კვირაობით მოწაფეთ შეუძლიანთ, ვისაც სურს, საყდარში მოისმინონ წირვა.

მეცადინეობა დილის რვა საათიდან საღამოს 6 საათამდეა, რასაკვირველია, დასვენებით.

ეხლა ერთ-ერთს საუკეთესო სკოლის, (ტესტრუპეში იმყოფება და 150 მოწაფე ჰყავს), გაკვეთილების სიას მოვიყვანთ:

1.	მსოფლიო ისტორია—კვირაში	9 გაკვ.
2.	სამშობლო ენა „ . . .	15 გაკვ.
3.	სკანდინავურ ქვეყნების (დანიის, შვეციის და ნორვეგიის) ისტორია	6 გაკვ.
4.	გეოგრაფია	3 გაკვ.
5.	არითმეტიკა	4 გაკვ.
6.	ფიზიკა	2 გაკვ.
7.	ლექსების კითხვა	4 გაკვ.
8.	გიმნასტიკა	9 გაკვ.

კვირაობით საღამოს 7—9 საათამდის საუკეთესო მწერლების ნაწარმოების კითხვა. ამის გარდა სკოლაში ყოველ თვეობით დიდი კრებებია, რომელიც ზემოდ უკვე გვქონდა მოხსენებული.

ყოველი საუბარი უმაღლესს სკოლაში სიმღერით იწყება, და, საზოგადოდ, სიმღერას დიდი ადგილი უჭირავს უმაღლესის სკოლის ცხოვრებაში. დასვენების დროს მოწაფენი თამაშობენ წმინდა ჰაერზედ.

ხშირად ეკსკურსიებს მართავენ მუზეუმის დასათვალიერებლად, ან და ტყე-მინდორში დასეირნებენ, საცა ბუნებას აკვირდებიან ან და დღესასწაულებს მართავენ; ამ დღესასწაულებზედ სხვა-და-სხვა სკოლების მოწაფენი გიმნასტიკურ ვარჯიშობაში ეჯიბრებიან ერთმანერთს.

მკითხველისათვის, მგონია, ერთი საკითხია კიდევ საინტერესო—ეს სწავლის ფასი. უმეტესს ნაწილად ყველა სკოლებში ფასი ერთი და იგივეა—15 მანეთი თვეში. ამ ფასს იხდიან მოწაფეების მშობლები, ზოგჯერ თვით მოწაფეებიც, რომელნიც თავისი შრომით აგროვებენ ფულს, რათა უმაღლესს სკოლაში შესასვლელი ფული შეიძინონ. დიდი წილი, თითქმის მესამედი, უფასოდ სწავლობს: ყოველ სკოლას აქვს უფასო ვაკანსიები და ამის გარდა სოფლის საზოგადოებანიც რამდენი მოსწავლეს თავის ხარჯით ინახავენ.

ყველას თავისათვის ტანისამოსი, საცვალი, ქვეშსაგები და საბანი სკოლაში მიაქვს. ამ სკოლების მასწავლებლები უმეტესს წილად პედაგოგიურ სემინარიებში კურს დამთავრებულები არიან. ხშირათ მათ შორის უნივერსიტეტ დასრულებულთაც შეხვდებით. თითქმის ყველანი გულით ეკიდებიან თავისს საქმეს, და სკოლებიც განაგრძობენ თავისს სამეცნიერო მუშაობას: თვალს ადევნებენ და სწავლობენ სხვა-და-სხვა მეცნიერების ანუ მსოფლიო ლიტერატურის განვითარებას.

კოპენჰაგენის უნივერსიტეტიც ყოველ ზაფხულს მართავს სხვა-და-სხვა კურსებს უმაღლესის სკოლის მასწავლებელთათვის და ამ რიგად ზრუნავს, რომ ხალხს გონება-განვითარებული და მცოდნე მასწავლებლები ჰყავდეს.

ხშირად უმაღლესის სკოლის მოწაფე იმავე სკოლის მასწავლებლად ხდება, ოღონდ დაამთავროს კურსი ასკოვის სკოლისა, რომელიც იმ მიზნით არის დაარსებული, რომ მოამზადოს კარგად ნასწავლი და განვითარებული პედაგოგები სახალხო უმაღლესს სკოლებისათვის.

ეს უკანასკნელი სკოლა (ესე იგი ასკოვისა) მემკვიდრეა იმ დიდებულ სკოლისა, რომელიც ასე დიდ ანს დანიურ ინ-

ტერესების დარაჯად იდგა შლეზვიგში და ოცი წლის განმავ-ლობაში იმდენი სინათლე შეიტანა ხალხის მანამდე ბნელ ცხოვრებაში.

როგორც უკვე ვთქვით, დანიელთათვის უბედურმა ომმა (1863—64 წ.) გამოაცალა რიდდინგის სკოლას ნიადაგი (რიდ-დინგი და მასთან დიდი ნაწილი შლეზვიგისა პრუსსიამ წაართ-ვა), მაგრამ რიდდინგის სკოლის გამგემ ისევ გასხნა სკოლა ახალ საზღვარის სიახლოვეზედ, დანიის მხარეს. მან აირჩია მშვენირი ადგილი, სამი ვერსით დაშორებული იმ პატარა წყალს, რომელიც ომის შემდეგ დანიის და პრუსიის საზღვა-რი შეიქნა. ამისთანა ადგილი განგებ იყო ამორჩეული, და აქაც უმთავრესი მიზანი სკოლისა, როგორც რიდდინგში, და-ნიურ კულტურის შენახვა, განვითარება და გავრცელებაა ყვე-ლა დანიელთ შორის, გრმანელი ქვეშევრდომნი იქნებიან ისი-ნი, თუ დანიელი, სულ ერთია.

მართლაც ამ სკოლაში მოდიან სასწავლებლად დანიის სახელმწიფოს ყოველ კუთხიდან, შლეზვიგიდან სვედიიდან, ნორვეგიიდან, ფერერერის კუნძულებიდან, ამერიკის ახალშენე-ბიდან, რომელნიც დანიელთ ეკუთვნიან, ფინლანდიიდან, ის-ლანდიიდანაც. ყველა ეს დანიელები ამ სკოლებში იძენენ და-ფუძნებულს განათლებას სამშობლო ნიადაგზედ, ყოველ მხრივ სწავლობენ სამშობლოს, გაიცნობენ მის აწმყოს, წარსულს და მომავალს; გარდა ამისა ითვისებენ მსოფლიო ისტორიიდან და ლიტერატურიდან, მსოფლიო მეცნიერებიდან იმას, რაც საჭი-რო არის ნამდვილად განათლებულ ადამიანისათვის, და ეს გა-ნათლება მიაქვთ იქ, სადაც კი ისმის დანიური ენა და სცხოვ-რობს დანიელი ხალხი.

ასკოვის სკოლა ნამდვილი სახალხო უნივერსიტეტია. და-ნიის ბევრი მეტად ცნობილი პედაგოგი ამ სკოლაში მუშაობ-და და მუშაობს. ცნობილი ფიზიკოსი პროფესორი ლაკური ამ სკოლაში იყო ფიზიკის მასწავლებლად.

ამ სკოლაში იმდენია სწავლის საგნები და ისე დაწვრი-ლებით და ზედ მიწევნით ასწავლიან, რომ მოწაფეებმა უნდა

აირჩიონ შესასწავლად რამოდენიმე საგანი (როგორც უნივერსიტეტის ფაკულტეტებზედ), რადგან ყოვლად შეუძლებელია ყველა საგნების შესწავლა.

მოწაფეთა რიცხვი 1901—1902 წ. 264 იყო ყმაწვილი კაცები და ქალები.

ყმაწვილი კაცები ცხოვრობენ სკოლაში, ქალები კი მასწავლებელთა (იმათი რიცხვი 20-მდეა) ოჯახებში. ზაფხულობით ასწავლიან მხოლოდ ქალებს, შემოდგომიდან კი ქალებს და კაცებსა. ასკოვის სკოლაში იღებენ მხოლოდ მათ, ვისაც კურსი დაუმთავრებია ერთ-ერთ სახალხო უმაღლესს სკოლის, ან-და ისეთ სასწავლებელისა, რომელიც უფრო ვრცელ პრაგრამმას მისდევს, ვიდრე პირველ დაწყებითი სკოლა.

16 წელიწადია, რაც ამ სკოლაში ქალ-ვაჟის საერთო სწავლა შემოიღეს, და ერთხელაც ცუდი არაფერი შეუმჩნევიათ იმათ ერთმანეთთან ყოფა-ქცევაში: უმეტეს ნაწილს მეგობრული დამოკიდულება აქვთ, ზოგჯერ, რასაკვირველია, მოხდება ისიც, რომ სკოლის მოწაფეები თვის ცხოვრების ამხანაგს ისევ სკოლის მოწაფე ქალთაგან ირჩევენ.

ასკოვის სკოლას აქვს დიდი წიგნთ-საცავი, 10000 ტომიდან შემდგარი, საქიმიო ლაბორატორია და საფიზიკო კაბინეთი.

35 წლის წინად, როდესაც სკოლა პირველად დაარსდა ასკოვში, შლეზვიგიდან განდევნის შემდეგ, ის მოთავსებული იყო პატარა სახლში. ეხლა კი თანდათან სკოლასთან ერთად იზრდება მისი შენობებიც; ამ ჟამად იმ პირველს სახლს გარს ახვევია მრავალი ახალი შენობები, მასწავლებლების საცხოვრებლები, ბაღები. ხელოსნები და ვაჭრებიც გაჩნდენ სკოლის სიახლოვეზედ. აშენდა საყდარი და იქ, საცა 40 წლის წინედ ცარიელ მინდვრების გარდა არაფერი იყო, ეხლა მთელი დაბა არის გაშენებული.

ასკოვის სკოლის პროგრამმა კოლდის და გრუნდთვიგის პროგრამმებს ეთანხმება, მაგრამ ბევრად უფრო ფართოა.

1. **რასაკვირველია**, როგორც ნათქვამი გვქონდა, უმთავრესი ადგილი ამ პროგრამმაში უჭირავს **სკანდინავურ ქვეყნების ისტორიას**, რომელიც პოლიტიკის, კულტურის და ხელოვნების ისტორიას შეიცავს. (5 საათი კვირაში და 1 საათი ცალკე საბაასოდ).

2. **მსოფლიო ისტორია** ისევ ამავე მხარეებს ეხება ასკოვის სკოლის პროგრამმით: ეს უფრო კულტურის ისტორიაა. მასწავლებლები ცდილობენ კარგად წარმოუდგინონ მოწაფეებს კაცობრიობის გონებრივის და საზოგადოებრივის განვითარების ნამდვილი სურათი. აქცევენ დიდს ყურადღებას ძველის საბერძნეთის საუკეთესო ხანას, ქრისტიანობის დამყარების პირველ საუკუნეებს, რეფორმაციის ხანას და უკანასკნელ ასი წლის მოვლენათ. (4 საათი კვირაში და საბაასოდ—2 ს.).

3 **მათემატიკა** და **ფიზიკა**. ელემენტარული არითმეტიკა, პლანიმეტრია, ფიზიკა, (პირველ წელიწადს) ალგებრა, სტერეომეტრია, ტრიგონომეტრია და ფიზიკა ასტრონომიით (მეორე წელიწადს). პროფესორი ლაკური, ფიზიკის მასწავლებელი სრულეზით ორიგინალურად ასწავლის თავისს საგანს: ის ასწავლის ფიზიკას ისტორიულ მეტოდით, და ასეთი ისტორიულად შესწავლა ფიზიკისა არის ამასთან ერთად კაცობრიობის აზრის განვითარების ისტორიის გაცნობაც.

შესანიშნავი ფიზიკოსების ცხოვრების და ღვაწლის აწერა ნათლად უხატავს მსმენელთ სამეცნიერო აზრის ბრძოლას უმეცრებასთან და ცრუმორწმუნეობასთან—ყველა **ეპოქებისა**, ძველი დროიდან დაწყებული ჩვენ საუკუნემდე. (კვირაში 6 გაკვეთილი და მრავალი ბაასი).

4. **კანონების შესწავლა** (4 გაკვ. კვირაში). პირველ წელიწადს ასწავლიან სკანდინავურ ქვეყნების სახელმწიფო წესწყობილების განვითარების ისტორიას, ანგლო-საქსონურ და ისლანდიურ კანონების და ინგლისის და დანიის კანონმდებლობის დამკვიდრებას, განსაკუთრებით დანიის კონსტიტუციონალური კანონმდებლობა (1848 წ.). მეორე წელიწადს კერძო უფლების ისტორიას.

5. **გეოგრაფია** (კვირაში 3 საათს).

6. **ჰიგიენა.** მსმენელთ უხსნიან ჰიგიენის მნიშვნელობას ადამიანის ცხოვრებაში და ასწავლიან საჭირო ჰიგიენურ ცნობებს სადგომების, საჭმელის, ტანისამოსის, ჰაერის და წყლის სისუფთავის საჭიროების შესახებ.

7. **სიმღერა.**

8. **გიმნასტიკა.**

9 **სამშობლო ენა,** რომლის სწავლებას უნივერსიტეტის კურსის სივრცე აქვს.

ამას გარდა უკანასკნელ წლებში ეს პროგრამმა კიდევ გაფართოვდა: მას მიემატა: პოლიტიკურ ეკონომიის ისტორია, ადამიანის ანატომია, ბუნების მეტყველების ისტორია (ამ დარგის შესანიშნავ მეცნიერთ ბიოგრაფიების შესწავლითურთ), ბუნების მეტყველება ჩვენ თანამედროვე განვითარების ფაზაში, ქიმია (ლაბორატორიულ ვარჯიშობით), ძველებური სკანდინავური ენები, ხატვა და ხაზვა.

როგორც ვხედავთ, ასკოვის სკოლის პროგრამმა მეტად ვრცელია და მოწაფეთ შეუძლიანთ ამოირჩიონ შესასწავლად საგნები, რომელიც ჰსურთ.

მაგრამ ასკოვის სკოლაში არა მარტო უმაღლესის სკოლის და მისი შესაფერი პროგრამმის სასწავლებლების კურსდამთავრებული მოწაფეები შედიან: აქ ხშირად შეხვდებით გიმნაზიებში კურს დამთავრებულთ, და აგრეთვე უნივერსიტეტის კურს დასრულებულ ყმაწვილთ.

ამ უკანაწკნელთ, რასაკვირველია, იზიდავს თვისკენ ასკოვის სკოლის წეს-წყობწლება: ეს სწორედ ისეთი სკოლაა, რომელიც, გრუნდთვიგის, აზრით უნდა იყვეს ადამიანის ცხოვრებისათვის ნამდვილი აღმზრდელი. მისი აზრით, ასეთ სკოლაში უნდა იყრებოდნენ სხვა და სხვა წოდების და შეძლების წარმომადგენელნი—სკოლიდან კი გამოდიოდნენ მხოლოდ ერთის დიდის ოჯახის—სამშობლოს—წევრნი და შვილნი, წოდების განურჩევლად.

რამდენად განხორციელდა ეს აზრი დიდებულის მწერლისა და უდიდებულესის პატრიოტის გრუნდთვიგისა—იქიდანა სჩანს, რომ უნივერსიტეტის კურს გათავებულებიც კი ასკოვის სკოლაში მიდიან „ცხოვრების“ იდეალის შესაძენად.

ერთი მაგალითი მოჰყავს ბ. არნოლდის, რომლის სტატიიდან ვიღებთ ჩვენ ამ ცნობებს, და მეორე მწერალი, ნამდვილი დანიელი, ბენედიკსტენიც სხვა წერილში ამოწმებს იმ გვარსავე მაგალითებს. ევროპაში ცნობილ ბუნების მეტყველმა, კოპენჰაგენის უნივერსიტეტის პროფესორმა ბ. ვ. ურჩია თავის შვილს, რომელმაც სწავლა იურიდიულ ფაკულტეტზედ დაამთავრა, ასკოვის სკოლაში შესულიყო.

„ჩემი შვილი სულ გამოიცვალა ასკოვის სკოლის დამოავრების შემდეგ: მანამდი ის იყო გამოურკვეველ პრინციპების და აჩქარებულ ხასიათის პატრონი. იქიდან კი ცხოვრების ღრმა დაკვირვება გამოიტანა, მკაფიოდ გამორკვეული ადეალები და ცხოვრების გეგმა.“ ამ პროფესსორის შვილი ასკოვის სკოლის კურსის გათავების შემდეგ ამერიკაში წავიდა და ერთ-ერთ დანიელ ახალშენის უმაღლეს სკოლაში მასწავლებლად შევიდა. პროფესსორი თავისს დანარჩენ შვილებსაც აგრეთვე რჩევის მიცემას უპირებს, როდესაც ისინი იმ წლოვანებამდე მიაღწევენ, რომელიც საჭიროა ასკოვის სკოლაში შესვლისათვის.

აგრეთვე უყურებს ასკოვის სკოლას არა მარტო ეს პროფესსორი, არამედ მთელი დანიის ინტელიგენცია.

რასაკვირველია, ასეთი მაგალითები იმის დამამტკიცებელნი არიან, თუ რამდენად მაღლა აყენებენ დანიაში ასკოვის სკოლის მნიშვნელობას, დანიის ხალხის აღზრდა-განათლებისათვის.

1844—1900 წ. დანიურ უმაღლესს სკოლებსი უსწავლია სულ 140,000 მოსწავლეს (900,00 ვაჟს და 50,000 ქალს); ამათში 116,000 იყო დანიის სხელმწიფოს მცხორები, 24,000 უცხოელი და წინანდელი დანიელები, ესე იგი დანიელები, რომელნიც ეხლა გერმანიის ქვეშევრდომნი არიან. შუათანა

რიცხვით დანიის უმაღლესს სკოლებში უსწავლია ყოველ წელიწადს—2000 ადამიანს. 1853—1854 მოწაფეთა რიცხვი იყო 200; 1893—1894 მოწაფეთა რიცხვი იყო ყოველ წელიწადს 6000-მდე.

ეხლა ვნახოთ, როგორი გავლენა იქონია ამ საერთო განათლებამ, რომელიც შემოიტანა სახალხო უმაღლესმა სკოლამ დანიაში, რა შედეგი მოჰყვა მას დანიის გლეხობის ცხოვრების გაუმჯობესების საქმეში.

პირველად, როცა სკოლები დაარსდა, ბევრს ეშინოდა, რომ ასეთი საერთო განათლება გლეხობისა მოსპობს მეურნეობას, რადგან ნასწავლი და განათლებული გლეხი აღარ ინდომებს მიწის მუშაობას. დანია უმეტესს ნაწილად იყო მხვნელ-მთესველი ქვეყანა, და პური იყო მისი უმთავრესი თითქმის ერთად ერთი სიმდიდრე, მარტო პური იყო გარეშე ვაჭრობის საგანი.

მაგრამ, როდესაც 25 წლის წინედ ამერიკის კონკურენციამ იმდენად დაამცირა დანიის პურის ფასი უცხოელ ბაზრებში, რომ არც კი ღირდა მისი მოყვანა, მაშინ განათლებული გლეხობა მალე მიხვდა, რომ მათ მეურნეობას ხასიათი უნდა ეცვალოს, და მეორე დარგზედ გადავიდა: მან მიჰყო ხელი საქონლის მოშენებას და ყველის და კარაქის კეთებას. ეს დარგი იმდენად მაღლა დაიყენა, რომ 1890 წ. დანიიდან გაიტანეს უცხოეთის ბაზრებში 70 მილლიონი გირვანქა ერბო (1881 წ. იყო გატანილი მხოლოდ 18 მილლიონი); 1892 წ. დანიამ გაგზავნა უცხოეთის ბაზრებში 78 მილლიონი გირვანქა ორის ხორცი (1883 წ. იყო გატანილი მხოლოდ 10 მილ.). მთელი დანია ეხლა არის სავსე ყველის გამკეთებელ ქარხნებით და ეს დარგი მეურნეობისა დიდად ამდიდრებს დანიის გლეხკაცობას.

მას შემდეგ, როცა ინგლისში აკრძალეს შემოყვანა ცოცხალ საქონლისა, რომელსაც მრავლად უგზავნიდა დანია, გლეხებმა გამართეს საზოგადო საყასბოები და დაიწყეს ინგლისში გაყინულ ხორცის გზავნა.

კოოპერატივული საზოგადოებებიც გამრავლდა დანიაში იმიტომ რომ გონება-განვითარებულმა გლეხობამ შეიგნო, რა ზომები უნდა ეხმარა არსებობისათვის ბრძოლაში, რადგან განათლებამ შეაგნებინა გლეხს, რომ მასაც დიდი ძალა, ნიჭი და უნარი აქვს.

არა მარტო ეკონომიურის მხრით აღამაღლა ამ სკოლებმა ხალხის ცხოვრება, მთელ მის არსებობას სულ სხვა ელფერი დაუდო, გააკეთილშობილა იგი. ეხლა დანიის სოფლებში არის სახლები, სადაც გლეხები იკრიბებიან; აქ უკითხავენ ლექციებს სხვა და სხვა საგნებზედ განგებ ამ მიზნისათვის მიწვეული განათლებული პირები; აქ ეკონომიურ კითხვების განსასჯელად იკრიბებიან გლეხები. აქვე მთავრობისაგან გამოგზავნილი ინსტრუქტორები ებაასებიან ხშირად გლეხებს სხვა და სხვა სამეურნეო საგნებზედ, მაგ., როგორ უნდა ფუტკრების და ფრინველის რიციონალურად მოვლა-მოშენება, როგორ უნდა-მოიხმარონ ახალი საშუალებანი საქონლის მოშენებაში თუ მიწის ხვნა-თესვაში, მებაღობაში ან ტყის მოშენებაში და სხვ. და სხვ. აქვე კითხულობენ ჟურნალ-გაზეთებს, მღერიან, მუსიკას უკრავენ.

ამ რიგად უმაღლესს სკოლაში კურს დამთავრებული გლეხები არა თუ ივიწყებენ, რაც უსწავლიათ, პირიქით, თან და თან უფრო ვითარდებიან, მით უმეტესს რომ ყოველ სოფელში ბიბლიოთეკებია გამართული, საიდანაც გლეხებს აქვს უფლება წიგნებით ისარგებლონ. ყოველ წელს გლეხთა საზოგადოებები ფულს აძლევენ წიგნთ-საცავის შესავსებად; საყდრების და დეპარტამენტის საბჭოებიც ხელს უმართავენ უფრო ღარიბ სკოლებს, მთავრობაც ეხმარება. ბევრს სოფელში გაიმართა კიდევაც მკითხველთა წრეები, რომელთა წევრთ შეაქვთ ყოველ წლივ 5—10 *) ფრანკამდე საერთოდ წიგნების საყიდლად.

რასაკვირველია, უმაღლესმა სკოლამ დანიის გლეხების კერძო ცხოვრებაშიც, ოჯახშიც დიდი ცვლილება შეიტანა.

---

*) 1—85—3 მ. 70 კაპ.

განათლებული დედ-მამა (როგორც უკვე ვსთქვით, ქალებიც ძალიან ეტანებიან განათლებას), უფრო შეგნებულად ზრდის შვილებს; წიგნები და ჟურნალ-გაზეთები, რომელიც თითქმის ყველა სახლშია, გონებას უხსნის ახალ თაობას. ცოლ-ქმრობის დამოკიდებულებაში უფრო მეტი შეგნება და ერთმანერთის სრული პატივისცემა ეტყობა; აქ ცოლი ნამდვილი ამხანაგია თავის ქმრისა, მხნე, ჭკვიანი განათლებული და გამრჯე. მეუღლეთა ასეთი განწყობილება მეტად კარგად მოქმედობს შვილების ხასიათის განვითარებაზედ.

გარეგან ცხოვრებასაც უფრო მეტი სიფაქიზე, სისუფთავე ეტყობა, ტანისამოსს უფრო შნო და ლაზათი ადევს.

რა თქმა უნდა, რომ განათლებამ ხალხის ჯანმრთელობაზედაც იმოქმედა: გარდა სისუფთავისა, გარდა ჰიგიენურ ცოდნისა და ჩვეულებებისა, რომელიც მან შესძინა ხალხს, ასეთმა მრავალფეროვანმა და შეგნებულმა ცხოვრებამ გადააჩვია ხალხი ლოთობას, რომელიც ადამიანის არა მარტო ფულს ღუპავს, არამედ და კიდევ უფრო ჯანმრთელობას უთხრის ძირს, და გონების და სულიერს სიდუხჭირეს ბადავს ჩამომავლობაში.

უნდა ვთქვათ, რომ ჩრდილოეთ ხალხებს საზოგადოდ ლოთობა მეტად ძლიერ სენად აქვთ გარდაქცეული, და ამ მხრივ უმაღლესს სკოლას მეტად დიდი ღვაწლი მიუძღვის დანიის ხალხის მიმართ.

ეხლა უკანასკნელ მხარეს შევეხებით: უმაღლესმა სკოლამ პოლიტიკურ ცხოვრებაშიც იჩინა თავი, გლეხთა გონებით გამოფხიზლებამ შექმნა პარლამენტის მემარცხენე მხარე: ამ პარტიას შეადგენენ გლეხები, რომელთ აქვთ 60—75 დღიური მიწა. დეპუტატთა პალატის ორ მესამედს (სულ 114 წევრია) შეადგენენ გლეხები; ზოგიერთ მათგანს 35 ქცევაზედ ნაკლები აქვთ. უნდა ვთქვათ, რომ დანიაში 100 ქცევის პატრონი დიდ მემამულედ ითვლება—უფრო მეტ წილს კი 20 ქცევაზედ მეტი არ აქვს. ეხლანდელი მეურნეობის მინისტრს აქვს ეხლოდ 40 ქცევა მიწა.

უკანასკნელ ხანამდე პარლამენტის მარჯვენა მხარეს, რომელიც დიდ მემამულეთათვის და ბურჟუაზიიდან შედგებოდა, ძალა ხელში ეჭირა; თვით ხელმწიფე მინისტრებს ამ პარტიიდან ირჩევდა.

ხანგრძლივ ბრძოლის შემდეგ მემარცხენე პარტიამ წაართვა ეს ძალა, და ეხლა დანიას ჰყავს მინისტრები, რომელიც თვით ხალხმა ამოირჩია.

დანიას ჰყავს მეურნეობის მინისტრი, რომელიც წვრილი მემამულეა, და განათლების მინისტრი, რომელიც სოფლის მასწავლებლად იყო. ესენი მემარცხენე პარტიის მოთავენი იყვნენ, და თავისსავე პარტიის მხნეობით მიიღეს ასეთი მაღალი დანიშნულება.

ასე აღამაღლა ყოველ მხრით უმაღლესმა სკოლამ დანიის ხალხი. გააპატიოსნა იგი, ჩააგონა მაღალი აზრები და მისწრაფებანი, შეაყვარა ბუნება და ხელოვნება, და ასწავლა ადამიანის პირადობის და ღირსების დაცვა.

განათლებამ ღრმად ჩაუნერგა დანიის ხალხს ის რწმენა, რომ ყოველი საქმე, ყოველი მუშაობა, ყოველი ხელობა აპატიოსნებს ადამიანს, და მხოლოდ უსაქმურობა ამცირებს, ლახავს მის პირადობას; ჩააგონა აგრეთვე, რომ დანიაში ხალხის სიმდიდრის უმთავრესს წყაროს მეურნეობა შეადგენს, ქყეყანა საჭიროებს მიწის მუშას, და ყოველი დანიელი უნდა ამაყობდეს, თუ კარგ მეურნედ გამოადგა თავისს ქვეყანას.

ასეთი ბრწყინვალე მომავალით, რომელიც უჩვენა დანიამ დანარჩენ ერებს, მიბაძვის ღირსი იყო, და კიდევაც ვხედავთ, რომ სვედიაში, ნორვეგიაში, ფორერის კუნძულზედ არსდებიან უმაღლესი სკოლები, იქაც ხალხი ეწაფება განათლების წმინდა წყაროს.

რუსეთშიაც, ფინლანდიაში არის 12 ამისთანა სკოლა, და მაღალი წოდებანი და ინტელიგენცია ხელს უმართავს მათ: დიდ ფულს აგროვებენ გლეხთა უმაღლესს სკოლებისათვის: ყოველს განათლებულს ფინლანდიელს ესმის, რომ მისი მოვალეობაა იზრუნოს ხალხის განათლებაზედ.

მთავრობასაც უნდოდა ხელი გაემართა სახალხო უმაღლესს სკოლებისათვის, მაგრამ ხარჯი, რომელიც ამ მიზნით იყო შეტანილი ფინლანდიის სამთავროს ბიუდჟეტში, გამორიცხულ იქმნა...

არ ჩამოგავს ეს სახალხო სკოლები ზოგიერთ ხალხების სამასხარო სკოლებს, საცა დიდ განათლებად მიაჩნიათ, რომ წერა-კითხვას ასწავლიან ორი-სამის წლის განმავლობაში 10—13 წლის ბალღებს იმისთვის, რომ მერე უმეცარ ოჯახში, უმეცარ სოფელში სულ დაივიწყოს ეს ცოდნა ან და, ჩვენი ქვეყნის არ იყოს, გამოიყენოს მხოლოდ „დანოსების“ წერაში.

რა უნდა უსაყვედუროთ ამისთანა წეს-წყობილების დამნაშავეთ, როდესაც თვით განათლებული და ცოდნის მქონე ჩვენისავე ერის შვილები სთესავენ ჩვენში ერთმანერთის მტრობას და სიძულვილს. იმის მაგივრად, რომ ყველა განათლებით გაბედნიერებულმა ადამიანმა გაუნაწილოს განათლება ხალხს, გონება განუვითაროს, ცოდნა შესძინოს და თავისი ძალა და ღონე ამ წმინდა საქმეს მოახმაროს, ჩვენ მარტო ერთმანერთის ლანძღვა-გინებას ვუნდებით და მეზობლის ჭუჭყიანს სარეცხში ვაფათურებთ ხელებს.

ამგვარ მოქმედებას არა თუ გონებრივი გამოფხიზლება არ მოჰყვება, არამედ გონებრივი და სულიერი დახშობა; ხალხი უფრო და უფრო სულით მდაბლდება, და ჩვენს ცხოვრებას მეტად ამჩნევია ასეთ სიმდაბლის ნიშნები: ზოგ ინტელიგენტთა ინდეფერენტიზმი ერთის მხრით, მეორე მხრით კი მხურვალე, მაგრამ მტრობით და ბოროტებით გამსჭვალული, ქადაგება, ეს ყოველივე ძირს უთხრის ისედაც სუსტს ჩვენს ქვეყანას; ხალხი კი რჩება გაუნათლებელი, ღარიბ ღატაკი, პირუტყვსავით მიწურ სოროებში მცხოვრები, მოკლებული მეცნიერების და ხელოვნების სხივებს, რომელიც ასაზრდოვებს, ზრდის და აცოცხლებს ადამიანის სულს და გონებას.

მცირე ნაწილი ჩვენის ერისა, რომელმაც განათლება ცოტა-ოდენ მაინც შეითვისა, სამშობლო ნიადაგს მოშორე-

ბულია, სამშობლო კითხვებს გაურბის. ოქროს ხანაც რომ დადგეს, ჩვენი ხალხი ვერც კი ისარგებლებს მაგითი თავისი უმეცრების და უვიცობის გამო. მომავალი შთამომავლობანი, იმედია, უკეთესს პირობებში იქნებიან, მაგრამ „სანამ პავლე მოვიდა, პეტრეს ტყავი გააძრესო“.

თუ დევიზი: „ჩემს შემდეგ ქვა-ქვაზედაც ნულარ დებულაო“, მავნებელია, ისიც მავნებელია, რომ ადამიანმა მარტო მომავლის იმედით იცხოვროს, და მით იმშვიდებდეს თავს, ჩემი შვილის-შვილები უკეთესს მოესწრებიანო. ცხოერება არ იცდის, და ჩვენს თანამედროვე ხალხსაც არ აწყენს ცოტაოდენი ბედნიერება და სიამოვნება იგემოს და ადამიანურს ცხოვრებაში მონაწილეობა მიიღოს.

ნინო ზურაბიშვილი

ნარევი

1. მავრ იოკაი. 2. ემილ დიუკლო. 3. გაბრიელ ტორდი. 4. ახალი ოპერა მასკანისა. 5. ჩვენი თეატრის სანუგეშოდ. 6. დანტეს სიმბოლიზმი. 7. ქალი—პროფესსორი. 8. ტოლსტოის აზრი სპენსერის შესახებ. 9. იბსენის ავადმყოფობა. 10. მშრალი რძე. 11. ვეშაპების ამოწყვეტა. 12. სიმპლონის ტუნნელი. 13. ხოლერის ასაცრელი ჩირქი. 14. ხელოვნება სუნთქვისა. 15. სიცოცხლის წყარო. 16. მთვარის ჩამომავლობა. 17. ახალი, ძველში ნაპოვნი.

მავრ იოკაი. უნგრეთმა საუკეთესო თავისი მწერალი მიაბარა მიწას—მავრ იოკაი, რომლის თხზულებებს მთელი განათლებული კაცობრიობა კითხულობდა და აქებდა. იოკაი კარგი ხნის კაცი იყო და კარგი ხნის მწერალიც. ჯერ 21 წლისა იყო, როდესაც 1846 წელს გამოსცა პირველი თავისი რომანი. თავდაპირველად იოკაი გვერდში უდგა ორლაის და პეტეტის, რომელნიც უნგრეთის განთავისუფლებას ემსახურებოდნენ და 1847 წელს ისა და პეტეტი ჟურნალსაც ბეჭდავდნენ ერთად; 1848 წელს იოკაიმ უმთავრესი ადგილი დაიჭირა სამშობლოს გამანთავისუფლებელ წრეში, მაგრამ რევოლიუციამ გული დაუწყლა და პეშტიდგან გააქცია. რა-კი დაწყნარდა ყველა, ისიც დაბრუნდა და თითონვე გამოცხადდა სამხედრო სამსჯავროს წინაშე, მაგრამ გამართლებულ იქმნა. 1894 წელს იოკაიმ იდღესასწაულა 50 წლის თავისი მწერლობითი მოღვაწეობა. ამ ხნის განმავლობაში იოკაიმ დასწერა 29 რომანი, 2 წიგნი ლექსები, 6 წიგნი სახუმარო მოთხრობები, 48 წიგნი ამბები და სხ. საუკეთესო მის ნაწარმოებად ითვლება რო-

მანები „ღმერთი ერთია“ და „ახალს დროს ახალი წესი“. ერთი მოთხრობა იოკაისა „სიკიულის ქალები“ „მოამბე“-შიც იყო დაბეჭდილი (1894 წლის № VIII თარგმანი ეკ. მესხისა).

**

ემილ დიუკლო. ამას წინად პარიზში უცბად გარდაიცვალა გამოჩენილი მეცნიერი და მოუღალავი საზოგადო მოღვაწე, დირექტორი პასტერის ინსტიტუტისა ემილ დიუკლო, ერთი იმ იშვიათ თავგანწირულთაგანი, რომელთ მთელი სიცოცხლე ქვეყნის კეთილდღეობისთვის შეუწირავთ, რომელნი ყოველთვის იქით მიიღვწიან, საითაც უწოდებს გონება, სინიდისი და საზოგადოებრივი საჭიროება და რომელთა საქმე სიტყვისაგან არ განირჩევა. დიუკლო სიყმაწვილიდგანვე გაიტაცა მეცნიერებამ, მაგრამ მეცნიერება მიზნად კი არა, ყოველთვის საშუალებად მიაჩნდა ადამიანის ტანჯვის შესამსუბუქებლად და სიცოცხლის გასაუმჯობესებლად. კაცობრიობის ტანჯვათ შესამსუბუქებლად პასტერის ინსტიტუტის იქით სხვა უკეთესს ასპარეზს სადღა იპოვნიდა! და დიდი ღვაწლის დასდო ამ დაწესებულებას როგორც მეცნიერმა და როგორც დირექტორმა. მაგრამ მეცნიერება სრულიადაც არ უშლიდა და საცა კი საჭირო იყო სიმართლის აღსადგენად მისი დახმარება, ყველზან მედგრად ისმოდა დიუკლოს ხმა. სტუდენტებს ლექციებს უკითხავდა, იმავე დროს ბიოლოგიურ ქიმიაზედ მუშაობდა, სწერდა თავის გამოჩენილ თხზულებათ „მიკრობიოლოგია“ და „პასტერი, ისტორია ერთის გონებისა“, დადიოდა თავმჯდომარედ იყო სახალხო კრებებზედ, აფუძნებდა სახალხო უნივერსიტეტს, კითხულობდა ლექციებს ხალხისათვის. ამასთან საკვირველი თავმდაბალი კაცი იყო, მშვიდი, წყნარი და არავითარ ყურადღებას არ აქცევდა პირად თავის საქმეებს.

**

გაბრიელ ტარდი. დიუკლოზედ არა ნაკლებ დასანანია მეცნიერებისთვის სახელ განთქმული სოციოლოგი ტარდი, რომელიც ის იყო ახალს შრომას შეუდგა საზოგადოებრივ ფსიხოლოგიის შესახებ. ტარდი ჯერ სასამართლო უწყებაში ემსახუ-

რებოდა, მერმე იმავე უწყების სამინისტროში სტატისტიკას განაგებდა და, მაშასადამე, მომზადებაც ჰქონდა და მასალაც გამოეკვლია—საზოგადოების გავლენა ადამიანზედ და კერძოდ დამნაშავეზედ. ტარდმა შეისწავლა ადამიანთა საზოგადოებათა ხასიათი მეტადრე აღტაცება და დანაშაულობა, უარჰყო გმირთა გავლენა საზოგადოებაზედ და ამტკიცებდა—საზოგადოებას უნდა ეკითხოს, თუ ვის წევრს ფეხი გადაუბრუნდაო. თავის თხზულებაში „საზოგადოებრივი კანონები“ და „კანონები მიბაძვისა“ ტარდი ამტკიცებს—საზოგადოება არის პასუხის მგებელი ყველა მის წევრის საქციელისაო. ამგვარად ტარდი იყო პირდაპირი მემკვიდრე ოგ. კონტის, ლამარკის და დარვინისა.

**

ახალი ოპერა მასკანიასა. იტალიელი კომპოზიტორი მასკანი სწერს ახალს ოპერას, სახელად „მეგობარი“, რომლის მოქმედება პიემონტში სწარმოებს და ჩვენის დროის ცხოვრებიდგან არის აღებული. პირველად მონტე-კარლოში წარმოადგენენ მომავალ თებერვლის დამლევს.

**

ჩვენი თეატრის სანუგეშოდ. ინგლისური მწერლობა ჩივის—სრულიად დაეცა ჩვენში დრამატიული მწერლობა და გოლდსმიტის და შერიდანის შემდეგ თეატრს ინგლისურის მწერლობისათვის აღარაფერი შეუძლვნია—არც ერთი ტიპი, არც ერთი მოსწრებული სიტყვა. ნათამაშევი პიესები არ წარმოადგენენ ჩვენს ცხოვრებას და ამიტომ ასე ნაკლებად დაიარება ინგლისელი თეატრშიო. ამის პასუხად ვილიამ არშერს მოჰყავს სია ინგლისელ თანამედროვე დრამატიულ მწერალთა—სულ ოთხს კაცს ასახელებს,—და დაასკვნის, უკანასკნელ 15 წლის განმავლობაში დრამატიულ მწერლობას წარმატება ეტყობა, თუმცა საიმისო არც არაფერი ამათ შეუქმნიათ... დრამატიულ მწერლობის ეროვნულ ნიადაგზედ ასაღორძინებლად საჭიროა ახალ **„ეროვნულ თეატრის“** დაფუძნება და ჩვენმა მილიონერებმა უნდა დაგვდონ ეს ღვაწლიო.

**

დანტეს სიმბოლიზმი. პარიზის სიტყვიერებათა ფაკულტეტმა დოქტორის ღირსებით დააჯილდოვა ქალი ელეანორ ჟურდენი, რომელმაც ამ ხარისხის მისაღებად წარუდგინა ფაკულტეტს და ღირსეულადაც დაიცვა თავისი თხზულება „სიმბოლიზმი ღვთიურ კომედიაში“.

* *

ქალი პროფესორი. ლონდონის უნივერსიტეტის სენატმა ამას წინად პროფესორის ხარისხით დააჯილდოვა ქალი ლილიან ტომნი, რომელსაც მეურნეობის ისტორიის კათედრა უბოძა. ლილიან ტომნმა სწავლა დაამთავრა კემბრიჯში და შემდეგ კენინგს შველოდა მის შესანიშნავ თხზულების შედგენას: „ზრდა ინგლისისის ვაჭრობისა და მრეწველობისა.“ ახალმა პროფესორმა უკვე დაიწყო ლექციების კითხვა ლონდონის საეკონომიო სკოლაში.

**

ტოლსტოის აზრი სპენსერის შესახებ. ინგლისურ „დროების“ ლიტერატურულ დამატებაში დაბეჭდილია რუსის ფილოსოფოსის შეხედულება სპენსერზედ. ერთ მის მეგობარს გამოეგზავნა ტოლსტოისათვის ავტობიოგრაფია სპენსერისა და შემდეგი სამადლობელი წერილი მიეტო: დიდად გმადლობთ თქვენ მიერ გამოგზავნილ მშვენიერი წიგნისთვის. დიდებული აზრები გულით მომდინარეობენო, ნათქვამია, და ამიტომ მგონია, რომ სპენსერს გული არა ჰქონდა. მუ თაყვანისმცემელი არ გახლავართ სპენსერისა, მაგრამ მისი „ავტობიოგრაფია“ თავით ბოლომდე წავიკითხე და მადლობელი დაგრჩით. ავტობიოგრაფიებში ხშირად ავტორის უნებურად გამომსჭვირკალებს მეტის მეტად მნიშვნელოვანი ფსიხოლოგიური თვისებანი ადამიანისა. მახსოვს, სწორედ ასეთივე შთაბეჭდილება იქონია ჩემზედ ჯონ-სტიუარტ მილის ავტობიოგრაფიის წაკითხვამ.

**

იბსენის ავადმყოფობა. გერმანულ გაზეთებში შემდეგი ცნობებია მოყვანილი მოხუცებულის დრამატურგის ავადმყოფობის და დროს გატარების შესახებ. ამ ზამთარს ინფლუენცა შეხვდა და თუმცა კარგად გადარჩა, მაინც დიდი სიფრთხილე

მართებს და ფარეზი, რომ კვლავ ავად არ გახდეს. წერა აკრძალული აქვს, და არა თუ წერა, თავის პიესის წარმოდგენასაც კი ვერ ესწრობა,—ერთი და ერთი დადგენილი ცხოვრების მიმდინარეობა არ შეერყესო. დილით რვა საათზედ დგება და საუზმის შემდეგ გაზეთებს კითხულობს; სხვა საქმის ნებას არ აძლევენ ექიმები. სტუმრებს იშვიათად ეჩვენება. საღამოს ბიერნსონის ოჯახი ეწვევა (იბსენის შვილს ბიერნსონის ქალი ჰყავს) და საუბარი დღიურ ვარამს შეეხება, რუს-იაპონიის ომს, ყველაფერს, გარდა მწერლობისა.

**

მშრალი რძე. მშრალ რძის მომზადება აქამდინაც იცოდნენ, მაგრამ იმოდენი ნაკლულევანება ჰქონდა ამ გვარად შემზადებულს რძეს, რომ სახმარად აღარ ვარგოდა. ახალი საშუალება, ეგრედ წოდებული ჟუსტ-ჰატმაკერული, იმითია კარგი, რომ დაშრობის დროს რძეში ყოველგვარ ბაქტერიებსაც ხოცავს. გამშრალს რძეს რომ წყალი დაასხათ, იმავ რძედ იქცევა და არაფრით განირჩევა ახლად მოწველილ და უკვე ადუღებულ რძისაგან, არც ფერით, არც სუნით, არც გემოთი, არც ქიმიურ და ფიზიოლოგიურ შედგენილებით. გამშრალი რძის გადაზიდვა შორეულ მანძილზედ მეტად ადვილია, ოღონდ კარგად უნდა იყოს გამაგრებული კოლოფი, რომ ბაქტერიები არ გაუჩნდნენ. გამშრალი რძე სინჯეს, რომელსაც გარე მოევლო ქვეყნისთვის, და არაფრით შემცირებოდა თავისი ღირსება. ნოყივრობითაც გამშრალი რძე იგივე რძე არის და ამიტომ აქვს დიდი მნიშვნელობა მგზავრობაში და მეტადრე მხედრობაში.

**

ვეშაპების ამოწყვეტა. თუ კვლავაც ასე დაუნდობელად ხოცეს, ამ ცოტა ხანში სრულიად ამოსწყვეტენ ვეშაპებსაო, ამბობს ფრანგული ჟურნალი „ბუნება“. 1901 წელს, მაგალითებრ, 498 ვეშაპი მოკლეს მეთევზეებმა. ამიტომ იყო, რომ ნორვეგიის მართებლობამ გამოაცხადა, პირველ იანვრიდგან მაისის დამლევამდე აკრძალულია ვეშაპზედ ნადირობა და

გარდა ამისა აკრძალულია წყლის პირს ვეშაპის ხოცვაო. მიზეზი წყლის პირთან ვეშაპზედ ნადირობის აკრძალვისა ის იყო, რომ ვეშაპზედ მონადირე ნავები აშინებენ წვრილ თევზებს, (სელდს და სხ.) შეშინებული ქარავანი, სხვა უფრო მყუდრო, ალაგისკენ მიეშურებოდა და მეთევზენი მშიერი რჩებოდნენ.

**

სიმპლონის ტუნელი. ამ ერთის კვირის წინ შეაერთეს ორი მხრიდგან დაწყებული ხვრელი სიმპლონის ტუნელისა. სიმპლონში მეოთხეთ არის გათხრილი დიდებული ალპის ქედი: მონსენისის ტუნელი სიგრძით 5704 საჟ. 591 საჟ. სიმაღლეზედ არის გაყვანილი, სენგოტარისა სიგრძით 6959 საჟ. 537 საჟ. სიმაღლეზედ იმყოფება, არლბერგისა სიგრძით 4791 საჟ. 612 საჟ. სიმაღლეზედ არის და სიმპლონისა სამივეზედ გრძელი 9226 საჟ. მაგრამ 328 საჟ. სიმაღლეზედ არის გათხრილი. მიუხედავად თავის სიგრძისა, ამ ტუნელს გაცილებით მეტი ჯაფა დასჭირდა, ვიდრე სხვებს, რაიც ცხად ჰყოფს ტეხნიკის განვითარებას: მონსენისის ხვრელი 14 წელიწადი სთხარეს, სენგოტარისა ცხრა ნახევარი, არლბერგისა სამ ნახევარი, სიმპლონისა ხუთნახევარი. ტუნელი სრულიად მზად პირობისამებრ 30 აპრილს უნდა იყოს მომავალს 1905 წელს და 29.250 ათასი მანეთი დაჯდება.

**

ხოლერის ასაცრელი ჩირქი. იაპონელმა ექიმმა შურატამ შემდეგი ცნობები გამოაქვეყნა ხოლერის ასაცრელ ჩირქის შესახებ: ხოლერის აცრა პირველად დ-რმა ხავკინმა შემოიღო ინდოეთში 1892 წელს და მეცნიერულად შესწავლილ იქმნა 1897 წელს კოლლეს მიერ. რადგან ხოლერა ხშირად მძვინვარებს, 1902 წელს მრავლად აუცრეს ხალხს ხოლერა და აღმოჩნდა, რომ 10 ათას აუცრელთაგან ცამეტ კაცს შეხვდა ხოლერა, და 10 ათას აცრილთაგან მხოლოდ ექვსს. აუცრელთაგან ასზედ 75 მოკვდა ამ სენისაგან და აცრილთაგან კი

ასზედ 42,5. ხოლერის აცრას არავითარი მავნე გავლენა არ აქვს აცრილზედ.

**

სელოვნება სუნთქვასა. დ-რმა ირვინგ ჰანგკოკმა წიგნი გამოსცა, რომელში აწერილია ქალების ფიზიკური აღზრდა იაპონიაში. იაპონიაში უმთავრესი ყურადღება იმაზედა აქვთ მიქცეული, რომ ყოველთვის ჰაერზედ იმყოფებოდეს ადამიანი და გულსამსე სუნთქვა იცოდეს. რაც შეეხება ქალებს, ისინი ყოველთვის ჰაერზე არიან, რადგან ფანჯრები ერთობ ღია აქვთ და ოთახებს წამ-და-უწუმ ანიავებენ. წმინდა ჰაერს ეს ხალხი უფრო მნიშვნელობას აძლევს, ვიდრე კარგად შეზავებულს საჭმელს, და ამიტომ არის, რომ მეტის მეტად იშვიათია იაპონიაში ის ავადმყოფობანი, რომელიც ასე აწუხებს ევროპიელებს; იშვიათია აგრეთვე სიჭლერქეც. კორსეტს არ ხმარობს იაპონელი ქალი, რადგან ფილტვებსა და გულს უხუთავს და სუნთქვას უკრავს.

**

სიცოცხლის წყარო. ჯერ კი ისევ ჰეკელი ამტკიცებდა, სიცოცხლე პირველად ზღვაში დაიწყო და ყოველივე სულდგმული, თვით ადამიანიც კი ზღვის ცხოველთაგან წარმომდინარებსო. სულიერის აგებულებას სულ 15 ელემენტი შეადგენს და მ. კვინტონმა, რომლის მოხსენება წარუდგინა ამ დღეებში პარიზის სამეცნიერო აკადემიას პროფესორმა პერრიემ, 14 ამ ელემენტთაგანი უკვე აღმოაჩინა ზღვის წყალში. გარდა ამისა იმავე კვინტონმა დაადგინა—ცხოველს რომ სისხლი წასკდეს, ისე დაიცალოს, რომ მოძრაობა ვეღარ შეეძლოს, თუ სისხლის წილ ზღვის წყალი ჩაუდგით ძარღვებში, მაშინვე იკრებს ძალღონეს და 5—6 დღეზედ ისე მოკვთდება, რომ სისხლის გაღება აღარ ემჩნევაო. ცხოველს რომ თავისი წონა წყალი შეუშხაპუნოთ, მოკვდება და ზღვის წყალი კი თავის წონაზედ მეტიც სრულიად არას ავნებს.

**

მთვარის ჩამომავლობა. ჰარვარდელი პროფესორი პიკერინგი, საკმარისად ცნობილი ასტრონომიულ მეცნიერებაში,

ამტკიცებს—მთვარე დედამიწის ნაგლეჯია და ჩვენი საწუთროის ჩაღრმავებული ალაგი, სადაც დღეს მშვიდი ოკეანე იმყოფება, წარმოადგენს იმ ალაგს, რომლიდგან მთვარე მოწყდაო. თავდაპირველად მთვარეს არ ჰქონდა არც დღევანდელი ფორმა და არც დღევანდელი მოძრაობა და ელლიპსიური ფორმა დედამიწის მიმზიდველ ძალისა გამო უნდა მიეღო. წინად აზია და ამერიკა შეერთებული უნდა ყოფილიყვნენ ხმელეთით, და მათი განყოფა შედეგი უნდა ყოფილიყო დედამიწისაგან მთვარის მოწყვეტისა. ეს უნდა მომხდარიყო იმ დროს, როდესაც დედამიწას ჯერ არ გამაგრებოდა ზედა პირიო. გადაწყვეტილი მთვარის შესახებ მეცნიერებას ჯერ არა აქვს რა და პრ. პიკერინგის ჰიპოტეზა საკმარისად დასაბუთებელიც რომ არ იყოს, იმდენად საინტერესო და მოხერხებულია, რომ დიდ კამათს გამოიწვევს.

**

ახალი ქვეყანა ნაპოვნი. იტალიელი ერნესტო ბოკკანო ამტკიცებს. ახალი არაფერია ქვეყანაზედ და ჩვენთა ძველთა უკვე იცოდნენ, რაც დღეს ჩვენ ახლად და საკვირველად მიგვაჩნიაო. მაგალითებიც მოჰყავს; რობერ პოოკმა 1664 წელს დაწვრილებით ასწერა ტელეფონი; მარკიზ ვორჩესტერმა 1695 წელს გამოაცხადა გეგმა ნალმიან და ჯავშნიან ხომალდებისა; ერთმა პორტუგალელმა 1709 წ. ითხოვა პრივილეგია ცაში მცურავ ნავისა; ჰუმფრეი დევიმ 1809 წ. გამოაქვეყნა თავისი თეორია, რომლითაც ამტკიცებდა მასალას სამი კი არა, ოთხი მდგომარეობა აქვსო (მაგარი, თხელი, გაზებრივი და დღეს აღმოჩენილი რადიისმფენი); რაპელემ გარგანტუას მეოთხე წიგნში (LVI თავში) იწინასწარმეტყველა ფონოგრაფის გამოგონება; უმავთულო ტელეგრაფი ერთმა იტალიელმა, სტრადამ გამოიგონა მეჩვიდმეტე საუკუნეში; ციცერონმა სთქვა, ოკეანის იქით ახალ ქვეყანას აღმოაჩენენო; მწერავი მანქანა 1846 წ. გამოიგონა ამერიკელმა ჯაქსონ დავიმ, და ამავე დავიმ გამოიგონა თვითმოძრავი ეტლი, დღევანდელი ავტომობილი.

შინაური მიმოხილვა

სხვა და სხვა წოდებანი საქართველოში

სწავლა-განათლების მხრით

თანამედროვე ეკონომიურ ცხოვრების განვითარება ისეთია, რომ იგი თან და თან არღვევს ძველ წოდებრივ წყობილებას და ამყარებს ახალ საზოგადოებრივ ურთიერთობას. ის, რაც ძველ დროში ითვლებოდა დამახასიათებლად, დღეს ველარ ჩაითვლება ასეთად. ძველად წოდებრივი დანაწილება ხალხისა მტკიცე და, შეიძლება ვთქვათ, შეურყეველ კალაპოტში იყო ჩაყენებული. ეკონომიურად ძლიერი და სოციალურად გაბატონებული წოდება ყველგან და ყველაფერში წინ იდგა და, ავად თუ კარგად, მეთაურობდა დაბალ და დამოკიდებულ წოდებას. აქ თითქმის შეუძლებელი იყო პოზიციის გამოცვლა და დაბალ სოციალურ მდგომარეობიდან მაღალში გადასვლა. მთელი ერი ორ დიდ და მთავარ წოდებად განიყოფებოდა: ერთს შეადგენდა მემამულეთა კლასი ანუ თავად-აზნაურობა, ხოლო მეორეს —უმამულო და და სოციალურად დამოკიდებული გლეხობა. წოდებათა შორის მაღალი კედელი იყო ამართული, რომელსაც დაბალ წოდების წარმომადგენელი თავის დღეში ვერ გადავიდოდა და მოწინავე წოდებას ვერ შეუერთრებოდა. იგი უნდა მომკვდარიყო იმავე წოდებაში, რომელშიაც იბადებოდა.

სულ სხვა გვარ ნიშნებსა და მიმართულებას გვიჩვენებს დღევანდელი ცხოვრება. დღეს აღარ არსებობს ძველი ბატონ-

ყმობა და მოსპობილია ადამიანის პირადი უთავისუფლობა. გართულებულია ცხოვრება და ხალხის საზოგადოებრივ კლასებად დანაწილებაც. თავად-აზნაურობას დღეს აღარ აქვს ძველებური სოციალ-ეკონომიური უპირატესობა, რადგან თვით მამული აღარ არის ერთად ერთი სახსარი ეკონომიურის ძალისა და საზოგადოებრივის დაწინაურებისა. ცხოვრების ახალს ვითარებაში კაცს მამულს გარედაც შეუძლია შეიძინოს ქონება და, რახან შთამომავლობას წინანდებურად დიდი მნიშვნელობა აღარ აქვს, შეუძლია აგრეთვე საზოგადოებაშიაც მოიპოვოს ძალა და დაწინაურება. რამდენადაც ეს „შეუძლია“ სინამდვილე ხდება, რამდენადაც ძველებური წოდებანი ერთმანეთში ითქვიფებიან და ახალი, ქონებისა და არა შთამომავლობის საფუძველზე დამყარებული, საზოგადოებრივი კლასები ვითარდებიან, იმდენადვე ჩვენს ცხოვრებას უფრო დემოკრატიული ელფერი ედება და ჩვენი ერი წარმატებისა და აღორძინების გზაზე დგება. თავად-აზნაურობას, ვითარცა მემამულეთა კლასს, მხოლოდ იმ ერში შეუძლია ჰქონდეს სოციალ-ეკონომიური პირველობა, სადაც სასოფლო მეურნეობა და, მაშასადამე, მამული შეადგენს ხალხის არსებობის მთავარ სახსარს. და ესკი იმის მომასწავებელია, რომ ასეთი ერი ეკონომიურის განვითარებითა და თანამედროვე კულტურის მხრით უკან ჩამორჩენილია. სწრაფ წარმატების გზაზე მხოლოდ ის ერი სდგას, რომელშიაც გაზრდილია შრომის საზოგადოებრივი განაწილება, განვითარებულია გაცვლა-გამოცვლა და აღორძინებულია ვაჭრობა-მრეწველობა. რამდენადაც ასეთი ვითარება ამა თუ იმ ერში ფეხს იკიდებს, იმდენადვე თავად-აზნაურობას ეკარგება ეკონომიური უპირატესობა, ხოლო სხვა და სხვა წოდებათაგან შემდგარს ბურჟუაზიას ემატება ძალა და ემჩნევა დაწინაურება.

ეს დაწინაურება სჩანს საზოგადოდ ყველაფერში და იგი უნდა ჩნდეს, რასაკვირველია, კერძოდ სწავლა-განათლების საქმეშიაც. რა თქმა უნდა, სწავლის მისაღებად საჭიროა ნივთიერი შეძლება და ამიტომ სწავლა-განათლება იმ წოდება-

სა თუ კლასში უფრო გავრცელდება, რომელიც ეკონომიურად წამოწეულია და აქვს საჭირო საშუალება. არა თავადაზნაურ მოსწავლეთა რიცხვის გამრავლება სასწავლებლებში მომასწავებელია იმისი, რომ ჩვენი ცხოვრებაც მოქალაქობრივობის გზაზეა დამდგარი და თან და თან ვითარდება.

ამიტომ ჩვენ საინტერესოდ მიგვაჩნია გავაცნოთ მკითხველს ის სტატისტიკური მასალები, რომლებიც ამ მიმდინარეობას ჰხატავს. რამდენად არის ჩვენში სხვა და სხვა წოდებებში სწავლა-განათლება გავრცელებული? რომელი წოდება მიდის შედარებით უფრო წინ, რომელი უკან რჩება? ამ კითხვებზე გარკვეულ პასუხის შედგენა თავის თავადაც საინტერესო და მნიშვნელოვანია და მით უფრო მაშინ, როცა ჩვენი საზოგადოებრივ ცხოვრების მიმდინარეობას ვუკვირდებით და მისი ხასიათის გათვალისწინებას ვცდილობთ.

სამწუხაროდ, სრულის სისწორით ამ კითხვების გარკვევა და მათზე პასუხის მოცემა, მასალების სიმცირის გამო, შეუძლებელია. ის სტატისტიკური მასალები, რომლებიც საზოგადოდ მოიპოვება, მხოლოდ იმ სკოლებს შეეხება, რომელნიც კავკასიის სამოსწავლო ოლქის უწყებას ექვემდებარებიან; სხვა უწყებათა სასწავლებლების შესახებ ცნობები არ იბეჭდება. გარდა ამისა, იმ ცნობებშიაც, რომლებიც არის და ხსენებულ სასწავლებლებს შეეხება, სხვა და სხვა ეროვნება და წოდებანი არ არიან ცალ-ცალკე ნაჩვენები, ასე რომ თითოეულ წოდების მოსწავლეთა რიცხვში (თავად-აზნაურის სასულ. წოდება, მოქალაქეთა წოდება, გლეხობა) მოქცეულნი არინ, ქართველებს გარდა, რუსები, სომხები და სხვა ეროვნებათა წარმომადგენელიც. ამიტომ შეუძლებელია გამოვაცალკევოთ ქართულ წოდებათა შესახები ციფრები და განვმარტოთ ქართველი ხალხის თითოეულ წოდების წარმატებისა თუ უკან ჩამორჩენის მაჩვენებელი ცნობები. ჩვენ იძულებული ვართ ამ ნაკლს შევურიგდეთ და, მკითხველი რომ შეცდომაში არ შევიდეს, აქვე განმეორებით შევნიშნავთ, რომ ქვემოდ მოყვანილ ციფრებში მოქცეულია საქართველოში არსებულ სა-

სწავლებლების მოსწავლეთა რაოდენობის მაჩვენებელი ცნობები, წოდების მიხედვით, რომელნიც შეეხებიან არა მარტო ქართველ მოსწავლეებს, არამედ —ყველას, განურჩევლად ეროვნებისა.

დავხედოთ ეხლა თვით ციფრებს და აღვნიშნოთ თითოეულ წოდების წარმატება და ჩამორჩენაც. **ვაჟთა გიმნაზიებსა და პროგიმნაზიებში** მოსწავლეთა განაწილებას, წოდების მიხედვით, შემდეგნაირად გვიხატავს სტატისტიკა:

ა) ტფილისის გუბერნიაში:

წლები	რიცხვი					პროცენტი				
	თავად-აზნ.	სასულ/წოდება.	მოქალაქ/წოდება.	გლეხი.	სხვანი.	თავად-აზნ.	სასულ/წოდება	მოქალ/წოდება	გლეხი	სხვანი
1887	858	30	301	17	31	69,3	2,4	24,3	1,3	2,7
1890	857	26	462	22	45	60,7	1,8	32,7	1,5	3,3
1893	1001	38	569	19	41	60,0	2,3	34,1	1,1	2,5
1896	1184	58	671	31	67	58,8	2,8	33,4	1,5	3,5
1899	1207	69	821	38	59	55,0	3,1	37,4	1,8	2,7
1902	1146	91	1074	59	54	47,2	3,7	44,3	2,4	2,4
ბ) ქუთაისის გუბერნიაში:										
1887	432	46	116	24	19	67,8	7,2	18,2	3,8	3,0
1890	481	36	107	18	16	73,1	5,5	16,3	2,7	2,4
1893	507	26	148	25	26	69,3	3,6	20,2	3,4	3,5
1896	550	26	170	36	27	68,0	3,2	21,0	4,4	3,4
1899	600	33	232	83	38	60,8	3,4	23,5	8,4	3,9
1902	584	63	317	141	42	50,9	5,5	27,6	12,3	3,7
გ) ორსაკვე გუბერნიაში:										
1887	1290	76	417	41	50	68,8	4,1	22,1	2,2	2,8
1890	1338	63	569	40	61	64,6	3,1	27,4	1,9	3,0
1893	1508	64	717	44	67	62,6	2,6	29,8	1,8	3,2
1896	1734	84	841	67	94	61,4	3,2	29,8	2,3	3,3
1899	1807	102	1053	121	97	58,1	3,1	33,3	3,8	1,7
1902	1730	154	1391	200	96	48,3	4,3	38,8	5,5	3,1

პირველ დახედვისათანავე აქ მკითხველი შეამჩნევს, რომ შედარებით თავად-აზნაურნი უმრავლესობას შეადგენენ რო-

გორც ტფილისის, ისე ქუთაისის გუბერნიის გიმნაზიებში. ორსავე გუბერნიაში თავად აზნაურნი პირველ ადგილას არიან; იმათ მოსდევენ მოქალაქენი, შემდეგ სასულიერო წოდება (ტფილ. გუბერნიაში) და გლეხობა (ქუთაისისაში).

ასევე ადვილი შესამჩნევია, რომ თავად-აზნაურთა რიცხვი შედარებით კლებულობს ყოველ წელიწადს. 1887 წლიდან 1902 წლამდის იმათ რიცხვს დაუკლია: 22,1%-ით ტფილისის გუბერნიაში და 15,8%-ით ქუთაისისაში, ხოლო 20,6%-ით საერთოდ ორსავე გუბერნიაში. ეს იმას ნიშნავს, რომ დღეს თავად-აზნაურობას შედარებით ისეთი მაგარი პოზიცია აღარ უჭირავს გიმნაზიებში, როგორიც ეჭირა წინა წლებში. ის, რაც აკლდება თავად-აზნაურობას, ემატება სხვა წოდებათ. შედარებითი მატება ემჩნევა როგორც სასულიერო წოდებას, ისე გლეხობას და განსაკუთრებით მოქალაქეთა წოდებას. სასულიერო წოდებას მოჰმატებია ორსავე გუბერნიაში 0,3%, გლეხობას—3,3% და მოქალაქეთ —16,7%. მოქალაქეთა მატება, რასაკვირველია, მეტია ტფილისის გუბერნიაში, ვიდრე ქუთაისისაში. აქ შედარებით ნაკლებ არის ქალაქი და მოქალაქობრივობა განვითარებული, ვიდრე იქ, სადაც სომხის ბურჟუაზია შეუჩერებლივ ზრდასა და წარმატებაშია. მოქალაქეთ მოჰმატებიათ ტფილისის გიმნაზიებში 20% და ქუთაისისაში 9,4%, ხოლო გლეხობას—1,1% პირველში და 8,5% მეორეში.

განსაკუთრებით ერთი სასიამოვნო და სანუგეშო მოვლენა მოსჩანს ამ ციფრებში. სახელდობ ის, რომ გლეხ-მოსწავლეთა რიცხვი შესამჩნევად მატულობს იმერეთში. ტფილისის გუბერნიაში იმათ რიცხვს, როგორც აღვნიშნეთ, ძალიან სუსტი ზრდა ემჩნევა (1,1%), მაგრამ მამაგიეროდ ქუთაისის გუბერნიაში ეს ზრდა თვალსაჩინოა. აქ გლეხების რიცხვი იყო 1887 წელს 24 ანუ მოწაფეთა საერთო რაოდენობის 3,8%; მას შემდეგ ეს რიცხვი თან და თან იზრდებოდა და 1902 წელს გაჰხდა 141 ანუ 12,3% და, მაშასადამე, მოიმატა შედარებით 8,5%. ამ სახით იმერეთის გლეხობის ეკონო-

მიურ დაწინაურებას და გარედ გახედულობას შედეგად ახლავს მისი წინსვლა საშუალო სწავლა-განათლების საქმეში. ამერეთში კი, სადაც გლეხობა სრულიად დაბეჩავებულია და დღესაც სრულს ბატონ-ყმურ დამოკიდებულებაში იმყოფება, გლეხ მოსწავლეთა რიცხვი ძალიან მცირეა და ძალიან ნელის ნაბიჯითაც მიდის წინ მათი გამრავლება.

აქ აღნიშნული ციფრები ბევრის მხრით არის საინტერესო. რიცხვით მცირე თავად-აზნაურობას ყველა წოდებაზე მეტი მოსწავლენი ჰყავს ვაჟთა გიმნაზიებში. ეს მოვლენა შეუძლებელი იქნებოდა, რომ ჩვენში მოქალაქობრივობა სავსებით იყოს განვითარებული. აზნაურთა შვილებს ბევრი მეტოქეები ეყოლებოდათ სხვა წოდებათაგან და ამიტომ მათი რიცხვი არ იქნებოდა ასე დიდი %-ის შემდგენი: მაგრამ საქმეც ისაა, რომ ჩვენში მოქალაქობრივი განვითარება მხოლოდ დაწყებულია და ამიტომ თავად-აზნაურთა უპირატესობა სასწავლებლებშიაც ჯერ არის ჯერ კიდევ გამქრალი. თავად-აზნაურობა შეადგენს საქართველოს ორსავე გუბერნიაში დაახლოვებით მცხოვრებთა 5%-ს, მოქალაქეთა წოდება 8—10%-ს და გლეხობა 80%-ს. 5%-ის შემცველ თავად-აზნაურთ მოსწავლეთა 48% უჭირავთ სასწავლებლებში, 10 პროცენტიან მოქალაქეთ — 38%, ხოლო გლეხობას, რომელიც დიდძალი უმრავლესობაა ჩვენი ხალხისა (80%), მარტო 200 მოსწავლე (5,5%) ჰყავს ორსავე გუბერნიაში. ცხადია, სხვებთან შედარებით გლეხებში ძალიან ნაკლებად არის საშუალო სწავლა-განათლება გავრცელებული. წოდების საერთო ჯამს ავიღებთ თუ მოსწავლეთა აბსოლუტურს ციფრებს,—ორსავე შემთხვევაში თავად-აზნაურნი წინ არიან და უსწრებენ არა თუ გლეხობას და სასულიერო წოდებას, არამედ მოქალაქეთაც-კი. თავად-აზნაურთა საერთო რიცხვი, 5%-ის მაგივრად, ხალხის 10%-ადაც რომ ჩავაგდოთ,—რუსის ჩინოვნიკები, რომლებიც ჩვენს ქვეყანას მუდამ ემატებიან, უფრო ხშირად აზნაურები არიან,—მაშინაც-კი მათ გიმნაზიურ განათლების გავრცელებულობის მხრით მოქალაქენი ვერ გაუთანასწორდებიან. მართა-

ლია, თავად-აზნაურთა აბსოლუტური ზრდა ბევრად ნაკლებია, ვიდრე ასეთივე აბსოლუტური მატება მოქალაქეთა, გინდ სასულიერო წოდების ან გლეხობისა,—ორსავე გუბერნიაში თავად-აზნაურობას მოჰმატებია 35%, სასულიერო წოდებას—103%, მოქალაქეთ—233% და გლეხებს—388%,—მაგრამ დღეს-დღეობით მაინც უმრავლესობა თავად-აზნაურობას აქვს ვაჟთა გიმნაზიებში.

მხოლოდ მკითხველი ამ ციფრებით შეცდომაში არ უნდა შევიდეს და არ უნდა იფიქროს, რომ ვითომ ასეთი დაწინაურება სწავლა-განათლების საქმეში ერთნაირად შეეხება ქართველ და უცხო ეროვნების თავად-აზნაურობას. ჩვენი თავად-აზნაურობა უფრო სოფელში მცხოვრებია, ხოლო ამავე წოდების წარმომადგენელი რუსები და სომხები-კი ყველანი ქალაქებში ცხოვრობენ და, მაშასადამე, შვილებსაც უფრო ადვილად აბარებენ სასწავლებლებში. ამიტომ ჩვენ არ შევცდებით, თუ ვივარაუდებთ, რომ ჩვენში მცხოვრებ უცხო ეროვნებათა თავად-აზნაურობაში უფრო გავრცელებულია გიმნაზიური სწავლა-განათლება, ვიდრე ამავე წოდების ქართველობაში. მაშასადამე, იქაც, სადაც წინსვლა და წარმატება ეტყობა, ქართველ ელემენტს ნაკლები წილი უდევს, ვიდრე უცხოს, რომელსაც ან ფული ჰშველის და ან მთავრობის დახმარება...

თავად-აზნაურობა უმრავლესობას შეადგენს არა მარტო გიმნაზიებსა და პროგიმნაზიებში, არამედ საერთოდ ვაჟთა ყველა საშუალო სასწავლებლებში. აქაც, როგორც კერძოდ გიმნაზიებში, პირველ ადგილას არიან თავად-აზნაურები, მათ შემდეგ მიდიან მოქალაქენი, ხოლო შემდეგ გლეხობა და სასულიერო წოდება. ამას მკითხველი დაინახავს შემდეგი ცხრილიდან, რომელშიაც აღნიშნულია თითოეულ წოდების თანდათანი ზრდა და გამრავლება.

ვაჟთა საშუალო სასწავლებლებში მოსწავლენი წოდების მიხედვით ასე განაწილდებოდნენ:

ა) ტფილისის გუბერნიაში:

წლები	რიცხვი					პროცენტი				
	თავად-აზნ.	სასულ. წოდ.	მოქალ. წოდ.	გლეხი	სხვანი	თავად-აზნ.	სასულ. წოდ.	მოქალ. წოდ.	გლეხი	სხვანი
1887	1110	58	425	71	95	63,1	3,3	24,1	4,0	5,5
1890	1083	56	596	115	91	55,7	2,9	30,7	5,9	4,8
1893	1245	59	732	117	110	55,0	2,6	32,3	5,2	4,9
1896	1444	71	886	149	141	53,5	2,6	32,8	5,5	5,6
1899	1494	94	1155	206	139	48,5	3,0	37,5	6,7	4,3
1902	1495	123	1380	240	109	44,6	3,7	41,1	7,1	3,5
ბ) ქუთაისის გუბერნიაში:										
1887	448	56	118	40	23	65,4	8,2	17,2	5,8	3,4
1890	498	43	108	42	18	70,2	6,0	15,2	5,9	2,7
1893	516	30	150	61	26	65,8	3,9	19,1	7,9	3,3
1896	561	29	173	69	30	64,9	3,4	20,2	8,0	3,5
1899	784	44	349	162	54	56,6	2,5	25,3	11,7	3,9
1902	881	95	453	251	61	50,8	5,4	26,2	14,4	3,2
გ) ორსაგე გუბერნიაში:										
1887	1558	114	543	111	118	63,8	4,8	21,5	4,7	5,2
1890	1581	89	704	157	109	59,6	3,3	26,6	5,0	5,5
1893	1761	89	882	178	133	57,8	2,9	29,0	5,8	4,5
1897	2005	100	1059	218	171	56,4	2,8	29,8	6,1	4,9
1899	2278	138	1504	368	193	51,0	3,1	33,7	8,2	4,0
1902	2376	218	1833	491	170	46,7	4,6	35,1	9,6	4,0

აქაც, როგორც ვაჟთა გიმნაზიებსა და პროგიმნაზიებში, შესამჩნევია თავად-აზნაურობის შედარებითი დაკლება. მართალია, დღესაც მათ აქ რიცხვით მეტი მოსწავლე ჰყავთ, ვიდრე სხვა რომელსამე წოდებას, მაგრამ იმათ რაოდენობას თან-და-თან აკლდება და დღეს იგივე პროცენტი აღარ აქვთ, რაც ამ 16 წლის წინად ჰქონდათ. 1887 წელს ისინი შეადგენდნენ 63,1%-ს ტფილისის გუბერნიაში, ხოლო 1902 წელს—44,6%-ს, მაშასადამე, დააკლდათ 14,6%; ქუთაისის გუბერნიაში მათი რიცხვი 65,4%-დან ჩამოვიდა 50,8%-ზე და ამ სახით მოაკლდა 14,6%. ასევე შედარებითი დაკლება ემჩ-

ნევა სასულიერო წოდებასაც (0,5%), ხოლო მოქალაქეთა და გლეხების რიცხვი თვალსაჩინო მატების მაჩვენებელია. მოქალაქეთ მოჰმატებიათ 17,0% ტფილისის გუბერნიაში და 9,0% ქუთაისისაში, ხოლო გლეხებს 3,1% პირველში და 8,6% მეორეში. აქაც გლეხების მატება ბევრად მეტი მოსჩანს იმერეთში, ვიდრე ამერეთში.

ზრდის აბსოლოტურის სისწრაფითაც თავად-აზნაურობა ვერ უტოლდება სხვა წოდებათ. ორსავე გუბერნიაში ხსენებულ წოდების მოსწავლეთ მოჰმატებია 52%, ხოლო სასულიერო წოდებას—91%, მოქალაქეთ—238% და გლეხობას —342%.

თავად-აზნაურობის შედარებითი დაკლება და მცირე აბსოლუტური ზრდაც სრულიად ბუნებრივი მოვლენაა. რამდენადაც ჩვენი ცხოვრება თან-და-თან მოქალაქობრივობის გზაზე ვითარდება და სასწავლებლები მრავლდება, იმდენადვე სხვა წოდების მოსწავლეთა რიცხვი მეტი ჰხდება და ამცირებს შედარებით თავად-აზნაურთა რაოდენობას. ეს გვიჩვენებს, რომ სხვა წოდებებშიაც ვრცელდება სწავლის საჭიროების შეგნება და განათლებისადმი მისწრაფება, და არა იმას, რომ ვითომ თავად-აზნაურობა წინანდელზე ნაკლებ ეტანებოდეს სწავლა-განათლებას. ამის წინააღმდეგს გვიმტკიცებს ის გარემოება, რომ თავად-აზნაურ მოწაფეთა რიცხვი აბსოლუტურად იზრდება, ე. ი. რომ წინანდელზე მეტი მოსწავლენი ჰყავს დღეს ამ წოდებას.

რა ვითარებაც შევნიშნეთ ვაჟთა სასწავლებლებში, იგივე ვითარება სჩანს ქალთა გიმნაზია-პროგიმნაზიებშიაც. აქაც აბსოლუტურის სიმრავლით პირველ ადგილას არიან თავად-აზნაურნი, მეორეზე—მოქალაქენი, ხოლო ამათ უკან სასულიერო წოდება და გლეხნი. განსხვავება არის მხოლოდ, როგორც ამას შემდეგი ცხრილიდან დაინახავთ, სისხო-სიდიდის გამომხატველ ციფრებში და არა მიმდინარეობის ხასიათში.

ქალთა გიმნაზიებსა და პროგიმნაზიებში იყო სულ მოსწავლე:

ა) ტფილისის გუბერნიაში:

წლები	რიცხვი					პროცენტი				
	თავად-აზნ.	სასულ-წოდება	მოქალ-ქალ.	გლეხი	სხვანი	თავად-აზნ.	სასულ-წოდება	მოქალ-ქალ.	გლეხი	სხვანი
1887	966	60	319	18	82	66,9	4,1	22,1	1,2	5,7
1890	1067	47	351	13	54	69,3	3,1	22,9	0,8	3,6
1893	1246	52	444	12	50	69,1	2,9	24,6	0,7	2,7
1896	1522	93	751	27	57	62,1	3,8	30,7	1,1	2,3
1899	1700	121	1137	63	62	55,1	3,9	36,9	2,1	2,0
1902	1796	135	1466	64	89	50,6	3,8	41,3	1,8	2,5
ბ) ქუთაისის გუბერნიაში:										
1887	271	24	86	8	5	68,8	6,1	21,8	2,0	1,3
1890	277	20	123	3	8	64,3	4,1	28,1	0,7	2,8
1893	322	13	121	15	4	68,2	2,7	25,6	3,2	0,3
1896	402	21	163	28	12	63,4	3,3	25,7	4,4	3,2
1899	512	17	192	46	11	65,8	2,2	24,7	5,9	1,4
1902	667	28	346	112	35	55,7	3,2	28,9	9,3	2,9
გ) ორსაგე გუბერნიაში:										
1887	1248	84	405	26	87	67,3	4,7	22,0	1,4	4.6
1890	1344	67	474	16	62	68,4	3,4	24,1	0,8	3,3
1893	1568	65	565	27	51	68,8	3,6	24,8	1,2	1,6
1896	1924	114	914	55	69	62,4	3,7	29,6	1,8	2,5
1899	2212	138	1329	109	73	57,3	3,6	34,4	2,8	1,9
1902	2463	173	1812	176	124	51,9	3,6	28,2	3,7	2,6

როგორც ყველა ზემოხსენებულ სასწავლებლებში, ისე ქალთა გიმნაზიებშიაც თავად-აზნაურობის რიცხვს, რომელიც დღეს მოსწავლეთა ნახევარს ეთანასწორება, შედარებით უკლია ამ 16 წლის განმავლობაში. ტფილისის გუბერნიაში მოუკლია 16,3% და ქუთაისისაში 13,1%; სასულიერო წოდებას მოჰკლებია 0,3% და 2,9%, ხოლო მოქალაქეთ მოჰმატებიათ 19,2% და 7,1% და გლეხობას 0,6% და 7,3%. გლეხ მოსწავლეთა რიცხვის მატების მხრით იმერეთი აქაც წინაა ამეგრეთზე, როგორც აბსოლუტურად, ისე შედარებითაც.

აბსოლუტურად თავად-აზნაურთა რიცხვს უმატნია, მაგრამ ისე დიდად არა, როგორც მოქალაქეთა და გლეხობისას. იმათი

მატება შეადგენს ორსავე გუბერნიაში 97%-ს, სასულიერო წოდებისა—106%-ს, ხოლო მოქალაქეთა—347%-ს და გლეხებისა—577%-ს.

მიუხედავად ასეთის შედარებით ნელის წინმსვლელობისა, თავად-აზნაურნი დღესაც, როგორც ვსთქვით, საშუალო სასწავლებლებში სჭარბობენ სიმრავლით ყველა სხვა წოდებათ სათითაოდ. ეს სჩანს, როცა ვუკვირდებით თითეულ ტიპის სასწავლებელთა შესახებ ციფრებს, და ესევე სჩანს მაშინაც, როცა ყველა ამ ციფრებს ვაერთებთ და ერთ საერთო ჯამს ვადგენთ.

შემდეგი ცხრილი გვიჩვენებს მოსწავლეთა დანაწილებას წოდების მიხედვით **ყველა საშუალო სასწავლებლებში**, განურჩევლად ტიპისა და სასქესო დანიშნულებისა.

ა) ტფილისის გუბერნიაში:

წლები	რიცხვი					ბრუნვენტი				
	თავად-აზნ.	სასულ. წოდება	მოქალ. წოდება	გლეხი	სხვანი	თავად-აზნ.	სასულ. წოდება	მოქალ. წოდება	გლეხი	სხვანი
1887	2076	118	744	89	177	64,8	3,7	23,2	2,8	5,5
1890	2150	103	947	128	146	61,9	2,9	27,3	3,7	4,2
1893	2491	111	1176	129	160	61,2	2,7	28,8	3,2	4,1
1896	2966	164	1637	176	208	57,6	3,2	31,8	3,4	4,0
1899	3194	215	2292	269	199	51,8	3,5	37,2	4,3	3,2
1902	3291	258	2846	304	208	47,5	3,7	41,2	4,4	3,2
ბ) ქუთაისის გუბერნიაში:										
1887	719	80	204	48	28	66,6	7,4	18,9	4,4	2,7
1890	775	63	231	45	26	67,9	5,5	20,2	4,0	2,4
1893	838	43	271	76	27	65,2	3,5	21,6	6,1	3,6
1896	963	50	336	97	42	64,6	3,4	22,5	6,5	3,0
1899	1296	61	541	208	65	59,9	2,8	25,0	9,6	2,7
1902	1548	133	799	363	96	52,8	4,5	27,3	12,4	3,0
გ) ორსავე გუბერნიაში:										
1887	2806	198	948	137	205	65,5	4,6	22,1	3,2	4,6
1890	2925	167	1178	173	172	63,2	3,6	24,2	3,8	5,2
1893	3329	154	1447	205	187	62,6	2,9	27,2	3,9	3,4
1896	3929	224	1973	273	250	59,1	3,3	29,7	4,1	3,8
1899	4490	276	2833	477	264	53,1	3,3	33,9	5,7	4,0
1902	4839	391	3645	680	304	49,1	3,9	37,0	6,9	3,1

ამ ცხრილშიაც დაახლოვებით იგივეა გამეორებული, რაც აღვნიშნეთ ცალ-ცალკე თითოეულ სასწავლებლის შესახებ. თავად-აზნაურთა რიცხვი შეადგენს ნახევარს ანუ ხუთმეათედს, მოქალაქეთა—ოთხ-მეათედს, ხოლო დანარჩენი ერთი მეათედი შესდგება სხვა წოდებათაგან. თავად-აზნაურთა შედარებითი დანაკლისი არის: 17,3% ტფილისის გუბერნიაში და 13,8% ქუთაისისაში, ხოლო სასულიერო წოდებისა—2,9% ქუთაისისავე გუბერნიაში. მოქალაქეთა მატებაა 18,0% და 8,4% და გლეხებისა—1,6% და 8,0%.

თუ თითოეულ წოდების წევრთა საერთო რიცხვს მივიღებთ მხედველობაში და მოსწავლეთა რაოდენობას ამის კვალობაზე ვიანგარიშებთ, ვნახავთ, რომ თავად-აზნაურთ, მოქალაქეთ და სასულიერო წოდებას მათი საერთო რიცხვის შესაფერ ნორმაზე მეტი მოსწავლენი ჰყავთ საშუალო სასწავლებლებში. თავად-აზნაურთა რიცხვი მეტია (ორსავე გუბერნიაში) 43,7%-ით, მოქალაქეთა—29,5%-ით, სასულიერო წოდებისა—2,3%-ით, ხოლო გლეხებისა—ნაკლები 77,9%-ით. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, საშუალო სწავლა-განათლების შედარებითის გარვცელებულობის მხრით, თუ სხვა უწყებათა სასწავლებლებს არ მივიღებთ მხედველობაში, პირველი ადგილი უჭირავს თავად-აზნაურობას, მეორე—მოქალაქეთ, მესამე—სასულიერო წოდებას და უკანასკნელი—გლეხობას. გლეხობაში ყველაზე უფრო ნაკლებ არის საშუალო სწავლა-განათლება გავრცელებული. ეს ისეთი დასკვნაა, რომელიც უსტატისტიკოდაც ყველამ ვიცით.

ნამდვილად კი ამ ვითარების აქ აღნიშნული კონკრეტული გამოხატულება ცოტა შეკვეცით არის მისაღები. ამ ანგარიშში ჩათვლილი არაა სასულიერო უწყების სკოლები, —არც პირველდაწყებითი („სამრევლო“) და არც დაბალი და საშუალო („სასულიერო სასწავლებლები“ და „სასულიერო სემინარიები“). ამ სასწავლებელთა მოსწავლეებიც რომ იყვნენ აქ ჩარიცხულნი, მაშინ ცოტა სხვა სურათი გამოჩნდებოდა,—გლეხობის უკან ჩამორჩენა ისე დიდად (77,9%)

არ აღინიშვნებოდა და სასულიერო წოდების დაწინაურებაც ისე მცირედ (2,3%) არ გამოისახებოდა.

საინტერესოა საშუალო სწავლის გავრცელების მხრით შევადაროთ ერთმანეთს იმერეთი და ამერეთი. საქართველოს რომელი ნაწილის ესა თუ ის წოდება არის შედარებით უფრო დაწინაურებული? 1902 წელს ყველა საშუალო სასწავლებლებში თავად აზნაურთა შვილების რიცხვი იყო 4839 ორსავე გუბერნიაში, აქედან 68% ტფილისისა და 32% ქუთაისისაში. ორივე გუბერნიის თავად-აზნაურთა საერთო რიცხვის მიხედვით-კი ტფილისის გუბერნიას უწევს 27,1% და ქუთაისისას—დანარჩენი 72,9%. ნამდვილად ტფილისის გუბერნიაში მოსწავლეთა რიცხვი მეტია ამ ნორმაზე 40,9%-ით, ხოლო ქუთაისისაში—ამდენითვე ნაკლები. გამოდის, რომ საშუალო სწავლა-განათლება უფრო გავრცელებულია ამერეთის თავად-აზნაურობაში, ვიდრე იმერეთისაში.

უეჭველია, ეს დასკვნა, ქართველების შესახებ მაინც, თუ სულ ყალბად არა, ყოველ შემთხვევაში სრულის სისწორით არ ჰხატავს სინამდვილეს. ტფილისის გუბერნიაში ბლომად მოიპოვებიან უცხო ეროვნების თავად-აზნაურნიც, რომელნიც ქართველებზე უკეთეს მდგომარეობაში არიან და უფრო ეადვილებათ შვილების სასწავლებლებში მიბარება. გარდა ამისა ამავე გუბერნიაში ბლომად სწავლობენ იმერეთის თავად-აზნაურთა შვილებიც და ზემოდ აღნიშნულ ციფრების გამოთვლის დროს ეს გარემოება არაა მხედველობაში მიღებული და ამიტომ ამერეთის თავად-აზნაურობის დაწინაურება უფრო დიდი ციფრით არის გამოხატული, ვიდრე უნდა იყოს იგი ნამდვილად.

შევადაროთ საქართველოს ორივე ნაწილის მოქალაქეთა წოდებაც. ამ წოდების მოსწავლეთა რიცხვი იყო 1902 წელს სულ 3645, აქედან 78,3% ტფილისის გუბერიიაში და 21,7%-ქუთაისიჩაში. საერთო რიცხვში პირველი გუბერნიის მოქალაქეთა რაოდენობა შეადგენს 63,5%-ს და მეორისა—36,5%-ს. მაშასადამე, ტფილისის გუბერნიის მოქალაქეებში 15,8%-ით

მეტად არის საშუალო განათლება გავრცელებული, ხოლო ქუთაისისაში - ამდენივე პროცენტით ნაკლებ. ეს დასკვნა ჭკუასთან უფრო ახლოსაა. ამერეთში ძლიერია უცხო ტომის ბურჟუაზია; აქაურ მოქალაქეებში შედარებით მეტია შეძლებული ხალხი, ვიდრე იმერეთში და ამიტომ ადვილი წარმოსადგენია, რომ მათში სწავლაც შედარებით მეტად იყოს გავრცელებული.

გლეხების შესახებ-კი სურათი იცვლება და ტფილისის გუბერნია ქუთაისისაზე უფრო ჩამორჩენილად გვეჩვენება. 1902 წ. გლეხ მოსწავლეთა 44,7% იყო ტფილისის გუბერნიში და 55,3%-ქუთაისისაში. გლეხთა საერთო რიცხვის მიხედვით პირველ გუბერნიას უწევს 46,2% და მეორეს—53,8%. ამ სახით ქუთაისის გუბერნიას ნორმაზე მეტი ჰყავს 1,5%-ით, ხოლო ტფილისისას—ამდენითვე ნაკლები. და ეს იმას ნიშნავს, რომ საშუალო განათლება შედარებით იმერეთის გლეხობაში უფრო არის გავრცელებული, ვიდრე ამერეთისაში. შეიძლება, ეს იმერეთის დაწინაურების მაჩვენებელი ციფრი მცირე იყოს და სინამდვილეს სავსებით არ ჰხატავდეს. ყოველ შემთხვევაში ეს ეჭვს გარეშეა,—ვფიქრობთ ჩვენ,—რომ იმერეთის გლეხობა საშუალო სწავლა-განათლების გავრცელების მხრით,—როგორც აბსოლუტურად, ისე შედარებითაც,—უფრო არის დაწინაურებული, ვიდრე გლეხობა აღმოსავლეთ საქართველოსი.

მკითხველს განმეორებით უნდა ვურჩიოთ, რომ აქ გამოყვანილ დასკვნას, რომელიც აღნიშნავს ციფრებით იმერეთისა და ამერეთის სხვა და სხვა წოდებათა შორის საშუალო სწავლა-განათლების შედარებითს გავრცელებას, სიფრთხილით მოეკიდოს და უკრიტიკოდ არ დაენდოს. ახალი ცნობები სხვა და სხვა წოდების წევრთა საერთო რაოდენობის შესახებ არაა გამოცხადებული. აღნიშნულ ციფრების გამოთვლის დროს ჩვენ ვხელმძღვანელობდით იმ ცნობებით, რომლებიც 1886 წლის აღწერის საფუძვლითაა გამოანგარიშებული. მას შემდეგ კი, რა თქმა უნდა, წოდებათა რიცხვი შეიცვალა,—ზოგ წოდების წევრთა რიცხვი შედარებით უფრო გამრავლდა, ზოგისაც ასევე შედარებით შემცირდა. ამიტომაც აღნიშნულ ციფრებიდან გამოყვანილი დასკვნა მხოლოდ ცოტად თუ ბევრად

დაახლოვებით გვიჩვენებს საგნის ვითარებას და არა სრულის სისწორით და სინამდვილესთან სავსებით შეთანხმებულად.

სასწავლებელთა მეორე კატეგორიას შეადგენენ **დაბალი სასწავლებლები.** ამ სასწავლებლებში აქამდელი სურათი იცვლება,—აქ თავად-აზნაურობას პირველობა ეკარგება და მის ადგილას მოქალაქეთა წოდება და გლეხობა დგება. ამას მკითხველი ცხადად დაინახავს შემდეგი ცხრილიდან.

დაბალ სასწავლებლებში იყო სულ მოსწავლე:

ა) ტფილისის გუბერნიაში:

წლები	რიცხვი					პროცენტი				
	თავად-აზნ.	სასულიერო წოდ.	მოქალაქ. წოდ.	გლეხი	სხვანი	თავად-აზნ.	სასულიერო წოდ.	მოქალაქ. წოდ.	გლეხი	სხვანი
1887	348	113	768	310	119	21,1	6,9	46,6	18,8	6,6
1890	382	107	981	458	166	18,1	5,1	46,9	21,9	8,0
1893	368	88	1108	516	229	15,9	3,8	47,9	22,4	10,0
1896	317	73	1205	684	227	13,1	3,1	49,9	24,2	9,7
1899	307	79	1376	901	238	10,6	2,8	44,3	30,4	11,9
1902	292	116	1652	1181	309	8,2	3,3	46,5	33,2	8,8
ბ) ქუთაისის გუბერნიაში:										
1887	315	54	325	391	58	27,6	4,7	28,4	34,2	5,1
1890	359	50	373	428	54	28,4	3,9	29,5	33,8	4,4
1893	396	38	512	707	60	23,1	2,2	29,9	41,2	3,6
1896	451	39	551	735	79	24,3	2,1	29,7	39,6	4,3
1899	644	104	696	1467	88	21,5	3,2	22,9	48,9	3,5
1902	793	147	889	1794	102	21,0	3,9	23,8	48,2	3,1
გ) ორსავე გუბერნიაში:										
1887	663	167	1093	701	177	23,7	5,9	39,1	25,1	6,2
1890	741	157	1354	886	220	21,9	4,7	40,2	26,3	6,9
1893	764	126	1620	1223	289	18,9	3,1	40,2	30,3	7,5
1896	768	112	1756	1419	306	17,9	2,6	40,1	32,4	7,0
1899	951	183	2072	2368	316	17,8	3,1	35,3	40,2	3,6
1902	1085	263	2541	2975	411	14,9	3,6	34,9	40,9	5,7

აქედან ჩვენ ვხედავთ, რომ აბსოლუტურის სიმრავლით ყველაზე წინ არიან მოქალაქენი ტფილისის გუბერნიაში (46,5%) და გლეხნი ქუთაისისაში (48,2%). თუ ორსავე გუბერნიას ავიღებთ, უმრავლესობას შეადგენენ და პირველ ადგილას

არიან გლეხები (40,9%). იმათ შემდეგ არიან მოქალაქეთა წოდება და თავად-აზნაურობა. ამ სახით, როგორც კი დაბალი საფეხურის სასწავლებლებისაკენ ვიწევთ, გლეხთა და მოქალაქეთა წილი მატულობს, ხოლო თავად-აზნაურობისა კლებულობს. ტფილისის გუბერნიაში თავად-აზნაურთა რიცხვს აბსოლუტურადაც კი დაუკლია 14%-ით, მაშინ როდესაც სასულიერო წოდებას მოჰმატებია 3%, მოქალაქეთ—115% და გლეხობას 281%. შესამჩნევია აქ ისიც, რომ ორჯერ მეტი თავად-აზნაური სწავლობს ქუთაისის გუბერნიის დაბალ სასწავლებლებში, ვიდრე ტფილისისაში, რაც, სხვათა შორის, იმით აიხსნება, რომ იქაურ აზნაურთა დიდძალი ნაწილი ქონებრივად გლეხების მდგომარეობაშია ჩავარდნილი და ამერეთის აზნაურობასავით არ გაურბის და არ თაკილობს შვილის დაბალ სკოლაში მიბარებას.

ამაზე კიდევ უფრო ყურადღების ღირსია ამ ცხრილში ის ციფრი, რომელიც გვიჩვენებს გლეხების დიდს სიმრავლეს ქუთაისის გუბერნიის დაბალ სასწავლებლებში. აქ ისინი შეადგენენ მოსწავლეთა 48,2%-ს, მაშინ როდესაც მოქალაქეთა რიცხვია 23,8% და თავად-აზნაურობისა—21,0%. ზრდის სისწრაფითაც,—როგორც აბსოლუტურად, ისე შედარებით,—გლეხები წინ უსწრებენ მოქალაქეებს და აზნაურებსაც. აზნაურთა მატება არის აბსოლუტურად 152% და შედარებითი დანაკლისი—6,6%; მოქალაქეთა მატება—173% აბსოლუტურად და დანაკლისი—4,6% შედარებით, ხოლო გლეხების რიცხვს აბსოლუტურადაც მოუმატნია და შედარებითაც,—359% პირველსა და 14% მეორე შემთხვევაში.

კერძო სკოლებში თავად-აზნაურთა რიცხვი, რომელიც დაბალ სასწავლებლებში გლეხებისა და მოქალაქეებისაზე უმცირესია, ისევ ზევით იწევს და სიმრავლით პირველ ადგილს იჭერს, სახელდობ ქუთაისის გუბერნიაში. ტფილისში, ქუთაისში და სენაკში დაარსებულია სათავად-აზნაურო კერძო სკოლები, სადაც უმთავრესად თავად-აზნაურთა შვილები სწავლობენ. თუ რა გარემოება იწვევს ქართველებში კერძო სკოლის მეტს საჭიროებასა და მოთხოვნილებას, ეს ჩვენ განვმარტეთ ერთ წინანდელ წერილში (იხ. „შინაური მიმოხილვა“ „მოამბის“ აპრილის ნომერში). აქ გვინდა ჩვენ მოკლედ აღვნიშნოთ მხოლოდ ციფრები და მკითხველს გავაცნოთ, თუ თვითოეულ ტიპის სასწავლებლებში რომელი წო-

დება არის დაწინაურებული და რომელი — უფრო ჩამორჩენილი.

კერძო სკოლების მოსწავლენი ასე განაწილდებოდნენ წოდებრივად:

ა) ტფილისის გუბერნიაში:

წლები	რიცხვი					პროცენტი				
	თავად-აზნ.	სასულ. წოდება	მოქალ. წოდება	გლეხი	სხვანი	თავად-აზნ.	სასულ. წოდება	მოქალ. წოდება	გლეხი	სხვანი
1887	615	26	592	70	41	45,7	1,9	44,1	5,2	3,1
1890	493	36	510	149	35	40,3	2,9	41,7	12,2	2,9
1893	554	40	645	144	29	39,3	2,8	45,7	10,2	2,0
1896	664	78	1186	308	126	28,1	2,1	52,5	12,0	5,0
1899	890	114	1325	225	12	34,7	4,4	51,7	8,8	0,4
1902	946	124	1427	600	20	30,3	4,0	45,8	19,2	0,7

ბ) ქუთაისის გუბერნიაში:

1887	536	18	25	71	—	82,4	2,8	3,9	10,9	—
1890	426	6	42	19	20	83,1	1,1	8,2	3,7	3,9
1893	490	8	98	96	—	70,8	1,1	14,2	13,9	—
1896	711	8	62	130	4	77,7	0,9	6.8	14,2	0,4
1899	694	53	279	275	26	52,4	4,0	21,0	20,7	1,9
1902	989	120	432	605	20	45,7	5,5	20,0	27,9	0,9

გ) ორსავე გუბერნიაში:

1887	1151	44	617	141	41	57,7	3,2	30,9	7,2	1,0
1890	919	42	552	168	55	52,8	2,3	31,8	9,6	3,5
1893	1044	48	743	240	29	49,6	2,1	35,3	11,4	1,6
1896	1375	86	1248	438	130	43,2	2,7	39,2	13,7	1,2
1899	1584	167	1604	500	38	40,9	4,3	41,2	12,8	0,8
1902	1935	244	1859	1205	40	36,6	4,6	35,1	22,8	0,9

როგორც ამ ციფრებიდან სჩანს, ტფილისის გუბერნიის კერძო სკოლებში უმრავლესობას შეადგენენ მოქალაქეთა შვილები, ხოლო ქუთაისის გუბერნიაში — თავად-აზნაურნი. შედარებით თავად-აზნაურობას დაუკლია ორსავე გუბერნიაში, — 15,4% და 36,7%; სხვა წოდებათ-კი უმატნიათ: სასულიერო წოდებას — 2,1% ტფილისისა და 2,7% ქუთაისის გუბერნიაში, მოქალაქეთ — 1,7% პირველში და 16,1% მეორეში, ხოლო გლეხებს — 14% და 17%. ზრდის აბსოლუტურის სი-

სწრაფითაც გლეხები უსწრებენ სხვებს: ორსავე გუბერნიაში იმათ მოჰმატებიათ 755%, ხოლო მოქალაქეთ—201% და თავად-აზნაურობას მხოლოდ 68%.

ყველამ იცის, რომ კერძო სასწავლებელში მომზადება შვილისა უფრო სოფლელს ესაჭიროება, ვიდრე ქალაქელს; ამ უკანასკნელის შვილი პატარაობიდანვე შედარებით უფრო მომზადებულია სახელმწიფო სკოლისთვის, ვიდრე სოფელში დაბადებული და აღზრდილი ბავშვი. უეჭველია, ამ გარემოებას გავლენა აქვს, რომ კერძო სასწავლებლებში თავად-აზნაურთა შვილები, რომელთა უმრავლესობა სოფლებიდან მოდის ქალაქებში, მეტნი არიან ქალაქელებზე. მართალია, ტფილისის გუბერნიაში ქალაქელთა პროცენტი (45,8) მეტია თავად-აზნაურობაზე (30,3), მაგრამ შედარებით მაინც თავად-აზნაურთ მეტი მოსწავლენი ჰყავთ ხსენებულ სკოლებში. 100 თავად-აზნაურს ჰყავს ტფილისის გუბერნიის კერძო სასწავლებლებში 4,1 მოსწავლე, ხოლო მოქალაქეთ—1,7 მოსწავლე; ქუთაისის გუბერნიაში: ამდენსავე თავად-აზნაურს—1,6 მოსწავლე და მოქალაქეთ—0,9 მოსწავლე. ორსავე გუბერნიაში ერთად: პირველთ—2,2 მოსწავლე და მეორეთ—1,4 მოსწავლე. თქვენ ხედავთ, რომ თავად-აზნაურთა შედარებითი რიცხვი მეტია ქალაქელებისაზე.

მაგრამ მარტო ხსენებული გარემოება არაა მიზეზი თავად-აზნაურთა უმრავლესობისა კერძო სკოლებში. თავად-აზნაურნი შედარებითს უმრავლესობას შეადგენენ არა მარტო აქ, არამედ სხვა სასწავლებლებშიაც. ამას მკითხველი შემდეგი ციფრების დაპირდაპირებიდან დაინახავს.

1902 წელს ჰყავდათ მოსწავლე:

	ტფილ. გუბ.		ქუთაის. გუბ.		ორივე გუბ.	
	100 თავად-აზნაურს	100 მოქალაქეს	100 თავად-აზნაურს	100 მოქალაქეს	100 თავად-აზნაურს	100 მოქალაქეს
ორივე სქესის საშუალ. სასწავ.	14,1	3,4	2,5	1,7	5,6	2,8
დაბალ სასწავლებლებში .	1,2	2,0	1,2	1,9	1,2	2,0
კერძო სკოლებში . . .	4,1	1,7	1,6	0,9	2,2	1,4

მართალია, ეს ციფრები სისწორით არ ჰხატავს სინამდვი-

ლეს. არსად მოიპოვება ახალი ცნობები იმის შესახებ, თუ რამდენია დღეს ჩვენში თითოეულ წოდების წევრთა რაოდენობა. აქ აღნიშნულ ციფრების გამოთვლის დროს ჩვენ ძველის ცნობებით ვიხელმძღვანელეთ, და ეს კი, რასაკვირველია, ცოტათი აყალბებს ანგარიშის დასკვნას. გარდა ამისა, იმავე გამოთვლის დროს მხედველობაში არაა მიღებული, რომ საქართველოში არსებულ სასწავლებლებში სწავლობენ ისეთი მოსწავლეებიც, რომელნიც ტფილის-ქუთაისის გუბერნიებს გარედან არიან მოსულნი. და მიღებულ ციფრების უსწორობაზე ამასაც აქვს თავისი გავლენა.

მიუხედავად ამისა, ეს ციფრები დაახლოვებით მაინც გვიჩვენებს საქმის ვითარებას. ჩვენ აქ ვხედავთ, რომ საშუალო სასწავლებლებში თავად-აზნაურთ შედარებითაც მეტი მოსწავლენი ჰყავთ, ვიდრე მოქალაქეებს. მარტო ქალაქში ცხოვრებას, სასწავლებელთან ახლოს ყოფნას და „მოქალაქედ“ წოდებას რომ ჰქონდეს გავლენა, იმ შემთხვევაში ქალაქელთა შვილების რიცხვი უნდა სჭარბობდეს საშუალო სასწავლებლებში თავად-აზნაურობისას. მაგრამ საქმე ისაა, რომ წვრილ მოქალაქეებში არაა ისე დიდი მისწრაფება საშუალო სკოლისადმი, როგორც თავად-აზნაურებში. წვრილი ვაჭარი გინდ გინდ ხელოსანი შვილს ზრდის უფრო დაბალ სასწავლებელში; აქ მიღებული სწავლა მშობლებს საკმაოდ მიაჩნიათ, რომ შვილმა შესძლოს მამის ხელობის გაგრძობა. აზნაური-კი, რომელსაც არც მამული აქვს საკმაოდ და არც სავაჭრო გინდ სამრეწველო დაწესებულება, ცდილობს თავისი შვილი ისე გამოზარდოს, რომ მან შესძლოს ჩინოვნიკობა. და ამისთვის კი საკმარისი არა დაბალი სკოლა, —საჭიროა უნივერსიტეტი და ყოველ შემთხვევაში მაინც — საშუალო განათლება. ხოლო კერძო სკოლა საშუალო სასწავლებელში შესვლის გასაადვილებლად არის დაარსებული.

სასწავლებელთა უკანასკნილ კატეგორიას შეადგენენ **პირველდაწყებითი სკოლები**. როგორც მოსალოდნელია, ამ სასწავლებლებში სურათი უფრო „დაბალ“ წოდებათა სასარგებლოდ იცვლება. თავის თავად საგულისხმოა, რომ გლეხობა, რომელიც რიცხვით ჩვენი ხალხის დიდძალ უმრავლესობას შეადგენს, ამ დაბალ საფეხურის სკოლებში აბსოლუტურად უნდა სჭარბობდეს სხვა წოდებათ. ასეცაა.

პირველდაწყებით სკოლებში იყო სულ მოსწავლე:

ა) ტფილისის გუბერნიაში:

წლები	რიცხვი					პროცენტი				
	თავად-აზნ.	სასულ. წოდება	მოქალ. წოდება	გლეხი	სხვანი	თავად-აზნ.	სასულ. წოდება	მოქალ. წოდება	გლეხი	სხვანი
1887	533	179	1544	5887	—	4,4	2,2	18,9	72,2	—
1890	439	178	1509	6345	9	5,2	2,2	17,7	74,8	0,1
1893	410	153	1735	5790	578	4,7	1,8	20,0	66,8	6,7
1896	498	343	1997	6452	66	5,3	3,6	21,6	68,8	0,7
1899	495	265	4070	9974	45	3,3	1,8	27,4	67,2	0,3
1902	560	311	4416	10416	85	3,5	1,9	27,9	66,2	0,5
ბ) ქუთაისის გუბერნიაში:										
1887	716	285	444	6367	1	9,1	3,7	5,7	81,5	0,0
1890	548	187	660	7097	2	6,4	2,2	7,7	83,7	0,0
1893	665	191	537	8152	—	7,0	2,0	5,7	85,3	—
1896	901	249	1267	9485	4	7,6	2,1	10,6	79,7	0,0
1899	974	332	1489	14785	7	5,5	1,9	8,5	84,0	0,1
1902	1516	306	1346	19344	80	6,7	1,4	5,9	85,6	0,4
გ) ორსავე გუბერნიაში:										
1887	1249	464	1988	12254	1	7,8	2,9	12,5	76,8	0,0
1890	987	365	2169	13442	11	5,8	2,1	12,8	79,2	0,1
1893	1075	344	2272	13942	578	5,8	1,8	12,4	76,6	3,4
1896	1399	592	3264	15937	70	6.6	2,3	15,3	74,9	0,9
1899	1469	597	5559	24759	52	4,5	1,9	17,1	76,1	0,4
1902	2076	617	5762	29760	165	5,4	1,6	15,0	77,5	0,5

როგორც ხედავთ, ის წოდებანი, რომელნიც რიცხვით მცირე არიან, აქ უმცირესობას შეადგენენ. თავად-აზნაურთა მოსწავლეების რიცხვია 5,4%, სასულიერო წოდებისა—1,6%, მოქალაქეთა—15%, ხოლო გლეხებისა—77,5%. როგორც სხვა სასწავლებლებში, ისე აქაც თავად-აზნაურთა რიცხვს უკლია შედარებით (2,4%), ასევე სასულიერო წოდებასაც (1,3%), ხოლო მოქალაქეთა წოდებას და გლეხობას უმატნია,—პირველს 2,6% და მეორეს 0,7%. გლეხებისა და მოქალაქეთა მატება მეტია აბსოლუტურადაც: გლეხი 143%, მოქალაქე 190%, სასულიერო წოდება 33% და თავად-აზნაურობა 66% ორსავე გუბერნიაში.

თუ ყველა აქამდის ცალ-ცალკე აღნიშნულ ცნობებს ერთად შევაერთებთ და ერთ საზოგადო ჯამს შევადგენთ, შემდეგ ცხრილს მივიღებთ. ეს ცხრილი ჰხატავს მოსწავლეთა დანაწილებას წოდების მიხედვით **ყველა სასწავლებლებში,**

განურჩევლად ტიპისა და სასქესო დანიშნულებისა.

იყო წლების მიხედვით მოსწავლე:

ა) ტფილისის გუბერნიაში:

წლები	რიცხვი					პროცენტი				
	ოვალდ. აზნ.	სასულ. წოდება	მოქალ. წოდება	ბლები	სხვანი	ოვალდ. აზნ.	სასულ. წოდება	მოქალ. წოდება	ბლები	სხვანი
1887	3583	436	3648	6356	313	24,9	3,0	25,4	44,3	2,4
1890	3464	425	3947	7070	585	22,4	2,7	25,5	46,3	3,1
1893	3823	392	4662	6579	999	23,2	2,4	28,3	39,9	6,2
1896	4445	668	6095	7620	552	22,9	3,4	31,4	39,3	3,0
1899	4886	673	9063	10369	479	19,2	2,6	35,6	40,7	1,9
1902	5089	809	10341	12514	601	17,3	2,7	35,2	42,6	2,2

ბ) ქუთაისის გუბერნიაში:

1887	2286	437	998	6877	88	21,4	4,1	9,3	64,3	0,9
1890	2108	306	1306	7589	92	18,5	2,7	11,4	66,6	0,8
1893	2389	280	1419	9031	85	18,1	2,1	10,7	68,4	0,7
1896	3026	346	2216	10447	133	18,7	2,8	13,7	64,6	0,2
1899	3608	550	3005	16735	178	14,9	2,2	12,5	69,5	0,9
1902	4846	706	3466	22106	285	15,4	2,2	11,1	70,3	1,0

გ) ორსაგე გუბერნიაში:

1887	5869	873	4646	13233	41	23,5	3,5	18,6	52,9	1,5
1890	5572	731	5253	14669	677	20,9	2,7	19,7	54,9	1,8
1893	6212	672	6082	15610	1084	21,3	2,2	20,5	52,6	3,4
1896	7471	1014	8241	18067	685	21,0	2,8	23,2	50,8	2,2
1899	8494	1223	12068	27104	657	17,1	2,5	24,4	56,7	0,2
1902	9935	1515	13807	34620	886	16,3	2,5	22,7	56,9	1,6

ეს არის სურათი, რომელიც სდგება ყველა აქამდის მოყვანილ ციფრებიდან. აქ მკითხველი ჰხედავს, რომ აბსოლუტურის სიმრავლით პირველი ადგილი უჭირავთ გლეხებს (56,9%), მეორე—მოქალაქეთ (22,7%), მესამე თავად-აზნაურობას (16,3%) და მეოთხე—სასულიერო წოდებას. მაგრამ ეს აბსოლუტური ციფრები იმას არ მოასწავებს, რა თქმა უნდა, რომ ვითომ საერთოდ სწავლა-განათლება უფრო გავრცელებული იყოს გლეხობაში, ვიდრე სხვა რომელსამე წოდებაში. გლეხ მოსწავლეთა დიდ აბსოლუტურ ციფრს წინ უდგას კიდევ უფრო დიდი რიცხვი საერთოდ გლეხობისა. თუ მოსწავლეებს ხალხის რაოდენობის კვალობაზე გამოვითვლით,

გამოვა, რომ გლეხობაში ყველაზე უფრო ნაკლებ არის სწავლა გავრცელებული. ას სულს მცხოვრებზე მოდის მოსწავლე:

ტფილისის გუბერნიის				ქუთაისის გუბერნიის				ორივე გუბერნიის			
თავ.-აზნაურებში	სასულ. წოდ.	მოქალაქეებში	გლეხებში	თავ.-აზნაურებში	სასულ. წოდ.	მოქალაქეებში	გლეხებში	თავ.-აზნაურებში	სასულ. წოდ.	მოქალაქეებში	გლეხებში
21,8.	7,7.	12,5.	1,8.	7,7.	4,9.	7,3.	2,8.	11,5.	5,6.	10,6.	2,3.

ამ ჩვენს სტატისტიკაში არ შედის ცნობები შესახებ საასულიერო უწყების სასწავლებლებისა და ამიტომ გასაგებია რომ სასულიერო წოდების ციფრი აქ ძალიან მცირე გამო-

სასწავლებლები				თავად-აზნაური			
				მოსწავლეთა რაოდენ. 1902 წ.	1887 წლიდან 1902 წლამდის მოიმატა (+) ან დაიკლო (—) %		წოდების საერთო რიცხ. შედარებულ. მოსწავ. რიცხ. მეტია (+) ან ნაკ. (—) %
					აბსოლუტ.	შედარებით	
ვაჟთა გიმნაზიებსა და პროგიმნაზიებ.			ტფილ.	გუბ.	47,2	+ 33	—22,1	+44,3
„ „ „ „			ქუთაის.	„	50,9	+ 35	—15,8	+44,1
„ „ „ „			ორივე	„	48,3	+ 35	—20,6	+42,9
ვაჟთა საშუალო სასწავლებლებში			ტფილ.	გუბ.	44,6	+ 35	—18,5	+41,7
„ „ „			ქუთაის.	„	50,8	+ 99	—14,6	+44,0
„ „ „			ორივე	„	46,7	+ 52	—17,1	+41,3
ქალთა გიმნაზიებსა და პროგიმნაზიებ.			ტფილ.	გუბ.	50,6	+ 86	—16,3	+47,7
„ „ „ „			ქუთაის.	„	55,7	+146	—13,1	+48,9
„ „ „ „			ორივე	„	51,9	+ 97	—15,4	+46,5
საერთოდ ორივე სქვს. საშუალო სასწ.			ტფილ.	გუბ.	47,5	+ 58	—17,3	+44,6
„ „ „ „ „			ქუთაის.	„	52,8	+115	—13,8	+46,0
„ „ „ „ „			ორივე	„	49,1	+ 72	—16,4	+43,7
დაბალ სასწავლებლებში			ტფილისის	გუბ.	8,2	— 14	—12,9	+ 5,3
„ „			ქუთაისის	„	21,0	+152	— 6,6	+14,2
„ „			ორივე	„	14,9	+ 64	— 8,8	+ 9,5
კერძო სასწავლებლებში			ტფილისის	გუბ.	30,3	+ 54	— 15,4	+27,4
„ „			ქუთაისის	„	45,7	+ 84	—36,7	+38,9
„ „			ორივე	„	36,6	+ 68	—21,1	+31,2
პირველდაწყებით სკოლებში			ტფილისის	გუბ.	3,5	+ 5	— 0,9	+ 0,6
„ „			ქუთაისის	„	6,7	+112	— 2,4	— 0,1
„ „			ორივე	„	5,4	+ 66	— 2,4	+ 0,0
სულ ყველა სასწავლებლებში			ტფილისის	გუბ.	17,3	+ 42	— 7,6	+14,4
„ „ „			ქუთაისის	„	15,4	+112	— 6,0	+ 8,6
„ „ „			ორივე	„	16,3	+ 61	— 7,2	+10,9

დის. თუ სასულიერო სასწავლებლებსაც მივიღებთ-ზედველობაში, უეჭველია, საზოგადოდ სწავლა-განათლება სასულიერო წოდებაში უფრო უნდა იყოს გავრცელებული და არის კიდეც, ვიდრე თავად-აზნაურობაში.

დასასრულ ვურთავთ აქ უკანასკნელ ცხრილს, რომელშიაც მოქცეულია ყველა ის ციფრები და განმარტებანი, რომელნიც ჩვენ თითოეულ სასწავლებლის შესახებ სხვა და სხვა ადგილას მოვიხსენიეთ ცალ-ცალკე. ეს ცხრილი გვიჩვენებს, თუ თითოეული წოდება როგორის სისწრაფით მიდის წინ სწავლა-განათლების საქმეში და სხვებთან შედარებით რამდენად მეტად ან ნაკლებად არის მასში სწავლა გავრცელებული.

სასულიერო წოდება					მოქალაქეთა წოდება					გლეხი				
მოსწავლეთა რაოდენ. 1902 წ. პროცენტობ.	1887 წლიდან 1902 წლამდის მოიმატა (+) ან დაიკლო (—)%		წოდების საერთო რიცხ. შედარებ. მოსწავ. რიცხ. მეტია (+) ან ნაკ. (—)%		მოსწავლეთა რაოდენ. 1902 წ. პროცენტობ.	1887 წლიდან 1902 წლამდის მოიმატა (+) ან დაიკლო (—)%				მოსწავლეთა რაოდენ. 1902 წ. პროცენტობ.	1887 წლიდან 1902 წლამდის მოიმატა (+) ან დაიკლო (—)%			
	აბსოლუტ.	შედარებით				აბსოლუტ.	შედარებით				აბსოლუტ.	შედარებით		
3,7	+203	+ 1,3	+ 2,4		44,3	+ 257	+20,0	+34,1		2,4	+ 247	+ 1,1	—82,1	
5,5	+ 37	— 1,7	+ 3,7		27,6	+ 173	+ 9,4	+22,5		12,3	+ 487	+ 8,5	—73,2	
4,3	+103	+ 0,3	+ 2,7		38,8	+ 233	+16,7	+31,3		5,5	+ 388	+ 3,3	—79,3	
3,7	+112	+ 0,4	+ 2,4		41,1	+ 225	+17,0	+30,9		7,1	+ 238	+ 3,1	—77,4	
5,4	+ 70	— 2,8	+ 3,6		26,2	+ 284	+ 9,0	+21,1		14,4	+ 527	+ 8,6	—71,1	
4,3	+ 91	— 0,5	+ 2,7		35,1	+ 238	+13,6	+27,6		9,6	+ 342	+ 4,9	—75,2	
3,8	+125	— 0,3	+ 2,5		41,3	+ 359	+19,2	+31,1		1,8	+ 255	+ 0,6	—82,7	
3,2	+ 58	— 2,9	+ 1,4		28,9	+ 302	+ 7,1	+23,8		9,3	+1300	+ 7,3	—76,2	
3,6	+106	— 1,1	+ 2,0		38,2	+ 347	+16,2	+30,7		3,7	+ 577	+ 2,3	—81,1	
3,7	+119	+ 0,0	+ 2,4		41,2	+ 282	+18,0	+31,0		4,4	+ 241	+ 1,6	—80,1	
4,5	+ 66	— 2,9	+ 2,7		27,3	+ 292	+ 8,4	+22,2		12,4	+ 656	+ 8,0	—73,1	
3,9	+ 97	— 0,7	+ 2,3		37,0	+ 284	+15,0	+29,5		6,9	+ 306	+ 3,7	—77,9	
3,3	+ 3	— 3,6	+ 2,0		46,5	+ 115	— 0,1	+36,3		33,2	+ 281	+14,4	—52,3	
3,9	+172	— 0,8	+ 2,1		23,8	+ 173	— 4,6	+18,7		48,2	+ 359	+14,0	—37,3	
3,6	+ 57	— 2,3	+ 2,0		34,9	+ 132	— 4,2	+27,4		40,9	+ 324	+15,8	—43,9	
4,0	+677	+ 2,1	+ 2,7		45,8	+ 141	+ 1,7	+35,6		19,2	+ 759	+14,0	—65,3	
5,5	+567	+ 2,7	+ 3,7		20,0	+1628	+16,1	+14,9		27,9	+ 752	+17,0	—57,6	
4,6	+454	+ 1,4	+ 3,0		35,1	+ 201	+ 4,2	+27,6		22,8	+ 755	+15,6	—62,0	
1,9	+ 74	— 0,3	+ 0,6		27,9	+ 186	+ 9,0	+17,7		66,2	+ 77	— 6,0	—18,3	
1,4	+ 7	— 2,3	— 0,2		5,9	+ 203	+ 0,2	+ 0,8		85,6	+ 204	+ 4,1	+ 0,1	
1,6	+ 33	— 1,3	+ 0,0		15,0	+ 190	+ 2,6	+ 7,5		77,5	+ 143	+ 0,7	— 7,3	
2,7	+ 85	— 0,3	+ 1,4		35,2	+ 184	+ 9,8	+25,0		42,6	+ 97	— 1,7	—41,9	
2,2	+ 62	— 1,9	+ 0,4		11,1	+ 247	+ 1,8	+ 6,0		70,3	+ 222	+ 6,0	—15,2	
2,5	+ 73	— 1,0	+ 0,9		22,7	+ 196	+ 4,1	+15,2		56,9	+ 162	+ 4,0	—27,9	

ამ ცხრილის ზოგადი აზრი ასეთია:

თავად-აზნაურობა აბსოლუტურის სიმრავლით პირველ ადგილას არის და უმრავლესობას შეადგენს მაღალი ტიპის სასწავლებლებში და უმცირესობას—დაბალსა და პირველ-დაწყებითში.

შეპარებით კი თავად-აზნაურთა რიცხვს თან-და-თან აკლდება, ე. ი. მათ დღეს შედარებით ისეთი მაგარი პოზიცია აღარ უჭირავთ სასწავლებლებში, როგორც ამ რამდენისამე წლის წინად.

მოქალაქეთა წოდება დიდ მეტოქობას უწევს თავად-აზნაურთ და ზოგიერთ საშუალო სასწავლებლებში უახლოვდება მათ, ხოლო დაბალ და პირველდაწყებით სკოლებში აღემატება კიდეც.

მოქალაქეებს მიჰყვება სასულიერო წოდება (ტფილ. გუბ.) და გლეხობა (ქუთ. გუბ.).

საშუალო და კერძო სასწავლებლებში თავად-აზნაურობას შედარებით მეტი მოსწავლე ჰყავს, ვიდრე მოქალაქეთა წოდებას, ხოლო ნაკლები—დაბალ სკოლებში.

თუ ყველა უწყებათა სასწავლებლებს მივიღებთ მხედველობაში, შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ წერა-კითხვა და საზოგადოდ სწავლა-განათლება ყველაზე უფრო გავრცელებულია სასულიერო წოდებაში, შემდეგ თავად-აზნაურობასა და მოქალაქეებში, ხოლო ყველაზე ნაკლებ—გლეხებში.

იქნება, ეს დასკვნანი უსტატისტიკოდაც იცოდა ჩვენმა მკითხველმა. მაგრამ „ცოდნას“ არას დროს ხელს არ შეუშლის მეტი საფუძველი და ფაქტიური დამტკიცება. ამიტომ ჩვენ გვგონია, აქ აღნუსხულ სტატისტიკასაც აქვს თავისი ინტერესი და მნიშვნელობა.

ამ შენიშვნით გვინდა ვიბოდიშოთ, იმ მოწყენისათვის, რომელიც, უეჭველია, ბევრ მკითხველს აგრძნობინა ამ უკანასკნელ თვეებში ჩვენმა ციფრებით გაჭენთილმა „მიმოხილვამ“...

ფ. გოგიჩაიშვილი.

უცხოეთის მიმოხილვა

1. გერმანია: შინაური პოლიტიკა და საერთაშორისო მდგომარეობა. პრუსიის სამეფო და პოლონელები. 2. რუზველტი.

მას შემდეგ, რაც ინგლის-საფრანგეთის დაახლოვება და შეთანხმება ნამდვილი ფაკტი შეიქნა, გერმანიის საზოგადოებრივი აზრი მეტად უკმაყოფილოა თავის დიპლომატიისა: გერმანია ძველებურად ვერ ბატონობს ევროპაში, საერთაშორისო დამოკიდებულების სიმძიმის ცენტრი ბერლინიდან პარიზში გადავიდა და დიდმნიშვნელოვანი საერთაშორისო საქმეები გერმანიის იმპერიის კანცლერის დაუკითხავად სწყდება, რაც წინად (იგულისხმე ბისმარკის დრო) შეუძლებელი იყო; გერმანია დღეს განმარტოებული არის და ყველა მტრულის თვალით უცქერისო.

ეხლანდელი კანცლერი ბიულოვი არ უარყოფს გერმანიის განცალკევებას; მან პირ-და-პირ სთქვა—მართალია, ეხლა ბევრი მტრობა და უკმაყოფილებაა საზღვარ-გარედ გერ-გერმანიის წინააღმდეგო, მაგრამ ეს სულ შურიანობის მიზეზი არის და „ჯერ კიდევ არ არის სხვა იარაღი უმართლო შურისა და მტრობის წინააღმდეგ გარდა ბასრ მახვილისა“-ო. როგორც ვხედავთ, ბიულოვმა, „პატრიოტულ“ სიმთა ასაჟღერებლად მიჰმართა ბისმარკისებურ გაბედულ კილოსა და მუქარას: რკინის კანცლერმა ერთხელ სთქვა—„ჩვენ, გერმანელებს ღმერთის გარდა არავისი გვეშინია და ღმერთიც ჩვენთან არის“-ო; ბიულოვის ზემოთ-მოყვანილი სიტყვები ბისმარკის ნათქვამის პარაფრაზაა, მაგრამ ეხლანდელ კანცლერს-

ბევრი აკლია, სანამ ბისმარკს გაუსწორდებოდეს; ეხლანდელი პარლამენტიც სულ სხვაა—ასეთ რიხიან ფრაზებით იგი აღარ კმაყოფილდება; ამიტომაც ბიულოვის ნათქვამმა არავინ არ დააკმაყოფილა.

გერმანიის განმარტოებულ საერთაშორისო მდგომარეობას შეეხო განთქმული წარმომადგენელი დემოკრატიისა ავგუსტ ბებელიც. ჭაღარა მებრძოლი ჩაგრულთა ინტერესებისა ახალგაზდურის მხურვალებითა და ნამდვილ პოლიტიკოსის ღრმა-ჩახედულობით ლაპარაკობდა ამ საგანზე. ამ ნალაპარაკევმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მთელ გერმანიაში და მტრებიც კი იძულებული იყვნენ ეთქვათ, რომ ბებელი გამარჯვებული გამოვიდა პარლამენტის ამ დებატებიდან და რომ კანცლერი მასთან ტყუოდა. ყველაზე უფრო საგულისხმიერო ბებელის სიტყვაში ის იყო, რომ მან აშკარად დაამტკიცა, თუ რა მჭიდრო კავშირია სახელმწიფოს შინაურ პოლიტიკასა და მის საერთაშორისო მდგომარეობის შორის.

საუკეთესოდ გაწვრთნილი ჯარი და საუკეთესო არტილერია დიდი ძალაა, მაგრამ ეს სრულიად არ კმარა სახელმწიფოს საერთაშორისო მდგომარეობის განსამტკიცებლად; პირიქით, ეს წმინდა მატერიალური ძალა შეიძლება გახდეს მიზეზი საერთაშორისო მდგომარეობის სისუსტისა, თუ მისი პატრონი სახელმწიფო გაუნათლებელი და განუვითარებელია: ფიზიკურად ძლიერ ბარბაროსს ყველა ერიდება, ყველა ეჭვის თვალით უცქერის და ყველა იმის ცდაში იქნება დაასუსტოს იგი... გერმანია, რასაკვირველია, ბარბაროსი ქვეყანა არ არის, პირიქით—იგი დაწინაურებული ევროპიელი სახელმწიფოა, მაგრამ მისი მთავრობა, განსაკუთრებით უკანასკნელ დროს, წმინდა რეაქციის გზას ადგია: წინსვლის, პროგრესის მაგიერ უკან-უკან იხედება, დემოკრატიას ებრძვის, მხარს აძლევს გერმანიის ერის ისეთ ელემენტს, რომელიც ხალხის ხორცმეტრ და პარაზიტია, დევნის არა გერმანელს; ამიტომაც არის, რომ გერმანიას ოსმალეთის

სულთნისა და მზგავს ხელმწიფეების მეტი არავინ თანაუგრძნობს, როგორც სთქვა ბებელმა. სახელი გაგვიტყდა მთელ განათლებულ კაცობრიობაში და ამიტომაც ვძულვართ ყველასო, და თუ გვინდა შესაფერი საერთაშორისო მდგომარეობა გვქონდეს, თუ გვსურს ნდობით და სიყვარულით გვექცეოდნენ, პროგრესიულ პოლიტიკას უნდა ვადგეთ და არა იარაღს ვაჟღარუნებდეთო.

საფრანგეთმა ისევ მოიგო კაცობრიობის გული, ისევ ძველი დიდი ადგილი დაიკავა ერთა შორის. მიზეზი? საფრანგეთის რესპუბლიკა აშკარად, გაბედულად ადგას ჰუმანურ დემოკრატიულ პოლიტიკას, აშკარად და გაბედულად ებრძვის ხალხის მტერს—ძველ წესწყობილების აღდგენის მოტრფიალეთ და უმრავლესობის განათლება-განვითარების შეურიგებელ მოწინააღმდეგეთ.

ერთის სიტყვით, ვინც შინ ცუდათ, უსამართლოდ იქცევა, იგი ვერც გარეთ მოიპოვებს პატივისცემას და სიყვაყვარულს. მართლაც შეუძლებელია პატივისცემით უცქეროდნენ ისეთ სამეფოს, სადაც პრუსიასავით ეპყრობიან თავიანთ ქვეშევრდომებს.

ხშირად გვქონია ლაპარაკი პრუსიაში მცხოვრებ პოლონელების მდგომარეობაზე. ეს კითხვა „არ ახალია, ძველია“, შაგრამ ეს ძველი საქმე მანამდე ახალი იქნება, სანამ მჩაგვრელი და დაჩაგრული ერები არსებობენ. ამიტომაც მკითხველი, იმედია, არ დაგვემდურება, თუ ეხლაც ამ საგანზე ჩამოვაგდებთ საუბარს. პრუსიის მთავრობისა და პოზნანელ პოლონელების დამოკიდებულების ამბები დიდათ საგულისხმიერო და ჭკუის მასწავლებელია ყველასათვის, ვისაც თვალხილულად უნდა იაროს ამ ქვეყნად.

როგორც ამას წინადაც გვქონდა მოხსენებული, მთავრობამ შეიტანა პრუსიის ლანდტაგში ახალი პროეკტი პოზნანში დასახლების შესახებ. პროეკტი ჯერ კომისიას გადაცეს და ეხლახან ისევ განიხილა და მიიღო პრუსიის ლანდტაგმა.

ეს ახალი „კანონი“ არის ურცხვი, აღვირ-წახსნილი გადათელვა კანონიერებისა და სამართლიანობისა, და ასეთი ურცხვობა და აღვირ-წახსნილობა ჩაიდინა განათლებულმა სახელმწიფომ. ახლად მიღებულ „კანონში“ ერთი მუხლია (13-в), რომ „მთელ მუსიკას ქმნის“: პოზნანში და სილეზიაში (პოლონელებით დასახლებული პროვინციებია პრუსიის სამეფოსი) დასახლების ნებართვა პროვინციის ობერპრეზიდენტისაგან უნდა იქნეს უთუოდ აღებული და ეს ნებართვა არაფერ შემთხვევაში არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს 1886 წ. კანონს, რომლის ძალით პოლონელებით დასახლებულ პროვინციებში მთავრობა მხოლოდ ტომით გერმანელებს უნდა ეხმარებოდეს მიწის შეძენისა და დასახლების საქმეში.

თუმცა ახალ „კანონში“ ერთხელაც არ არის ნახსენები სიტყვა „პოლონელი“, მაგრამ ყველასათვის იმ თავითვე ცხადი იყო, რომ იგი პოლონელების წინააღმდეგ არის მიმართული. არც მთავრობა მალავდა თავის განზრახვას: ახალი იარაღი გვინდა გალაღებულ პოლონელების წინააღმდეგ, გერმანელს თავის დასაცველი იარაღი ეჭირვება და ამიტომ... ამიტომ... პოლონელს უნდა აეკრძალოს თავის სამშობლოში მამული შეიძინოსო. ამაზედ შორს წასვლა შეუძლებელია! საუკუნოების განმავლობაში ოფლითა და სისხლით მოურწყავს პოლონელს თავისი ქვეყანა და დღეს ვიღაც ჰანოვერელი ჰამერშტეინი (შინაგან საქმეთა მინისტრია) საჯაროდ, წარბშეუხრელად ამბობს—აქ, პოლონელის ოფლითა და სისხლით მორწყულ ქვეყანაში პოლონელს ადგილი არა აქვს, ჰანოვერელი უნდა დავასახლოთო.

პრუსიის მთავრობის ურცხვობამ გერმანელი კათოლიკეენი და ლიბერალებიც კი აალაპარაკა. გერმანელ კათოლიკეების სრულ გულწრფელობაზე კიდევ შეიძლება ეჭვის შეტანა: ერთი წილი კათოლიკე დეპუტატებისა პოლონელების არჩეულია და რომ ეხლა ამ დეპუტატებს ხმა არ ამოეღოთ პოლონელების ინტერესების დასაცველად, მანდატის განახლება შეუძლებელი იქნებოდა. სულ სხვაა გერმანელ ლიბერალე-

ბის საქმე: თუ ესენიც კი ალაპარაკდნენ მთავრობის პოლიტიკის გამო პოზნანელ პოლონელების შესახებ, ეს სრული საბუთია იმისი, რომ ეს პოლიტიკა საზღვარს გადასცდა. ლიბერალების ეს ოპოზიცია მთავრობის პოლიტიკის წინააღმდეგ მაინცა-და-მაინცა პოლონელების სიბრალულით როდია გამოწვეული. ამ ოპოზიციის მიზეზი ორია: ერთი ის, რომ ახალი კანონი დარღვევაა არსებულ კონსტიტუციისა და თუ დღეს პოლონელების დასასჯელად დაარღვიეს კონსტიტუცია, ხვალ, შეიძლება, ლიბერალების ასალაგმავად ჩაიდინონ იგივე; მეორე ის არის, რომ პოლონელების წინააღმდეგ მიმართულ კანონებს აქამდე ცუდის მეტი არაფერი გაუკეთებია.

ერთი ლიბერალური გერმანელი გაზეთი ასე მსჯელობს ახალ კანონის შესახებ: პრუსიის ლანდტაგში ახლად მიღებული კანონი მიმართულია არა მარტო პოლონელების წინააღმდეგ, არამედ მთელ ჩვენ წუსწყობილების წინააღმდეგაც. ამიტომაც მისი შედეგიც საბედისწერო უნდა იქნეს. პრუსიის პოლიტიკა პოლონელების შესახებ აქამდეც ნაკლებ ბედნიერი იყო. სამას ორმოცდა ათ მილიონზე მეტი დახაჯეს გერმანელების გასაძლიერებლად აღმოსავლეთ პროვინციებში და შედეგი ამისა ის იყო, რომ პოლონელები ეკონომიურად აღორძინდნენ და პოლიტიკურად გაძლიერდნენ. ეხლა ყველა ხედავს ამ გვარ ხახელმწიფო პოლიტიკის სრულ გაკოტრებას, მაგრამ მაინც ვერ გამოტეხილან საჯაროთ და დღეს კონსტიტუციის დამარღვეველ ღონისძიებას მიჰმართეს. პრუსიაში არ არის ისეთი სახელმწიფო კაცი, რომელსაც რამე ესწავლოს კულტურკამფისა და სოციალისტების წინააღმდეგ მიმართულ კანონების პრაკტიკიდან; ამიტომაც პრუსიის მთავრობა ერთხელ კიდევ სჩადის საბედისწერო შეცდომას. ვინ არის კმაყოფილი პოლონელების წინააღმდეგ გამოცემულ კანონებითა? არავინ: არც მთავრობა და არც ის პარტიები, რომელნიც მთავრობას მხარს აძლევდნენ... მაგრამ რას იზამთ, როცა დაწყევლილი ფრაზეოლოგიაა გამეფებული. ცხადზე უცხადესი ფაკტები ამტკიცებენ ასეთ პოლიტიკის უნაყოფობას, მაგრამ რა-

კი „ნაციონალური“ პოლიტიკაა, ფაკტებს ყურადღებას არავინ აქცევს... საკოლონიზაციო კომისიის მთელი მოღვაწეობა იმაში გამოიხატა, რომ ისევ გერმანელების ადგილ-მამულს ჰყიდულობდნენ. დასახლებით სულ 50 ათასამდე გერმანელი დაასახლეს, მაგრამ სამაგიეროთ დიდძალი გერმანელები გადასახლდნენ პოზნანიდან; ამასთან ბევრი ნაყიდი ადგილი დაუსახლებელი რჩება. რატომ? იმიტომ რომ გერმანელებისა და პოლონელების დამოკიდებულება უკიდურესობამდეა გამწვავებული და ასეთ პირობებში მეტად ძნელია მეურნეობას გაუძღვეს კაცი. ეხლა გერმანისმის გასაძლიერებლად პოლონელებს უფლებას ხდიან, მაგრამ ამის შედეგი ის იქნება, რომ საკოლონიზაციო კომისია ვერასოდეს ვერ იყიდის პოლონელის მამულს.

პოლონელს მართლა ართმევენ კანონიერ უფლებას. ეს იქიდან სჩანს, რომ თუ არ ობერპრეზიდენტის ნებართვა, ისე ვერავინ შეიძენს მამულს პოზნანსა და სილეზიაში, და პოლონელს კი ასეთ ნებართვას ვერ მისცემენ, რადგან ეს წინააღმდეგი იქნება 1886 წლის კანონისა. ამიტომ ყოველ ეჭვს გარეშეა რომ ახალი კანონი უსაძაგლესი საგანგებო კანონია, რომელიც მით უფრო საგრძნობელო იქნება პოლონელისათვის, რომ იგი ერთსა და იმავე დროს პოლიტიკურის, ნაციონალურის და ეკონომიურის ხასიათის არის. კანონი ეხება პოლონელს მხოლოდ იმიტომ, რომ პოლონელია ჩამომავლობით, და ეხება სწორედ ეკონომიურად: ამ კანონით აკრძალულია დიდი მამულის პარცელიაცია, მაშასადამე გლეხების დასახლებაც...

ყველასათვის ცხადი უნდა იყოს, რომ პოლონელი ისევე დაიწყებს ბრძოლას, როგორც იბრძოდნენ კათოლიკენი კულტურკამფის წინააღმდეგ და სოციალდემოკრატები საგანგებო კანონების წინააღმდეგ. ისიც ცხადია, რომ სახელმწიფოსა და ეროვნულ გრძნობას შუა ატეხილ ბრძოლაში უკანასკნელი უფრო ძლიერია, ისე როგორც იდეა ყოველთვის უფრო ძლიერი ყოფილა ძალმომრეობაზე... პოლონელებს ეროვ-

ნულ ურთიერთ დახმარებისა და თვითმოქმედების იმედი უნდა ჰქონდეთ. ისინი იბრძვიან არსებობისათვის, სამშობლო მიწისათვის. განა საეჭვოა, რითი უნდა გათავდეს ასეთი ბრძოლა? შეიძლება მწარე იყოს ასეთ ჭეშმარიტების გამომჟღავნება, მაგრამ აუცილებელი კია.

პრუსიასაც აქვს თავისი კონსტიტუცია, რომელიც როგორც მთავრობისათვის, ისე ხალხის წარმომადგენლებისათვის ხელუხლებელი უნდა იყოს. ამ კონსტიტუციის მეოთხე მუხლი ამბობს: პრუსიის ყველა ქვეშევრდომი კანონის წინაშე თანასწორი არის. მეცხრე მუხლი ამავე კონსტიტუციისა საკუთრებას აკანონებს; გერმანიის იმპერიის კონსტიტუციით, ყოველ ქვეშევრდომს უფლება აქვს იქ დასახლდეს და იქ შეიძინოს საკუთრება, სადაც მოისურვებს, და ვერავინ მას ხელს ვერ შეუშლის. ცხადია, რომ ახალი კანონი არღვევს ყველა ამ მუხლებს... ეს ისეთი მოვლენაა, რომელიც გულსა სტკენს ყოველ ნამდვილ პატრიოტს. მართლაც, რაც დღეს პოლონელებს მოუვიდათ, ხვალ შეიძლება ხალხის სხვა ნაწილს დაემართოს, და ვინ იცის, სად მიგვიყვანს ეს გზა უფლების წართმევისა?... პრუსიის კონსტიტუციას შავ დღეს უმზადებს ასეთი პოლიტიკა, და როგორიც თესლია, ნაყოფიც ისეთი იქნება!"

ახალი კანონი მძულვარების ნაკარნახევია და აუცილებლად მძულვარებას აღმოაცენებსო, სთქვა გულდათუთქულმა პოლონელმა დეპუტატმა. მაგრამ გამგონე ვინ იყო! პრუსიის ლანდატაგი რეაქციონერების ხელშია და სიბნელისა და ავტორიტეტის თაყვანისმცემელთ სიმართლის ხმისათვის სმენა არა აქვთ. მეტად ცუდ სამსახურს უწევთ გერმანელებს, როცა მათის სახელით სიმართლესა და სამართალს ფეხით სთელავთო, უთხრა უმრავლესობას ერთმა თავისუფალმა მოაზრემ, მაგრამ უმრავლესობამ სტვენით უპასუხა. როდემდის ისტვენენ ასე ლაღად პრუსიის ბატონი რეაქციონერები?

კუზიანს საფლავი გაასწორებსო, უთქვამს ხალხს და მართალიც უთქვამს. მრავალსაუკუნოვანი ისტორია და თანამედროე ცხოვრება თვალსაჩინო და ცხად მაგალითებით ამტკი-

ცებს, რომ უსამართლო ძალა ვერ დასძლევს, ვერ მოსპობს შეგნებულ სიმართლეს; შესაძლებელია, ეს სიმართლე დროებით დაიჩაგროს, მისი წინსვლა და განვითარება შეფერხდეს, მაგრამ ბოლოს მაინც იგი, გამარჯვებული. მრავალტანჯული და წამებული პოლონეთი ჯერ მეთვრამეტე საუკუნეში ეგონათ საბოლოოდ დაღუპული; დაუძლურებული, სრულ ანარქიის ქვეშ მყოფი პოლონეთის სამეფო შეუბრალებლად დაკუწეს და დაინაწილეს გალაღებულმა მეზობლებმა და finis Poloniae'-ო დასძახეს გახარებულებმა. სიხარული ცოტა ნაადრევი შეიქნა. სწორედ დაღუპვის ხანიდან იწყეს პოლონელებმა გამოფხიზლება და თავის უბედურ მდგომარეობის შეგნება; დაიწყეს მუშაობა თავდაუდებელი და გატაცებული და მკვდრად მიჩნეული ხალხი ფეხზე წამოდგა; იგი თამამად და გაბედვით შეებრძოლა მჩაგვრელებს და დღითი-დღე უფრო ძლიერდებოდა; განცვიფრებული მტარვალები ვერ მიხვდნენ ხალხის მკვდრეთით აღდგომის ნამდვილ მიზეზს და ისევ ძველ იარაღს, ძალმომრეობას, მიჰმართეს. პოლონელი მაინც გულს არ იტეხდა, მტერს თავს არ უდებდა და განაგრძობდა მედგარ ბრძოლას. რამდენს მეტს მძვინვარებდა მტარვალი, იმდენ მეტ მხნეობასა და ხერხს იჩენდა იგი და ბრძოლის ველიდან გამარჯვებული გამოდიოდა. პრუსიის მთავრობა ერთი მტარვალთაგანია პოლონეთისა. როგორც ვიცით, ეს მთავრობა არავითარ ღონისძიების წინ არ იხევდა უკან, ოღონდ პოლონელზე გაემარჯვა; არ იქნა ვერ მიაღწია მიზანს; პირიქით, ნიადაგი უფრო და უფრო ეკარგებოდა: ის ადგილებიც კი, რომელიც მეთოთხმეტე საუკუნიდან გერმანელის ხელშია და პოლონეთის ისტორიის გარეშე ცხოვრობდა (სილეზია), დღეს გათვითცნობიერებულ პოლონეთის ნაწილს შეადგენს: დაკარგული და გადაგვარებული შვილები დაუბრუნდა პოლონეთს.

რომელი ჭკვათამყოფელი ადამიანი არ ჩაუფიქრდება ასეთ ცხად მოვლენებს? რა მოუტანა ძალმომრეობამ და მტარვალობამ პრუსიის მთავრობას? პოლონელის მეტი გამედგრება. მიუ-

ხედავთ ამისა ისევ ახალ მტარვალურ ღონისძიებას მიჰმართეს—თუ წინად ვერ მოვსპეთ პოლონელი, იმიტომ რომ ჩვენი ღონისძიება საკმაოდ სასტიკი და მკაცრი არ იყოო.

ბუნებით კუზიანს მხოლოდ საფლავი გაასწორებს: თუ ჭკუის ამდენმა სწავლებამ ვერ გასჭრა, თუ პრუსიის რეაქციონერები დღესაც ძალმომრეობის გზას ადგანან მიუხედავათ ამდენ მწარე გამოცდილებისა, ეს იმის ნიშანია, რომ ბუნებით „კუზიანები“ არიან.

ძალ-მომრეობასა და მტარვალობას ყოველთვის როდი მოზდევს ასეთი შედეგი. ამიტომ ყოველთვის კი არ შეგვიძლია ვთქვათ—ვინც ძალმომრეობას მიჰმართავს, მუდამ დამარცხებული არისო. არა, ხანდახან ისიც გამარჯვებულია. საქმე ის არის, თუ როგორია ძალმომრეობისა და მტარვალობის საგანი, ობიეკტი.

პოლონელს რომ გულზე ხელი დაეკრიფა და ქედი მოეხარა უბრძოლველად მტარვალის წინაშე, დღეს მისი არსებობა საეჭვო იქნებოდა. და თუ ეხლა სხვა სურათს ვხედავთ, ეს იმის შედეგია, რომ პოლონელი თავგამოდებული თამამად და შეგნებულად იბრძვის თავის უფლებისა და სიმართლისათვის. მაგრამ ერთი თანდაყოლილი სასიკვდილო ცოდვა აქვს ძალმომრეობა-მტარვლობას—მძინარეს აღვიძებს, აპატია მოცულს ბრაზსა გვრის და ბრძოლას ანდომებს, დალაჩრებულსა და დაგლახაკებულს თავმოყვარეობას უღვიძებს...

—

ერთი სოციოლოგიური თეორია ამბობს: კაცობრიობის ისტორია მხოლოდ სოციალურ კლასთა ბრძოლის ისტორია არისო, რომ ყოველი მთავრობა არის გაბატონებულ სოციალურ კლასის ინტერესებისა და სურვილების გამომსახველი და აღმასრულებელიო. ამ თეორიის თვალით შევხედოთ პრუსიის სამეფოს დღევანდელ პოლიტიკას.

პრუსიაში დღეს გაბატონებულია მსხვილი თავად-აზნაურობა, ეგრედ წოდებული იუნკრობა, თუ ამისი ნება და სუ-

რვილი არ იქნა, ისე ვერაფერი გადაწყდება სამეფოში. მაშასადამე ამ თეორიით დღევანდელი მთავრობა პრუსიისა არის გამოხატველი და აღმასრულებელი თავად-აზნაურობის ინტერესებისა.

ახლა ვიკითხოთ, თავად აზნაურობის რომელი ინტერესი თხოულობდა თუნდ უკანასკნელ საგანგებო კანონს პოლონელების წინააღმდეგ? რა უნდა მოიგონ ამითი პრუსიის იუნკრებმა? არაფერი. პირიქით, ეს კანონი საზარალოც არის მათთვის და აი რატომ.

საკოლონიზაციო კომისიის წინააღმდეგ, როგორც ვიცით, პოლონელებმა დაარსეს ეგრედ წოდებული საპარცელიაციო ბანკები. ეს ბანკები ჰყიდულობდნენ ადგილებს, პატარა ნაჭრებად ჰყოფდნენ და ზედ პოლონელ გლეხებს ასახლებდნენ. ამიტომ, რასაკვირველია, დიდი კონკურენცია გაიმართა საკოლონიზაციო კომისიასა და ამ ბანკებ შორის; ამ კონკურენციას მოჰყვა მიწის ფასების შესაჩნევად აწევა. ძალიან ხშირად მამული, რომ არ ღირდა, ისეთ ფასში გაყიდულა. სხვათა შორის ახალი კანონი, როგორც თვითონ ჰამერშტეინმა განაცხადა, ფასების ამ აწევითაც იყო გამოწვეული. ვინ იყო მოგებული მიწის ასეთ გაძვირებით? რასაკვირველია, მიწის მფლობელი თავად-აზნაურნი, რომელთა შორის ბევრია გერმანელი იუნკერიც. ახალი კანონი აუცილებლად გამოიწვევს მიწის ფასის დაცემას და მაშასადამე წაგებული თავადაზნაურობა გამოდის.

ეს პატარა მაგაგალითია იმის დასამტკიცებლად, თუ რამდენად შეუძლებელია რთულ და ვრცელ ცხოვრების მარტივ და ვიწრო ფორმულაში მოთავსება.

როცა მაკ-კინლი აირჩიეს შეერთებულ შტატების რესპუბლიკის პრეზიდენტად, თეოდორ რუზველტს ვიცეპრეზიდენტობა მისცეს: ამერიკაში ეს იმის ნიშანია, რომ ასეთი პირი არა სურთ აკტიურ პოლიტიკურ მოღვაწედ. ვიცე-პრეზიდენტობა საპატიო ადგილია, მაგრამ უგავლენო.

ამერიკელებმა ვითომ თავიდან მოიშორეს მოუსვენარი პოლიტიკური მოღვაწე, მაგრამ ბედის ჩარხი სულ სხვანაირად დატრიალდა: მაკ-კინლი მოჰკლეს პრეზიდენტობის ვადის გასვლამდე და, კონსტიტუციის ძალით, მისი ადგილი დაიკავა თეოდორ რუზველტმა.

როგორც ვიცით, ამერიკის შეერთებულ შტატების პრეზიდენტს ბევრად უფრო მეტი მნიშვნელობა და გავლენა აქვს რესპუბლიკის პოლიტიკურ ცხოვრებაზე, ვიდრე თვით ინგლისის მეფეს; საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი ამ მხრივ სახსენებელიც არ არის მასთან. ამიტომაც არის, რომ პრეზიდენტის პიროვნებას დიდი მნიშვნელობა აქვს ამერიკაში.

თეოდორ რუზველტი მეტად ძლიერი პიროვნებაა და, რაკი კანონი დიდ უფლებას ანიჭებს მას, ამიტომ საკვირველი არ არის, რომ დიდ რესპუბლიკის პოლიტიკას, შინაგანსა და გარეშეს, მისი ბეჭედი აზის.

რუზველტი ეგრედ წოდებულ რესპუბლიკელების პარტიას ეკუთვნის; ამ პარტიის მთავარი ძალა კი მსხვილი კაპიტალისტები არიან, ის კაპიტალისტები, რომელნიც, ტრესტების საშუალებით, ცდილობენ მთელი ეროვნული წარმოება თავის მონოპოლიად გაიხადონ და ამ წარმოების მთელი მოგება თვითონ მიისაკუთრონ; ნამდვილი მწარმოებელი, ქირის მუშა, ტრესტების უცილობელ გავლენის ქვეშ უნდა იყოს, თორემ თუ მან თავი აიშვა, თავისუფალ მოქმედების შეძლება მიეცა (თავისუფალ მოქმედების უფლება ყოველ ამერიკელს აქვს, მაგრამ, როგორც ვიცით, უფლებამოსილი ადამიანი შეიძლება ისეთ მდგომარეობაში ჩააყენონ, რომ ეს უფლება ვერ მოიხმაროს თავის ნებაზე), წარმოების განვითარება წინადვე შედგენილ გეგმისა და წესის მიხედვით უზრუნველ-ყოფილი არ იქნებაო.

ამერიკელი მუშა ასე ადვილად გასაკრეჭი ცხვარი არ არის; იგი შეგნებული მოქალაქეა და ამიტომ თავის

ინტერესების დასაცველად მანაც სინდიკატები შეადგინა: შეერთებულ შტერს შეერთებულის ძალით უნდა დაბვედრა.

მსხვილ კაპიტალისტებს, რასაკვირველია, კანონით არ შეუძლიათ აუკრძალონ მუშებს სინდიკატების დაარსება და გაფიცვა, მაგრამ სხვა გზით სცდილობენ მუშის ურჩობის გატეხას: უპირატესობას აძლევენ ყოველთვის ისეთ მუშას, რომელიც ორგანიზაციის წევრი არ არის; ყოველ ღონეს ღონობენ შეასუსტონ და უღონო გახადონ სინდიკატები. რომ ამ მიზანს მიაღწიონ, არ ერიდებიან უდიდეს ხარჯებსაც — გაფიცულ მუშებს სულ უბრალო, თითქმის უმნიშვნელო მოთხოვნასაც არ უსრულებენ, ხელოვნურად აგრძელებენ გაფიცვას, რომ მეტი გაჭირვება აგრძნობინონ მუშას და შეაძულონ მათი სინდიკატი.

რუზველტი ასეთ რესპუბლიკელების არჩეულია; ამიტომ მოსალოდნელი იყო, რომ თუ პირდაპირ მფარველობას არ გაუწევდა მსხვილ კაპიტალისტებს, ამათ მოქმედების სრულ თავისუფლებას მაინც არ შეეხებოდა: ესენი იმდენად ღონივრები არიან მატერიალურად, რომ მუშების ორგანიზაციებთან ბრძოლა მაინცა-და-მაინც არ გაუჭირდებოდათ მთავრობის პირდაპირ დაუხმარებლადაც. მთავრობის ხელი მაშინ იქნება ამერიკელ კაპიტალისტებისათვის საჭირო, როცა სასოწარკვეთილი და უკიდურესობამდე მიყვანილი მუშა მოთმინებას დაჰკარგავს და ძალმომრეობის გზას დაადგება.

თეოდორ რუზველტი ამ მხრივ ვერ გამოდგა ნამდვილი რესპუბლიკელი. ალბად ეს კარგად იცოდნენ მსხვილ კაპიტალისტებმა, როცა რუზველტი ვიცე-პრეზიდენტად ამოირჩიეს და თავიდან მოიშორეს. პრეზიდენტად გახდომისათანავე რუზველტმა აგრძნობინა ქვეყანას, რომ კაპიტალისტები არ სცდებოდნენ. ამ მხრივ შეერთებულ შტატების ეხლანდელ პრეზიდენტის დასახასიათებლად საკმარისია მისი ქცევა პენსილვანის ქვანახშირის მადნის მუშების დიდებულ გაფიცვის დროს.

ამ საგანზე ჩვენ უკვე გვქონდა ლაპარაკი მკითხველებთან და ამიტომ აქ სულ მოკლედ შევეხებით.

ასორმოცდაათ ათასზე მეტი მუშა გაიფიცა პენსილვანიაში, რომ მუშაობის პირობები გაეუმჯობესებიათ; ქვანახშირის წარმოება შეჩერდა; როგორც მუშები, ისე საქმის პატრონები დიდათ ზარალობდნენ მატერიალურად. საქმის პატრონებმა, განთქმულ მორგანის მეთაურობით, გადასწყვიტეს — არაფერი არ დაეთმოთ მუშებისათვის, რამდენი ხანიც არ განგრძობილიყო გაფიცვა. ამათი განზრახვა იყო გაეტეხათ მუშების ძლიერი ორგანიზაცია. მუშებიც დიდის სიმტკიცით ადგნენ თავიანთ გადაწყვეტილებას — ნუ ვიმუშავებთ, სანამ ჩვენსას არ გავიტანთო. გავიდა დრო და ჟამი, მებრძოლთ იარაღი არ დაუყრიათ, თუმცა მუშების მდგომარეობა უფრო და უფრო გასაჭირი შეიქნა. გაძვირდა ქვანახშირი; თანდათან ამოძრავდა საზოგადოებრივი აზრი და ხმა მაღლა დაიწყო ლაპარაკი საქმის პატრონთა წინააღმდეგ. რესპუბლიკის პრეზიდენტი გულხელ დაკრეფილი არ იჯდა, ნეიტრალობას არ სცდილობდა; პირიქით, მთელის თავის ენერგიით ჩაერია საქმეში და, მიუხედავათ საქმის პატრონთა ცხარე წინააღმდეგობისა, იმდენი მოახერხა, რომ სამედიატორო სასამართლო დაარსა და ამ სასამართლოს გადააწყვეტინა მუშებისა და საქმის პატრონებ შუა ატეხილი დავა. მუშების ბევრი მოთხოვნა დაკმაყოფილებულ იქნა.

სოციალური კითხვა საერთოა ევროპისა და ამერიკისათვის. გარდა სოციალურ კითხვისა ამერიკაში არსებობს ერთი საქმე, რომელიც უცნობია ევროპიელებისათვის: ეს არის ზანგების მდგომარეობა.

დაუვიწყარ ლინკოლნის პრეზიდენტობის დროს ამერიკაში მოიხსნა ზანგების მონური მდგომარეობა და მათ მიენიჭათ სრული უფლება ამერიკელ მოქალაქისა. ზანგი სწორუფლებიანი წევრია ამერიკის დიდ რესპუბლიკის მოქალაქეებ შორის. მიუხედავათ ამისა, ზანგის მდგომარეობა მეტად გა-

ჭირვებულია. თეთრ კანიანი მას ზიზღით უცქერის, თავის წრეში არ იღებს; რიგიან თანამდებობას ვერ მიიღებს იგი, რადგან არც ერთი თეთრ-კანიანი არ მიეკარება. ერთის სიტყვით ზანგი მოქალაქე „განკიცხულია“, განსაკუთრებით სამხრეთ 'მტატებში, ე. ი. იქ, საცა მონობა იყო გამეფებული. თეოდორ რუზველტი გაბედულად წინააღუდგა ამერიკელების ასეთ, მათთვის არა სასახელო, შეხედულებას და, თავისი ჰუმანური გრძნობა და რწმენა რომ დაენახვებია ყველასათვის, თავისთან მიიწვია ცნობილი მოღვაწე ზანგი ვუკერ ვაშინგტონი, დიდხანს ესაუბრა მას და საუზმეზეც მიიპატიჟა.

ერთის შეხედვით ეს ფაკტი წვრილმანი და უმნიშვნელოა, მაგრამ წვრილმანი და უმნიშვნელო ფაკტი არ გამოიწვევდა იმ საშინელ აურ-ზაურს, რომელიც სამხრეთ-შტატებში ასტეხეს რუზველტის ასეთ ქცევის გამო. რუზველტს სამარცხვინოდ და დამამცირებლად მიაჩნია ასეთი რასებრივი მძულვარება შავკანიან თანამოქალაქეებისადმი და სცდილობს სამართლიანად მოეპყრას მათ. ვუკერ ვაშინგტონის მიღების შემდეგ პრუზიდენტმა რამდენიმე წარჩინებულ თანამდებობაზე ზანგები დანიშნა. ამან კიდევ უფრო მეტი უკმაყოფილება გამოიწვია, მაგრამ რუზველტს ყურადღება არ მიუქცევია.

მუშების ინტერესების მიმხრობამა და ზანგების ქომაგობამ ბევრი გავლენიანი მტერი შესძინა გაბედულ პრეზიდენტს. მიუხედავათ ამისა რესპუბლიკელების პარტიის ეგრედ წოდებულ ეროვნულ კონვენტზე ჩიკაგოში რუზველტი ერთხმად იქნა არჩეული საპრეზიდენტო კანდიდატად მომავალ არჩევნებისათვითვის. „როცა რუზველტის მეგობრებმა საპრეზიდენტო კანდიდატად რუზველტი დაასახელეს, ერთიან აღტაცებისა და სიხარულის ხმა გაისმა მთელ კონგრესზე; აღტაცების ეს ხმაურობა მთელი ოცი წამი გაგრძელდა. ბატ. კანინმა, კონვენტის თავმჯდომარემ, გაშალა ამერიკის დიდი დროშა, სწორედ ის დროშა, რომელიც 1860 წლის პარტიის ღირს შესანიშნავ კონვენტზე იყო, როცა კანდიდატად აბრაამ ლინკოლნი დაასახელეს“.

როგორ უნდა აიხსნას ასეთი მოვლენა? რა არის მიზეზი, რომ იმ პარტიამ, რომლის მთავარ ძალას კაპიტალისტები შეადგენენ, ერთხმად აირჩია კანდიდატად რუზველტი, მუშების ინტერესების ქომაგი და დამცველი?

თეოდორ რუზველტი ცხადი, აშკარა იმპერიალისტია. ამერიკა ამერიკელებისათვისო, გაიძახოდნენ ძველი ამერიკელი პოლიტიკური მოღვაწენი, და მთელი მათი გარეშე პოლიტიკა მონროეს დოკტრინის დაცვა იყო. რა ხდებოდა სხვაგან, გარეშე ამერიკის საზღვრებისა, ეს მათ არ აინტერესებდა. ეხლა სულ სხვა სურათს ვხედავთ—ვერც ერთი მნიშვნელოვანი საერთაშორისო კითხვა ვერ გადაწყდება ამერიკის დიდ რესპუბლიკის დაუკითხავად. მონროეს დოკტრინა, რასაკვირველია, ხელ-უხლებელი დარჩა: ვერც ერთი ევროპიელი სახელმწიფო ვერ გაბედავს ფეხი მოიმაგროს ამერიკის ნიადაზე. მაგრამ ამას როდი კმაყოფილდებიან: ამერიკის შეერთებული შტატები მსოფლიო სახელმწიფოა და ამიტომ მსოფლიო პოლიტიკაც უნდა ჰქონდესო. ეს მსოფლიო პოლიტიკა კი დიდათ ხელსაყრელია ამერიკის მეტად განვითარებულ მრეწველობისათვის.

თეოდორ რუზველტი დიდის გამოცდილებითა და თან გაბედულებით უძღვება რესპუბლიკის გარეშე პოლიტიკას. შთავარი ყურადღება ამ პოლიტიკისა, რასაკვირველია, მიქცეულია დიდ ოკეანესა და შორეა-აღმოსავლეთისაკენ. ევროპის არც ერთ სახელმწიფოს არ გაუწევია ისეთი ენერგიული წინააღმდეგობა რუსეთის პოლიტიკისათვის შორეა-აღმოსავლეთში, როგორც ამერიკას.

ეს გაბედული გარეშე პოლიტიკაა, რომ რუზველტი ასე სასურველი კანდიდატია რესპუბლიკელების პარტიისა.

ერთი მოტივია კიდევ რუზველტის გავლენისა და ძალისა—თვითონ მისი პიროვნება: თავის სიმტკიცით, პირდაპირო-

ბით, ნიჭიერობით და მთლიანობით რუზველტი ხიბლავს ხალხს. ეხლა ამერიკაში სახელგანთქმულობით ვერვინ შეედრება თეოდორ რუზველტს და მისი მეორედ არჩევა პრეზიდენტის თანამდებობაზე თითქმის უზრუნველყოფილია.

რედაქტორი
ალ. ჭეოანია.

გამომცემელი
ალ. ჯაბადარი

დიფნის ქალაქის ამბავი

მგელი საზღაპრო მოთხრობა.

„დიფნის ქალაქის ამბავი“ აქამდის არსად არ შეგვხვედრია, იგი ეკუთვნის იმ მოთხრობათა ჯგუფს, რომელსაც შეადგენს ამირან-დარეჯანიანი, როსუდანიანი, დილარიანი და სხვა ამ გვარი საზღაპრო კრებულები. დიფნისის ქალაქის ამბავში აწერილია ფირმან ხელმწიფის შვილი ა ულისაყის მოქმედება და გმირობა. როგორც ყველა საზღაპრო მოთხრობაში, აქაც გმირი გამოიკლის მრავალს განსაცდელს, შეხვდება ურიცხვს თილ ისმას, დაამარცხებს აუარებელს მტერს, დევებს, ვეშაპებს, გველებს. მას ახლავს თაგანწირული და მასთან შეზდილი ვეზირის შვილი, დიდს ამაგს დასდებს ცხენი სახელად თვალჩიტა, მიაღწევს თავის მიზანს—გამოსტაცებს გველის ტყვეობიდგან საუცხოვო ქალს, შეირთავს მას და გაფუფუნდება ცოლ-შვილით. დაბრუნდება რა თავის დედმამასთან, გაახარებს მათ დაკოდილს გულს და გახელმწიფდება. თავის შვილს გაამეფებს სიმამრის ქვეყანაში და ამ გვარად გამარჯვებით დააგვირგვინებს თავის სიცოცხლეს უებრო და მწიკვლ მიუკარებელი საარაკო გმირი.

რაც შეეხება იმ საკითხს, ორგინალურია თუ ნათარგმნი ეს „ამბავი“, გადაწყვეტილი პასუხი ამაზედ ამ ჟამად არ შეგვიძლიან მოგახსენოთ. თუმცა მოთხრობაში ნახმარებია ფრაზა, რომელიც პირველ შეხედვით გვაფიქრებინებს, რომ იგი ორგინალური ნაწარმოებია, მაინც ვერ დავერწმუნებით ამ ადგილს, რადგან უეჭვოდ ნათარგმნს ნაწერებშიაც შეგვხვედრია იმ გვარივე წინანადება, როგორც აქ არის აღნიშნული: „ამ ქართულსა ზედა ხელმწიფის შვილმა ცხენი გაიგდო“ და სხვ. უფრო მისაღებია ის მოსაზრება, რომ ეს მოთხრობა ეკუთვნის არაბულს კრებულს „ათას ერთ ღამიანს“ და წარმოადგენს იმ გვარივე გადმოღებულს ქართულად ზღაპარს, როგორც სპილენძის ქალაქის ამბავი, „ყამარდიანი“, „თიმსარიანი“ და სხვ.

ახლად ნაპოვნი მოთხრობა საინტერესოა იმენად, რამდენადაც იგი მოწმობს წასული დროების ქართველი მკითხველის გემოს და შეხედულებას. თუ ეს მოთხრობა აღმოჩნდა „ათას ერთ ღამიანის“ ნაწილი, მაშინ იგი შეავსებს იმ ნაწილ-ნაწილად გადმოღებულს არაბულს საზღაპრო კრებულს, რომელსაც თავისი მიმზიდველობა ახლაც არ დაუკარგავს.

ხელნაწერი, საიდანაც გადმოღებულია ეს მოთხრობა, ეკუთვნის მე-XVIII საუკუნეს. ამის საბუთად მოგვყავს შემდეგი ბოლოს მინაწერი მოთხრობის ხელით და მელნით: „წილკნელობა ებოძა იკორთის არხიმანდრიტს ამვროსის ქ-კს უჯ, წელსა 1778 წ. თვესა აპრილის და კურთხევით მოხსენებულს ლეონ ბატონის შვილს არაგვის მპყრობელს შობისა მისისა მ ე ნ ე ნ ი კ ი ბიულოცა, თებერვალის, ხუთ შაირად“. მოხსენებული ლეონი, რა თქმა უნდა, ერეკლე მეფის ძეა. საყურადღებოა შეპარებული რუსიციზმი „მენენიკი“, ესე იგი, იმენენიკი.

ეს სიტყვა ერთი იმ რიცხვთაგანია, რომელიც ქართულს ენაში შემოვიდა ერეკლე მეფის რუსეთის ხელმწიფესთან მიწერ-მოწერის დროს.

სადიპლომატო ქაღალდებშიაც ხშირია ამ გვარი მაგალითები, როგორც ფამილია, კურიელი, იანარალი, მაიორი, პოდპოლკოვნიკი, უქაზი, პროვიანტი, არტილერია, ორდენი და სხვ.

ამათში მენენიკი, უქაზი აღებულია პირდაპირ რუსული ენიდგან, დანარჩენი ნასესხნი არიან რუსელი ენის შუამავლობით ევროპიული ენებიდგან.

ს. ხახანაშვილი

ამბავი დიფნის ქალაქისა, მორჭმითა ცხოვრებისა და მოქალაქოებისა მისისა და მას შინა მყოფისა ფირმან ხელმწიფისა და შვილისა მისისა აბულისაყისა.

იყო დიფნის ქალაქი მორჭმული, და ფრიად სიმდიდრე გარდამატებული. ესრეთ რომელ ყოველი ქვეყანა მისის განძითა, და ქონებით რჩებოდა, და ყოველი ქვეყანა მით მდიდრდებოდა: იმისი სიმდიდრე ეს იყო რომელ ქვეყანაზე მისგან უფროსი, და უშვენიერესი ქალაქი აღარ იყო: ამა ქალაქსა შვიდნი ესეთნი ბურჯნი აქვნდა სპილენძისანი, რომ ათს ღღეს კაცი რბევით ვერ შემოუვლიდა: იმას რომ მზე შემოუვლიდა იქიდამ შუქი და სხივი გამოჰკრთებოდა რომ მჭვრეტელთაგან მყოვარ ჟამ თვალის შემართვა დიაღ ძნელ იყო: თავს რომ ბურჯი იყო, იმ ბურჯიდამ სრულად ყირმიზის იაგუნდის მეტი არა გამოვიდოდარა, ან ტახტი, ან გვირგვინი, ან ხმალი, ან ლახტი, ან ჯილა, ან საყურე რაც სახელმწიფო იარაღი იქმნებოდა, ყველასაგან უმრავლესი წითლის იაგუნდისა გამოვიდოდის: მეორის ბურჯისაგან სრულიად ყვითელი იაგუნდისა გამოვიდის, და ყოველი სახელმწიფო იარაღი იყვის: მესამეს ბურჯისაგან სრულიად თეთრი იაგუნდი გამოვიდის: აგრეევე მეოთხისაგან ალმასი, და ზურმუხტი გამოვიდოდა; მეხუთიდამ ოქროს იარაღი, და ოქროს შუშა და ფლური: მეექვსესაგან ცარიელი თეთრი და მეშვიდისაგან სრულად ბოლოს ბურჯისაგან სტავრა გამოვიდოდა, და მისვე სტავრისა დაკერული. ყოველიფერი ტანისამოსი ასეთი რომ უხელოდ ჩაეცმოდა, დაეხურვოდა, და წამოესხმოდა: აგრეთვე უხელოდ გაეხდებოდა: ეს იყო იმათი სიმდიდრე რომ მის ქალაქსა მყოფსა გლხაკთაცა სტავრა ეცვა: მას შიგან ა-

ცი შესულიყო, ამას იტყოდა რომე რასაც ცა გადასწვდება ეს ქალაქი არისო: ქვეყანაზე ამის მეტი შენობა აღარ არისო: მას ირგვლივ ასეთი გალავანი ევლო რომელ გარეთიდ სულ კლდე იყო მოზღუდვილი, მაგრამ ქვის სიმშვენიერე ნამეტნავი იყო: მას ქალაქსა დიფნისი მით ერქვა რომე მის ქვის სახელი იყო თურმე: მას შიგან ფირმანდი ხელმწიფე იჯდა, ასეთი რომე სხვა არა აგონდებოდა რა ნადიმობისა, ნადირობისა, სიუხვისა, და მოწყალებისა მეტი: მას შვილი ჰყვანდა სახელად ერქვა აბულისაყ: ასეთი რომე არც იყო ასეთი კაცი რომ ეთქვა, უმშვენიერესი კიდევ სხვა ადამიანი მინახავსო და ვერც იპოვეს იმისი მთქმელი რომ ეთქვა, ამბათ გამიგონია იმის ყადრი კაცი ქვეყანაზედ ზნეობიოაო: მოიწიფა ცხრის წლისა ასე რომე არც გაუშვებდნენ ქალაქთა გარედ სანადიროდ, არც მიადენდენ ცივს ქარსა: იქ შეუყრიდენ მესროლთა, და ასროლინებდენ და სროლაზედან მართევდენ: მერმე მებურთალდა შეუყრიდენ,და აბურთავებდენ: მერმე მეომარსა კაცსა შეაბემდენ და ომს ასწავლიდეს: გაიმარჯთა ყოვლითა ზნითა, ასრე რომე მას კაცი ვერცა ომშიგა, და ვერც ცხენოსან შვილლდოსნად ვერ ედრებოდა: ძალითა სპლოსა სჯობდა, და სიკისკასითა ვეფხსა: თერთმეტის წლისა რომ შეიქმნა დედას მოახსენა, თუ არ გეწყინებათ დასტური მიბოძეთ რომ ქარავნის გამოსვლის დრო არიო, წავალ იმას ვნახაო, მასმიაო: დედამ უბრძანა, შვილო ყოველი კარგი სანახავი შენისამც ჭირის ნაცვალი არის: ვისთვის მინდა, თუ არა შენი გახარებისთვისაო: თუ ხელმწიფე გაგიშვებს, მე არ დაგიშლიო, წადი დაეთხოვეო:

წავიდა ხელმწიფის შვილი მსწრაფლად, და ხელმწიფის ყინა დაღონებია რასმე დადგა, და არა თქვარა, ხელმწიფემან ფირმალიმ შკილი დაღონებით დაინახა. ადგა და ყელს მოეხვია, რად მოგწყენია მამის სიცოცხლეო: და თვალთა ჩენაო: რა არის შენი შესაწყენი აღგისრულებ შენმა სიცოცხელმაო მიბძანეო: მოახსენა მე რა მინდა ასეთი რომე ხელმწიფეს დიდად გაუძნელდესო, თუ არა გამიწყრება ჯამოსულს ქარვანს ვნახამო

და მათსა სავაჭროსაო: გაუკვირდა ხელმწიფესა და არცა ეწადა მისი წასვლა, მაგრა ფიცი ვეღარ გაუტეხა და უბრძანა, აგრე ქენიო: მერე ვეზირს უბრძანა, ეს ქალაქი დასაწყისით დასაბამამდის ყოფილაო, და ხელმწიფე ამისი ჩემის გვარისაგან კი, დე არავინ ყოფილაო: არც მასმია მამის, არც პაპისა, და არც ჩამომავალთაგან რომე იმ ქარვანთ გამოსვლას დახდომოდესო, და არც მე მინახაავო, აწ ამას ზოუნდომებია და ჩემგან ალარ დაეშლებისო, სულთა ნაცვლად ერთი შვილი მყავსო, და ამას გულსა ვერ ვატკენინებ: შენ პაპისჩემისაგან გაზდილი ხარო, და მამისჩემის ნამსახურიო, და მე თვით შენი გაზრდილი ვარო, წაუძღევ ამას ყმაწვილია და საქმის გამოუცდელიაო: იქ ვინ იცის რამდენი საკვირველი სანახავი გამოვა რომე ბერნიცა დაშტერდებიან, არამც თუ ყმაწვილთა რა იციანო მისი ნახვაო: ერთი მოულოდნელი საქმე არა მომევლინოსრაო, ექვსის ბურჯის ქარავანი აჩვენე--და ეცადე მეშვიდეს მაშინც ააცდუნოო, იქ უფრო ბევრი ფერი გასაოცებელი სანახავი არისო კარგის რიგითა, და მოკაზმულობით წაიყვანეო რომე ჯერე არცა ამა გარეშამო ქალაქს უნახავსო ეს ჩემი შვილი, არც თუ იმათაო: აწ ჩემის ვეზირისა, და მოხელეთა თვით შვილი წაყვესო რომე ჩემის რიგი მაგას არ მოეშალოსო: გაგზავნეს მაშინვე კაცი, და ერთი ვეზირისა და ერთი სახლის უხუცისა, ერთი მოლარეთ ხუცისა, ერთი სუფრაჯისა, და რაც ხელმწიფის შინა ყმანი, და ანუ მოხელენი იყვნენ, თვითო შვილი ყველასი მოასხმევინეს, შვენიერნი და დაკაზმულნი რომე რეგვენი კაცი ამათში ხელმწიფის შვილს ვერ გამოარჩევდა.

აქა ხელმწიფის შვილის წასვლა ქარვანთა დასახედავად.

წავიდნენ ხელმწიფლურითა წესითა: რა გადგენ მისნი ვეზირნი, ხელმწიფის შვილთან ვეზირის შვილის მეტი ალარავინ დარჩა: მოახსენა შენ სხვის ცხენზედ დღეს ნუ შესჯდები—, ხელმწიფეს რომ შავჩიტი ჰყავს, ისი სთხოვე, და იმაზე

შეჯეო: მივიდა და მოახსენა, რადგან დღეს ხელმწიფემა ყოველი საწადელი აღმისრულაო, შავჩიტიც მათხოოსო: ხელ-ხელწიფემან ასე უბრძანა, მეც არა მჯდარვარო თუ არ დიდის საქმისთვისაო, შენ როგორ შესჯდებიო: ის რომ არ იყოს, არაბეთში არ არის ჩემის თავლის ოდენი ცხენიო, შედი და რომელიც გინდი იმაზე შეჯექო: ხელმწიფის შვილმა ეს არ ინება თვითან შევიდა საჯინიბოში, და თავისი ხელით ახსნა შავჩიტი, შეაკაზმინა შეჯდა და წავიდა: მივიდნენ ზემოსა ბურჯსა თანა, და შეიქმნა მოდენა ქარვნისა რომე ანგარიში არ იქნებოდა: და ღმერთმან იცის თუ რამდენი რამ საკვირველი სანახავები მოაქვსთ: როდესაც ხელმწიფის შვილის მისვლა სცნეს, შეიქნა დიდი სიხარული. ვითა ერთი სხვა რამ უკეთესი დღე მოსვლოდათ რომე ჩვენის ხელმწიფის შვილი ვნახეთო აქა: მამა არ მოსულა და პაპაო: აყრიდენ სრულად თვალსა პატიოსანსა: და მოართმიდენ მრავალსა ტახტისა გვირგვინსა და ყოველსა სახელმწიფოსა მოსართმევსა, და აღავსნეს მისნი მოხელენი: არცა რა გაახსნევინა და არცა რა თუ ნახა: ჰკითხა სადეთ მიხვალთო, და ანუ რა მიგაქთო, მათ ყოველივე მოახსენეს რაც მიჰქონდათ, და მისოორეთისაკენ მივალთო: და უბრძანა ეგ დაისწავლეთო ვინც რა იარაღი იყიდოსო და ამბავი მომიტანეთო: წამობრძანდა და მივიდა მეორესა ბურჯისა სანახავად რომ ყვითელითა იაგუნდისა ქარვანი გამოვიდოდა, მათცა შეექმნათ დიდი სიხარული, და მოართვეს მრავალი აგრეთვე მათ დააბარა, და ჰკითხი სად მიხვალთო, მათ მოახსენეს საფრანგეთს მივალთო, სანამდის მესამეს ქარავანსა შეეყარა, მათ უმეტესად გაიხარეს, და უმრავლესი მოართვეს: ჰკითხა სადეთ მიხვალთო, მათ მოახსენეს არაბეთს მივალთო: მათცა იგივე უბრძანა: რა იგიცა ნახა წავიდა ზურმუხტისა და ალმასისა ქარვანთანა და დაინახა მრავალი უცხო და უცხო სანახავი: მათაცა შესწირეს ღმერთსა მადლობა რომ ამა დღესა დაგვასწარო და აგრეთვე მათცა უძღვნეს და უმასპინძლეს და მოახსენეს საბერძნეთს მივალთო: და მათცა ისივ უბრძანა, და მივიდა მეხუთესა ქარვანთან. მათცა უძღვნეს და მოახენეს

აღმოსავლეთსა მივალთო: მეექვსეთაც მოახსენეს, დასავლეთს მივალთო: რა ექვსივე ბურჯი ნახა, ვეზირმა მოახსენა შენი ნება ხომ აღსრულდაო, და ახლა შენ მამა და დედა მიგელისო, მგონია ცნობას აღარც ერთი იყოსო, და წავიდეთო: ხელმწისფის შვილმა უბრძანა, მანამდის მეშვიდეს ბურჯსაც არა ვნახავ, მანამდის ჩემი წასვლა არ იქნებაო: ვეზირის შვილმა მოახსენა შორი გზა აქვს, და სიშორით ვერ გავდგებითო, და აქამდის ისინიც გაივლიდენო: ხელმწიფის შვილმა გაიცინა და უბრძანა, რად მარეგვნებ მამისაგან უტკბესო: ჩვენ იგი ქარავანი არ გვინახავსო, და არც დავიშლი იმის ნახვასო: ეწყინა ვეზირსა, და ასე უთხრა რეგვენთა კაცთან კაცსა ფარსაგსა არ მიედგომებაო, ამად რომე თვითონ არა იცისრა, და სხვისას არას ისმენსო: მე რა ხელი მქონდა შენთანაო რომ გამოგყევ, და შენთა დედ მამათ სირცხვილში ჩავდექო: მერე ვეზირსა შვილმა ასე უთხრა, რად უშლი წავიდეს ნახოსო შენ იცი რაგვარად გაზრდილი ხარო, და მეც ხომ შენი გაზდილი ვარო, ნაკლები არცარა მე ვიციო, გაუწყრა ვეზირი თავის შვილსა, და ასე უთხრა არ იცი უჭკო მცდარო თუ იქ მისვლა რა არისო, ან მისის ნახვით თქვენ რა დაგემართებათო: იმაში ერთი რამ ასეთი სანახავი არისო რომ იმისი თავზე ასი ათასი დევი იბრძვისო: მე საყელო ამიბერტყია, და შენმა და შენის ბატონის კისერმა ზღოს თქვენივ ცოდვაო, და მათი ბრალიო: ჰკითხა რა უნდა იყოს ეგეო: მან ასე უთხრა, ეს ქარავანი ინდისტანს მიმავალნი არიანო: ინდისტანის ხელმწიფესა ერთი ქალი ჰყავს, რა დაბადებულა, მაშინვე მისულა ერთი წითელი გველი, და ღამით სრულად მასთან არის: ასე რომე სანამდის აკვანში იწვა, აკვანს ქევშ უწვაო, და რა აკვნიდამ ადგა, მასუკან სრულ თავით უწევსო: ღამით ამ ყოფით არის, და დღისით კი დაიმალვისო: შვილმა მოახსენა, ვერავინ მოჰკლავსო რომ იმ ქალთან ველარ მიუშვანო: ვეზირმა ასე უბრძანა, იმას ვინ მოჰკლავს, ვერც ამას ეტყვიან რომ ცოტად უკუწილ, არამც თუ სიკვდილი გაუბედონ, კარგი არ მოხდების—ქალი ცისკარსა სჯობს შვენებითაო, და ობოლსა მარგა

ლიტსა სიბრწყინვალით, მაგრამ მისის დედის უსაწყლესი აღარ არისო, თავის შვილს აწ აკვანში მწოლს, და აწ ქვეშაგებში მწოლს მოუჯდება და ამდენს იტირებს რომე იმისი ცრემლი ცის ნიაღვარს დაემსგავსებაო, ეს რა ღვთის რისხვა არისო რომე ძლივ ღმერთმან ერთი ქალი მიბოძაო, და ესეც ასრე საცოდავად გამიხდაო, რომე ყოველ ღამეს ამ ქალს რა ჭკუა მოსცემია, ამას ძილი აღარ ღირსებია ამის შიშითაო, მოახსენა რად ეტყვიანო რომ შენთან გველი არისო, უბრძანა ვინ ეტყვის მაგრამ რა დაიძინებს დაიწივლებს და წამოიჭრებისო: ჰკითხვენ თუ რა იყოო, და ან რა ნახეო: ის ეტყვის ერთი გველი წევს ჩემთანაო, და ერთი კაცი მოვა ჩემთან ჩემად გამოსახსნელად მამის ჩემის ტანად არის, და მამას ჩემსაცა სჯობს შვენებითაო, ისი და ესე შეიბმიან, სანამდის ის არ მოკვდების, მანამდის არ შეშინიან, და რახან იმას მოჰკლავსო, მაშინ შემეშინდებაო, და მაშინ დავიძახებო: კიდევ ჰკითხა თვითონ ის გველი ეპატრონება თუ სხვა რამეო, მან ასრე უთხრა, იგი არაო წითლის გველის ჯაშუში არისო: წითალის დევს ერთი შვილი ჰყავს ასეთი რომე გრძნებითა ასეთს წვიმას მოიყვანს რასაც სულიერს დაეცემის კაცსა თუ ცხენსა, ანუ ნადირსა, ანუ ფრინველსა, ყველას დააბრმობსო, იგი ქალი მისთვის უნდა, და გველი მისთვინ დაუყენებია, რომე მის ქალის ამბავს აცნობებს, სანამდის გაიზარდოს, სხვა არავინ დაეპატრონოსო: და რახან გაიზრდება, მივა და წამოიყვანსო: ის ქალი რომ სიზმარში კაცსა ნახავს, ეს ჩვენის ხელმწიფის შვილი არისო, აწე ამას იქით მიმავალსა ქარავანს ნახავს იმათაც დაბარებს ამბის მოტანასა, და უნდა დაიკარგოსო; ვეზირი და მისი შვილი რომ ამას ამბობდენ, ხელმწიფის შვილმა თქვა, თუ ჩემი ცოცხლივ მიყვანა გინდა მამაჩემთანა, ისიც მაჩვენეთო, თვარემ არას საქმით მე იქ მამაჩემთან უსიკვდილოდ აღარ წავალო, ან დავიკარგები, და ან ყელს გამოვიჭრიო, ვეზირმა მოახსენა წაბძანდი, მაგრამ ან რად დაიკარგები და ან რად მოჰკვდებიო;

აქა ხელმწიფის შვილის წასვლა მეშვიდის ბურჯის სანახავად:

წავიდნენ ხელმწიფის შვილი, და ვეზირის შვილი, და რა სცნეს მისვლა ამათი, მოეგებნენ წინა, და დაუფენდენ ფეხთა ქვეშე სტავრასა და მასზედ არინებდეს: ასეთს დროს მოვიდნენ რომე ჯერეთ ქარავანსა დენა არ დაეწყო, და იყო ტირილი და ზრუნვა საშინელი, და სალმობა ზოგთაგან შვილისა, ზოგთაგან ძმისა, და ზოგთაგან ქმრისა, და ამას იძახდიან თუ, იქნებად რომე მოვრჩომოდე დევსა უხსარსა და ვეშაპსა პირ ცეცხლსა, ანუ ცეცხლსა ქვეყანისასა დამამხობელსა, ზღვისა შემაძრწუნებელსა: და ანუ იქნების რომ გრძნებასა, და მაცდურობასა მოვრჩომოდეთ და გვლირსებოდა თქვენის მხიარულის პირით მოსვლა: ზოგი იძახის თუ უძეოდ დავრჩები და, ზოგი იძახის თუ უძმოთ ვიქნებიო: რა მოისმინა ესე ხელმწიფის შვილმა, შეებრალა, და უარძანა სად მიდიან აგრე შორსა გზასა, და ანუ შორსა ალაგასო: მოახსენეს ინდისტანს მივალთო; ამაში შეიქნა მოდენა, და ვის რა საუცხოო მოსართმევი მოჰქონდა, და ვის რა, ან რა თვალი ნახავს, ან ენა იტყვის: მოართმევდენ მრავალსა, და არ დაიჭერდის, და ამას უბძანებდის, მე არა მინდარაო, ოღონ დახსენით და მაჩვენეთო: აქ მობძანდებოდა და იქ მიბძანდებოდა, და თვითოდ გახსნიდიან, და აჩვენებდიან, და სინჯვიდა ყოველსავე: დაიარა ყოველივე სრულად, ყველა ნახა ქარვანში, მაგრამ ქარვანბაში ჯერ არ გამოსულიყო, და ვერარა ნახა მისი, და არცარა აიღო, და არცარა დაიჭირა: მაგრა სხვათ ასეთი, და ესოდონი მოართვეს რომ პირთამდი მსახურნი აავსნეს: გამოვიდა ქარავანბაში სალამი მოახსენა, და თაყვანისცა, ერთი საუცხოო ლახტი მოართვა და ერთი ბეჭედი ასეთი რომე, დანახვამდის ლახტი წელში ჩაერჭვა, და ბეჭედი

ხელზე შემოეცვა: მოახსენა ხელმწიფის შვილსა რომელიც ეპრიანება იგი ყათარი მოლარეთ ხუცესს მიაბაროსო: იმან ასე უბძანა არა მინდარა შენგან ამის მეტი რომე დახსენ საპალნებიო, და ყველა მაჩვენეო: მაშინვე გაახსნევინა ზანდუკები, და ნახეს ყველა: ბოლოს ერთი ზანდუკი გახსნეს, ერთი ქუდი ამოხლტა იქიდამ. თითქო ელვა ამოკრთაო ადამის ტომმა რომ გასინჯოს რომე, ისრე იმ ქუდმა ხელმწიფის შვილისაკენ სამჯერ პირი გაშალა, და ბეწვი გაიბერტყა, და იქავ ზანდუკში ჩავიდა: ამ ზანდუკიდამ ერთი თეთრი საჩეხის ქუდი ამოიღო იმ ქარავანბაშმა, ერთი შალი უცხოდ საანახავად. საკვირველი ერთი იმ ქუდის ნაჭერი ქურდთუკი მოართვა მადლის გარდასახდელად რომე თავი ოდენ დაიდო ქუდი უმალ დაეხურა: ოდენ წელი გაიხარა შალი შემოერტყა: და ოდენ ხელი გაიღო ქურდთუკი ჩაეცვა, ხელმწიფის შვილს ეს მეტად გაუკვირდა, და ქარვანბაშს მადლი უბძანა, და ესეც უბძანა ყველასათვის დამიბარებია, და შენც ამას გეტყვი, რომე მე მამის ჩემისთანა კაცი ნუ გგონივარ უსაცილოდ ვერა ქარავანი უჩემოდ ვეღარ შემოვაო, როგორც გამოსული ვნახე, ისრე შესვლასაც დავხვდებიო, და ამასაცა ვცნობ რომელი რას მოიმატებთო, და ანუ რას მოიტანთო: თვარა დაუწვავი ვეღარავინ მორჩებისო: შენ ამ ქუდისა შემიტყეო რომ ვინ იყიდისო, და მისი ამბავი მომიტანეო, რას წამს მოხვიდე, მაშინვე მაცნობეო შენი მოსვლა თორემ ვეღარა გიხსნისრაო ჩემის ხელიდამავო: მისცა ფიცი ქარვანბაშმა, და წავიდნენ სასამგზავროსა მათსა, და ხელმწიფის შვილი შინ წაბძანდა, და გაგზავნა მისი ნაშოვნი სალარო, და საქონელი: მაშინ ხელმწიფემან ფირმალიმ შესწირა ღმერთსა მრავალი ამად რომე სიბერის დროს ამისთანა შვილი მოგვეცო, და ამდროდ მოგვუსწრა, რომ რაც მამაპაპათ არ უქნია ამანა ქნაო და, ამდენი ამისის ჭკუით შემოგვემატაო: ასის წლის კაცი ვარო, და მე დღეთა შინა ჩემთა ამდენი არ შემმატებიაო: რომ ამან ერთს დღეს მოიტანაო: მერმე უბძანა შენვე გაყავ როგორც გინდაო, მე მაგაში ხელი არა მაქვსო: ადგა და მამას მოახსენა, ახმობინეთ

რაც თქვენს სახელმწიფოში მდიდარი თუ ან გლახაკი არისო, ანუ ობოლი და ქვრივი რომე ჩემი ნაშოვნი და ქონება მათზე გავყოო, რომე მათ გზა, და დაჭირების დღე დამილოცონო, და ხმალი გამარჯობისა, ენა გაცემისა, და გონება სიბრძნისაო: მაშინვე ჯარში დააძახეს, და შეიყარნენ ყოველივ დიდებულნი და მცირენი ულონონი და ჭირვებულნი, დააყენეს ქვრივნი ერთობილ ერთსა მინდორთა შინა, ობოლნი ერთგან: აგრეთვე ერთსა მხარესა მხლებელნი ცალკე: და სხვანი გლახაკნი ცალკე: მდიდარნი სრულად ხელმწიფესთანა სხდეს; და ვაჟნი კაცნი საბურთალოსა მეიდანზედა დააყენეს. მოაღებინა ხელმწიფის შვილმან თავისი მონაგები ასი ათასი ყათარი აკიდებული, რაც მათ ქარვანთაგან ეშოვნა: მოართო მამას ათასი ყათარი, რაც უკეთესი, ანუ სახელმწიფო იყო: დედოფალსა დედასა მისსა ხუთასი ყათარი რაც მისი სიკადრისი იყო: მერე დიდებულთა თვითოსა კაცსა შვიდი ყათარი უბოძა ქარვნისა დატვირთული იყო: ახლა ვაჟკაცთა გაუყო როგორც მართებდა, და ოთხასი ყათარი დედოფლის მხლებელთ შეუგზავნა: ასი საკუთრივ თავის გამზრდელს მისცა: მერმე შეჯდა ცხენსა, და სრულობით მათ ობოლთა, და ქვრითა, და გლახაკთა ზედა გასცა, რაც ბოლოსა ქარვანბაშმა არ მოართო, მის მეტი არას ნივთისაგან არა დაიჭირა-რა: იზრიალა ეგოდენმა სულმა, მისთვის სახვეწრად პირი აღაღეს, და ღმერს მადლობა შესწირეს, და შეახვეწეს, ვითა ამან აღასრულა ჩვენი გული, აგრევე ამას უყავ მისი საწადელიო, და ასე გვიჩვენე რომე ქვეყანა სრულად დაეპყროს, და გაათავა გაცემა, და სამსა დღესა დედასთანა განისვენა: მერმე ბურთობა მოინდომა, გამოვიდა და იბურთავა, ასე რომ კაცი თვალს ვერ მოაშორვებდა: ერთი ხელი რომ იბურთავა, ხელმწიფემან დაიძახა, ჩამოხე და მოდი ჩემო სიცოცხლევ, და თვალთა ჩენაო, და თუ გინდა კიდე იბურთავეო: ჩამოვიდა და მოვიდა ხელმწიფესა წინაშე: ხელმწიფემან უბძანა მეაბჯრესა, პაპის ჩემის სამანქანი მომიტანე, მოაღებინა და თავისის ხელით ჩააცვა, არას აგრე მოეხმარა მოკლე და ვიწრო

მოუვიდა, გაუკვირდა ხელმწიფესა, და ღმერთსა შეეხვეწა: და ასე ბრძანა, გამიგონია პაპა ჩემი რომე როსტომისაებრი კაცი ყოფილა, და ამას იმის ჯავშანი არ მოეხმარა, მე ამას არა ვლირვარო: გაჰხადა და მისცა მეაბჯრესა შესანახავად, და ხელმწიფის შვილი აგრეკვე შეჯდა ცხენსა, და მეორედ რომე ბურთი გაიტანა, უბრძანა ხელმწიფემ, კმარა მაგოდენი ბურთაობა, აწ გაათავეო: რა გაიკონა მაშინვე გადახდა და მოვიდა მამასთან, და ხელმწიფემან თვალ-პირი გარდაუკოცნა: უბრძანა მოლარესა პაპის ჩემის ბეჭედი მოიტანე: მოართვეს და შვილს უბოძა იგიცა ხელს შეაცვა: იგი ქვა იყო რომე დიფნი ერქვა მას თურმე უძახდენ: ქვა იყო, მაგრამ სიბრწყინვალითა იაგუნდსა სჯობდა: ცალი გვერდი ნალესი იყო: გამოხდა ხანი რამე, და თურმე ბრძანება ღ-ჲ იყო ყველასაგან უკან სტავრის ქარვანი იყო წასული, მაგრამ ისინი ყველას უწინ მოვიდენ: მარა ამაზედა კაცი მოუვიდა რომ ინდისტნით ქარვანი მოვიდაო: ხელმწიფის შვილმა რა ქარვნის მოსვლა გაიგონა, ფიცხლავ ადგა და კარში გამოვიდა: დედამ მოახსენა სად მიხვალ ჩემო სიცოცხლევ შვილო: მან უთხრა ქარვანი მოსულა და წავალ ვნახაო: ხელმწიფეს ეწყინა და ასე უბრძანა, რა არის შენგან მუდამ ქარვნის შემოსვლისა და გასვლის დახდომა: ვის უქნია შენს მეტსა; თუ ქონება გინდა ვინა გყავს მცილე, კაცი გაგზავნე, და რამდენიც გენებოს მოიღონ: თუ არა არა წესია ხელმწიფეთაგან ქარვნის მოსვლა წასვლაზედ დახვედრაო: შვილმან ასრე მოახსენა: რა ხელმწიფის საზიანო არისო, და ანუ გასაჯავრებელიო, პირობა გამომირთმევიაო რომ არ ეგების თუ არა ვნახაო: შეჯდა ეგრეთვე შავჩიტსა, და გულზე ხელი დაიკრა, ვაი სადა ხარ ჩემო ვეზირის შვილოო: ცოტა რამ წაიარა, ვეზირის შვილი შემოეყარა დაიწყო ფიცხლად სიარული და ასეთს დროს ნივიდა რომ, მოსულიყვნენ მაგრამ შიშით ვერ შესულიყვნენ, ხელმწიფის შვილს მოელოდნენ: რა დაინახეს ხელმწიფის შვილი მიმავალი, მოეგება ქარვანბაში, და თაყვანისცა: ჰკითხა ხელმწიფის შვილმა იმავე ქუდის გასყიდვა: მან მოახსენა გავყიდეთ, მაგრა

ცუდათ დაიკარგაო, ჰკითხა როგორაო: მან ასრე მოახსენა:ინ-
დისტრის ხელმწიფემა დედოფალს შეუგზავნაო, და მას მრავალი
ეტირა, და ასე უბძანა რას ვაქნევ ღმერთმან კეთილი არა
მიყო რაო: მე ჩემიც გამარმებია ასე საქმე მჭირსო; და ერთი
ქალი მყავს ეს აპას მომიკვდების ვის მოვახმარო ესე: მერმე კიდევ
ასე უბძანა, უცხო რამ არის, და ეგების ღმერთს რამ ჩემთვის შვე-
ლა გაეგოსო: და იმისი ფასი მან გვიბოძა, ისე თქვეს რომ მისი
უშვენიერესი ნაყოფი არა გამოსულარა ქვეყანაზედაო, მაგრამ
გველი ეპატრონების, და ქალი იმისი შიშით ილევისო: მერმე
ხელმწიფის შვილმა ბრძანა, ვაი თუ დიაღ აშინებდესო, და
ფიცხლავ გამობრუნდა და წამოვიდა, და შინ მოვიდა და აღარა-
თქვარა, რასაც ხელმწიფე და დედოფალი ეტყოდენ, კაცი
შეიქენ ცოლის დრო გაქვს, ჩვენსავე სიცოცხლეში გვნებავს
რომ შენი კარგი ვნახოთო, გვითხარ ვინც გინდოდეს, და ანუ
რომლისა ხელმწიფისა ქალი გითხოოთო: ამას რომ დედმამი-
საგან გაიგონებდა, სხვას პასუხს იტყოდა: ან ნადირობას წა-
ვალო, ან ვიბურთავებო, ან ზღვის ძირს წავალო: მაშინვე
ადგის და გამოვიდის: ერთსა დღესა ნადირობას წივიდა, და
თან ვეზირის შვილის მეტი არავინ გაიყოლა: შავჩიტსა შეჯდა
და დიდვაჭრის მირთმეული ლახტი წელში ერჭვა, დაიწყეს სი-
არული, და კარგა ალაგი გაიარეს, ორნი ლომნი იწვნეს:

აქა ვეზირისშვილისაგან ლომების ნახვა.

ვეზირის შვილმა მოახსენა, ეძებდი და კარგი ნადირი ჰპო-
ვეო: რა ხელმწიფის შვილმა ვეზირის შვილისაგან ეს გაიგ-
ონა, შეიტყო რომე ომი არ ეწადა, გაიძრო ლახტი და შეს-
ტყოცნა ერთ ლომს მოხვდა, და წამსავე თავი წასწყვიტა,
მეორე არც შეიძრა, და არც ადგა: წაპოდგა ხელმწიფის
შვილი, წინ გარდახტა და ლახტს დაეწოდა, უნდოდა აეღო,
წამოხლტა ლომი, და შემოეჭიდა და იჭიდნეს დიდსა ხანსა,
ხან ყმაწვილმა დასცის, ხან ლომმა დასცის: ვეზირის შვილი

შორით უყურებდა, დაუძახა ბეჭედი იხმარეო, გამოიბრუნა ხელი უკუჰკრა და ცალი ყბა ჩამოართო; ესე ემწოვა ლომსა, გარდაიქნივა ყმაწვილი, და დასცა, და ყელში ტოტი დააჭირა, ყმაწვილმა პირით სისხლი ამოასხა: მოუხდა ზედ შავჩიტი, ასწივა კუდსა, კბილით, და თავამდის ტყავი, და ზურგის ძვალი ააგლიჯა, და მოკლა ლომი: წამოდგა ხელმწიფის შვილი, კლანჭი რო ყელში ჩაუჭირა სისხლი თურე იმისი იყო, უბრძანა ვეზირის შვილსა, აპა ღმერთიმცა ნულა გრისხამს, შენი და ჩემი პირობა აგრე იყო რომ მოვკვდი და არ მიშველეო: ვეზირის შვილმა მოახსენა, თუ სხვა არ მოგკლავსო მაგით არა დაგიმარცხდება რაო, კაცი გამოცდილი სჯობსო. წამოვიდნენ ზღვისაკენ, და დიდი რამე ყვირილი ესმათ, და ყური მიუპყრეს, და იკითხა ხელმწიფის შვილმა, უცხო რამ ყმა არისო: ვეზირის შვილმა მოახსენა, ის ბერი დევი წამოსულა, ზღვაში რომ შემოსულა, თვალები დასდგომია, ველარც იქით წასულა, და ველარც აქეთ, და იმისთვის ყვირისო: ხელმწიფის შვილმა ბძანა წავიდეთ ვნახოთო: ვეზირის შვილმა მოახსენა, მაგის ნახვას რას ეშურები ხელთა გყავსო, აქათ რამ სხვა ვნახოთო: იცოდა ვეზირის შვილმა რომ ზღვის პირს ორი ალმასი ტახი იყო, და ერთი ოქროს გოჭი თურმე ჰყვანდა, და ის დევი მისთვის წამოსულიყო რომ ერთი გრძნება ქალი ჰყვანდა, ასრე უნდოდა ის ტახნი დაეხოცა, და გოჭი ქალისთვის მიეგვარა: დევი ველარ გამოსულიყო, და ერთი ტახი იწვა, და მეორე იდგა და დარაჯობდა: ხშირად წაფშვინის, და ყური მიუპყრეს, და ამ ძახილს შიჰყვეს, რა მეახლნეს დაინახეს რომ გოჭი შუაზედ უწვათ, იქით ტახი იწვა და აქათ სხვა იდგა და იყურებოდა: ვეზირიშვილმა ბოძალი მიართვა, რომე, ტახმა რომ მოგმართოს, ეს ბოძალი ჰკარო: ტახმან შემოხედნა, და ძალიანი დაიყვირა, უნდოდა შემოეტივა, შესტყორცა ხელმწიფის შვილმა ბოძალი ჰკრა, და ორივ ბეჭები დაამტვრივა: მოახსენა ვეზირის შვილმა, ეგ მე დამანებეო, და მეორეს უშველეო. შეუტივეო: შეუტივა მეორეს ტახსა ხელმწიფის შვილმა, და არ ადგა: გაურბინა, და გამოურბინა და არ

შეიძრა ტახი იგი, ამა სირბილსა შინა შავჩიტი გახურდა, შე-
ვარდა ზედა, და ტახს კბილით დაეჭიდა: გოჭს თურმე წიხლი
მოხვდა და მოკვდა, ამაზედა გაშმაგდა თეთრი ტახი, წამოიჭრა,
მოუქნივა ტახმა ეშვი, და ასრე გაუხივა მუცელი, რომ ღვიძლი
გამოუჩნდა ხელმწიფის შვილსა: და მან ერთის ლახტის მო-
ქნევა დაასწრა, და ხელმწიფის შვილი დასუსტებული გარდა-
ვარდა ცხენიდამ, და უკუწვა: ახლა დააფრინდა შავჩიტი, აი-
ყვანა დაახეთქა, და ძვალი და ძარღვი ერთმანერთში აურია:
მერმე თეთრმა ტახმა ასრე თქვა, ორჩივ მე ჩემი დამემართა, და
ღვთის მადლსა დიაღ კარგი მოწიფული არის და მერმე დიდის
ხელმწიფის შვილი, და დედის ერთაო, ბრალია მაგისი ცუდათ
სიკვდილი, მე გამაპეთ და ნაღველი ამომართვითო, მაგას მუ-
ცელი ამოუკერეთ, და ზედ დაასხით ღმერთი არის მოწამე,
გამთელდებისო: სრულ ნუ დაღვრითო რომ თქვენვე მოგინდე-
ბათო: წამოდგა ისევ ხელმწიფის შვილი, გააპო და ნაღველს
რომ იღებდა გარდასუსტდა: ახლა მოვიდა ვეზირის შვილი,
მანამდის ვერ მოენდო ტახთა: და ნაღველი ამოართო, ხელმ-
წიფის შვილს მუცელი ამოუკერა, და ზედ დაასხა, და შეუ-
ხვია მისივე შალითა, და რაც გარდარჩა შეინახა: ორსავ
დღესა იქივ იწვა ხელმწიფის შვილი, მესამესა დღესა
შესხდეს, და წავიდეს: რა მივიდეს და ნახეს, შემოსტირეს,
მეფემა და დედოფალმა, რასათვის იქ და რას გულისათვის
გვიზამო, რომ აგრე ცუდსა ალაგსა უჯაროდ და უბარგოდ
დახვალო, ვინ იცის რა შეგხვდესო, რას ვაქნევთ ჩვენსა სი-
ცოცხლესაო: შვილმა გაუცინა და მოახსენა, რა მიშავს ნა-
დირობასაო, სრულად რომ შინ ვიჯდე ან თქვენი რა სიამოვ-
ნე არისო, და ან მე რას მარგებსო, კარში არ გამიშვებთო და
მართლა სროლაც არ ვიციო: სამი დღე არის ნადირობას ვარო,
და ორის ღორისა, და ორის ლომის მეტი ვერა მოვკალ რაო:
მერმე ვეზირის შვილმა ამოიღო ეშვები, და ლომის ტყავებიც
შემოიტანა, და ხელმწიფეს მოახსენა: ამას გოჭს უძახის თქვე-
ნი შვილიო: გაუკვირდა ხელმწიფესა და ასე ბრძანა ამ დრო-
თა ვარ, და ამისთანა კბილი არ მინახავსო, ოღონ ცოტა გო-

ჭი არ ყოფილაო: მადლი საწუთოთა შემოქმედსა, რომე ჩემთა თვალთა ამისთანა საქმე მანახვა: ვეზირის შვილმა მოახსენა, წელთ შემოხსენ, და სცნობ შენზედ მოწყალის ღვთის წყალობასაო: შემოხსნეს წელთა, და გაჰხადეს ტანთა და გასინჯეს: და მუცელი რა ნახეს თითქმის ცნობა აღარავის შეერჩა, თავად შიშითა და მერმე საკვირველებითა: დედამამანი ტიროდეს, და ხელმწიფის შვილი იცინოდა: მერმე დედოფალს მოახსენა, დედას მზემა, ერთი ასეთი რამ მოგიტანე, რომე ამისთანა შენ არა გინახავს რაო: და თუ ცოცხალი მომეყვანა კიდევ უფრო საკვირველი იქნებოდა, და არც სატირელი იქნებოდა ჩემი ნადირობაო: რა დედასა და მამას გული დაუამა მხიარულისა და ტკბილის ქართულითა, უკუიყარეს მისის გამარჯვებისა და მორჩენისათვის: ათასი ტყვე თავს შემოავლეს და გაუშვეს: ათასი გლახა დაამდიდრეს და ათასი ყათარი თვალმარგალიტი მლოცავს გაუყვეს, და შესწირეს ღმერთს მადლი: ოქროს გოჭი რომ ნადირობიდამ მოეტანა, დიდათ ეუცხოვათ, და იამათ: ჰქონდათ დიდსა ხანსა, გაოვიდა და უბრძანა ხელმწიფის შვილმა ვეზირის შვილსა: ჩემო ერთგულო ყმაო: განა ყმავ, საყვარელო ძმაო: მე თუ არა ვბერდები, არა ვყმაწვილდები: ჩემი შავჩიტი თუ არა კლებულობს, ძალას აღარას იმატებს: ჩემის წასვლის დრო არის, იგების შენის ბედით, და იმედით იმ ქალს ხელი მოვკიდო, მეშინიან, არამც შიშმან აწყინოს რამე, ამისას შენ რას პირობას მომცემო: ვეზირის შვილმა ასე მოახსენა, რომელიც შენ გინდოდეს ისე ქმენო, და მე ცოცხალი ზეცას ახვალ, ქვესკნელს ჩახვალ, ზღვაში ხარ თუ ხმელეთზედა, თქვენ წამსაც არ გაგეყრებიო. თუ სამსახური რამ შემიძლია, თავს არ დავზოგაო, თუ არა და შენს სამსახურზე მაშინც მოვკვდებიო: გათენდა მეორე დღე, და ხელმწიფის შვილმა ერთი ფლურის კაბა შეაკერვინა, და ხელმწიფეს მოახსენა: ზღვის პირს სანადიროთ წავალ, და ეგების ერთი თვეც დამეგვიანოსო და თუ მიბრძანებთ, შავჩიტს წავიყვანო, ხელმწიფემ ასე უბრძანა, შენ როგორ გაწყინო ჩემთა თვალთა სინათლე დამი-

ბნელდებაო. თუ შენ ჩემგან ოდეს გულს დაგაკლდებაო: მაგრამ შავჩიტი ჩემთა სულთა მდგმელად მყავს, და ასრე გავხადე ცუდს სიარულში რომ დამეჭიროს ერთს გარბევასაც ველარ შეიძლებსო: ამას ცოტად შეუსვენე; და თეთრი ცხენი თუ არა სჯობს, უარესი არ არის, სიყმაწვილით სიბერემდის, სრულად ჩემი ზედ საჯდომი თეთრი ცხენი ყოფილაო ჩემის გუნებისა, და იმაზედ შეჯექო: ამაზედ აღარა თქვარა ხელმწიფის შვილმა, და აღარც მის მეტად ხელმწიფეს თავი აწყინა: შეჯდა თეთრსა ცხენსა, და ერთი ხელი იბურთავა: მერმე გარდახდა და უბრძანა, წადით ხელმწიფემ რომ ჯაჭვი მიბოძა, ის ჯაჭვი მომიტანეთ, ერთი რამ საქმე მწადიანო: მოართო მეაბჯრემა, და შეიკაზმა თავით ფეხამდისინ: ფლურის კაბა შიგნით ჩაიცვა: ლაბტი გაირჭო, ვაჭრის მორთმეული ქუდი დაიხურა, და ქურთუკი ჩაიცვა: და ვინცა ნახვიდა ამას იტყოდა, ღმერთსა ერთი ნაყოფი ქვეყანაზედა ამის უკეთესი, და უშვენიერესი აღარა დაუბადებია-რაო: მაგრამ ხელმწიფემ რომ შავჩიტი ცხენი არ ათხოვა, ამაზედ დიაღ დაეღრიჯა: მოახსენა ვეზირის შვილმა, დაღრეჯა და შეჭირვება არა საკადრისი არისო: ესეც დიაღ კარგი და ბედნიერი ცხენი არისო, თავად მოწყალის ღმერთისაგან მაგისთანა იმედი მაქვს რომ სამაგისო არა დაგვეჭიროსრა, და თუ მაგაზე გულნაკლულად ხარ, როდესაც გამოესალმო დააბარე რომე დამეჭიროს, და გახსენო, მამეშველეთქო: ეს მე ვიცი შენ თუ რამ დაგეჭირების შავჩიტს აქ გული გაუხურდების: და თუ ახსენებ ფიცხლავ წამოვაო: შევიდა ხელმწიფის შვილი დედოფალთან დედასა თვისთან, და რა დედოფალმა შვილსა შემოხედა, და დაინახა, უცხო რამ სანახავი შექნილიყო, ფიცხლავ დედოფალი წინ მოეგება, და უბრძანა რა არის მიზეზი შენის ავრე შეკმაზვისაო, დედის სიცოცხლეევო, და სულთა მდგმელოო, შვილმან მოახსენა ზღვის პირს სანადიროთ მივალ, და არამც კიდევ შმაგს მხეცს სადმე გარდავეკიდო, ჯაჭვი მისთვის ჩავიცვიო: დედოფალი მოეხვია შვილსა, და თვალპირი გარდაუკოცნა, კარგად გიქნია შენმა მზემა, ნეტაი ჩემს სიბერესა რომ შენ საომრის იარაღით შეკმაზული გნახეო:

მერმე შვილი დედას მოეხვია, და ძუძუზედ კოცნა დაუწყო, და დიდი ხანი იტირა, უბრძანა დედოფალმა სულთქმითა და მწარის ხმითა, რა არის შვილო და ანუ რად უპირობ შენსა სახელმწიფოსა დამხობასა, და შენთა უძლურთა დედმამათ უშრეტის ცეცხლით დაწვასა, რად აგრე გულით მესალმებიო, ნადირობისათვისაო: შვილმა მოახსენა, არა დედას მზემა, შენი გაყრა მიმძიმს რომ უშენოდ ყოფნას არა ვარ დაჩვეული, და ახლა არამც დამაგვიანოსო, და ყმაწვილური ტირილი მომივიდა, თქვენ ამაზედ ნუ შეიწყენო კიდეც უნდა გიამოსო: მოემშვიდობა, ადგა და კარში გამოვიდა, და ხელმწიფეს წინ წადგა, და მშვიდობითამც ხართო უკუნისამდე, ნადირთა სროლად მივალო: მერმე შევიდა საჯინიბოსა შინა, მოეხვია შავჩიტასა, და იტირა, და შეეხვეწა: რადგან ეხლა შენი თავი მამა ჩემა არ გამომატანა, ვინიცის დამეჭიროს, ეს ნიშნათ გეყოფის რომ გული გაგიხურდებისო: და თუ ღმერთი გწამს, და ან ტკბილი პატრონყმობა იცი, ნულარას იყოვნი და მომეშველეო, მერმე გამოვიდა, და ლურჯს ცხენს შეჯდა:

აქა ხელმწიფის შვილი გამოესალმა, და ქალაქიდან გამოვიდა:

წავიდა, ქალაქი რომ გამოიარა, ცოტა გასცილდა, დადგა და ტირილი დაიწყო და ამოისუნთქა, და მწარედ და საწყლად დაიძახა, მშვიდობით დიფნის ქალაქო, ციხევ და ჩემნო ერთგულნო ყმანო, და თქვენ მოქალაქენო. რა ვეზირის შვილმა ხელმწიფის შვილი ისრე შეჭირვებული ნახა, მოახსენა რად სტირი ხელმწიფეო, კლება და შეჭირვება მგზავრობასა შიგან არ არის მამაცის სახელია: ტირილი და მოთქმა, მხდალთა და ულონოთა წესია: აწე მე ვიყო შენი თავდები, შენ შვიდჯერ მოჭკვდები, მაგრამ ბრძანებითა ღვთისათა ისრევ გასცოცხლდებიო: ამა საუბრითა ხელმწიფის შვილმან გული გაიმაგრა, დაიწყეს სიარული, და იარეს მრავალი, გზას სიარულსა შინა ხმა

რამე შემოესმა მაღლისა სიცილისა, ტაშის კვრისა, და სუნი ეცა სუნნელებისა: ამას ზედან თავად გაჰკვირდნენ, და მერმე განჰკრთენ: ცოტა წაიარეს, და შეხედეს მინდორთა შინა სამნი ხენი იდგეს შვენიერნი: ერთი ბროწეულისა, ერთი ვაშლისა, და ერთი ნარინჯი, სიცილი რომ ესმათ ბროწეული იყო: ტაშის კვრა ვაშლისა იყო: და სუნი სუნნელებისა ნარინჯისაგან იყო: სამნივე თურმე ბერის დევისა იყვნენ: ბერი დევი ზღვაში თევზს მოეკლა, და იმათ მისი სიკვდილი უხაროდათ: მისთვის ბროწეული იცინოდა, ვაშლი ტაშს უკრავდა, და სუნსა სუნნელებისას ნარინჯი უშვებდა: მივიდნენ და ჩამოხდნენ მათ ხეთა ძირსა შეისვენეს თვითონ, და ცხენი საძოვარსა მიუშვეს. ბრძანა ხელმწიფის შვილმა, ვეზირო მშიან, და ნადირი ვერსად მოვიხილეთო: ამა საუბარსა ზედა შემოჯდა ერთი იადონი და დაიძახა, ხელმწიფის შვილსა შიან: ამ ბროწეულს სამჯერ შემოუაროს, და ვაშლთან ტაში დაუკრას: ბერის დევის სამზარეულო აქ არის, მისი კარი გაიღების, და რაც ეპრიანების, ის იამოსო: მანამდის ნურც საჭმელს სჭამს, და ნურც ღვინოს დალევსო, სანამდის თავისი ბეჭედი შიგ არ გაავლოსო; ხელმწიფის შვილმა ეს ვერ გაიგონა, და ვეზირის შვილმა კი გაიგონა იადონისაგან: მოახსენა ხელმწიფის შვილსა რა უნდა იყოს რომ არას გაიონებ, და არცარას დაინახავ, ადეგ ბროწეულს სამჯერ შემოუარე და ვაშლთან ტაში დაუკარ: და ვნახოთ ღმერთი რას იქსო: ხელმწიფის შვილი ვეზირის შვილს გაუწყრა, და უბძანა, ასრე რეგვენი ხარ, ჩემი მამული დიფნის ქალაქი გამიშვია, საჭუჭრჭლით სავსე, სამოთხის მჯობი: მამა დამიგდია უძლური და დედა საწყალი ჩემის გაყრისათვის: და იქ ასრე გამოხდომია საქმე, ჩემის მორჭმისა და დიდების პატრონსა, რომე ჰური მენატრების, და შენ თამაშობას მპატიჟობო, ახლა რასდროს ტაშის კვრა არისო; ვეზირის შვილმა მოახსენა, მე არა ვხუმრობ შენი თავის მზემა, მართალი მოგახსენეო. დაუჯერა და რაიც მოახსენა, ხელმწიფის შვილმა ისრე ქნა. და მაშინვე სამზარეულოს კარი გაეღო: უნდოდათ შესულიყვნენ. წაიზიდა ლურჯმა ცხენმა, და-

წყვიტა, მიუხდა, დააფრინდა კბილითა, და სამზარეულოსი ორივ კარები დაგლიჯა: შევიდნენ ხელმწიფის შვილი, და ვეზირის შვილი: დახვდათ მრავალი დამზადებული სასმელ საჭმელი: თურმე დევები ამზადებდენ, თუ ცხენს კარები არ დეეგლიჯა, უბრძანებდენ და სამზარეულო გაერთდებოდა, და ისი ველარას გააწყობდენ, და სულით ხორცამდის დაიკარეგებოდენ: რა კარები აღარ ება, დევებმა ველარა გააწყეს რა, ამად რომე ძალითა ესენი სჯობდეს, და მისთვის ველარა გააწყეს-რა, და გაუჩინარდეს: ვეზირმა ხელმწიფის შვილს მოახსენა, თუ რამ გვინდოდეს ავიღოთ და კარში დავსხდეთო: ოქროს კოკა ღვინით სავსე იდგა, ხელმწიფის შვილმა აიკიდა, და ერთი სტავრის პარკი იდვა, ასწივა, და თქვა, ამაში რა უნდა იყოსო, სრულათ მურასა თასით სავსე იყო, და ვეზირის შვილს უბძანა, ეს შენ აიკიდეო,: ერთს ყაბს იმან დაავლო ხელი, და ერთს ხელმწიფის შვილმა, და გამოვიდნენ და დადგნენ: მოახსენა ვეზირის შვილმა, წადექ ღმერთსა შეეხვეწე, და მერმე ჭამად დავსხდეთო. წადგა ხელმწიფის შვილი და მრავალ მოწყალე ღმერთს თაყვანი სცა, და ილოცა. სანამდის ლოცვას გაათავებდა, ვეზირის შვილმა ბეჭედი წაჰყარა, და საჭმელსა და ღვინოში გაავლო: მერმე დასხდეს და პური სჭამეს, რაც მათს გარჯილს მგზავრობას შეეფერებოდა გამოისვენეს და ლხინი ნახეს: მერმე შინვე შეიტანეს ყოველივე გამოტანილი იარაღი, და კარები დახურეს ზედვე, და წავიდეს მუნით, და იარეს დიდი ხანი, და მივიდეს ერთსა შვენიერსა ქალაქსა შინა. მოეწონათ და თქვეს მდიდარი და შვენიერი ქალაქი ჩანსო, შევიდეთ, ვუდარბაზოთ კაცსა ვისმე სტუმრისა მოყვარულსაო, რა შევიდეს ქალაქად, ნახეს ბებერი ვინმე ჯდა და სანუკვართა ამზადებდა: ხელმწიფის შვილმა უბძანა, მშვიდობა დედავ შენი ნახვაო: ამად უფრო რომე პურად კარგსა ჰგევხარო: აიხედა ბებერმა, და ორივე ხელნი თავში შემოიკრა, და აგრე მოახსენა: ბედნიერმცა არის მოსვლა თქვენი შვილნო, მაგრამ ამად უმშვიდობას მგზავრობა თქვენიო, რომე მრავალნი კარგნი მინახავნ აქეთ გავლილნი, მარა არა კარგად მომხდარა მათი აქ

მოსვლაო, აწ ცოტა რამ სჯამეთ და მუნითვე მიბრუნდით სადეთაც მომავალნი ხართ, დიალ დიდი მუღაბანა არის თქვენი ფათერაკსა დაბმაო: ჰკითხეს რა ზავალი არის აქა შგზავრთაო, და ანუ ვინ არს ამა ქალაქისა პატრონიო: მან დედაბერმა მოახსენა, მე ყოველივეს გითხრობ, მაგრამ ამბავი გრძლად მოვალსო, და ვაი თუ მოგვესწრას ადამიანთა მაოხრებელი, და ბრალიანსა, და უბრალოს აღარ გაარჩევს, ასრე რომე ქვათა და კლდეთ დაადუღებს ერთმანერთზედაო: უბრძანეს გვითხარი დედავ, და იგი იქმნას რაცა ბრძანებასა ღვთისა ჩვენთვის უნდოდესო: მოახსენა შვენიერო სანახაო, და სიტყვა ბრძენო, მოუთმენლად საყვარელო, გკადრო ჩემი ჭირი და მწარენი ცხოვრებანი, და ამა ქალაქისა მეპატრონეთა ცხოვრება და ქცევანი. ამა ქალაქსა სიმდიდრითა თვალნივე თქვენნი ხედვენ, მაგრამ კაცნი ამად ძვიროობენ, რომე დევი ჰპატრონობს წითელი მყრალი და საძაგელი, და მისითა შიშითა ყმანი, და ვერცა ქალნი ვერ გამოჩნდებიან: თუ არ ჩემებრ ყვავილ დამჭკნარი, და დაუძლურებული, მგზავრთა ამათ არ უშვებენ, და გზანი დევთა და გრძნებათგან დაჭერილნი არიან, რომე ქალი ჰყავს ინდისტანის ხელმწიფესა: და ის ამა დევსა თავისის შვილისათვის უნდა, დაბადებითგანვე ამისი მცველი ადგა: აწ შვილი იქ გაგზავნა თორმეტის ათასის დევითა, ამბის საცნობელად, და თვით აქ არის, ვინც გამოივლის იქით მიმავალობისათვის, სულსაც აღარ ამოასუნთქვინებს გზასა მივიდოდეს, რა გინდა უბრალოსა: თვითან ნადირობას წავა ხოლმე, და მომავალსა ადამიანთა სული ეცემა, ამა ქალაქსა თავიდგან ცეცხლს მოუკიდებს, და ბოლომდისინ აანთებს: აწ გათავდა სამოცი საჩინო ხელმწიფის შვილი, სხვასა დიდებულს და აზნაურს გარეთ რომე ამა ბილწის ხელითა მომკვდარა: თუ მე არა დამიჯერებთ, შეხედე მზისა დასავლეთისაკენ ერთი მაღალი გუმბათია თუ მას გარეშემო სრულად კაცის თავი არ იყოსო: რა ეს საუბარი გაათავა, ასრე უთხრა რა ვქნა შვილო, დასათხოვნელი არა ხართო: მაგრა იგი უღვთო ნადირობას წავიდა და აწ მისის მოსვლის დრო არის, და გაესწრა-

ფეთ გზასა თქვენსა, ეგების ღმერთმან გზა თქვენი წარმარ-
თოს და მოარჩეთ სიბნელესა ჯოჯოხეთისასაო, ცოტა ჭამეთ
რამ ეო: მათ ასრე უთხრეს აქ ველარ დავდგებით, და თან ცო-
ტა რამ გაგვატანე კარგი იქნებისო: მან ბებერმა მიართო პუ-
რი: აიღეს და წავიდეს: რა ქალაქი გაიარეს, და მინდორთა
შინა გავიდეს, შეხედეს ნახეს რომ მოვიდოდა დიდისა მთისა
ოდენი და ეგონა, თუ მოგლეჯილა წითელი კლდე, და იგი
მოგორავსო: მოვიდოდა და მობრდღვინვიდა ვითა ადამიანთა
სული მეცაო, უცილოდ ჩემის მეუფის მადლმა ბოლოო
მოუკიდებ ამა ქალაქსა ცეცხლსა, და თავით მოუკიდებ
და სრულად ავანთებო, ვინ მოსულა მცდარი და თავ განწი-
რული, არწივნი მათის ფრთითა ჰაერსა შინა ვერ გაივლიან
ასეთი შიში დგას ჩემიო: ეს ძახილი და გრგვინვა ესმა ხელ-
მწიფის შვილსა, შეეშინა და ბრძანა აწ გათავდა ჩემი წერილი
და სადა ხარ ჩემო შავჩიტოო, მერმე ცრემლიანმა ღმერთს
შესტირა, და შეხვეწა ვითა თუ ჩემნი დღენი თუ არ გათა-
ვებულიყვნენ, და ჩემნი უკუნისამდე დაკარგვა არ გაგეგოს
ჩემზედ შენსა ბრძანებასა ნუ შესცვლი, ამა ბილწისა ხელითა
ჩემსა სულსა ტანისაგან ნუ განიყვანო, თუ ამა მაცთურისაგან
ავი რამ მეწეროს, ასთენი მოწყალება მომივლინე რომე
ჩემი შავჩიტი მომაშველე, რომე, ეგების ჩემი სული ამის-
გან დავიხსნაო: რა ლოცვა გაათავა და მობრუნდა მო-
ახსენა ვეზირის შვილმა, რალას იყოვნი, ჩემეული ბო-
ძალი ესროლე ჯერეთ, და მერმე ვნახოთ რა იქნება,
რახან დაიძახოს მაშინ შესტყორცე: ამაზედ კიდეც დაიძახა,
აჰა რა საძაგელი სული მოდისო, ამის მეტს ველარ გავძლებო
რომ ცა ქვეყანას არ დავცეო: ამაში ხელმწიფის შვილმა შე-
სტყორცა ბოძალი, და დევს დაღრენილს პირში ჰკრა, შეჰყვი-
რა დევმან და შემოუტივა გაშმაგებულმა: აქათ ხელმწიფის
შვილმა შესძახა, ზედა მიუხდა და ლახტი შესტყორცა, ჰკრა
ბეჭსა და მარჯვენა მხარი დაატანა და მოტეხა: პირში ისარი
ნაკრავი ჰქონდა, პირს ველარ აღრენდა, მარჯვენა მხარი მო-
ტეხილი ჰქონდა, ველარა დია ხმარობდა, მაგრამ მარცხენესა

ხელით ასე მედგრად იბრძოდა, რომე სანახავად საზარო იყო: აქეთ ხელმწიფის შვილი უფიცხლესად იბრძოდა, შეიყარნენ და ხელ და ხელ იჭიდნენ მწარედ: ხან ხელმწიფის შვილი ერეოდა, და ხან დევი: იბრძოლეს დიდს ხანსა ამა წესითა, მერმე დევმა დაიყვირა, და დასცა მარცხენისა ხელითა; და იქიდამე ცხენი მოუხდა, ტოტი დასცა და კბილით დაეჭიდა: ვეზირის შვილმა დაუძახა, მარჯვენა ხელი მოიხმარე ჩემო ხელმწიფის შვილო, თუ არა მე ვერას მოგეხმარებიო: იქიდამ ცხენი ეჭიდებოდა, და აქედამ ხელმწიფის შვილმა მოუქნივა მარჯვენა ხელი, და მხარი მით ჩამოართო: დევი უკუიქცა, და ხელმწიფის შვილი დაეხსნა მის ჭანგსა:

აქა ხელმწიფის შვილისაგან საკვდილი დევისა:

მერმე დევმა ასე უთხრა, მე ხომ ჩემი დამემართა და სული აგრეც შემარჩინეთ თქვენის მეუფის მადლსა, და შენ შვილი იყავი და მე მამაო: ვეზირის შვილმა მოახსენა, ნუ დაინდობ თვარა შენვე გაირჯებიო; ამაზედან ამოიწოდა ხმალი ხელმწიფის შვილმა, მიუხდა და ასე უთხრა, რას ვაქნევ შე ბილწო საძულველო შენსა შვილობასა, და ანუ შენ ცოცხალსა ვით გაგიშვებო: დევმა უთხრა, გიჯობდა ჩემთვის მამაშვილობა გექნა, რადგან არა ჰქენ, მე ვიცი თქვენ რისაც მგზავრი ხართ, და ვისფვისაც მისდიხართ: თავად მას ქორწილიც უქნია, თუ არა გზაზე მაშინც დაგხვდება ჩემი შვილი, თორმეტის ათასის დევითა, და ის გიზამს ამის პასუხსაო: ხელმწიფის შვილმა უთხრა: რადგანც შენ მოგრჩით, იმისი ადვილი არისო: ჰსცა ხმალი და თავი მოკვეთა: რა მისი საქმე გაათავა, ხელი და პირი დაიბანა, და ღმერთსა დიდი მადლობა შესწირა, რადგან შენ მწედ მყავხარ, ჩემთან არცა დევი გამოჩნდების, და არცა ნიანგი: მერმე ვეზირის შვილმა უბრძანა, აწ მოდი დრო არისო და ვეპამოთ რამეო, დიაღ სიმშილმა და სიმაშვრალემ ძალი გვიყო: მოვიდა ვეზირის შვილი, გამარჯვება მოულოცა, და-

სხდეს და პური ჭამეს, და იგი ღამე მუნ განისვენეს: და არცა მათსა გულსა რიდი ვისიმე იყო: ვეზირის შვილმა მალვით დევს ღვიძლი ამოართო: და მეორესა დღესა წავიდნენ, და მივიდნენ კიდევ მას მინდორსა, სადა დევისა სამძღვარი იყო: ვეზირის შვილმა იცოდა რომე იგი დევის შვილი იმ დღეს მათ შემოეყრებოდა: ხელმწიფის შვილს მოახსენა, აქ ჩამოვ-ხდეთ, კარგი მინდორი არის, და ცოტად შევისვენოთ, და მა-სუკან ვიბურთაოთ: დიდი ხანია არ გვიბურთავნია. არამც ხე-ლი უკუგვიდგეს, და საჭიროსა ალაგსა სირცხვილში არ ჩავს-ცვივდეთო; წითლის გველის შვილს თურმე გველი მოგებებია, და ასრე უთქვამს, ჯერ რას ეშურები ყმაწვილი არის, და მცილე არავინ გვყავსო. იციან რომე მისი მცველი ვარ, და სრულად მის სიახლოეს ვსდგავარო, და ვერცავინ ამას მეტყ-ვის თუ ვინა ხარო, არამც თუ ის ქალი ვისმე მისცენო. ამ ქართულზე დევის შვილი ჩქარად გამობრუნებულიყო, და ასეთ დროს იქით მინდორში გამოჩნდა რომ ამათ კიდეც შეესვენა, და ბურთაობდენ: ერთი ხელი რომ იბურთავეს, ვეზირის შვილ-მა მოახსენა ხელმწიფის შვილსა, აწ ვისროლოთო, დაიჯერა ხელმწიფის შვილმა, ჩოგანი გააგდო, და ერთი დიდი ლოდი აიტაცა ხელითა, და მიღმა მინდორთაკენ გააგდო: მოუდგიან აქეთ ესროდიან და შიგ ვააგდებდიან, და მიწათა შინა დაჰ-კარგევდიან: მერე იქით მოუდგიან, და აგრეევე ესროდიან: უვლიდიან გარე და ესროდიან: ამა ყველასა უყურა მან დე-ვისა შვილმა, და ასრე თქვა: ამა ქვასა ისარი როგორ გაუარ-სო: და ანუ ამისი აღება როგორ ვისმე შეუძლიან: ბევრჯელ ცდილა მამა ჩემი, და ვერც კი დაუძრავს არამც თუ აეღოს: ამათ მე ომით რას დავაკლებო თუ არ სიტყვით მოვალორებო: ამაზედ მოუგზავნა დევის შვილმა მოციქული, რომ ვინ ხარ, და ან რა საქმე გაქვს აქაო: ეს მინდორი ჩემი არის, და არ-ცა ვინ მცილებია, და ნურც თქვენ შემომცილებიხართო: რა მოისმინეს ეს მოციქულობა: ვეზირის შკილმა ეს უპასუხა, ვინ შემოგცილებია, და ან ვინ შემოგეცილებაო: ჩვენ მინდორი მოგვეწონა ამად რომ, დიდი ხანია ჩვენის ალაგით წამოსული

ვართ: და ამისთანას მინდორს არ შემოვყრივართ: აწე ამისი ნახვა გვიამაო, და ჩვენს სარბევს დავამსგავსეთ, მოგვაგონდა, და მოგვინდა ბურთაობა, და ცოტას ხანს ვიბურთავეთ, და ერთი ისარი ცუდი ქვასა ვკარითო, და სხვა არა დაგვიკლია-რა, და არა წაგვიხდენიარა, გავივლით და ჩვენს გზასა წავალთო: რა ეს პასუხი დევის შვილს მიუტანეს, ასე თქვა ცუდმაშვრალნი კაცნი არიანო, და არც ცუდს გზას მიდიანო: ვიცი ჩემი სიკვდილი ამათ ვერსიდ ასცდება, და ხვალ ვცადო ჩემი თავიო, ისევე სჯობსო გაქცევასაო: შეუთვალა რადგან აქ შევიყარენით, უომარნი ველარ გავიყრებითო: ამათ ასრე უპასუხეს, რადგან თქვენ გეპყრიანებათ დიალ მწვეთ თქენი ნება ვქნათო: მაგრამ ჩვენ თქვენთან არა საბრძოლე გვქონდაო, ომის დაშლა აღარ იქნა, და რა საომრათ შეიყარნეს ვეზირის შვილმა დევის ღვიძლი თვალებში გამოივლო: და ხელმწიფის შვილს არ გაუცხადა, ამათ რომე ომში დიდსა ვერას მოეხმარებოდა თუ არ სიტყვითა: იგი მისთვის ქნა რო უნდოდა სამსახური ამით დაენახვებინა: შეიბნეს დევის შვილი, და ხელმწიფის შვილი, და ერთი ხელი იბრძოლეს; დევს აგეთი არა ძალი ჰქონდა, მაგრა გამოსცადა, ამაზედა დაუძახა ვეზირის შვილმა არ-არის, დრო გვიანობისაო გამარჯვებულოო: ამა ქართულსა ზედა ხელმწიფის შვილმა ცხენი გაიგდო, და დევსა ნავარდი შემოუვლო: მიუხდა გულმესისხლედ, გაჰკრა ლახტი, და ტვინითა გასვარა: და დევი ცხენიდამა გარდავარდა და მისი დღენი აღსრულდა: მაგრა უწინვე თურმე სიბალი ექნა, და დაუშო მდულარე წვიმა: და დაეცა ხელმწიფის შვილსი თვალთა ზედა, და ორივე თვალები დაუდგა: და აგრედვე თეთრი ცხენიც დაბრმავდა: დაიძახა ხელმწიფის შვილმა, ვაი ჩემსა ცუდსა სასჯელსა, რომ სინითლესა ველარ ვხედავო: მაშინ ვეზირის შვილმა მოახსენა, ნუ გეშინიან ხელმწიფეო, დევის ღვიძლი აქა მაქვსო: ამოიღო მაშინვე, მისი სისხლი თვალთა აწვეთა ხელმწიფის შვილსა, და ცხენსაცა: და მაშინვე აეხილეს, შესხდეს და წამოვიდნენ: რა შეიგნეს მათ დევთა რომე მათსა პატრონსა გრძნე-

ბა აღარას მოჰხმარებოდა, ერთპირად შეუტივეს მათ, და შეიქნა სისტიკი, ომი და დევთა ყვირილი ცამდის გაეწეოდა, და შუალამემდის ომი აღარ გარდასწყდა, ასე დახოცეს რომე ერთი დევიც ველარ წაუვიდად თორმეტის ათასისაგან: ხელმწიფის შვილსა მათზე ხმალი არ უხმარია, ისრითა მჯიღითა და ლახტითა სწორეთ ჰხოცა: და ზოგნი მათრახით ჩამოყარის: თორმეტი ათასი დევისაგან, ასი ვეზირის შვილმა მოკლა, და სხვა სრულათ ხელმწიფის შვილმა დახოცნა: და დიად მისჭირდათ, და ულონოდ შეიქნეს: ნაომარსა ზედა გარდაჰხდეს და ორი დღე მუნ შეისვენეს:

აქა ხელმწიფის შვილისაგან დევის შვილის მოკვლა, და თორმეტი ათასის დევის დახოცა და გამარჯვება:

რა ბორჯალი გარდავიდა, აღარც დევი, და აღარც მისი შვილი ქალაქში აღარ მივიდა, შეექნათ მის მოქალაქეთა დიდი სიხარული, და ახარებდეს ერთმანერთსა, რომე უთუოთ გამოგვიჩინა ყოველთა ქვეყანათა მოწყალემა და მობრალემა ღმერთმან კაცი აგეთი რომე გვიხსნა მის საძაგელის სიმყრილისაგანო: გამოვიდნენ ყოველივე მალულთაგან: და აღშენდა იგი ქალაქი კაცთაგან, და სამოთხის მსგავსათ დაშვენდა: ორივ დღე იქივ დაეყოთ, და მესამესა დღესა მუნით წავიდეს: იარეს კვირა ერთი, და მიეწივნეს ალაგსა უცხოსა: შეხედნეს და სამნი საშინელნი და საოცარნი გველნი დაინახეს, რომე მათთავე თმათაგან დაფარულნი იყვნეს; გადგიან წითელი და შავნი გველი ილაპარაკიან, და მერნე შეიჭიდიან: რა გველთაგან ამისთანა საქციელი ნახეს, დიდი ხანი უჭვრიტეს და გაჰკვირდენ, და ამას ზედან უბრძანა ხელმწიფის შვილმა ვეზირის შვილს, რა უნდა იყოსო ამათი ბრძოლაო; ასე მოახსენა იგინი თქვენსა თავზე იბრძვიანო: წითელი გველი ამბობს, რომ გამოივლის ამ გზაზედა დიდსა და მაღლის დიფნის ქალაქისა ფირმალისს ხელმწიფისა შვილი, და ერთსა ლუკმათ

ძლივ მეყოფაო: შავი გველი ამას ეუბნების, ჩემი ჯაგარი ცასა სწვდებოდა, და მისის მოლოდინით ასრე დამაცვდა, რომე ზურგთაცა ალარ მფარავსო, შენ დაგანებებ იმასაო: დღის საკალს მოვა, მაშინვე ვსცნობ და ჩემსა მუცელსა მით გავახარებო: მესამე ამას ამბობს, ვინც მე თქვენთაგან დამიხსნის, იმას უშველიო: გაუცინა ხელმწიფის შვილმა და უბძანა, ჩვენ ვეცადოთ რო დავიხსნათ მათგან თეთრი იგი გველიო, ნუ თუ რა იცოდეს საქმე ჩვენისა გზისა და მოგვეხმაროსო: ვეზირის შვილმა მოახსენა, აბა გველსა ამაზედა ემტერებიან ორივე რომე აქ ტბა არის, და იმაში ორნი ქალნი მოვლენ საბანებლად, და ეტლნი აცვიათ ჩასხდებიან, და საღამომდის შიგ ბანობენ და ის გველიც მათთან იბანებს: საღამოს ისევ წავლენო, და ამა ორთა გველთა ასრე უნდათ, ჯერ შენი საქმე გარდასწყვიტონ, შენის გულისათვის ან ერთი მოკვდეს, ან მეორე: და რა შენსა საქმესა გაათავებენ, რომელიც დარჩების, მერმე იმას მოჰკლავს, და იმ ქალთან თვითან შეექცევაო: ეს სიტყვა რომ გაათავეს, ამოიძრო ბოძალი ხელმწიფი შვილმა, წადგა წინა და იგინი რომ შეიჭიდნენ, ჰკრა ორთავე ერთად შეყრილნა, და ორნი შუა გასწყვიტა: რა იგინი დახოცილნი ნახა, მოვიდა თეთრი გველი და მადლი მოახსენა, რომე მე ამათგან დამიხსენო, ამისი სამუქაფო მე სხვა არა შეძიძლია რა, ამისგან კიდე რომე იქ ორნი საშინელნი კლდე არიან, და ისინი ერთმანერთს ეცემიან, და ფქვენ მის მეტი გზა არა გაქვთ გასავლელი, და იმას მე გაგარონინებო: ვეზირის შვილმა მოახსენა ხელმწიფის შვილსა, რომე: თუ ჩემი ბატონ-ყმობა გინდაო: ან შენ მიშოვე, და ან ამალამ აქ დავდგებიო, რომ თავად ვეცადოო: ხელმწიფის შვილმა ასე უბრძანა, ეხლა ამ გველს ნუ გავაავებთო, მერმე რომ ეგრეც იყოს თან ხომ ვერ იდევნებ, და ამ მინდორში რომ დააგდო რა იქნებაო: ამაზედ ვეზირის შვილმა ალარა სთქვა რა და წავიდნენ: და გაჰყვა გველი კლდემდინ: და ერთს კლდეში თავი ჩაყო, და მეორეში ბოლო დააყენა და გაიარეს იგი კლდეცა უზიანოდ: გავლეს და მივიდეს ზღვის პირსა და იგონებდა

შეჭირვებით ვეზირის შვილი, თუ ვაი შევა ხელმწიფის შვილი ზღვაში, და თეთრი თევზი ჩანთქამს, და შევალ მე უწინ და დავიღუპები სულიან ხორციანად; დიდი ხანი იფიქრა, მერე ხელმწიფის შვილმა უბძანა, რას ფიქრობ: მან მოახსენა, მე ამას ვფიქრობ, რომე ერთი რამ საქმე ვიცი, რომ უიმისოდ ჩვენ ამ ზღვას ვერ გავალთო: მაკრამ მოხსენება ვერ გამიბედავს წყენისაგან ვიშიშვი: უბრძანი აგეთი რა იქნების, რომე მე შენგნით მეწყინოსო: ცოტა მოვტეხოთ ბეჭედის თვალსა, და ზღვაში ჩააგდეთო: ხელმწიფის შვილმა ბძანა, დასტურ ძნელი გამოსამეტებელია და მით ჰყოვნდები თქმასა, მაგრა არ ჩემის დაჭირვებისათვის მინდა ყველაკაო: მოსტეხა მანვე და გარდააგდო რა ბეჭედის ნატეხი, ფიცხლავ ზღვა ისე გაიარა, ვითა ხიდი გაედვათ, და თეთრი თევზიც მოკვდა; გაიარეს ზღვა, და ერთსა შვენიერსა მინდორსა მივიდეს, რომე თვალი მისს უშვენიერესს ვერას ნახვიდა: სუნი იდგა სუნნელი, და შუა გულსა მინდორსა ერთი თურინჯი იდგა ტურფა და ამო სანახავი: ჩამოჰხდენ მის ძირსა, და ცხენებს დაჰხადეს და ბალახზედ მიუშვეს: ბძანა ხელმწიფის შვილმა, ტანთ გავიხადოთ, შევისვენოთ, და ჯაჭვი მზეს მივფინოთო: ვეზირის შვილმა მოახსენა ჯერ აგრე დრო ნუ დაგიმშვიდებია რომ ფარაღათი ჰქნაო: ბრძანე ამის მეტი აღარ შემიძლიან რაც უნდა დამემართოსო: არ დაიშალა და ტანთ გაიხადა, ჯაჭვი და ტანთ საცმელი მზეს მიუფინა, და ტანი ოფლით შესვრილი დაიბანა და პერანგით დაჯდა მწვანეზედ მიწვა და ცოტა დაიძინა, გამოიღვიძა, და ორი თურინჯი მოსწყვიტა, ერთი თვითონ შეჭამა და ერთი ვეზირის შვილს მისცა: იგი მინდორი და თურინჯი თურმე ვეშაპისა იყო პირცეცხლიანისა, და შეეტყო მოწვყეტა მისი, და წამოვიდა: აღმოხდა ღრუბელი ზღვისაგან რომე ასე დაბნელდა მეტი აღარ იქნებოდა: სცნა ვეზირის შვილმა რომე ვეშაპი იყო: დაჰკაზმა ზაშინვე ცხენები, ხელმწიფის შვილს მოახსენა, ისევ ყმაწვილურმა ჭკუამ მოგიარაო, დევ ვეშაპთა ალაგას ფარაღათად მოსვენება მოინდომე, იგი ვეშაპი პირცეცხლიანია, მას ან შეკაზმული რო-

გორ შეებმიო, უბძანა სად არის ვეშაპი, და ანუ დევიო: მას
თურმე შეშინებოდა, და მოახსენა თქვენ თუ არ შეშინდებით
აწ გაგიჩნდებათო, ის ღრუბელი ვეშაპი არისო: რა ხელმწი-
ფის შვილმა შეხედა რომ სანახავად საზარო იყო თით-
ქოს ზღვა არისო მღელვარედ და გუბად დგასო: შეუშინ-
და გული, მაგრამ პირად ვერა გაამჟღავნა რა, და ბრძანა ვაი
ჩემო შავჩიტო, რა მწვედ ცუდი იყავ ახლა ჩემის დაჭირვე-
ბისაო: ამაზედ აჩქარდა და ტანს ცმა დაიწყო: ვეზირის შილს
გვერდს უდგა, და იცოდა რომ შავჩიტი მიეშველებოდა, და
თვალი იქითა ჰქონდა: ხელმწიფის შვილმა რომ ჯაჭვი ჩაი-
ცვა, შავჩიტი ზღვის პირს მოვიდა, ვეზირის შვილმა დაინახა,
მოახსენა უსწრაფე ხელსა ვინც მინდოდა იგიც მოვიდაო, რა
შავჩიტის მოსვლა შეიტყო, ისე იამა ხელმწიფის შვილსა, და
გაეხარდა ვითა სანადიმოდ მიმავალიყო: სანამდის იგი ხმალსა
შემოირტყამდა, შავჩიტი ზღვას გამოვიდა, და ვეშაპიც მოვიდა
გაშმაგებული და მოჰყრის პირიდამ ცეცხლსა ასეთსა, რომე
თითქო დიდი სახმილი ვინმე აანთოო: აქედამ დაფრთხვინვის
შავჩიტმა, და ვეშაპმა მოუშვის წვიმა, და დააბნელის; სანამ-
დის ახლო მოვიდოდა შეიგნო რომ ცეცხლით ვერა დააკლო-
რა, აღემართა ვეშაპი რომე უნდოდა ცხენიან კაციანად დაგნ-
თქა: დაუძახა ვეზირის შვილმა არის დრო ერთი, ისარი გაუ-
შვიო, მოვიდა ზედან ვეშაპი, და ხელმწიფის შვილმან ბოძა-
ლი ესროლა, და დაღრენილს პირსა ჰკრა: პირი ველარ მოი-
ხმარა: წამოჰკრა ჭანგი გარდიბრუნა და ყელზედ დააჭირა
ასრე რომე სული ღარმე ამოჰხადა, იქიდამე შავჩიტი მოუხდა
ვეშაპსა, და ტოტი წელთა დასცა, და კბილით კისერს დაე-
ჭიდა, ასწივა და ვეშაპმა ხელმწიფის შვილს პირში ლოშ-
ქრი ჩააყარა, და მოწევაში ყელი სრულა გამოსჭრა და
ამოგლიჯა, და გარდაიქნივა, ქვევით ვეშაპი, და იქით შავ-
ჩიტი, იბრძოლეს დიდი ხანი ასრე რომე მათის ომისა დამ-
ხვედრსა შიშით ძვალი და ძარღვი გაეყრებოდა: აემართებო-
დის შავჩიტი, აიტანდის, თანა დასცის და დაეხეთქის, მანამდის
ამ წესითა იბრძოლეს, სანამდის ვეშაპსა შუა გასწყვეტდა:

აქა ხელმწიფის შვილისაგან გეშაპის სიკვდილი:

რა ვეშაპისაგან მოიცალა შავჩიტმა, ხელმწიფის შვილთან მივიდა და იქიდამ ვეზირის შვილი მოვიდა: ნახეს ხელმწიფის შვილი რომ აღარა სიცოცხლე ჰქონდა: რა მისი აგრე გასვლა მოინახა, დაჯდა ვეზირის შვილი და თავში ცემა დაიწყო, და ასრე მწარედ და საწყლად მოსთქვამდა, მინდორ-კლდე და ტყე დუღდეს, და ზღვით ნიანგიცა გიმოვიდეს და მას უყურებდეს და იგინიც ტიროდეს, ამად რომე მისი სიცოცხლისა იმედი აღარავის ჰქონდა: შავჩიტმა თქვა არიქნა მოვიდა ჩემი სიკვდილის დრო, ცხვირის ძარღვი გამიხსენ, და იმისი სისხლი ჩაუშვი ცხვირში ხელმწიფის შვილი მორჩების: მე თუ არ დავიცალე სისხლისაგან კარგი იქნება, და თუ დავიცალე ჩემი სიკვდილი მირჩევნია ხელმწიფის შვილის სიკვდილსა: და ჩემის ასდენის ჭირნახულის გაცუდებასა: გაუხსნა ვეზირის შვილმა ცხვირის წვერი, და სისხლი იდინა, და ხელმწიფის შვილს პირში ჩაასხა: რა სისხლი დალივა, თვალნი აახილნა, მიიხედა და მოიხედა თავი შეეგბრალდა ატირდა, და ასე თქვა ვაი ჩემო თავო რა უალაგოს ალაგსა ჰკვდები რომ შენის დედისა და მამის ნაცვლად ერთი ყმაწვილი გიდგს: დიდის სახელმწიფოსა და ჯარის სანაცვლოდ ორი ცხენი გყავსო; ვეზირის შვილმან რა მისი ხმა გაიგონა, ღმერთსა დიდი მადლი შესწირა და მოახსენა, რად აგრე გაგიტყდა რკალისაგან უმაგრე გული, ნუ შეიჭირვებ კარგათ იქნება შენმა მზემაო: ხელმწიფის შვილმა უბრძანა: ღორის ნაღველი როდისღა უკედ დამეჭირება, თუ რამ რგება შეუძლიაო: თუ არა-და მადლი ღმერთსა ბძანება მისი გათავდესო: მოიღო ფიცხლივ ვეზირის შვილმან იგი ნაღველი, და ყელი რომ გამოგლეჯილი ჰქონდა იმაზედ დაასხა და შეუხვია: ამდენად უკეთ შეიქნა, რომე წამოჯდა, და ვეზირის შვილსა ჰკითხა, შავჩიტი რათ გორავსო: მან მოახსენა ავად არისო: ასე ბრძანა მოწყალეო ღმერთო, თუ ის მამიკვდეს ნურც მე მაცოცხლებო: ხელმწიფის შვილს

დაკოდილიც გაუმთელდა რომ აღარას აღონებდა, გუნება შეუსუბუქდა, და შავჩიტი სისხლისაგან იცლებოდა, და ვეშაპისაგან დაშხამული იყო, და ველარ წამოდგა, და აღარც ხვიხვინი შეეძლო, სიკვდილს მიეახლა: რა მისი აგრე გახდომა ნახა ხელმწიფის შვილმა, ვეზირის შვილს უბრძანა, ეცადე შავჩიტთან მიმიყვანოო: ასწივა, მხარს-ქვეშ შეუჯდა, და რითაც ღონით იყო მიიყვანა: რა შავჩიტთან მივიდა გულს შემოეყარა, და სანამდის შესუსტებული იდვა: მერმე სულად მოვიდა, და უბრძანა შავჩიტსა, რა გარგებს მითხარ, თორემ თუ შენს სიკვდილს დავიდასტურებ, უცილოდ თავს მოვიკლაო: და უშენოთ სიცოცხლე აღარც მე მინდა, და არც უშენოთ მე ვარგივარო: ათასჯერ შენგან მკვდარი გავცოცხლებულვარო: შავჩიტმან მოახსენა, რა ვქნა სათქმელათ მეზარება ამაზედ რომე თეთრსა ცხენსა თქვენზედ და მამათქვენზედ ჩემგან უფროსი ჭირნახული უნახავს: ჩემის პირით როგორა ვთქვა ღმერთი რას კარგს მიზამს თორემ მე თეთრის ცხენის ღვიძლის მეტი არა ძარგებს-რაო: ამაზედ დაღონდა ხელმწიფის შვილი, ამად რომე იგი თეთრი ცხენი დიდად ნამსახური და ვალდებული იყო: მაგრა მის მეტი აღარა იქნებოდა, ამიტომ რომ შავჩიტი უფრო მებრძოლი და მოსახმარისი ცხენი იყო და ახალი: ამაზედ ღონობდა და შეჭმუნვიდა ხელმწიფის შვილი. შავჩიტის აგრე გახდომისათვის: და ვერც თეთრი ცხენი გამოემეტებინა: ვეზირი შვილმან ასრე მოახსენა, დალოცვილო რაღას ყოყმანდები, ეს მოკვდება და მას უკან რაღას უშველის: ხედავ როგორ გაიბერა და გასივდა რომე დიდსა მთასა ჰგავს, და მერმე სისხლისაგან დაიცალა, ვერ გამოგიმეტებია, მაგრამ შენიც რისხვა მაქვს თუ იმან სამი დღე კიდევ იარონს. ამდენი რომ გასძლო, ისიც საკვირველი არის. განა ცოტა ხნის არის, მამის თქვენის ვაჟკაცობისა დროსა არის, მას ბევრი საჯელი აღარ შეუძლია, თვარა ბატონი ხარო: ხელმწიფის შვილმა ასე უბრძანა, ჩემის პირს იმის სიკდილი როგორ ვათქმევინოო; ამაზედა ვეზირის შვილი გაჯავრდა, და აღარც ჰკითხა, მივიდა და თეთრი ცხენი დაკლა, ღვიძლი ამოართო, მოიტანა

თბილი, და შავჩიტსა ცხვირსა ამოსდო: გამოვიდა ხანი და შავ-
ჩიტმა დაიხვივლა, სისხლი დასწყდა, მაგრამ სიმსივნე არ დაუ-
ცხრა: მერმე მოახსენა ხელმწიფის შვილსა ვეზირის შვილმა:
აგრე ხშირად რომ გულს გეყრების, იმ ბილწის შხამი კიდევა
გაქვსო სტომაქში: თქვენი ბეჭედი გალესე და დალიეთ ამოი-
ღო და ფიცხლავ გაალესინა, და დალივა: ვეზირის შვი-
ლმან მოახსენა ცოტა შავჩიტსაც ვასოთ თუ გეთმობოდესო.
უთხრა აგრე ვქნათო, გალესა და დაალევინა: ხელმწიფის შვილს
მაშინვე პირსღება დააწყებინა, და შავჩიტსაცა: თხუთმეტი გვე-
ლი ხელმწიფის შვილმა წამოყარა, და თორმეტი შავჩიტმა,
დაიცალნეს შხამისაგან, მაგრა ასრე დასუსტდენ რომე შეძვრის
ღონე აღარა ჰქონდათ, და იქვე დადგეს, და ხუთი დღე მუნ
დაყვეს, კარგად შეიქნა, და უბრძანა ხელმწიფის შვილმა შავ-
ჩიტსა, აწ ბერის მამის ჩემისა და საბრალოს დედის ჩემისა
და ჩემთა სახელმწიფოთა ამბავი მიამბე, თუ რა ქნეს ჩემსა
წამოსვლასა ზედა; მან მოახსენა სანამდის თვე გათავდებოდა
ეგონათ ნადირობას არისო, და მხიარულად იყვნენ, და არცა
ხელმწიფემან ახალმოწიფულნი დიდებულთა შვილნი მოიკითხ-
ნა, ამად რომე ჩემსა შვილსა იახლებიანო, მაგრამ ამაზედ დე-
დოფალი სრულად ტიროდა, და მეფეც შიშობდა: არამც სჭირ-
დეს რამე თვარამ აქამდის მისსა ამბავსა როგორ არ შეგვა-
ტყობინებდა, გამოგზავნიან კაცი ამბისა შესატყობლად, მაგ-
რამ მაგას ვინ უთხრობდა ხელმწიფესა და ან კაცსა როგორ
უჩვენებდენ: რა თვე გათავდა და თქვენმა ბორჯალმა გაიარა,
შეიქნა საშინელი გრგვინვა შენსა სახლსა და სახელმწიფოსა
შიგან, რომე რისხვა ღმერთთან ეწეოდა: მე ვითა ვსთქვა მაშინ-
დელი ყოფა, და ანუ ვით მოვიგონო დედოფლისა სისაწყლე,
და ანუ მოთქმანი: თვარა ხელმწიფე მაშინვე შეიცვალა მეტი-
სა ტირილითა, და ორთავე თვალნი დაუდგეს, ჩემობასვე: და
რა მე წამოველ თუ მათ სცნეს მგონია ორნივ დაიხოცნენ,
ამად რომე, არამთუ შენის დაჭირებისათვის მე არსად წავიდო-
დი, შენთა სახელმწიფოთა, და ციხე ქალაქთა რალა ვსთქვა
ამისმეტი რომე, ციხენი და ქალაქნი ასრე შავითა მოსილნი

არიან, რომ, ხეთაცა ძაძა აცვია, ველარც ნახავს კაცი დიფნის ქალაქში კაცსა წვერიანსა, და ვერცა ქალსალა თმიანსა: ვერცა ცხენსა ძუა ფაფარიანსა, და ვერცა წალმა შეკმაზულსა: რა მათი საბრალოება უკლებათ მოახსენა, ხელმწიფის შვილს გული დაეწო, დედმამა შეებრალა, და ტირილი დაიწყო: ვეზირი შვილმა ჰკითხა, მამა ჩემა იცოდა ჩემი აქეთ წამოსვლაო: შავჩიტმა მოახსენა იცოდაო, და მოვიდოდაო, მაგრამ, დაკარგვისათვის ქნეს ამისთანა საქმე, თორემ ეგ იცოდეს რომ ცოცხალი არისო: მერე ხელმწიფის შვილმა უბძანა, შენ როგორ წამოხველო, და ან როგორ შეიტყეო აწ ისიც მიამბეო: მოახსენა გაზაფხული რომ მოვიდა ჯერ თქვენი არა ეცნათრა, ხელმწიფემ ბალახზედ დამაბმევინაო, ორი ბორკილი შემიყარეს, და ათის ლიტრის ორწვერის ჯაჭვით დამაბეს: ორმოცის ლიტრისა ეყო ჯაჭვი და ბორკილი მისის იარაღითა: რა მინდორში მოხვედით წვრილად რომ ცეცხლი აანთოს ვინმე, ისრე გული ამენთო, და გამიხარდა: ცოტა ხანი რომ გამოვიდა, ასე გული გამიხურდა რომე მეტის სიმწოვით ველარა შევიტყევ-რა: ასრე გავშმაგდი რომ ერთის აზიდვით ჯაჭვი ავსწყვიტე, მანამდის კბილი და ჩემი ძალი ვაცადე რომ ბორკილებიც დავამტვრიე: და ჯაჭვიც დავსწყვიტე, და წამოველ. ეს არ ვიცი თუ როგორ ვიარებოდი: და რასაც დროს მოველ თქვენ იცითო: მაგრამ ძლივ მოგესწარო: ამაზედა იცინა ხელმწიფის შვილმა, ავფერად არ გახდებოდა შენი მაყურებელიო:

აქა ხელმწიფის შვილისაგან მისთვის გულთა უამესის ქალის ნახვა და გგელის სიგვდილი:

მას დღეს იქივ იყვნენ, და რა გათენდა დილა წავიდნენ. იარეს ერთსა კვირასა, და მივიდნენ ერთსა ქალაქსა შინა, სალამოსა ჟამსა შევიდნენ, იგრძნა რამე ვეზირის შვილმა, და ცხენები თვითცა და პატრონი მისი დაქვეითდეს: და ხელმწიფის შვილი მხარს შეისო: და სადა ქალი იგი იწვა მას ცი-

ხესა შინა აიყვანა, ციხე სრულად მარმარილოსი იყო: და შუაზედ ერთი ამარტის კოშკში იდგა; კოშზედ ოთხი ჩარდახი იყო გარდაკიდებით: აღმოსავლეთით ზურმუხტისა, და დასავლეთით ფირუზისა, ჩრდილოეთით ოქროსი, და სამხრეთით ვეცხლისა: შუაზედ დიდი ჩარდახი იყო: ამის შუაგულსა ოქროს აუზი იყო, ვარდის წყლით სავსე: აუზის პირს ტახტი იდგა: მას ზედან სრულად ობლის მარგალიტით შეკაზული დოშაქი, და სასთაული საბანი ეგო: მას შიგან ქალი იწვა, თვით სახე უსინჯა, მაგრა შიშითა ქარვის ფერად გასული, თმანი შავნი და ელვარენი: სისქითა დოშაქსა ჰფარავდა: სიგრძითა ტახტსა. ქვემოთ სამი ადლი დაკეცილი იყო, და თავით და ფერხით ყირმიზის იაგუნდის კელაპტარი ენთო: იქით და აქეთ ფირუზის, ოთხგნითვე ზურმუხტის მაშრაფით შაქრის შარბათი ედგა იქით და აქეთ მომარგალიტულის ლიტრით იის შარბათი ედგა: მისი დამლეველი საძაგელი გველი სასთაულზედან უწვა: დადგეს დიდი ხანი და უყურეს: მერმე ხელმწიფის შვილმა ვეზირის შვილს უბძანა, შეხედე თუ რაფერად გამხდარაო: ამაზედ ქალი იგი განჰკრთა აიხედა და დაიძახა იგინი რომ დაინახა, ვაიმე თქვენ აქ ვინ მოგასხათო, ეს გველი თქვენც დაგხოცს, და მეც მომკლავსო: ხელმწიფის შვილმა უბრძანა, რახან აქ მოველ შენ ნულარ გეშინიან, და მაგისი ადვილი არისო ამ ხმაზედ გველმა გაიღვიძა და დაიწივლა, და გაიკლაკნა: ახლტა და ხელმწიფის შვილს ყელს შემოეხვია, ასრე მაგრა რომ ხმა ველარ ამოიღო, და ველარც თავი გაიძრა: წამოდგა ვეზირის შვილი, და ლახტი ამოართო, დაუქნია და ლახტის ფრთა მოახვედრა, გველსა ემწოვა და გაიშხოვალა, და ფიცხლადვე ალაგზედ დაეცა: ხელმწიფის შვილმა ხმალი ამოიღო, და იქით ვეზირის შვილი მოუხდა და ლახტი დაჰკრა, მოკლეს გველი იგი, და გარდმოაგდეს ციდამე: იგი ისრევ ვეზირის შვილმა ჩამოიყვანა, ქალი ტახტიდამ ჩამოიჭრა, თა ხან ხელმწიფის შვილს მოეხვია მუხლთა, და ხან ვეზირის შვილსა, მას ღამეს ქალს სიხარულით ძილი აღარ მოუვიდა: და ხელმწიფის შვილი გასივდა და ავად გახდა

ისრე რომე ვეშაპის სიკვდილზედ არ გარჯილიყო, მართლა მოკვდა, ვეზირის შვილმა მრავალი იტირა, მერმე თქვა, ერთხელ კიდევ ჩემს ქკუასა ვცდიო, და მის ბეჭედსაცაო: თუ არა დიდება მაღალთა შინა ღმერთსა, მეც ამასთან მოვკვდებიო: და იმისი საქონელიც ამასთან წახდესო, წაჰხადა ბეჭედი, და მანამდის ლესა რომ განახევრდა: მერმე ასე თქვა, აწ რომ ღ`ერთმან შემიბრალოს, და მორჩეს, ვიცი რომ მწვედ მიწყენსო, და თუ ღმერთს ამისი მორჩენა უნდა, ეს ბეჭედი სამის თაობისა არის, და ამდენი სრულ არ მოჰკლებია: ბეჭედი ისრევ ნეკზედ შეაცვა, და ნალესი წყნარად პირში ჩაუშვა: პირველად ძნელად ჩანთქა, და მეორედ ადვილად ჩაყლაპა, და მესამედ სრულად დალივა, ცოტა ხანი რომ გამოვიდა წამოუშვა პირიდამე გველი, სანამდინ სრულ გველი ყარა, და ოც და ხუთი ცოცხალი წარმოაგდო, რა მისგან დაიცალა ცოტად მობრუნდა, თვალზედ ხელი უკუ ივლო, და ბრძანა ღვთის მადლმა ხშირი მძინებიაო: რა მისი ხმა გაიგონა წამოიჭრა ვეზირის შვილი, და ღმერთსა მადლი მისცა, ასეთი რა სამსახური მიუძღვის ამის დედმამას შენსწინა რომე ამდენს შეჭირვებას ეს მოარჩინე, ხელსა და ფეხსა აკოცა, და ასრე მოახსენა, ოღონ გემრიალი არა გძინებიაო: შეხედა ვეზირის შვილს, შვიდს ალაგს თავი გატეხილი ჰქონდა, და პირისახე სრულად დაეხივა, ტანი წითლად შეეღება: გაუკვირდა და ასრე უბრძანა, რა შიგან ვყოფილვარ, და ან შენ რა წაგკიდებიაო, მან ყოველი მოახსენა მისი საქმე: და ხელმწიფის შვილმა დიდი რამე მადლი უბრძანა, შენის წყალობით მიდგას სულიო, თვარა მე რა დამარჩენდაო, იყვნეს მას ალაგს ერთ თვეს, მოიჯობინა ხელმწიფის შვილმა, სანამდის ხელმწიფის შვილი იწვა გამოვიდის ვეზირის შვილი და იმ ქალის კოშკს გასინჯევდის: რა ერთი კვირა გამოვიდა, და ალმოსავლეთით რომე ზურმუხტის ჩარდახი იყო, ის ჩრდილოეთისკენ მიბრუნებულიყო: მეორე კვირა რომ გამოვიდა დასავლეთისაკენ იყო: მესამე რომ გამოვიდა სამხრეთით მიქცეულიყო: რა თვე გათავდა, და ხელმწიფის შვილი კარგათ შეიქნა,

ნახეს აგრვე აღმოსავლეთით იყო: ვეზირის შვილმა მოახსენა უცხო სანახავები დიფნისი ქალაქით გამოსულა, მაგრა დღეთა შინა ჩემთა ამის უსაკვირველესი არა მინახავსო, რომ ერთი უცხო ამ ქალაქში ვნახეო: უბრძანა რა ნახეო: მოახსენა ამ ჩარდახს თითოს მხრისაკენ ექნება პირიო: გაუკვირდა ხელმწიფის შვილსა, და არ დაიჯერა, ასე უბრძანა შენსა სიკეთესა სიბრძნესა მაგისთანა ტყუილი რად შეეფერებაო რომ სახლი ბრუნავსო: მან ფიცით მოახსენა როგორც ენახა და ესეც ვითარი საკვირველია ხელმწიფეო, ეს არის რომ კაცი ნახვაზედ გაჰკვირების თვარამ, არც აგრე საკვირველია, დიდი ხელმწიფე არის, და მრავალი საქმე შეუძლია: ტილისმა უქნევინებია აგეთი რომ იმითი აბრუნებენო: ცოტა რამ ამით უკუ იყარეს და შეექცნენ: მერმე გაიხადა ფლურის კაბა რომ ეცვა, და ვეზირის შვილს მისცა: ასრე უბრძანა ჩადი ბაზარში, და რაც მამისჩემის სახლში ჩასაცმელი, და შავჩიტის იარაღი გენახოს ის იყიდე. შენთვის ან მეც რა მეკადრებოდეს ის იყიდე, და მომიტანე, ხუთი ათასი ფლური გამოიღო, და გაგზავნა: წავიდა ვეზირის შვილი, და ყოველი სახელმწიფო ტანისამოსი თვალითა და მარგალიტითა შეკმკობილი და შეზავებული, და აგრევე ცხენის იარაღი მისი შესაფერი მოიტანა: შესხდენ ცხენსა და აბანოში წავიდნენ: მეაბანოეს ხელმწიფის შვილმა ასი ფლური უბოძა: რა მისის სახელმწიფოდან წამოსულიყო არც თავი მოეპარსა და არც წვერი: რა თავი და წვერი მოიპარსა იბანა და მოიკაზმა ხემწიფურად, მისი უშვენიერესი კაცის თვალით აღარა ინახოდა-რა, მისი მნახავი იმას იტყოდა, მზე ქვეყნად ჩამოსულაო:

აქა ხელმწიფის შვილისაგან კისკასად ბურთობა, და ინდისტნის ხელმწიფისაგან და ხელმწიფის შვილისაგან დესპანის შეთვლილობა:

რა გამოვიდა, და ცხენს შეჯდა, ასეთი ზრიალა და მოდენა შეიქნა ქალაქში საყურებლად, რომე კაცი გაჰკვირდებოდა: კაცი და დედაკაცი ერთმანეთს არ მოიცდიდეს რომელი რომელსა უსწრობდა, და ყოველი სული მისის სიტურფისა-

თვის გაჰკვირდებოდა: რა მეიდანზედ მოვიდნენ ბურთაობა მოინდომეს: და ერთი ხელი იბურთავეს, ასე რომე ყოველი კაცი გაჰკვირდა, თვითან ხელმწიფემ ჩარდახიდამ უყურა, და მეტის გაოცებით აღარა ბძანა-რა, ბურთაობა გაათავეს ჩამოხდენ, და მოედანზედ დადგნენ, და გამოვიდა ხელმწიფე მისის ფიქრისაგან მოიცალა, და ვეზირი და სახლთ უხუცესი მოაყვანინა და უბრძანა, ნახეთ ვინმე უცხოო, მათ მოახსენეს არავინ გვინახავსო: უბრძანა და დაანახვა, ის ორნი კაცნი ჩემის ჯარისა არ არიანო, და არცა დღეთა შინა ჩემთა მისი მსგავსი მე არა მინახავს რაო: თავათ თვით ასრე მშვენიერი არის, მერმე ასრე იბურთავეს რომ მობურთალთა უნახავად გავხეო, ასრე გავშტერდი რომ ხმა ველარ იმოვიღე; აწ წადით და შეიგვენით ნახეთ ვინ არიან, ესეც მოახსენე თუ დღესმდე მე კაცს არ გაულახვივარო, აწე თქვენ რად შეუპოვრად მოხველით არც თქვენი საქმე მაცნობეთ ვინა ხართო, და არც ესე თუ რას საქმეზედ ხართ მოსულიო: რა ხელმწიფის შვილმა ვეზირი და სახლთუხუცესი მისული დაინახა, ქვეჯდა და ზეწამოდგა და წინ მოეგება, და ერთმანერთს უსალამეს: მათ სცნეს რომ დიდი ვინმე იყო, მივიდნენ და ხელს აკოცეს, და მან პირს აკოცა, დასხდეს და ხელმწიფის შვილმა მოიკითხა, და მადლი მოახსენეს, მაგრა ასე გაჰკვირდენ მის შვენებასა და სიკეთესა, რომ დიდხანს ვერც თვალი მოაშორეს, და ვერც სიტყვა შემართეს, მერმე გამოხდა ხანი და მოახსენეს ხელმწიფის შეთვლილობა, მან მოისმინა და ხელმწიფლურად პასუხი გასცა, ტკბილი სიტყვა უბრძანა: რაც ჭირი გარდახედოდა გზასა შიგან და ანუ ვით ციხესა ასულიყო, და ან მწარისა შიშისაგან იგი ეუბრო ქალი ეხსნა: ან რა ხანი მას ქალაქსა შიგან დაეყო და სიცოცხლისაგან უიმედო ყოფილიყო, უკლებლად უბრძანა: და ესეც შეუთვალა, ნუ ჰგონიათ ეს სიბრიყვითა მექნას, და ანუ შეუპოვრობითა: არა ღმერთმან იცის, მაგრამ დიაღ ლხინისა და შექცევის მოყვარული ვიყავო: მრავალი დღენი ბურთაობითა ასპარეზობით დამილევია: აწე ამდენი ხანია რომ ბრძოლისა და შეჭირვების

მეტი არა მიქნიარა, და ძლივ გავწმინდე თქვენი ქვეყანა ბილწთა მავნებელთაგან, ასე რომე არც ზღვითა და არც ხმელითა, ჩემი თავი სიკვდილისაგან დავიხსენო: და ამით ცოტად გული გამიმხიარულდა, და მინდორი ვნახე, და ერთი ხელი ვიბურთავე: არა დასამარცხებელია ხელმწიფისა და არცარა საწყენია: მაშინც მოვიდოდი, და ერთი ცხენის გარბევა რა დასაკლისი იყო, კარგი კაცი არ მინახავს აქამდის რომ შორით მოციქული მომეგზავნა, და ცუდთა კაცთათვის დამეპატიჟა ამას მეტყოდენ რომ ხელმწიფეს მაგას ვინ შემართებსო, მოციქულსა მე ვჯობივარ, მისთვის მოველ ამა ალაგსა: და რადგან აქ წოლა უარ იყო, და მის მეტი ვერა გავბედერა: და ესთქვი ეგების ცხენის ხმამ ვინმე გამოაჩინოს: აწე იცით და გასმიათ რაგვარად მყოფნი კაცნი ვყოფილვართ, და ანუ დიფნის ქალაქის ხელმწიფე რაგვარი ხელ მწიფე არის: მოვიდა ბრძანება ღვთისა, და ბედი იყო ჩემი ამა სასჯლისა, ერთ ხელვე ყმაწვილობამ მაჯობა და წამოველ, და ამ საქმეზედ გაბრუნებულ ვიყავ სიმხრდლე იქნებოდა. წამოველ და არავინ: იცის ჩემი ნაქნარი, თუ რა ჭირი გარდავიხადე, ანუ ზღვაში, ანუ ხმელთა ზედა, ღმერთმან ყოველი უწყის ცხადი და იდუმალი: ერთმა ზღვამ იცის, მეორე წითლის დევის ქალმა, და მესამემ შენის ხელმწიფის შვილმა: სხვამ კაცმან არ იცისო, აწე ნურც ესე გგონიათ რომე დიდის სიკეთისა, და ინუ დაჭირვებისათვის წამოსულვიყო რომე ან მოყვარე ვერ მეშოვნოს უკეთესი, და ან ქალი უტურფესიო, მაგრამ რასაცა ღმერთი კაცს მისცემს, თვითცა უნდა დასჯერდეს: რა ეს ამბავი მოისმინეს ადგეს და ხელმწიფეს წინა მოვიდეს, და მოახსენეს დაბარებული ხელმწიფესა ყოველი მისი ნაქმარი: და გაუკვირდა სიძობა, და იაბა ეგონა ზედ სიძედ დადგებაო: შესთვალა თურმე იყო ბრძანება ღვთისა და შენი ბედი თურმე იყო ჩემმა ასულმა მით გაუძლო ამდენსა შიშსა, და მორჩა დევსაცა, თვარა ამდენს ხანს გველთან წოლას როგორ დაუდგემდა: და ანუ დევი ვით დამანებებდა ამდენსა ხანსა: აწე ღმერთსაც მოუცემია და მეც მოგცემ ჩემი ქალი შენი იყოს, და ჩემს

ტახტზედა შენ დაგსვამ, და სახელმწიფოსაც შენ დაგილოცავო: მე ამის მეტი არა მყავს-რა, ბერი ვარ დღეს არის თუ ხვალ მოვკვდებიო: ჩემი სახელმწიფო ოხერი იქნება, თუ თქენ არ ეპატრონებით, წასაყვანლად ვერ დაგანებებ ჩემის ცოცხლის თავითაო. მოვიდხენ და ხელმწიფის პასუხი მოახსენეს: მან ასე უბრძანა რაღა დამიშლისო, ჩემი მშობლები სიცოცხლის დროს შეუნახავად გამეხადოს, და სიკვდილის დროს დაუმარხავნი, და უჭირისუფლონი: დიფნის ქალაქი გამეშოს, და ჩემნი უთვალავნი დიდებულნი გამეშოს, და გამეოხრებინოს, და მტერთათვის ამეფორაქებინოს, და აქ ზედ სიძედ შემოგწყობოდე: მამცემ კარგია, თუ არა არც აგრე შემოგეხვეწები, მე ისევ ჩემს ალაგს წავალ, და ეგ ქალიც თქვენი ნება იყოს, და ჩემი სისხლიცაო: რა ხელმწიფემან ამისთანა აურზაური გაიგონა, შეშინდა და ასე ბრძანა აწ რომ ესე შწყრალი წავიდეს, წავა ლაშქართა შეყრის და შოვა სრულ კლდეთა და მინდორთა მოასწორებს, თუ ომსა გაუბედავ: ახლავე მისი მებრძოლი ჩვენში ვინ არის: რადგან დევთა და ვეშაპთა ომი შეუძლია: მიუცემლობა აღარა ხდებაო: აწ მივსცეთ და თავად ველი ღვთისაგან რომ ქალიც მევე დამრჩეს, და სიძეცა საჩემო ვიშოო, თუ არა და მადლი ღმერთსა, რაცა მისი ნება არის ის იქნებისო: მოახსენეს აგეთი ვინ გეიმედებისო, უბრძანა წითლისა დევისა ერთი შვილი კიდევ არისო: მოახსენეს რად გამოუშო ძმისა და მამისა მკვლელი, თუ აგრე კარგი მოწიფული არისო; უბრძანა ცხვარში არისო და ვერ შეუტყვია, თვარა კარგად ვერ მოუვიდოდაო:

აქა ინდისტნის ხელმწიფისაგან ზაკვით და ძალებით თვისის უებრო ასულის მეტემა, და ხელმწიფის შვილისაგან წითლის დევისა მეორე შვილის ბრძოლა საშინელი, და სიკვდილი სასტიკი:

აღარა ღონე ჰქონდათ, ჩამოიყვანეს ქალი, და მისი უანგარიშო მზითევი მისცა და გამოისტუმრა დიდითა ჯარითა,

და ბარგითა წამოვიდნენ, დიდითა სისწრაფითა, და ურიდლად იარებოდნენ, რა მოვიდნენ დევისა შვილი რომ მოეკლათ მას მინდორში დგომა მოინდომეს, დასცეს კარვები, და ცხენებიდამ გარდაჰხდენ და შეისვენეს, შეხედნეს რომ მოვიდოდა ვინმე, ერთი ვეშაპისა მსგავსი, პირითა: და ტანითა სპილოსიცა უფროსი იყო: ორნივე თვალი სისხლისა ტბასა უგვანდა; დიდის ნაძვის ხე მოეგლიჯა და კომბლად ეჭირა, მოვიდოდა და პირითა ცეცხლსა მოჰყრიდა: დაიძახა ვეზირის შვილმა, უშველე ხელმწიფევ თავსა, და შენი ლახტი მოიხმარე: გამოვიდა ხელმწიფის შვილი კარავიდამ, და შეხედა ესაშიშრა და ეოცა რომე მას დიდსა თვალ უწდომსა მინდვრისა ბოლომდის იმისთანა საშიში თვალი უჩნდა. შესტყორცა ლახტი რა მისს სიახლოვესა მივიდა ხელი შეუშვირა და დაიჭირა, შესტყორცა ისი ლახტი, და თავისი კობბალი ერთად: სამოცი კარავი დააქცივა, და ორასი კაცი მოჰკლა: აქათ ხელმწიფის შვილი ჩქარად წავიდა და გულმწყრალად ლაშქარსა ამოწყვეტისათვის: იქით ის წამოვიდა ფიცხლად და შმაგად. შეიყარნენ ერთად, და შეიჭიდნენ საზაროდ ასე რომე მათი ძგერება გორათა ძგერებასა გვანდა: იბრძოლეს მედგრად დიდსა ხანსა, დაიღალა ხელმწიფის შვილი, რა მისი ულონოდ გახდომა სცნა შავჩიტმა მიუხდა იგიცა, და შეეჭიდა, იქით ცხენი ეჭიდებოდა, და აქეთ ხელმწიფის შვილი, და იგი საძაგელი ვერ დაღალეს: მერმე რითაც ღონით იყო მარჯვენა ხელი დააძრო ხელმწიფის შვილმა უკუიქნივა ჰკრა პირში, და უკუაქცივა, აემართა შავჩიტი, და ოთხისა ფეხით ზედ შეახლტა, მანამდის ტოტითა სცა, და კბილითა გლიჯა სანამ დევს უსულოდ გახდიდეს: რა უსულოდ გახდა ცხენიც უკუეცალა, და ხელმწიფის შვილმა დაიძახა მიშველეთ ხუთს კაცს ვისაც გამოცდილება ჰქონდეს, და დევი ავკაფოთო: მაშინვე ხუთთავე ხმლები ზედ დაამტრიეს, და მას დევს ვერა დააკლეს რა: მერმე მოატანინა ბასრი ცულები და მით დააჭრევინა: რა მისგანაც მოიცალა და ყოველგნით უშიშრად გახდა: სმა და ლხინი შეიქნა, სამი დღე მუნ დაჰყო, და ჯაშუში თურმე სიმამრისა ადგა, რა დევი

მოჰკლა წავიდეს და აცნობეს: შეიყარა ლაშქარი და წამოვიდა, წინდაწინ კაცნი გამოუგზავნა, და ასე შემოუთვალა, ნუ გგონია რომ ჩემი შვილი აგრე ოხრად შენ მოგცე. დასდგები ჩემთან სიძეცა ხარ და ჩემი შვილიკა შენ იქნები: თუ არა ჩემი ლაშქარი ზღვის ქვიშისაგან უმრავლესია, შევიყრები და ზედ მოგიხდები, შენც მოგკლავ და ჩემს ასულსაც ისევ წამოვიყვან: შენ რომ ორი ღორი მოგეკლას ჩემზედ მაგვდენი არ შეგიძლია, რომ ჩემად უნებურად შენ აგრე წახვიდეო: რა ეს მოციქულობა სიმამრისაგან მოუვიდა, გაშმაგდა და გაავცნობდა, და დიდნი დაიჭეხნა; ვითა ამაზედა მოიწონა თავი მან საძაგელმა და უსჯულოვან რომე მისის ქალის გულისათვის აზომი ღარიბული გზა ვიარე და აზომი ჭირი გარდავიხადე: აწე ვფიცავ ყოვლისა შემოქმედსა ღმერთსა რომე თუ ის მას ალაგს გამოსცილდა, საცა უკვე ყოფილა, ის მოუკლავი არ მომირჩესო: და მის სახლსა და მამულს ასე გავხდი რომე ძაღლსაც ებრალებოდეს, კლდე და მინდორი ველარავინ გაარჩიოს, და აღარც მისი ქალი მინდა ზღვაში ჩავაგდებ, და სხვას კაცს არ მივცემო: რად არ იცის რომ მოახლედ მინდოდეს ისიც უნდა უხაროდეს არამც თუ მაგისი ქალი საცოლოდ მიმყავს, და მაგაზედ მემუქარების: თუ კაცია მე აქედამ არსად წავალ, და ეს ვინც მახლავან იმისი ყმანი არიან, ვინძლო ზღვას გამოვიდეს და ადრე გავგზავნი წითლის დევის გვერდითო: რა ეს პასუხი მოუვიდა სიძისაგან, ასე ბრძანა იგი გაშმაგებული ნილოსის ზღვას დააშრობსო რას ჭკვაში ვინმე ჩამიგდებს რომე თავიც მოვიკლა და სახელმწიფოც დავაქციო, და ქალიც დავკარგო: ეს არა სჯობს რომ ამისთანა დიდი ხელმწიფე მოყვარედ მყვანდეს და მტერნი ვერსით მერეოდენ: ახლა ძლივს დაფანტული ჭკუა მოაგროვა, და მისწერა ტკბილის შვილობისა, და სიყვარულის წიგნი, და დანაშაულის შენდობა ითხოვა, გამოუგზავნა ათასი ყათარი დარჩეული სახელმწიფო იარაღი თვალმარგალიტი, ჩინური და ბერძნული დარჩეული სტავრა მოუვიდა ხელმწიფის შვილს უანგარიშო განძი, და იგი გასაშტერებელი წიგნი, გაეცინა ხელმწიფის

შვილსა და ასე ბძანა, ჩემის სიმამრის ტვინი სუსტი თურმე არისო რომ ასე გვიან ჭკუას მიხვდებაო: და თვითონც ტკბილი წიგნი მისწერა, და მრავალი უბოძა, იგინი ისევე შევიდეს, და ხელმწიფის შვილი თავის გზას წავიდა, იარა და მივიდა სადა კლდენი ერთმანერთსა ეჯახებოდეს: გველი მას ბორჯალსა არ გარდასულიყო, და იქივე დახვდა, ჩავიდა კლდესა შიგან და დააყენა და გაიარეს:

აქა ვეზირის შვილისაგან ქალთ შებურობა ტბაზედ რომ ბანობდენ: დეგის ქალაქს მისვლა და ქორწილი:

მერმე ვეზირის შვილმა მოახსენა, ამდენი წყალობა მიყოს ხელმწიფის შვილმა რომე ჩემის გულისათვის ამა ღამეს აქა დადგესო: უსმინა ხელმწიფის შვილმან და მას ღამესა იქ დადგნენ, და ვეზირის შვილმა მის ტბისა პირსა ორმო მოსთხარა, და ცოტა რამ თავს დაიფარა: რა დილა გათენდა ქალნი საბანებლად მოვიდნენ, ტანს გაიხადეს, იყო თურმე ბრძანება ღვთისა, და უმცროსის ქალის ტანისამოსი და ეტლი იმ ორმოს პირს მოხვდა: სანამდის იგინი იბანებდეს, ვეზირის შვილმა იდუმალ ტანისამოსი ორმოში ჩაიტანა რომ მათ მისი ვერა სცნეს-რა: ბანება რომ გაათავეს უფროსმა ტანთ ჩაიცვა და წავიდა, და უმცროსი ტბაშივე დარჩა: ამოვიდა ვეზირის შვილი და ქალი დაეჭირა ტანთ ჩააცვა და სადგომს მოიყვანა: რა ხელმწიფის შვილმა ვეზირის შვილი მხიარულად მოსული ნახა, ბრძანა შევსხდეთო: ვეზირის შვილის ქორწილი მესწრაფებაო: რა გველმან ქალის დაჭერა ჰსცნა: მოვიდა და ასრე მოახსენა, ამდენი ხანია რომ მათის გულისათვის აქა ვარ, და თქვენც იმათის გულისათვის მოგარჩინე, ამა კლდესა გაგაროინებდი და გამოგაროინებდი: აწ თქვენ რაღგანც ეგ წამართვით ამალამ ჩემის გულისათვის აქ დადეგით რომ ის მეორე მე მიშოოთ, თორემ რაც კარკაცობა მიქნია ყველას დაგაშხამებო: აღარა ღონე იყო, დადგეს მას ღამესა, და დაეჭირეს იგიცა, მისცეს

მას გველსა, და მან წაიყვანა, და თვითან დევის ქალაქში მოვიდნენ, მოეგებნეს დიდისა სიხარულითა, და აყრიდენ ს'დ თვალსა და მარგალიტსა და ოქროსა: მიულოცეს გამარჯვება და დიდება, ვინცა შენ ჩვენთვის დაგბადაო, რომე დაგვიხსენ ეშმაკთა ბოროტისაგან: შეუძღვნენ და შეიყვანეს ქალაქსა შიგან, მაგრამ მაშინდელზე ასრე უდიდე იყო როგორათაცა ერთსა ცოტასა წყალსა ზღვა, და სიშვენიერითა როგორცა ჯოჯოხეთსა სამოთხე: გარდახდენ დევისა სახლსა და მას დღეს მუნ შეისვენეს, და მეორეს დღეს სრულად შეჰყარა, და ბრძანა ქორწილისა საქმე გააგო, და უყო ქორწილი ვეზირის შვილსა ასეთი რომე ხელმწიფეთათვისაც დიდი იყო: გაახსნევინა დევისა საჭურჭლე და გასცა სრულად გლახაკთა და მდიდართა ზედა, და რვას დღემდის გვირგვინი არ მოჰხადა ვეზირის შვილსა: და რა ლხინი და გაცემა მოშალა, მეცხრესა ქორწილი გათავდა, გარდაარჩივნა რაც უნდოდა სამისოდ მოასხმევინა ათასი ყათარი ჯორი, და ათასი აქლემი იგი დაატვირთვინა: სხვა ყველა ციხე ქალაქი განძი სალარო ჯოგი და თავლა უკლებლივ ვეზირის შვილს უბოძა, და თვითცა უბრძანა დადეგო ცოტასხანსა ჯერ უცხოა შენი ცოლი კაცთა ნახვისაო, და მარტო ნუ გაუშვებო; მან მიწასა აკოცა და ხელმწიფე დალოცა და მოახსენა, მე როგორა ვღირსვარ რომ ჩემს ხელმწიფეს ჩემთვის წყალობა უქნია და ანუ დიდება უღირსებია, ესემცა ყველა რისხვა იქნების ჩემთვისო რომ მე შენსა ტახტსა მჯდომი არ მენახო, და მე აქ მოსვენებად დამდგარვიყო მაგას რად მიბრძანებო, არა ქნა:

აქა ხელმწიფის შვილისა მრავალის განსაცდელისაგან განრჩომა: თავისის წადილის აღსრულება, და დიფნის ქალაქისაკენ გამგზავრება:

გააგეს მის ქალაქისა საქმე, და ვეზირის შვილის ცოლი მუნ დააგდეს და მუნ ქალაქით მრავალნი მოხელენი და მონა წამოასხეს: მრავალნი დიდებულნი წამოვიდნენ, იახლნეს დი-

დის ჯარითა და მოკაზმულობითა მოვიდოდნენ. ლხინითა და ნადირობითა: და გამოგზავნეს წინ კაცი, ვითა ხუთასი ყათარი ჯორი, აქლემი მოასხი ჩვენის სახელმწიფოთა: და რა კაცი იგი მივიდა, და ნახა რომე ქალაქი იგი კუპრისა ზღვასა ჰგვანდა, გაჰკვირდა და იკითხა რა არის ესე, და ანუ რასათვის ხართ ამა ცხოვრებითაო: მათ უთხრეს ყოველი მათი საჩივარი: მან ასე უთხრა ღმერთია მოწამე მე მისი გამოგზავნილი ვარ: ჯორისა და აქლემისათვის: და ასერ ახლო მოვიდა, და ქალიც მოჰყავსო, და მოაქვსთ ურიცხვი და აუარებელი რომე ღვთისაგან კიდე მისსა ანგარიშსა კაცი ვერ აიღებსო: რა მოისმინეს თითქო მოკვდავი დაცოცხლდენო, ასეთი ზრიალი სიხარულისა დასცეს: ზოგსა თვალი მოჰქონდა, ზოგსა მარგალიტი, ზოგსა ოქრო: და რომელიმე პირს უტენდა იაგუნდითა, და რომელიმე ხელსა უვსებდა ლალითა: და ზოგნი თავსა აყრიდიან: იგი კაცი ალარ გამოჩნდა ასდენი თვალი მარგალიტი და ოქრო დააყარეს: მიიყვანეს ხელმწიფეს წინა, ნახა მან კაცმა რომე უსინათლონი, ტახტისა ნაცვლად შავთა ნაბადთა ჯედან სხდეს: და გვირგვინის ნაცვლად თავსა ნაცარი ეყარათ ორთავე ცათა სწორთა მეფესა და დედოფალსა: მოახსენა მან კაცმან, რად ჰზი ხელმწიფევ ნაცართა და მტვერთა შიგან, და ანუ შენი ციხე ქალაქი შავით რად გიმოსიაო: აქამდის ერთი თვალი გქონდა, და აწ ათასი მოგცემია: აქამდის ერთი ქალაქი გქონდა, და აწ ქვეყანა გიშოვნია, რად უნდა ერთისა ღრუბლიანის დღისათვის ათასი მზიანი დღე დაჰკარგო, და ანუ ერთისა მონისათვის ათასი ქალაქი: თუ შენი შვილი ერთს წელს მოგშორდა, ათას წელს შენთანვე არის: თუ ერთი ლხინი მისის გაყრისათვის დაგკლებია, აწ ათი ათასი მოგცემიაო: აწ გააღე კარი სიხარულისა, და აიხადე საგლოველი, და შეიმოსე ძოწეული: გამოიყვანე ციხე ქალაქიცა შავითა, და მოჰკმაზე სამოთხისა უტურფესადო: მოგივიდა შვილი ცოლითურთ, და ყოველთა ქვეყანათა მპყრობელი, და აღმაშენებელი ყოველთა, გრძნეულთა მავნებელი და განმაქარვებელიო: რა ხელმწიფემან და დედოფალმან ესე მოისმინეს გაშტერდენ და

გარდაიქცენ ვითა მკვდარი, და ხანსა დიდსა აგრე იყვნეს რომე ეგონათ მოკვდესო: რა მობრუნდენ დაიძახეს ვითა ვინ ხარო, ანუ ცხადია თუ სიზმარი რასაც გვიბრძანებ: ანუ არისლა ჩვენის საწყალისა გვამის სული ქვეყანადო: მან შეჰფიცა ფიცითა საშინელითა რომე მისგან გამოგზავნილი ვარო: ახლა დაიჯერეს წინ დაისვეს, და თვალით ვერას ხედვიდეს, და ხელით სინჯევდენ: პირი ალმასით გაუტენეს, ხელი იაგუნდითა: და ზეზე მდგომს ამდენი მარგარიტი დააყარეს რომე დაჰფარეს მისი ტანი: იგი სრულად მან კაცმან ერთსა ვისმე შეაბარა: და თვით წამოასხა ჯორი აქლემი და წამოვიდა: ხელმწიფის შვილი ერთსა ადგილსა ხილნარსა მოსულიყო, ერთსა ბროწეულისა ძირსა ჩამხდარიყვნენ, და ლაშქარნი მინდორზედ იდგნენ, სამსა დღესა იქ იყვნენ, და კაცსა მას მიელოდეს: ჯავროობდა ხელმწიფის შვილი მის კაცისა დაგვიანებისათვის: რა მივიდა კაცი იგი, და გაუწყრა ვითა ეშმაკსა და დევთან ნამყოფი კაცი ვით ვარგაო: ამდენსა ხანსა აქ რად დამაყენეო: და მან კაცმან პირი მიწასა გააერთა, და ფარმანი ითხოვა რომე ხელმწიფემ გაუკითხავად არ მომკლასო, და მოახსენა რაც ენახა, და მისისა დაგვიანებისა მიზეზი ყველა უამბო: ატირდა ხელმწიფის შვილი და ვეზირის შვილს უბრძანა, შენ ჩქარად წინ წადი, და დევის ღვიძლი წაიღე, ეგების მათსა თვალსა არგოს რამეო: ვეზირის შვილმა ხელმწიფის შვილის აბულისაყის ბრძანება მოისმინა. ფიცხლავ მოვიდა ხელმწიფის ფირმალისა წინაშე, ნახა ორნივე უსინათლონი მეფე და დედოფალი ტახტსა ზედან სხდეს, დაკარგულისა შვილისა მოსვლა ეცნათ, და ამაზედან დიდსა მხიარულობდეს და ღმერთსა მადლობდეს: და ეჰა მპყრობელო ზღვისა და ქვეყანისაო, შენგან ყოველი ძნელი გაადვილდების, მადლი შენდა, რადგან ცოცხალმან კიდევ ჩვენის შვილის ხმა გავიგონეთო: რა სცნეს ვეზირის შვილის მოსვლა თითქმის მკვდარნი დაცოცხლდენ: ასრე შეიქნენ მეტისა სიხარულითა, ვერცა სხდეს და ვერცა დგეს, ორნივე ტახტით ჩამოვიდეს, და ვეზირის შვილს წინ მიეგებნეს და ვითა შვილი მოიკითხეს: და ხელმწიფემ პირსა აკოცა, და მან პირი მიწასა

გააერთა, და ხელმწიფე დალოცა და მოახსენა ვითა ნიადაგმცა გულნათლად და მხიარულად ხართ: ნუმცა ოდეს დაიღრეჯს თქვენი ვარდისფერი გული: აწ გაუშვით ყოველი შეჭირვება თქვენი და მიეცით გული ლხინსა: მოვიდა დევთა და ვეშაპთა ამომწყვეტელი შვილი თქვენი, ესმა თვალისა თქვენისა სიბრძე, და შეიქნა დიდისა შეჭირვებითა, და ამად მე გამომგზავნა სწრაფით წინაშე თქვენსა, ღვიძლი დევისა გამომატანა რომელ წამლად ერგება დაბრმობილთა შეწევნითა ღვთისათა: მომიღია წინაშე თქვენსა, და ვახსენოთ დაუსაბამო ღმერთი, და გამოივლეთ თვალსა შიგან, და შეწევნითა მისითა გარგოს, და აღგიხილოს თვალნი:

აქა ვეზირის შვილისაგან ფირმალ ხელმწიფისა და დედოფლის თვალთა ახილვა, მადლობისა შეწირვა, და შვილის წინ მიგებება აბულისაყისა:

მერმე ამოიღო ვეზირის შვილმან დევისა ღვიძლი და მეფემან და დედოფალმან ორთავე თვალში გამოივლეს. და მასვე წამსა აღეხილათ თვალნი, და მოახსენა ხვალე უცილოდ მოვა შვილი თქვენი გამარჯვებით ცოლიან და მოაქვს საჭურჭლე რომ მიწასაც ემძიმებაო: ახლა საქმე მისი და თავსა გადასავალი მოგახსენო. გრძლად იქმნების, და მოვა თვით მოგახსენებს ყოველსა ყოფილსა თვისსა, ამაზედან ხელმწიფემან ბრძანა ჩვენი ასე ყოფნა არა ხამს დღეს გაგვაცოცხლა ღმერთმან დახოცილნი, ამოვიღოთ ყოველი შეჭირვება გულისა ჩვენისაგან: აწ გახსენით ჩემისა სალაროსა კარნი უკლებრივ, და ნახევარი მოიღეთ წინაშე ჩემსაო: მოაღებინა სალაროსა ნახევარი მის წინაშე, და მერმე ბრძანა, აწ დიდებულნი დიფნის ქალაქისა, და მცირენი გლახა და ობოლნი, და ქრივნი, სრულად აქ ბედნიერსა კარსა შემოჰყარენითო: მცირედსა ხანსა მოვიდეს ყოველნი და ხელმწიფემან გასცა უსაზომო დიდებულთა ზედა, და დაამდიდრნა გლახაკნი მისისა სახელმწიფოსანი: და უბრძანა

დღეიდგან ულოცვიდეთ შვილსა ჩემსა აბულისაყს ხელმწიფობას: აწ ხვალ მოვა ჩემი სიცოცხლე, და სულთა მდგმელი შვილი, მოჰკმაზეთ ქალაქი ქულბაქი ქუჩა დაბანი, ბაღი და ბახჩა ჩირაღოვანითა, და მივეგებოთ ერთისა დღისა სავალსა წინა: მერმე დედოფალსა უბრძანა თქვენც მოჰკმაზეთ სრა და სამყოფი თქვენი, ვითა წინათ ყოფილიყოს მოკმაზვა, სრულობით ცოლისა მისისა შვილისათვის სადედოფლო დაუდგმევინა ტახტი თვისი, და ჰქონდათ მხიარულება ზომისაგან ნამეტნავად, მერმე ხელმწიფემან ბრძანა დღისა ერთისა სავალსა სტავრა და ატლასი ფიანდაზათ დაფინეთო, რომ შვილმან ჩემმან და რძალმა ინდისტნის ხელმწიფის, სულთან-ბურაითის ქალმან მასზედან იარონ: აგრე ქალაქში შემოვიდნენო, და იგი ფიანდაზი გლახაკთა და უღონოთა უნდა აკრიფონო, მიეგება დღისა ერთისა სავალსა წინა შვილსა თვისსა აბულისაყს სრულად ჯარნი და მოქალაქენი: რა მიეახლნეს ნახეს ხელმწიფის შვილი მოვიდოდა გამდიდრებული ყმითა საქონლითა და ცოლითა, რა ხელმწიფემან ახლოს შვილი დაინახა ფიცხლად ცხენიდან გარდახდა: რა შვილმან ჩამომხდარი მამა დაინახა ეტლისაგან უფიცხე ცხენისაგან გადაიჭრა, მივიდა და ერთმანერთსა მოეხვივნეს, და სიხარულმან დიდი ხანი ატირა, და მერმე ხელმწიფემან დიდი მადლი მისცა თავად დაკარგულის შვილის მისვლისა, და მერმე თავისის თვალთ ახილვისათვის, რომ ჩემს თვალთ ამისი ნახვა აღირსეო, მოდგენ დარბაისელნი და მოქალაქენი ვინცა ღირს იყო თავითა აკოცებდეს, და ვინც არა წ~ე მიწას აკოცებდეს და ულოცვიდეს გამარჯვებასა მისსა: და აყრიდენ თვალთა, და ჰკრეფდენ გლახაკნი, და დარვდომილნი, და ულოცვიდენ დღეთა სიგრძესა: მერმე დაიწყეს სიარული, და მივიდეს ქალაქსა დიფნისსა: იყო ჩირაღოვანი განსაკვირვებელი ბანთა კართა კედელთა ბაღში ყოველსა ადგილსა, სადაცა ხევნარი იყო სრულობით ზედა სანთელი მოესხათ, და ანათობდა ქვეყანასა, გლახა და მდიდარნი ყოველნი აკმევდეს მუშკსა და ამბარსა: იყო განსაკვირვებელი სიხარული, და მოვიდნენ სრა სამყოფსა მამისა მისისასა შევიდა და სრულიად მუმკი და ღალია უკმიეს, და თავსა მარგალიტი და ლალი აყარეს:

აქა დედოფლისაგან თვისის შვილისა აბულისაესა, და სძლის ნახვა: აგრეთვე შესაბაძი ქორწილი, და განცხრომა უამრი:

მოეგება დედა დედოფალი, და რა შვილი დაინახა, დაბნდა, და გულსა ვარდისა წყალი დაასხეს, და ძლივს სულობას მოიყვანეს: რა სულად მოვიდა მოეხვია და აკოცა, აგრე მოახსენა, რად დაგვყარნე შენი ბერნი და უძლურნი მშობელნი, ქვათაც შესაბრალისად სანთელ დაშრეტილნი: ახლა ღმერთმან გაგითაოს, და ერთმანერთს შეგაბეროს დიდისა ხელმწიფის ქალი მოგიყვანია ცოლად, მაგრამ ვინ იყო ქ"ყნაზედა ხელმწიფე ასეთი რომე, ერთი თხოვნით ჩვენთვის ქალი არ მოეცა, შენთვის საცოლოდ: და თვით არ გამოეგზავნა, წახველ და არ გაგიშვია ქ"ყნაზედ დევი და ზღვაში ვეშაპი და ნიანგი ყველასა არ შებმოდე, თუ გასწყრომოდა ჩვენსა ბედსა ღმერთი და შენ მათგან ფათერაკი წაგკიდებოდა, არ კი შევიქნებოდით ღ"ისაგან მოძულებულნი და აოხრდებოდა შენი სახლი და სახელმწიფოო: მერმე ხელმწიფის შვილმან გაიცინა, და დედასა მოახსენა ვინცა ჭირსა არა გარდიხდის მას ლხინი დია არა იამებისო: მაგაზედ არ გავწირე თავი რომ ჩემთვის ვისმე ქალი დაეჭიროს, მაგრამ მე თავად გამოვიცადე თავი ჩემი, და მერმე სახელი დამრჩების ჩემისა ნაქმრისა: აწე ნახე რძალი შენი ინდისტნის ხელმწიფის სულთანბუსაითის ქალი, თუ რაც სასჯელი მენახოს ამისის მოყვანისათვის ცოტაც არ იყოსო: შევიდა დედოფალი, და რა დაინახა ზომისაგან მეტად მოეწონა, და პირსა მზისაგან უმშვენიერესსა აკოცა, და დამბადებელს ღმერთს მადლი მისცა, აჰადნა შენთვის რადგან ჩემმა შვილმა ასთენი ჭირნი გადაიხადა, და სანაცვლო ჭირნახულისა ნამეტნავი წყალობა გიქნიათო: მერმე შევიდნენ დარბაზსა შინა, და დასხდენ ტახტსა ზურმუხტისასა, და დაიბურეს გვირგვინი იაგუნდისა, სამოცსა დღესა ქორწილი იყო რომე მის ქორწილისა ქებასა კაცი ენითა ვერ იტყვის: ათასი

გორი იდგა მის ქორწილისა ძღვნისა და გარდასაყარისა, რ ქორწილისა საქმისაგან მოიცალეს, იგი ყ´ი ძღვენი და გადასაყარი თვალი და მარგალიტი გლახაკთა და ობოლთა, ქვრივთა და დავრდომილთა ზ´ან გაყვეს: აწ მოიხადა ხელმწიფემ ფირმალიმ თავისი გვირგვინი, თავისი სახელმწიფო ხმალი, შვილსა შემოარტყა, და გვირგვინი თავსა დაადგა: აგრეთვე სახელმწიფოსა ტახტსა ზედან დასვა, და დაულოცა სრულად მისი სახელმწიფო. და ათაყვანა მისნი დიდებულნი და მცირენი: ჰქონდათ ლხინი სოლბათი, შეიქნა მოწყალე და მოსამართლე ხელმწიფე: გავიდა სახელი მისის სიუხვისა, ასრე რომე ყოველი სული მონებდა: და ლოცვიდა, და ყ´ნი ხელმწიფენი მას ნატრიდენ: უბრძანა ვეზირის შვილსა, აწ წადი შენსა ქალაქშიგა რომ უპატრონობით არ აიშალნენ, და ან ქალაქნი არ წახდესო, და ადრე გვნახევდე, ინდისტნისა ხელმწიფისა ამბავსა გვაცნობებდეთო: აწ წავიდა ვეზირის შვილი, და მივიდა მისსა ქალაქსა, და მოეგებნეს მოქალაქენი, და შეასხამდენ ქებასა, და იყო დიდი სიმხიარულე მას ქალაქსა შინა, მადლობდეს ღმერთსა და იტყოდეს, დიდება შენდა რ´ლ მოგვარჩინე დევთა და ქაჯთა მათ ბილწთაგან, და გვაპატრონე ნათესავი ადამისი: იყო ვეზირის შვილი და მოსამართლობდა და ლხინობდა, და განისვენებდა და ნადიმობითა შეექცეოდა:

აქა ფირმალ ხელმწიფის მიცვლა, და ძისა მისისა აბულისაეის გახელმწიფება:

გამოხდა ხანი ცოტა, და დიფნის ხელმწიფე აღესრულა, და შეიქმნა გლოვა საშინელი მისსა სახელმწიფოსა შიგან, და იგლოვეს სამოცსა დღესა, და ხელმწიფე ახალი აბულისაეს ბნელსა შევიდა, და რა სამოცი დღე გამოვიდა: შეიყარნენ ვეზირნი და დიდებულნი, და გლოვისა გახსნას ეაჯნეს, და უსმინა ხელმწიფემა და საგლოვიარით გამოვიდა, და დაიწყო ლხინი მრავალჟამ, და უბოძა ღმერთმან ცხრა ძე, და ერთი

ასული მშვენიერი: და მისდა საკადრისად დაზარდა ნებიერად, და ყ~ით ზნითა უკლებლად: ლხინობდეს და დანისვენებდეს: ამაზედა მოვიდა ვეზირის შვილის კაცი, და მოახსენა ხელმწიფესა თუ აღესრულა ხელმწიფე ინდისტანისა სულთანბუსაით და სახელმწიფო უმკვიდრო დარჩა: რა ესე მოისმინა ხელმწიფემა, ზომისაგან მეტი წყენა შეექმნა, და შეიყარა ლაშქარი და წავიდა:

აქა აბულისაყ ხელმწიფისაგან ინდისტანს წასვლა, სიმამრის გლოვისათვის, და ერთისა თავის შვილისა გახელმწიფება მუნ:

წაიყვანა შვილი თ~სი, და მივიდა ინდოეთს, და წესისაებრ დაიტირა სიმამრი, და იგლოვა, სულისა საქმე გარდაიხადა, და მისისა სალაროსაგან მრავალი გასცა გლახაკთა ზ~ან და რა მისისა საქმიდამ მოიცალა შვილი ხელმწიფედ დასვა, და დალოცა, და სახელმწიფო ათაყვანა: და მისის ვეზირის შვილი მას მოუყენა რომ ყმაწვილი არის, და გვერდ მოუდეგო: რაც ჭირი ჩემზედ გინახავს შვილზედაც მოიჭირველ საშსახურიო: და კარგად რიგიანად ახელმწიფეო: მოწყალება და სიუხვე აქნევინეო: წამოვიდა ხელმწიფე აბულისაყ, და მოვიდა დიფნისს, იყო მრავალ ჟამ დიდებასა და განსვენებასა, და მტერი და ქიშპი აღარავინ ჰყვანდა: ბოლოს მიუნდობელმან საწუთრომან თვისი სიმუხთლე წესი და რიგი არ მოიშალა, და მოვიდა სიკვდილისა დრო, და სცნა მისის დღის აღსრულება, და ბრძანა ჩემსავე სიცოცხლეში გავარიგებ ჩემთა შვილთაო: რომ ჩემს უკან საჩხუბრო აღარა დაუგდო რა: თავისი სახელმწიფო გაუყო, და თვითო თვითოსა ბურჯსა აპატრონა, და დალოცა მათი მოსავლელნი: და უმცროსსა შვილსა ცოტა ქალაქი და თავისი სალარო მისცა, რვანივე ძმანი ერთმანერთს უალერსებდენ: ლხინობდენ ჰამასა უდარბაზებდნენ, და იყვიან დიდსა განსვენებასა, და სიხარულსა შინა:

აქა ბერძენთ მეფისაგან ქალის თხოვნა: შ˜დ აბულისაე ხელმწიფისა, და დ˜ფლისა სიბერათა მოუძღურება:

გამოხდა ხანი მცირე, და მოუვიდა საბერძნეთით ბერძენთა მეფისაგან, ქალის სათხოვრად კაცი, და შემოეთვალა მოსმეცო ძმისა ჩემისათვის ქალი შენი, და ვიყოთ მოყ˜რენი ერთმანერთისა: რა ხელმწიფემან აბულისაყ მოციქულობა მოისმინა: ბრძანა მეცა მნებავს მოყვრობა ბერძენთა მეფისა, ამად რომე ყ˜თა ხელმწიფეთა და მეფეთა უზესთაესი არის, მიმიცემია ასული ჩემი: მისცა დიდისა ჯარითა, განძითა, და აუარებელისა ზითვითა: გაისტუმრა და დაიმოყვრა მეფე ბერძენთა: და რვანივე შვილნი ხელმწიფედ უსხდეს: აღარა იყო გულსა მისსა შეჭირვება, არც საჭოსი, და არც სკ˜ნოსი: ყ˜თა გზანი გაიხსნა, და დაჰყო რამე წელნი მცირედნი, და მასუკან ხან ერთსა შვილთან იყვის, და ხან მეორესთან: ექცეოდეს ყ˜ნივე დიდითა პატივითა: წესია ამა მოკლისა, და უხანოსა საწუთოსა, რომე არცა ხელმწიფესა და მეფესა, არცა მდიდარსა და გლახაკსა არავის ბოლომდის არ გაუთავ და რაც ლხინი მის ჟამში უნახავს, ყველას ერთს დღეს დაავიწყებს, და ამას ათქმევინებს, ...*) ერთი დღე არ დამიყოფიაო: აბულისაყ ხელმწიფე და დედოფალი სიბერითა დაუძლურდეს . . . . . და წყალჯავარნი მოეშალნეს, და სენთაგანაც დაძაბუნდეს, დაატყვეს თავსა რომე რაცა ამ სოფელს შეეფერებოდა მას უპირობდა და გაუგზავნა რვათავე ხელმწიფეთა შვილთა თ˜სთა კაცი, და შეუთვალა მოვიდა დღე აღსასრულისა ჩვენისა, ვითა წესია ამა უხანოსა, და დაუნდობელის საწუთოსა, და გვნებავს ჩვენსა სიცოცხლეშიგან, თქ˜ნის ვარდის ფერის პირის ნახვა, რა ბრძანება ჩვენი მოგვიდესთ ამას გნუკავთ რომ ტკბილი მამაშვილობა გწამდესთ ფიცხლად წამოხვიდეთ, რომ სიცოცხლეში აქ მოგვისწრათო: მივიდა კაცი რვათავე ხელმწიფეთა მამისაგან, და რა ბძანება მოისმინეს

*) დედანში აქ გამოკლეჯილია.

ფიცხლადვე წარმოვიდეს, და ნახეს ხელმწიფე აბულისაყ, ამა სოფლით გასვლასა ლამოდა, სიბერესა და სენთა ემდეროდა, და აღარა ეგრე შვენოდეს ვითაცა წინას ყოფილიყვნენ: მიდგ-ნენ რვანივე ხელმწიფენი, და მუხლნი წინა მოიყარნეს, და ვითაცა მათსა სიკეთესა შეჰფერობდა მისად მგზავსად მოიკით-ხეს, და მოახსენეს გვიბრძანეთ თქვენი ყᲗᲘ:

აქა აბულისაყ ხელმწიფისა ნახვა რვათავე ხელმწიფეთაგან მეთა თვისთა, დალოცვა, და ანდერძის თქმა:

აიხედა ხელმწიფემ, და ნახა შვილნი თვისნი, და ბძანა აჰა დიდება შენთვის ღᲗᲘ რომ ასთენი წყალობა მოიღე ჩვენზე რომე ამა თვალთა ჩვენთა სინათლეთა შვილთა ნახვა სიკᲗᲘლის დღეს გვაღირსეო: ამად ვაი ჩვენ რომ ინდისტნის ხელმწიფე, და საბერძნეთით ასული ჩვენი ცოცხალს ველარ მოგვისწრობს, და მათდა უნახავად დავიხოცებით: მერმე მოიხმო შვილნი ახლოს, და ანდერძი უბრძანა, და მერმე დალოცა ვითა, უკᲗᲔ არის თქᲗᲜᲘ ტახტი და გვირგვინი, თქვენითამცა იხარებს სᲗᲔ ხმელეთი: ნიადაგმცა იქმნებით თქᲗᲜსა ნება წადილზედა: მოწყა-ლე ღᲗᲘმცა არის ნიადაგმცა ჟამს თქᲗᲜᲘ წინამძღვარი: სიტყვა ჩემი მოისმინეთ ჩემნო სულნო და სიცოცხლენო: მე ჩემს ჟამ-ში არა ავი მიყოფიარა, მრავალნი ჩემნი ქიშპნი და მტერნი ხელმწიფენი განმისხამნ მისთა სამკვიდროთაგან, და მიბრძოლია დევთათვის, და ვეშაპთათვის, მიქნია სამართალი ციხეთა და ქალაქთათვის, და მრავალი გლახა დამიმდიდრებია, აწე სოფელ-მან მისი წესი დაგიბედნიეროს თქᲗᲜ ღᲗᲜ. სახელმწიფო და სა-ლარო თქვენი არის, იყვენით რვანივე ძმანი ერთმანერთის სიამოვნითა, და ღᲗᲘსა შიშსა გულით ნუ განიშორებთ: ღᲗᲘსა მოშიშსა კაცსა აღუსრულდების ყᲗᲘ საწადელი მისი, უზემდით ციხესა და ქალაქთა სამართალსა: მისცემდით გლახაკთა და უღო-ნოთა: თქᲗᲜ ძმაია ერთმანერთისათვის ნურა გშურს თᲗᲘრა: ნუ გინდათ სიხარბე: კვართია ეშმაკის ძირისა და ყᲗᲘ ბრᲗᲘ მასა

ჰკიდავს, ვინცა სიხარბესა მიჰყვებს მისი ცხოვრება მოკლე შეიქნების, დაისწავლეთ ჩემი მცნება ყ´ი: გარდაიხადეთ ჩემთვის სულის საქმე ვითაც მფერობდეს: მიმიეცით გლახაკთა და ულოზოთა, საქონელსა ნუ დაუშურვებთ, რასაც გასცემთ ღ´ი ერთისათვის ათასსა მოგანიჭებსთო: მერმე იხმო მწიგნობარი, და მოალებინა ქაღალდი, მისწერა წიგნი ხელმწიფესა ინდოეთისასა, ვითა მომდურავარ ამა საწუთოსაგან, მოავლინა ყ´ი ყოფილი თვისი ჩემზ´ა, და ამა საწუთოსაგან გამიყვანა, და მუნ წაველ სადა არს ყ´თა ადამიანთა სამკვიდრებელი უკ´ე, მოსწრაფებით დამეპატიჟეთ შორი გზა იყო, და ვერ მომისწრებდით ცოცხალსა, აწ ამას გნუკავ წამოხვიდე და ჩემი ვეზირის შვილი თან წამოიყვანო; და როგორც თქვენს სიკეთეს შეჰფერობდეს, მისად მსგავსად დაგვიტიროთ, და სულის საქმე გარდაგვიხადოთ: მერმე ერთი წიგნი საბერძნეთის ხელმწიფეს მიუწერა, მის სიძესა და ქალსა, ვითა სიძე ხარ ჩემი, მაგრამ ამა შვილთაგან შენსა არცერთი მირჩევნია, ჩემი საყ´რელი და ყ´თა ბანოვანთა პირმეტყ´ლთა თავი ასული ჩემი შენ მოგეც: აწ მოიხმარა სოფელმან ჩემზ´ა მიუნდობლობა, და ამა საწუთოსა გამოსალმა, ვიცოდი ცოცხალს ვერ მომისწრობთ, და ამას გ´ები შენც მოხვიდე, და ჩემი ასულიც მოიყვანო ვითა წესია, და წესისაებრ თქვენის ტკბილის გულით სიმწუხარე, და სამოთხის მსგავსის თვალთაგან ცრემლი არ დამიშუროთ და დამიტიროთ: წიგნი მისცეს, ერთი კაცი ინდისტნის ხელმწიფეს გაუგზავნეს, და ერთი კაცი საბერძნეთის ხელმწიფეს:

აქა აბულასაე ხელმწიფისა, და დედოფლის მიცვლა, და მეთა მისთაგან გლოვა, და ტირილი საღმობიერი:

ვითა გათავდა ბძანება ღ´ჲ, და მიაბარეს სლ´ი მეფემან და დედოფალმან სწორად, მათსა მეუფესა, და ამა სოფელით განვიდეს და წავიდეს სამყოფსა მათსა: რა დედმამათ ამ სოფლის მიფარება ხელმწიფეთ მოინახეს, ფიცხლავ საყელონი გარდაიხივნეს, და თავსა ნაცარ მტვერი გარდაიყარეს: და შექნეს თავს

ცემა და ტირილი რომ ესე საწუთო გაიარმ . . . . . და
საბრალოდ მოთქმასა ქყ´ნა გაეკვირვა, ოროლნი და ოროლნი
მიუტირებდეს, და უქებდეს ზნესა და სიმამაცესა . . . .
დაგვხოცნა ღ´ნ თქვენს უწინ, რას ვაქნევთ თქვენს უკან სა-
ხელმწიფოსა ტახტსა, და სრა საჯდომსა . . . . . ჩვენი
სიცოცხლე: ამა წესითა ტიროდეს: მერმე ვეზირნი და დარბაი-
სელნი მოდგნენ, შეეხვეწნენ, და სული დააღებინეს: მასუკან
ჯართა და შინაყმათ იტირეს მისის სიკეთისა მსგავსად: მერმე
მოაღებინეს მურასა თაბუთი ორი, და ერთზე მეფე დაასვენეს,
და მეორეზედ დედოფალი, ოთხნი შვილნი მეფის თაბუთს შე-
უსხდეს, და ოთხი დედოფლისასა, და აგრე მიასვენეს სასაფ-
ლაოსა მათსა: და მიაბარეს მიწასა: გარდაიხადეს რვათავე
ხელმწიფეთა სულისა საქმე, ცალცალკე: და მისცეს გლახაკთა
და დავრდომილთა უსაზომო, და თვით ხელმწიფენი საგლო-
ვარსა შევიდნენ, და ჩაიცვეს ძაძა: იგლოვეს წელიწადი ერთი,
და მივიდნენ ვეზირნი და დიდებულნი ხელერთპირ, და საგლო-
ველით გამოსვლას იაჯნეს: და მოახსენეს ვის უქნია თქვენი
მსგავსი, ვის მოუკლავს ჭირისუფალს თავი, და ან თქვენ რა-
ტომ დაიხოცთ თავსა უეზროსა: არარის წესი, აოხრდა თქვენი
სახელმწიფო, აღარავინ ჰყავს მოსამართლე, გეაჯებით რომ
გარდაუშვათ გულით სიმწუხარე, წესია ამა სოფლისა დასაბა-
მითგან: მამა მოკვდების და შვილი დარჩების, ვეზირთა მოხსე-
ნება დაიჯერეს, და გამოვიდეს საგლოვარით, და აიხადეს შავი:
მივიდა ინდისტნის ხელმწიფესთანა კაცი იგი, და მიართო წიგნი
მამისა, და ანდერძი, შექნა მწუხარება, და დაიწყო ცემა თავსა:
მოახსენეს ვეზირთა არა ერგების ტირილით, მას აქადმე: რად-
გან წაუსვლელობა არ ეგების, მუნ მიდით, და რ´იცა გმართებ-
დეს გარდაიხადეთ, სახელმწიფოსა საქმე გააგეს, და უჩინა კარგი
კაცი, და ასის ყათრისა აკიდება თან წაილო მამის სულის საქმი-
სათვის, და წამოვიდა, და მოვიდა ვეზირის შვილის ქალაქსა,
და იგიცა თან წამოიყვანა:

აქა ინდისტნის ხელმწიფის მამაზე გლოვა, და ვეზირის შკიდისაც დიფნის ქალაქს მოსვლა:

მოვიდეს დიფნისის ქალაქსა, ნახეს რომ ხელმწიფე აბულისაყ მიცვლილიყო, და მათ შვილთა ყ~ი საქმე მისი გარდაეხადნათ და საგლოველით გამოსულიყვნენ: ახლა ინდისტ~ისა ხელმწიფემა გარდაიხივა. საყელო მამისა და დედისა სიკ~ვდილისათვის, მიუტირა მისად სამფერვალოდ და უქო ყ~ი ზნე და ჯომარდობა, სიკეთე, სიუხვე, სიმხნე და მოსამართლეობა: და თქვა, აჰა ცათა სწორო ტკბილო ხელმწიფე, დაგრჩი ამად პირშავად რომ ვერ მოგისწარ ცოცხალსა, და ვერა გემსახურე თქვენად შესაფერად, რა ხელმწიფემ მამის ტირილი გაათავა, ახლა ვეზირის შვილმა დაიმტვრივა თავი და პირი, და გარდაიხივა საყელო, დაიგლიჯა თეთრი თმა და წვერი, გარდაიყარა თავსა ნაცარი და მტვერი, მოთქვა საბრალოდ და საწყლად ხელმწიფის სიკეთე თქვა: რატომ ათასის წლის წინათ არ ჩაგესწრა შენი ვეზირის შვილი ხელმწიფევ, მაღალო ცათა შესწორებულო, უხვო უშურველად გამცემო, მოსამართლევ მოწყალევ, ვინლა დააშვენებს სახელმწიფოსა, ვის უმსგავსია შენი მსგავსი სხვას ხელმწიფესა ქვეყანაზედა: შენ განაყენე ყ~ი დევი და მაცთური ამა ქ~ყანითა: შენ ამოსწყვიტე ზღვაში ვეშაპი და ნიანგი: შენ დაუმკვიდრე ადამიანთა ქ~ყნა: შენ წახველ მა ქვეყნისა დამბადებელისა წ~ე, და განისვენებ მას ს~კნოსა ნებისაებრ: ვაი დავრჩი თქვენს უკან ქვეყნის საძაგელად, რას ვაქნევ თქვენს უკან ამ სოფელს: ვაი აგჩენი მტერი ასეთი რომ წინასაებრ ჩემგან სამსახური და მოხმარება არ გაგეწყობოდა, თურმე მაგიტომ აღარ შეატყობინე შენს თანამკ~დარს ვეზირის შვილს, შეეტყო მაგ მტერზედ ჩემგან მოხმარება არა გაეწყობოდა რა, მაგრამ შენს სიკ~დილს წინ თავს მოვიკლევდიო: მანამდის იცა თავსა ვეზირის შვილმა რომე ორივ თვალები მეტის ტირილით დაუდგეს: და ინდისტნის ხელმწიფესა რომ ასი ყათარი გლახაკთა მისაცემად სა-

ქონელი წამოეღო, იგი გლახათ გაუყო და სულის საქმე გარ-
დაიხადა, და მერმე დაჰპატიჟეს რვათავე ძმათა ცალცალკე
თავთავის სახლში და უალერსეს, და მიართვეს ფეშქაში მრა-
ვალი და წავიდა თავის სახელმწიფოსა:

აქა ბერძენთ მეფის მოსვლა, და აბულისაკ ხელმწიფის ასულისაგან გდოგა.

მერმე მოვიდა საბერძნეთით მეფე ბერძენთა, და ასული
აბულისაკ ხელმწიფისა, და მოიღეს მრავალი განძი, გლახაკთა
მისაცემელი, იტირა და იგლოვა ბერძენთა მეფემან, და მისცა
კლახაკთა და უღონოთა, და უბრძანა ავედრებდეთო ღ~ა სულ-
სა მაღლისა ხელმწიფისასა: აწე ასულმან იტირა, და მოსთქმი-
და საწყლად და საბრალოდ, მისნი ტკბილნი მშობელნი დედ-
მამანი: უწინ მამა იტირა, და მისნი ელვარენი მრავალ-კეცისა
საგოდებელისა მსგავსნი შავნი თმანი დაიგლიჯა და მისნი
ვარდისა მსგავსნი ღაწვნი, თეთრის ბროლის მსგავსის თითითა
და ფრჩხილით დაიხივა, შავისა მელნისა ტბისაგან გუბი
ცრემლისა დააყენა: მერმე დედას მოუთქვა, ყ~ი სიტურფე და
სინაზე, დედავ ყ~თა დედოფალთა უსეზთაესო, ყ~თა ბანოვანთა
თავო, სამოთხის ყვავილის მსგავსო სუნ სუნნელობით, შემკო-
ბილო, ყ~თა უღონოთა ობოლთა და ქვრივთა ხელის ამპყრობე-
ლო, ვინღა დაამშვენებს სახელმწიფოსა და სადედოფლოსა,
ცხრა შვილი გყავს და მეათე მე ვარ, ყ~თა შვილთა უარე,
ვერა გაამე რა სიცოცხლეშიგა, და ვერა გმსახურე შენდა საკა-
დრად; სააქაოს დაგრჩი პირშავად, და ს~კნოსა ვერ გარდა-
ვიხადე ჩემზედ თქვენის სარჯლის მუქაფა: აწე რავქნა საწყალმა
და ბედმლაშემა, ამისთანა მოულოდნელი საქმე ვის დამართე-
ბია: მამა გიტირო სახელოვანი, თუ დედა პატიოსანი. ვით

მოვიგონოთ თქვენი საკადრისი ქება, ქვეყნის ბრძენნი რომ შეკრბენ, მათგანცა ძნიად იქებით თქვენად საკადრადაო: რა რვათ ხელმწიფეთ თავისი და ასრე შეწუხებით, და სულ დაუ-ღებლად მოტირალი ნახეს: მივიდეს და გული დაუდვეს, და უთხრეს ჩვენც დიდად გულმტკივნეულად ვართ, მაგრა ღ᾽ის ბრძანების შეცვლა არ იქმნების: აწ ღ᾽თსა მადლი მიეცით ჩვენ დაგვიჯერეთ, და პატივი დაგვდევ, ნუ მოიკლავ თავსა უებროსა ყმაწვილი ხარ, და ნუ დააჭნობ ჯერეთ შენსა კოკობსა ვარდსა გაუფრჩკვნელსაო: დაუჯერა მათა და გარდა-უშვა ტირილი, და შეიმოსა ძაძა, და ხანი რამე დაყო საგლოველსა შ᾽ა: მერმე საგლოველით გამოიყვანეს ძმათა, და ყველამ ცალცალკე დაჰპატიჟეს სიძესა და დასა, აღხადეს შავი, თვითოს თვეს თვითომ ძმამ არ გამოუშო, და და სიძე, და უძღვნეს მრავალი უცხო და უცხო მათი შესაფერი, და გა-ნისვენეს: და მერმე ბერძენთ მეფემ რვათავე ხელმწიფეთ კა-ცი მიუგზავნა, და შეუთვალა: მე ვიცი რომ ჩემი ქამი თქვენს სახლსა და სახელმწიფოს დავყოთ ჩვენი თქვენთან ყოფნა არ მოგეწყინებათ: მაგრამ საბერძნეთი უპატრონოდ არის და ამეშლების ქ᾽ყანა: ჩვენ ამას ვიაჯთ რომ აღარ დაგვიჭიროთ და გაგვიშოთო: მათ პასუხი ეს მოახსენეს, დია ღ᾽თით ჩვენ ჩვენი თავი და საქონელი და მამული თქვენთვის გვინდათ, და თქვენის სიამოვნისათვის და რ᾽იც გწადდესო იგი ქმენით: გწადდეს კიდევ ხანი დაჰყავით და გწადდეს წაბძანდითო: წა-ვიდეს ბერძენთ მეფე და დედოფალი: და ორისა დღისა სა-ვალს ხელმწიფენი სიძესა, და დას თან გაჰყვეს, და უალერ-სებდენ ერთმანერთსა: მერმე გამოესალმნენ ერთმანერთსა, და დაბრუნდენ ხელმწიფენი რვანივე: და იგინი წავიდენ:

დასრულდა აქა ამბავი დიფნის ქალაქისა: ყოველთა ხელ-მწიფეთა უზესთაესის ხელმწიფისა, დევთა და ვეშაპთა მპყრო-

ბელისა, ფირმალის ძის აბულისაყისა ხელმწიფისა, ვითა წესია ამა უხანოსა სოფლისა, იგინი გარდავიდეს, და გახელმწიფდა დიფნისსა, აბულისაყ ხელმწიფის შვილი: რვა, და გაიყვეს დიფნისი: და მეცხრე ინდისტანს დაჯდა ხელმწიფედ:

მოამბე

წელიწადი მეთერთმეტე

გამოდის ყოველ თვე

ფასი ჟურნალ „მოამბისა“ გაგზავნით:

რუსეთის და კავკასიის ქალაქებში:		საზღვარ-გარედ:	
ერთის წლით	10 მან.	ერთის წლით	13 მან.
ექვსი თვით	6 მან.	ექვსის თვით	7 მან.
სამი თვით	4 მან.	სამი თვით	5 მან.

ვინც „მოამბეს“ გამოიწერს, „ცნობის ფურცელი“ კვირაში ორის სურათებიანის დამატებით უფასოდ დაეთმობა

ფასის განაწილება შეიძლება ასე: ჰირველად 5 მან. 1-დ მარტამდე — 3 მან, და 1-დ აგვისტომდე — 2 მან.

ხელის-მოწერა მიიღება ტფილისში, ჟურნალ „მოამბის“ რედაქციაში, რომელიც იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27.

ქალაქს გარეშე ხელის-მომწერმა **ერთი** მანეთი უნდა წარმოადგინოს **დამატებათა** გასაგზავნად.

ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: **Тифлисъ, Редакція „Моамбе“.**

ჟურნალში დასაბეჭდად მიღებულ წერილებს, თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია შეასწორებს და შეამოკლებს. ხელნაწერები, რომლებიც არ დაიბეჭდება, პატრონებმა რედაქციაში უნდა მოიკითხონ ერთის თვის განმავლობაში,—მერმე ველარ მოსთხოვენ რედაქციას; არავითარ მიწერ-მოწერას დაუბეჭდავ ხელნაწერების შესახებ რედაქცია არა კისრულობს.

დასაბეჭდად წარმოგზავნილ თარგმანზე აღნიშნული უნდა იყოს უეჭველად ყველა ის წყაროები, საიდანაც არის თარგმნილი ხელ-ნაწერი.

რომელ ავტორსაც ან გამომცემელს ჰსურს, რომ ახალი წიგნის შესახებ ჟურნალმა თავისი აზრი წარმოსთქვას, ორ-ორი ეგზემპლიარი უნდა გამოუგზავნოს რედაქციას.

პირისპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეებს გარდა, შუადღიდან ნაშუადღევის ორ საათამდინ.

რედაქცია უმორჩილესადა სთხოვს ყველა ხელის მოჰწერთ, რომელთაც კი ჟურნალის ნომერი არ მიუვათ, განცხადებასთან ერთად რედაქციას წარმოუგზავნონ აგრედვე მოწმობა იმ ფოსტის კანტორისა, რომლიდანაც იღებენ ნომრებს, რომ ამ კანტორას ესა და ეს ნომერი არ მიუღია. წინააღმდეგ შემთხვევაში ხელ-მეორედ ნომერი არავის გაეგზავნება.

რედაქტორი
ალ. ბუკანია.

გამომცემელი
ალ. ჯაბადარი